www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 14 დეკემბერი, 2002 წელი. №195

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პრეზიდენტს აინტერესებს - მისი ნათესავები ხომ არ აწუხებენ „აზოტს„

*“აზოტი” გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე ჯართია, მისი ამუშავება დღეს მხოლოდ “იტერას” შეუძლია,” - ასეთია “აზოტის” გენერალური დირექტორის ლოგიკა, რომელსაც თავად პრეზიდენტიც ეთანხმება.*

A2

## უცხოეთი

### დემოკრატია ახლო აღმოსავლეთში: აშშ-ს ახალი გრანდიოზული პროექტი?

*შეერთებული შტატები ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიზაციის მხარდასაჭერად ახალ, გრანდიოზულ პროგრამას იწყებს. განათლების, ქალთა უფლებების დაცვისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გზით, ვაშინგტონს ახლო აღმოსავლეთში ფუნდამენტური ტრანსფორმაციის მიღწევის იმედი აქვს.*

A4

## ეკონომიკა

### მთავრობის კოსმეტიკური რემონტი მშენებლობის სამინისტროს ხარჯზე

*პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებში განიხილეს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა ქონების მართვის, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროების გაუქმების თაობაზე. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა წარმოადგინა შესაბამისი კანონპროექტი.*

A6

## სამართალი

### პატიმარი ქალების მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს - ითხოვს ომბუდსმენი

*საქართველოს სხვადასხვა ციხეებში შეწყალების მოთხოვნით მიმდინარე პატიმრების შიმშილობის აქცია გუშინწინ შეწყდა, ოღონდ ნაწილობრივ.*

A6

## საზოგადოება

### გაძარცული ლიფტები საააკაშვილს ელის

*”თბილლიფტის” ცნობით, ქალაქის მაღალსართულიან კორპუსებში 7 ათასამდე ლიფტია. აქედან 3 000 პირწმინდად გაიძარცვა. ხოლო მოქმედი ლიფტების უმრავლესობა სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს.*

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | |
| ქუთაისი | 12 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 14 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 6 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 6 | |
| ახმეტა | 4 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1533 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3976 |
| რუბლი | 0.0683 |

# შეუძლებელის სიყვარული ქართულად

B1



*ნინო კირთაძე – პიერ რიშარისა და ვიტორიო გასმანის ქართველი პარტნიორი – ევროპელებს კავკასიის ამბებს უყვება*

## წერილი ვატიკანიდან - დე, იფრიალოს ჭრიანმა დროშამ მერიის თავზე

სოფო ბუკია

თბილისის საკრებულომ გუშინ ახალი ინტერფრაქციული ჯგუფი შექმნა, რომელსაც მერიის საქალაქო სამსახურების რეორგანიზაცია და დედაქალაქის ბიუჯეტის ახალი პროექტის შემუშავება დაევალა. ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარედ საკრებულომ ერთსულოვნად აირჩია ფრაქცია “ახალი მემარჯვენეების” წევრი ლევან გაჩეჩილაძე.

გაჩეჩილაძე მონათესავე საქალაქო სამსახურების გაერთიანებასა და ერთი ახალი საქალაქო სამსახურის შექმნას გეგმავს, რომელიც მერიის დაქვემდებარებაში მყოფ შპს-ებს მონიტორინგს გაუწევს.

**“მთავარია, შევქმნათ 2003 წლის ბიუჯეტი, რომელიც ახალ პრიორიტეტებს უპასუხებს და არავითარ შემთხვევაში არ დაემსგავსება მიმდინარე წლის ბიუჯეტს, რომელიც ქალაქზე კი არა, კონკრეტულ ადამიანებზეა მორგებული,”** – აცხადებს იგი.

საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელსაც მსგავსი უკონტროლო ბიუჯეტი, როგორიც მიმდინარე წლისაა, ცხოვრებაში არ უნახავს, დიდი იმედი აქვს, რომ საბიუჯეტო პრობლემებს გაჩეჩილაძე და მისი ინტერფრაქციული ჯგუფი კვალიფიციურად გადაწყვეტს.

თუ რა პრიორიტეტები დაესახება მომავალ წელს თბილისის ხაზინას, ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარემ ჯერ არ იცის: **“ჩვენ ერთი კვირის განმავლობაში ვიმუშავებთ, სისტემაში მოვიყვანთ და ქაღალდზე გადავიტანთ დედაქალაქის ყველა პრობლემას. მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებთ პრიორიტეტებზე.”** ინტერფრაქციულმა ჯგუფმა გუშინ პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა დედაქალაქის პრემიერთან გია შერაძესთან და ახალ ვიცე-პრემიერებთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკურ პროცესებს კრიმინალები მართავენ-აღიარებს დეპუტატი

ინგა ალავიძე

***”დღეს კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები მართავენ პოლიტპროცესებს, წყვეტენ არჩევნების ბედს, ნიშნავენ მათთვის სასურველ თანამდებობის პირებს, ერევიან ბიზნესში და ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. დღეს ”მხედრიონი” იარაღით ხელში ქუჩაში აღარ დარბის, ახლა ფრაკებში გამოწყობილი ქურდული სამყაროს ლიდერები მეფობენ. ასეთ სიტუაციაში, როცა ძალაუფლებას ხელში დამნაშავეთა სამყარო იგდებს, იწყება განუკითხაობა. ამიტომაცაა ქვეყანაში საგანგაშო კრიმინალური მდგომარეობა,”*** *- ხელისუფლების კრიმინალიზაციაზე და მთელ ქვეყანაში არსებულ მძიმე კრიმინალურ სიტუაციაზე გუშინ ხელისუფლების კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა ისაუბრა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## შსს შარიფოვის გამტაცებელთა ვინაობის დასახელებას აპირებს

*“ლუკოილის” ვიცე-პრეზიდენტის გატაცებული მამის სადი შარიფოვის ცხედრის აღმოჩენისთანავე, ბოლნისსა და თბილისში სპეცოპერაციები დაიწყო. შსს-ს გაძლიერებული რაზმები სადი შარიფოვის გამტაცებლებს ეძებენ.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ და გუშინწინ ძალოვნებმა რამდენიმე ექვმიტანილი დააკავეს. დაკავებულთა ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. დაკავების ოპერაციებს შსს-ს სამძებრო სამმართველოს სპეცჯგუფი და გია გულუას სახელობის სპეცრაზმი ატარებს.

გენერალური პროკურატურის, ქვემო ქართლის პოლიციისა და შსს-ს წარმომადგენლები არც უარყოფენ და არც ადასტურებენ სადი შარიფოვის გამტაცებლების დაკავების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას. **“ხვალ გაიგებთ ყველაფერს, ყველა მასალას დაგილაგებთ, დაკავებულების შესახებაც ხვალ შეიტყობთ,”** - ასეთია შსს-ს ოფიციალური პოზიცია.

გაგრძელება A7 გვერდზე

## „ბიუჯეტის დამტკიცების გაჭიანურება კორუმპირებულ ჯგუფებს ხელს აძლევთ„

*მთავრობამ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი, მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად, პარლამენტიდან გამოითხოვა. ამის შესახებ გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო და შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა. ფინანსთა სამინისტრომ მიზეზად საერთაშორისო ფონდების მისიების ვიზიტით, გაერთიანებული სადაზღვევო კომპანიის შექმნით, თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებისა და ვეტერანებისათვის “უფასო” ელექტროენერგიის რაოდენობის გაზრდით გამოწვეული ცვლილებები დაასახელა.*

სოფიკო ოხანაშვილი

**“2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი პარლამენტში თავის დროზე შევიდა განსახილველად. მთავარი მიზეზი, რამაც ბიუჯეტის კორექტირების აუცილებლობა გამოიწვია, არის გაერთიანებული სოციალური დაზღვევის ფონდის შექმნა. ორი კომპანიის შერწყმამ შეცვალა ბიუჯეტის**

გაგრძელება A4 გვერდზე



## პრაღის სამიტიდან წამოსული იმპულსებით განცდილი ნეტარება

### შეცვლის თუ არა ახლანდელ ენთუზიაზმს მორიგი იმედგაცრუება?

*პრაღაში გამართულმა ნატო-ს სამიტმა მეტად მძლავრი იმპულსი მისცა ისედაც პოპულარული ევროატლანტიკური ალიანსისკენ ჩვენი ქვეყნის სწრაფვას. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სახელისუფლებო სტრუქტურებში სისტემატურად ტარდება სხდომები, პრესკონფერენციები და სხვა სახის შეკრებები, რომელთა დევიზია: “ჩვენ ნატოში გვინდა!” დასამალი არ არის, რომ ამ საერთო “ნატომანიას”, მსოფლმხედველობითი პრინციპების თანხვედრასთან ერთად, წმინდა წყლის “მომხმარებლური” ფსიქოლოგიაც უდევს საფუძვლად - საქართველოში ბევრი მიიჩნევს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია იქნება.*

გიორგი ასანიშვილი

რამდენად რეალურია, რომ ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანას ევრო-ამერიკულ სამხედრო “ოჯახში” მიღების იმედი ჰქონდეს? თანაც, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მის ტერიტორიაზე, გაურკვეველი ვადით, სხვა სახელმწიფოს სამხედრო ბაზები იმყოფება? - ამ კითხვებს, თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, გუშინ გამართულ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე პასუხობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი, საქართველოს წარმომადგენელი გაერო-ში რევაზ ადამია და ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი დავით დონდუა.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 მედიცინა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ერთი დაიჭრა. შემთხვევის ადგილზე ერთობლივი ქართულ-აფხაზური საგამოძიებო ჯგუფი გავიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი ხელნაწერთა ინსტიტუტის გადარჩენისათვის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 200 ათასი ლარის გათვალისწინებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება საახალწლოდ ცხინვალის ციხეში მყოფ მსჯავრდებულებს გაათავისუფლებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ვიზიტისას ხელი მოეწერება ორ სამთავრობო ხელშეკრულებას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს აზერბაიჯანის მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთა მუშაობა მიმართულია ბაქო-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობისას სერვისული მომსახურების გაწევაში მონაწილეობის შესაძლებლობების გაფართოებისაკენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი..** რუსეთის ხელისუფლება "დიდად არის დაინტერესებული" საქართველოსთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარებით, განაცხადა დღეს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის ახალმა ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისათვის სწავლების კურსის ჩასატარებლად საქართველოში ორი კვირით ჩეხი ექსპერტები ჩამოვიდნენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 16 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე ბულგარეთში მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში ვალერი ჩხეიძე შეხვდება ბულგარეთის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელს და სასაზღვრო პოლიციის დირექტორს, პოლკოვნიკ ვალერი გრიგოროვს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალსა და აფხაზეთში კონფლიქტის ზონებში არსებულ მდგომარეობას და კონფლიქტის მოგვარების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩის რუსეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ულრიხ ბრანბენბურგის გუშინდელი შეხვედრა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისს ეწვევა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს რვაკაციანი დელეგაცია. ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას ესტონეთის სახელმწიფო მდივანი ინდრეკ კანნიკი უხელმძღვანელებს. 16 დეკემბერს დელეგაცია დაესწრება თავდაცვის სამხედრო აკადემიაში ინტერნეტ-კლასის გახსნას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისს საქმიანი ვიზიტით ეწვია აშშ-ს ევროპული სარდლობის დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობენ აშშ-ს საზღვაო ქვეითთა სარდალი არნოლდ ფილდსი და აშშ თავდაცვის სამინისტროს დაგეგმარების ცენტრის დირექტორი, გენერალ-მაიორი დარდენი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** ბაქოში მუშაობა დაიწყო ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეკონომიკური კვლევებისა და სტატისტიკის ეროვნულ კოორდინატორთა მეოთხე სხდომამ. ეკონომიკური კვლევების დარგში კოორდინატორთა შეხვედრა ტარდება რეგიონის ქვეყნების ბაზრების ინტეგრაციის პერსპექტივების შესწავლის მიზნით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის 30 დამოუკიდებელი და ოპოზიციური გამოცემის წარმომადგენლებმა ბაქოში საპროტესტო მიტინგი ჩაატარეს. მიტინგის ორგანიზატორი იყო აზერბიჯანის რედაქტორთა გაერთიანება. ჟურნალისტებმა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ზეწოლის შეწყვეტა მოითხოვეს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ "აბსურდული" უწოდა დეპუტატ ელიზბარ ჯაველიძის განცხადებას, რომ თითქოს ამ დღეებში პრეზიდენტი ხელს აწერს ბრძანებულებას ტელევიზიის პირველი არხის განსახელმწიფოებრიობის შესახებ **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო პროგრამა". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვენაში, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ოფისში საქართველოში განხორციელებული რადიაციული წყაროებისა და ნარჩენების მოძიების ოპერაციების შესახებ მოხსენებას მოისმენენ. **კავკას-პრესი.**

# „თუ უნდათ, სააკაშვილს დამანგრეველი უწოდონ"

*ამიერიდან თუ თქვენ დედაქალაქში მშენებლობის წამოწყებას გადაწყვეტთ, საქმის დაჭერა* ***"პატიოსან, პროფესიონალ და არაკორუმპირებულ"*** *ქალაქის მთავარ არქიტექტორთან მოგიხდებათ, რომელიც, მშენებლობის ნებართვაზე ხელის მოწერამდე, თქვენს პროექტს კარგა ხანს უკირკიტებს და არავითარ შემთხვევაში არ დაამტკიცებს "გაუაზრებელ მშენებლობას". თბილისის საკრებულოს მიერ ხელდასმული და სააკაშვილის მხრიდან მრავალგზის მოწონებული დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი მუშაობას შეუდგა.*

სოფო ბუკია

გუშინ სააკაშვილმა **"თბილისის ამაოხრებელი"** და **"დედაქალაქის მომავლის ფულზე გამყიდველი"** არქიტექტურის საქალაქო სამსახური და მისი ახალი ხელმძღვანელი ინახულა. საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, როსტომაშვილის სანახავად არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ახლადდანიშნული ვიცე-პრემიერები მივიდნენ.

პირველი, რასაც როსტომაშვილი ახალ თანამდებობაზე გააკეთებს, ამ უწყების სტრუქტურული ცვლილებებია. მისი შეთავაზებით, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 92-მა თანამშრომელმა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა. აღნიშნული განცხადებები უკვე მთავარი არქიტექტორის სამუშაო მაგიდაზეა და მხოლოდ როსტომაშვილის ხელმოწერას ელის. როგორც გუშინ გაირკვა, დიდხანს ლოდინი არავის მოუწევს, მთავარი არქიტექტორი გრანდიოზულ საკადრო ცვლილებებს უახლოეს დღეებში განახორციელებს. **"ყველამ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა,"** – ამბობს იგი. ძველ თანამშრომლებს გუშინ თითი სააკაშვილმაც დაუქნია.

განახლების ქარტეხილი შეეხება, აგრეთვე, კომუნისტურ ყაიდაზე შექმნილ ქალაქის გენერალურ გეგმასაც.

არქიტექტურული საბჭო, რომლის თავმჯდომარეობაც ადრე მთავარ არქიტექტორს ევალებოდა, გააერთიანებს ხუთ გამგებელს, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და თორმეტ არქიტექტორს, ხოლო საბჭოს



*მიხეილ სააკაშვილი: "თუ ეს კაცი ისევე მიჰქარავს, როგორც მისი წინამორბედნი, მე ავიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას".*

ხელმძღვანელობა მთავარი არქიტექტორის ფუნქცია აღარ იქნება. თავმჯდომარეს, კორუფციის თავიდან ასაცილებლად, ყოველ თვე შეცვლიან. **"არქიტექტურული საბჭო ოპოზიციაში უნდა იყოს მთავარ არქიტექტორთან,"** – ამბობს როსტომაშვილი, რომელიც პირობას დებს, რომ მისი ხელი სულ მალე დაეტყობა დედაქალაქს.

რაც მთავარია, არქიტექტორის სჯერა უკანონო მშენებლობების ნომერ პირველ მტერს მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც გუშინ სხაპასხუპით იმდენი უკანონო მშენებლობის ჩამოთვლა შეძლო, თავად არქიტექტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებიც კი გააოცა. აქეთ კუს ტბაო, იქით ყაზბეგის გამზირიო, დიღმის კორტებიო, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაო... სააკაშვილი მზადაა, როსტომაშვილთან ერთად გაიზიაროს პასუხისმგებლობა: **"თუ ეს კაცი ისევე მიჰქარავს, როგორც მისი წინამორბედნი, მე ავიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას".**

მთავარი არქიტექტორის მოადგილე გოგი კურცხალია მიიჩნევს, რომ ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება. მისი თქმით, იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, თუმცა მზადაა, დაემორჩილოს ქალაქის ახალი მთავარი არქიტექტორის გადაწყვეტილებას.

არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი დიმიტრი ბაბუნაშვილი მორიდებით დაეკითხა სააკაშვილს: მართლა ფიქრობთ, რომ მთელი ჩვენი სამსახური კორუმპირებულიაო?

**"თუ კორუმპირებული არ არის არავინ, მაშინ ვინ მოსპო ჩვენი ქალაქის იერსახე? არავის ვაპატიებ იმას, რაც ამ სამსახურმა დედაქალაქს გაუკეთა. თუ სხვაგვარად ვერ გადაწყდება ეს პრობლემა, ათასობით ადამიანს გამოვიყვან ქუჩაში... მითხარით, რა ჰქვია იმას, რომ ალექსანდროვის ბაღში უზარმაზარი შენობა შენდება? დასაჭერი არ არის ის, ვინც ამ მშენებლობის ნებართვა გასცა? ჩვენ საზეიმოდ დავანგრევთ ყველა უკანონო შენობას და ამის შემდეგ, თუ უნდათ, სააკაშვილს დამანგრეველი უწოდონ,"** – გაცხარდა საკრებულოს თავმჯდომარე.

"ნაციონალების" ლიდერმა გუშინ ის დრო გაიხსენა, როცა პატარა იყო და საკუთარი ეზოს სკვერში, სხვა თანატოლებთან ერთად, "ინდიელობანას" თამაშობდა. დღეს მისი ეზოს ბავშვებს, თურმე, სკვერი არა აქვთ, ისინი გარაჟების თავზე დახტიან.

**"საზეიმოდ ვაცხადებ პრესის წინაშე, რომ, თუ ჩვენ ვერ გავაკეთებთ საქმეს, ჩვენც წავალთ საკრებულოდან... მაგრამ არა, მე პირადად წასვლას არსად არ ვაპირებ, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო,"** – აცხადებს სააკაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაბარგებას არ აპირებს და ისევ საკრებულოში დარჩენას გეგმავს.

# პრეზიდენტს აინტერესებს - მისი ნათესავები ხომ არ აწუხებენ „აზოტს"

***"აზოტი" გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე ჯართია, მისი ამუშავება დღეს მხოლოდ "იტერას" შეუძლია,"*** *- ასეთია "აზოტის" გენერალური დირექტორის ლოგიკა, რომელსაც თავად პრეზიდენტიც ეთანხმება. ეს ლოგიკა მისაღებია "აზოტში" მომუშავე სამი ათასი ადამიანისთვისაც, რადგან მათ ხელფასების დროულად გადახდას დაჰპირდნენ. გუშინ "იტერას" მიერ წამოდგენილი ბიზნეს-გეგმის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის გაცნობას ამ კომპანიის წამომადგენელი ფორმალურადაც კი არ დასწრებია.*

კომპანია "იტერასა" და ქონების მართვის სამინისტროს ჯერჯერობით ხელი არ მოუწერიათ ხელშეკრულებისათვის, რომლის თანახმად "იტერა", სააქციო საზოგადოება "აზოტის" აქციების 90 პროცენტს ნახევარ მილიონ დოლარად შეიძენს. საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ახლა, საბოლოო ვერდიქტამდე ანუ ფინალამდე, მასობრივი სცენები თამაშდება. თუმცა მთლად თამაშსაც ვერ დაარქმევ აზოტელების გუშინდელ თავყრილობას, სადაც მათ "იტერას" მიერ "აზოტის" პრივატიზებას მხარი დაუჭირეს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღეს ქარხანაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ხმამაღლა იტყვის "იტერაზე" აუგს.

გუშინდელ შეკრებაზე, რომელიც თავად პრეზიდენტთან იყო შეთანხმებული, ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ დეტალურად გააცნო "იტერას" მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის ის ნაწილი, რომელიც საწარმოს შემდგომ მუშაობას და იქ მომუშავეთა სოციალურ უზრუნველყოფას ეხებოდა.

**"ამ გეგმის მიხედვით, მომავალ წელს "იტერა" აზოტში 5 მილიონ დოლარზე მეტს ჩადებს და აამუშავებს კაპროლაქტამის წარმოებას. 2004-2008 წლებში კი 8-10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს საწარმოში. გარდა ამისა, შენარჩუნდება სამუშაო ადგილები, საშუალო ხელფასი კი ყოველწლიურად 30 პროცენტით გაიზრდება,"** - ასეთ სამოთხეს ხატავს გოგოლაძე.

იქნებ სწორედ ამ სამოთხის გამო, მკვეთრად შეიცვალა "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველის, ნიკოლოზ ბაკაშვილის პოზიცია. ბაკაშვილი აქამდე გადაჭრით ამბობდა უარს "იტერასათვის" ქარხნის მიყიდვის მართებულობაზე, ახლა კი ის საპირისპიროს აცხადებს: **"ჩემი პოზიცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც გავეცანი "იტერას" მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საბოლოო პროექტს. თუ "იტერა" "საქგაზს" არ დაემსგავსება, თუ ნაკლებ ფასში მოგვცემს ბუნებრივ აირს, თუ კრედიტორულ დავალიანებას დროულად გაისტუმრებს, მე წინააღმდეგი არ ვარ მათი აქ შემოსვლის."**

ზამთარმა და სიცივემ, როგორც ჩანს, "იტერას" მოწინააღმდეგეთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა. ჯერჯერობით ჩუმად ყოფნას ამჯობინებს რუსთავის მმართველობაც, რომელსაც იმედი აქვს, რომ "იტერა" ოთხ მილიონამდე ვალს გადაიხდის და "აზოტის" სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებს ქალაქს უფეშქაშებს.

არის თუ არა "იტერა" "აზოტის" ერთადერთი ხსნა? გიორგი გოგოლაძის თქმით, წლების მანძილზე ის თავად ეძებდა სხვა ინვესტორებს, თუმცა - უშედეგოდ. არც ერთმა სერიოზულმა კომპანიამ არასტაბილურ საქართველოში ფულის ჩადება არ მოისურვა.

ცოტა ხნის წინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე ამტკიცებდა, რომ "აზოტში" ინვესტიციების ჩადება ქართულ კომპანიებსაც ძალუძთ. გოგოლაძე აცხადებს, რომ არც ერთ ქართულ კომპანიას "აზოტში" ფულის ჩადების სურვილი არ გამოუთქვამს.

"აზოტის" გენერალურმა დირექტორმა არც ის დაუმალა თავის სამწყსოს, რომ ორი დღის წინ პრეზიდენტმა თავად დაურეკა მას. შევარდნაძეს რამდენჯერმე გაუმეორებია კითხვა - ჩემი ნათესავებიდან ვინმე ხომ არ გაწუხებთო.

*"24 საათი"*

# წერილი ვატიკანიდან - დე, იფრიალოს ჯვრიანმა დროშამ მერიის თავზე

პირველი გვერდიდან

საკრებულოს ნათელაშვილის პარტიიდან გარიცხული თუ გაქცეული სამმი დეპუტატი დაუბრუნდა, რომლებმაც გუშინ პირველად იგრძნეს თავი საკრებულოს წევრებად და კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს. ავთანდილ ტყებუჩავამ, ჯუმბერ შენგელიამ და ზაზა ბეგაშვილმა "საკუთარი სიმართლე დაამტკიცეს": საოლქო სასამართლომ მათი, როგორც საკრებულოს დეპუტატების, უფლებამოსილება რამდენიმე დღის წინ ცნო. ზაზა ბეგაშვილმა უკვე მოასწრო და "ლეიბორისტებიდან" გამოყოფილ კიდევ ორ დეპუტატს - ბერდია გველებიანსა და რევაზ უმფრიანს შეუერთდა. ამ სამკაციან ფრაქციას "დედაქალაქი" დაერქვა. ტყებუჩავასა და შენგელიას კი რომელიმე ფრაქციაში გაწევრიანება ჯერ არ გადაუწყვეტიათ.

თბილისის საკრებულომ გუშინ კიდევ ერთ, ძალზე მნიშვნელოვან საკითხს დაუთმო ყურადღება. **"კეთილი ინებოს და, საქართველოს პრეზიდენტმა ნაკლები პომპეზურობითა და ნაკლები ხმაურით იმოძრაოს,"** – ზვიად ძიძიგურს ამ ინიციატივით ედუარდ შევარდნაძის სიარულის მანერა არ გაუპროტესტებია. ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, უბრალოდ, აცხადებს, რომ, როდესაც შევარდნაძე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილდება, პრეზიდენტის უნებურად, დედაქალაქი თხუთმეტწუთიან პარალიზებას განიცდის.

**"კი, კი, ნამდვილად კარგი ინიციატივაა, ინგლისის დედოფალი არ დადის ასე,"** – პრეზიდენტის შეშურდათ დარბაზში მსხდომთ.

სულ მალე საკრებულოს სხდომათა დარბაზში დამონტაჟებულ ერთადერთ მიკროფონთან უზარმაზარი რიგი დადგა. პრეზიდენტის ესკორტზე საკუთარი აზრის გამოთქმა თითქმის ყველა ფრაქციამ თავის პირდაპირ მოვალეობად ჩათვალა.

"დემოკრატების" წევრი, ავტომრბოლელი შალვა ოგბაიძე მზადაა, პრეზიდენტს ქალაქში მოძრაობის ალტერნატიული მარშრუტი შესთავაზოს.

ყველაზე ცუდ დღეში, თურმე, "მერსედესის" (მანქანის ნომერი 303) მფლობელი, "ნაციონალი" კობა ბექაურია. პრეზიდენტის გამცილებელი სამთავრობო დაცვის მანქანიდან მას ხშირად ესაუბრებიან მიკროფონით: **"მერსედესი 303, გადადით მარჯვენა მხარეს.."**

შევარდნაძისთვის გზის გადაკეტვას საკრებულოს წევრები ჯერ არ ფიქრობენ, თუმცა პრეზიდენტის კორტეჟის სამოძრაო გეგმას აუცილებლად მიუბრუნდებიან და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

შევარდნაძის გადაადგილების თემას საკრებულოს სხდომაზე შეუმჩნევლად ჩაენაცვლა დროშების თემა.

მიხეილ სააკაშვილმა დამსწრე საზოგადოებას საზეიმოდ აცნობა, რომ მერიის თავზე აფრიალებული ჯვრიანი დროშა სულაც არ ყოფილა კათოლიკური, როგორც ამას ბატონი შარაძე ამტკიცებდა. დროშის არაკათოლიკურ წარმომავლობას ვატიკანიდან გამოგზავნილი წერილი მოწმობს, სადაც აღნიშნულია, რომ ამგვარ დროშას კათოლიკები არასოდეს იყენებდნენ.

# ჯორბენაძემ და ხაზარაძემ უწყისი გახსნეს

*დღეიდან სახელისუფლებო ფრაქციები, პარლამენტის ვიცე-სპიკერების - გიგი წერეთლისა და ელდარ შენგელაიას პოსტიდან გადაყენების მოთხოვნით, დეპუტატთა შორის ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.*
*გუშინ ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ მის კაბინეტში შეკრებილ თანამოაზრეებს ხელმოწერების შეგროვების პროცესის დაწყების თაობაზე ამცნო. ჩვენი ინფორმაციით, პრეზიდენტისა და ავთანდილ ჯორბენაძის საპარლამენტო გუნდისთვის მთავარი სამიზნე გიგი წერეთელია. მით უფრო, რომ ელდარ შენგელაიას საკითხი კენჭისყრაზე ერთხელ უკვე დადგა, მაგრამ მის გადაყენებას დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.*

თამარ ასათიანი

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა გადაწყვეტილება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან "მოქკავშირი" და მისი თანამოაზრე ფრაქციები არაერთგზის აცხადებდნენ, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებს", ახალი საპარლამენტო რეალობიდან გამომდინარე, ვიცე-სპიკერის ორი პოსტი აღარ ეკუთვნით. დღეიდან სახელისუფლებო ფრაქციები სიტყვიერ განცხადებებს უკვე კონკრეტული ნაბიჯებით ამაგრებენ.

თუკი ვიტალი ხაზარაძის გუნდი გიგი წერეთლის გადაყენებას მოახრხებს, მაშინ გამოთავისუფლებული სავარძლის დაპარტორნებას კვლავ ფრაქცია "თანადგომის" თავმჯდომარე ელგუჯა მეძმარიაშვილი შეეცდება. ამ კომბინაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი, მეძმარიაშვილის ადგილს, სავარაუდოდ, გელა კვარაცხელია დაიკავებს.

გიგი წერეთელი ამჟამად თბილისში არ იმყოფება. თუმცა, "24 საათმა" მაინც მოახერხა მასთან დაკავშირება.

**"არ არის გამორიცხული, ეს პროცესი კანცელარიიდან იმართებოდეს. ძალიან ცუდია, რომ სახელისუფლებო ფრაქციები მუდმივად ქმნიან პარლამენტში დაძაბულობას და, ინტრიგების წყალობით, აფერხებენ საპარლამენტო საქმიანობას. რაც შეეხება ჩემს გადაყენებას. ამ კამპანიის წამოწყებით, მათ ჰგონიათ, რომ ჩემით გადავდგები, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩემს პოსტს ვიტალი ხაზარაძეს ნებით არ დავუთმობ. თანაც, მათ გუნდში ბევრია ისეთი, ვინც დადებითად აფასებს ჩემს საქმიანობას და მეეჭვება, ჩემს გადაყენებას მათ მხარი დაუჭირონ",** – განაცხადა გიგი წერეთელმა.

პრეზიდენტის მხარდამჭერთათვის ახლა მთავარი პრობლემა 118 დეპუტატის ხელმოწერის შეგროვებაა, რადგან მხოლოდ სახელისუფლებო პარტიები ამ "პოლიტოპერაციას" ვერ განახორციელებენ. ჩვენი ინფორმაციით, მოლაპარაკებები "სოციალისტებთან" საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ბანაკში გადაბარგებული რჩეულიშვილის ფრაქციის წევრები უპრობლემოდ დასვამენ საკუთარ ფაქსიმილიას ვიტალი ხაზარაძის უწყისში.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოლაპარაკებები "აღორძინებასთანაც" მიმდინარეობს. თუმცა, აქ საქმე ოდნავ რთულადაა, რადგან ვაჭრობის საგანი არა მხოლოდ ვიცე-სპიკერის, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სავარძელიც ხდება. როგორც ჩანს, მოლაპარაკებები მათ შორის შემდეგი სცენარით წარიმართება: "აღორძინება" გიგი წერეთლის გადაყენებასა და ელგუჯა მეძმარიაშვილის გავიცესპიკერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუკი სახელისუფლებო ფრაქციები ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ნატო ჩხეიძეს არ დაიწუნებენ. თუმცა, თავად გიგი წერეთელი ეჭვობს, რომ ამ მოლაპარაკებებმა რაიმე შედეგი მოიტანოს. **"აღორძინება" ნამდვილად მოერიდება, ჩემს გამო ღიად შეეკრას სახელისუფლებო ფრაქციებს. ეს, პირველ რიგში, მათთვის იქნება არახელსაყრელი",** - განუცხადა "24 საათს" პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

სხვათა შორის, ნატო ჩხეიძის კანდიდატურას ბათუმური ბლოკი, კარგა ხანია ლობირებს. აქ საკმაოდ საინტერესო დეტალი იკვეთება: საქმე ის არის, რომ ნატო ჩხეიძე და მისი მეუღლე – ზაზა ოქუაშვილი ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრები არიან. კულუარული ინფორმაციით, "აღორძინებას" სურს, მეუღლეები თავის ფრაქციაში გააწევრიანოს, რითიც, ჯერ ერთი, ჟვანიას გუნდში გადაბარგებულ "ტრადიციონალისტებს" დაასუსტებს და მეორეც – ამით საკუთარ რიგებს არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ფინანსურადაც გააძლიერებს ("ომეგას" ყოფილი (ფორმალურად) შეფი ზაზა ოქუაშვილი ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული პარლამენტარია).

ამ მოლაპარაკებების შედეგზე დიდად იქნება დამოკიდებული ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრთა პოზიციაც. წარმატებული ვაჭრობის შემთხვევაში, მათი სიმპათიები უთუოდ ელგუჯა მეძმარიაშვილისაკენ გადაიხრება.

ჯერჯერობით უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს ვაჟა ლორთქიფანიძე და მთლიანად მისი ფრაქცია. თუმცა, როგორც "მოქალაქეები" იმედოვნებენ, ისინი საერთო ენის გამოძებნას აუცილებლად შეძლებენ.

არ არის გამორიცხული, ამ ვაჭრობამ საკმაოდ დიდხანს გასტანოს. ასეთ შემთხვევაში, ვიცე-სპიკერების გადაყენების საკითხი მომავალ საგაზაფხულო სესიამდე დაკარგავს აქტუალობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სულ მალე დეპუტატებს არდადეგები ეწყებათ.

და მაინც, მომავალ ორშაბათს სახელისუფლებო ფრაქციები ერთობლივი სხდომის გამართვას აპირებენ, სადაც, როგორც ამბობენ, ინფორმაციას ხელმოწერათა შეგროვების პროცესის დაწყების თაობაზე, უკვე ხმამაღლა გააჟღერებენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პრაღის სამიტიდან წამოსული იმპულსებით განცდილი ნეტარება

პირველი გვერდიდან

ამ უკანასკნელის განმარტებით, ბოლო დრომდე ბრიუსელში ძალიან ჭირდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხების ლობირება, რადგან ნატო-ს ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ ასეთი ტიპის პრობლემებზე სხვა ორგანიზაციებმა (ეუთო, გაერო) უნდა იმუშაონ. თუმცა, როგორც დონდუა აღნიშნავს, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მოხდა ამ შეხედულების გადაფასება და ალიანსის ლიდერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, "თეთრი ლაქების" (არაკონტროლირებადი ტერიტორიების) აღმოფხვრის გარეშე, ტერორიზმთან ბრძოლა ძალიან გაძნელდება.

ნატო-ში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, ამასთან, არ უარყოფს, რომ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა ევროატლანტიკურ ალიანსში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პროცესს ძალიან შეუშლის ხელს. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ იზრდება იმ მოლაპარაკებების მნიშვნელობა, რომელიც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებს უკავშირდება.

არა მარტო სამხედრო ბაზების, არამედ, საერთოდ, რუსეთის ფაქტორი ერთობ ხელშესახებად წარმოჩინდება ხოლმე, როდესაც ნატო-ში ჩვენი ქვეყნის შესვლაზე მიდგება საქმე. ირაკლი მენაღარიშვილის თქმით, როდესაც პრაღის სამიტზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ შესაბამისი განაცხადი გააკეთა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამას "ირონიანარევი სკეპსისით" შეხვდა.

**"იმის ფორმალურ აღიარებასთან ერთად, რომ საქართველოს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლის უფლება აქვს, რუსები ხაზგასმით მიუთითებენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ რიგ სირთულეებზე და "გვირჩევენ", ჯერ მათ გადაჭრაზე ვიფიქროთ",** - აღნიშნავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მისივე განცხადებით, მოსკოვში მიხვდნენ, რომ ანტინატოური ისტერია აღარ ამართლებს და ამიტომ მას, ფაქტობრივად, აღარც მიმართავენ. აქედან გამომდინარე, მენაღარიშვილის აზრით, მოსკოვის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე პირდაპირი ზეწოლის მცდელობას მომავალში, შესაძლოა, ადგილი არც ჰქონდეს, მაგრამ მინისტრი მაინც ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში შეფარულ ქმედებებს რუსეთი კიდევ არაერთგზის მიმართავს.

ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი პირობა თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული შეიარაღებული ძალების შექმნაცაა. თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ მის უწყებაში ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს დავით თევზაძის "მარჯვენა ხელმა" ვრცლად ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომელიც სამინისტროში ხორციელდება.

**"ახლო მომავალში გაიმიჯნება გენშტაბისა და თავდაცვის სამინისტროს ფუნქციები. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდება, როგორც სამოქალაქო სტრუქტურა და მას სამოქალაქო პირი უხელმძღვანელებს. ამასთან, დასავლური მოდელის მიხედვით, ნავარაუდევია პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, აგრეთვე, "წრთვნისა და აღჭურვის" სამხედრო პროგრამის განხორციელებას, რომლის დასრულების შემდეგაც საქართველოს დასავლური სტანდარტების მქონე არმია ეყოლება",** - აცხადებს ბეჟუაშვილი, რომელიც იმასაც დასძენს, რომ ქართულმა მხარემ ნატო-ს უკვე შესთავაზა 2004 წლისთვის, "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში, კიდევ ერთი სამხედრო სწავლების ჩატარება.

თავის მხრივ, სამხედრო სფეროში რეფორმებზე საუბრისას, ირაკლი მენაღარიშვილი მოითხოვს, რომ ცვლილებები შეეხოს არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ - მთელ ძალოვან ბლოკს. **"ამ ბლოკში შემავალი ცალკეული სტრუქტურები ზოგჯერ დუბლირებულ, პარალელურ ფუნქციებს ასრულებენ",** - შენიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრი და საკომიტეტო მოსმენის მონაწილეებს აუწყებს, რომ შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო ძალების რეფორმირების კონკრეტულ გეგმებზე ეროვნული უშიშროების საბჭომ უკვე იმსჯელა.

როგორც აღვნიშნეთ, ნატო-ს და გაერო-ს მიმართ ერთგვარი "სამომხმარებლო" მიდგომაც შეინიშნება. ამგვარ "მერკანტელიზმს", ძირითადად, ის გარემოება განაპირობებს, რომ აფხაზეთის პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება და მის გადაჭრაში საქართველოს ხელისუფლებას, საკუთარ თავზე მეტად, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებისა ეიმედება.

რევაზ ადამიას გუშინდელი გამოსვლა, ამ თვალსაზრისით, მაინცადამაინც მანუგეშებელი არ ყოფილა. **"მართალია, აფხაზები ხშირად იგნორირებას უკეთებენ დიდი სახელმწიფოების სამშვიდობო წინადადებებს, მაგრამ გაერო მაინც თავს იკავებს თავისი წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებისგან, რომელიც იძულებით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს. ამას, ძირითადად, ორი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, სამხედრო ოპერაცია დიდ ფინანსურ და ენერგეტიკულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მეორეც, მეშვიდე მუხლის ასამოქმედებლად აუცილებელია, რომ კონფლიქტი საფრთხეს უქმნიდეს მშვიდობას რეგიონში. აფხაზეთის პრობლემას კი ასეთი "პრეტენზია" არა აქვს",** - აღნიშნავს ადამია.

თუმცა, ასეთი პესიმისტური (რეალისტური) განცხადებები დღეს მოდაში უკვე აღარ არის. როგორც უკვე ითქვა, პრაღის სამიტის ექომ საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი იმედები წარმოშვა. რამდენ ხანს შევინარჩუნებთ ამჟამინდელ ენთუზიაზმს და შეიცვლება თუ არა ის გაწბილების მორიგი ულუფით (რაც ადრე არაერთხელ მომხდარა), მომავალი გვიჩვენებს.



*რევაზ ადამია ირაკლი მენაღარიშვილს: "გაერო მაინც თავს იკავებს..."*

## ახალი ამერიკული დახმარების პერსპექტივა

თამარ ხორბალაძე

აშშ-ს მთავრობა, 30 ნოემბერს კონგრესის მიერ დამტკიცებული განვითარებადი ქვეყნების დახმარების ახალი პროგრამის - "გამოწვევა ახალ ათასწლეულს" - ფარგლებში, ხუთი მილიარდი დოლარის გამოყოფას აპირებს. ამ ინფორმაციამ ეკონომიკურად გაჭირვებული სახელმწიფოების ხელისუფალთა მხრიდან საკმაოდ სერიოზული ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს პრეზიდენტმა, "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველო პოტენციურად დასახმარებელ ქვეყანათა შორისაა, 6 დეკემბერს საგანგებო ხაზგასმითა და რეზოლუციით გადაუგზავნა უშიშროების საბჭოს. არსებული ინფორმაციით, გაიცა "შესაბამისი დავალებებიც".

საქართველოსთვის, გარდა წმინდა ფინანსური ინტერესისა, ამ დახმარების მიღებას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვა აქვს, რადგან თავად დახმარების პირობები და მიზანი აშშ-ს პოლიტიკური ინტერესის დადასტურებაა.

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციითა და თეთრი სახლის წარმომადგენელთა აზრით, ამ პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს "პროამერიკული განწყობისა და აშშ-ს საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას".

პროგრამა სამწლიანია და განხორციელდება ახალი ფედერალური საფინანსო კორპორაციის ფარგლებში. დახმარების მიღების საშუალება ექნებათ იმ ქვეყნებს, სადაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე არ აღემატება 1500 დოლარს წელიწადში. ხოლო თუ პროგრამა წარმატებით განვითარდა, მაშინ დახმარება, შესაძლოა, გავრცელდეს იმ ქვეყნებზეც, სადაც ასეთი შემოსავალი 3000 დოლარამდეა. რა თქმა უნდა, საქართველო, შემოსავლების დონის მიხედვით, "დასახმარებელთა" კრიტერიუმებს უდავოდ აკმაყოფილებს; თუმცა, გაზეთი "ნაციონალ პოსტი" უფრო აკონკრეტებს დახმარების ადრესატთა მიერ დასაკმაყოფილებელი პირობების დეტალებს:

"დახმარების მისაღებად ქვეყნებმა უნდა გაუწიონ კონკურენცია ერთმანეთს, რათა 16 მიმართულებით მიაღწიონ საჭირო მაჩვენებლებს - დაწყებული კორუფციასთან ბრძოლითა და დასრულებული ადამიანთა უფლებებით. ეს მიმართულებები პირობითად იყოფა სამ კატეგორიად: პირველ კატეგორიაში გაითვალისწინებენ ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო, პოლიტიკურ და სიტყვის თავისუფლების მდგომარეობას (Freedom Hous-ის შეფასებაზე დაყრდნობით), ხელისუფლების ეფექტურობას და ა.შ. მეორე კატეგორიაში - განათლების დონეს (მაგალითად, საშუალო სკოლის დამამთავრებელთა რაოდენობა), ჯანდაცვაზე დანახარჯებს (აქ გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ბანკის, გაეროს და სხვა ორგანიზაციების მონაცემები). მესამე კატეგორია კი შეეხება ეკონომიკურ თავისუფლებას, შეფასდება ქვეყნის კრედიტუნარიანობა ავტორიტეტული გამოცემის Institucional Investor-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

"ბი-ბი-სი"-ს ეს ინფორმაცია და ექსპერტთა პროგნოზები გუშინ "24 საათს" დაუდასტურა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. გთავაზობთ მასთან საუბარს.

**- ბატონო თედო, რამდენად რეალურია საქართველოს მოხვედრა ამ დახმარების ადრესატთა ნუსხაში?**

- ამ პროგრამის განხორციელების პარამეტრები ბუშის რამდენიმე გამოსვლაში (მაგალითად, ბოლო გამოსვლაში კონგრესის წინაშე) იყო ჩამოყალიბებული. ეს არის დახმარება იმ ქვეყნებისათვის, სადაც ვითარდება დემოკრატიული პროცესი, ხორციელდება ეკონომიკური რეფორმები და ამ ქვეყნებს, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ისევ სჭირდება დახმარება.

**- მაგრამ აკმაყოფილებს საქართველოში დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და კორუფციასთან ბრძოლის ტემპები პროგრამის მოთხოვნებს?**

- ჩემი ინფორმაციით, ამერიკელების გათვლებით, საქართველო ამ კრიტერიუმებს შეესაბამება. თუმცა, შეფასება კიდევ ერთხელ მოხდება და შეფასების ეს პროცესი მუდმივი იქნება. შევარდნაძემ რეაგირება გააკეთა უკვე ამ პროგრამაზე და გარკვეული დავალებები გაიცა შესაბამისი სტრუქტურების მისამართით.

**- რას გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალებები? საუბარია აშშ-ს მიერ დასაფინანსებელი ქართული პროგრამების მომზადებაზე?**

- ეს მრავალმხრივი პროგრამაა, რომელიც არა მხოლოდ ამერიკელების მიერ შემოთავაზებულ პროექტებს, არამედ ქვეყნის განვითარების შიდა ტემპებსაც ეხება - იმავე კორუფციასთან ბრძოლას, ეკონომიკური რეფორმების განვითარებას და ა.შ.

**- როდის უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება კონგრესის პროგრამის ფარგლებში საქართველოს დაფინანსების შესახებ?**

- გადაწყვეტილებას მომავალი წლის დასაწყისისთვის, სავარაუდოდ, იანვარში მიიღებს აშშ-ს ადმინისტრაცია და შემდეგ მას დასამტკიცებლად შესთავაზებს კონგრესს, რომელმაც უნდა გამოყოს დაფინანსება.

**- მანამდე სასწრაფოდ უნდა დავამარცხოთ კორუფცია, უნდა მოვასწროთ რეფორმირების განხორციელება?**

- არავინ ელის ჩვენგან, რომ იანვრის დასაწყისისთვის უკვე რეფორმირებულები ვიქნებით... ჩვენ უნდა დავანახოთ ძირითადი ტენდენციები და დინამიკა. ამის მიხედვით შეფასდება, რამდენად ვართ მზად ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

"ბი-ბი-სი"-ს ექსპერტთა აზრით, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან დახმარების მიღების შანსი აქვს ყირგიზეთს, საქართველოსა და მოლდოვას, ხოლო უკრაინა და აზერბაიჯანი, მათი ხელისუფლების კორუმპირებულობის გამო, შესაძლოა, კორპორაციის დირექტორთა საბჭომ პროგრამაში არ ჩართოს.

ამის საპირისპიროდ, ამერიკის გლობალური განვითარების ცენტრის ექსპერტი სტივან რადელეტი მიიჩნევს, რომ დახმარების ყველაზე დიდი შანსი აქვთ აზერბაიჯანს, სომხეთს, გონდურასს, ინდოეთს, ბოლივიას. როგორც ხედავთ, ამ ჩამონათვალში ექსპერტი არ ასახელებს საქართველოს.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა სამი ძირითადი მიმართულების - ჯანდაცვის, განათლების და კორუფციასთან ბრძოლის დაფინანსებას გულისხმობს.

## „საქართველოსთვის მთავარია, ბაზები გავიდეს„

*სამხედრო ბაზების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიწითა და უძრავი ქონებით სარგებლობისათვის ანგარიშს საქართველო რუსეთს მაშინ წარუდგენს, თუ მომავალი წლის პირველ ნახევარში თბილისსა და მოსკოვს შორის ბაზების გაყვანის თარიღი არ შეთანხმდება. ამის შესახებ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ განაცხადა. მან თქვა ისიც, რომ მხოლოდ უძრავი ქონების გადასახადი 700 მილიონ დოლარს აჭარბებს.*

თამარ ხორბალაძე

**"წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს,"** - ითხოვა გუშინ კახა სიხარულიძემ, რომელმაც ბოლო დღეებში მიმდინარე რუსულ-ქართული მოლაპარაკებების შედეგები კიდევ ერთხელ შეაჯამა.

მისი ინფორმაციით, ამ მოლაპარაკებებზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ თბილისში, მოსკოვის პროსპექტზე მდებარე კავშირგაბმულობის კვანძის ტერიტორია ერთ თვეში დაიცლება. გარდა ამისა, დაჩქარდება და მომავალი წლის პირველ ნახევარში თბილისიდან გავა დედაქალაქის შემოგარენში არსებული ყველა ობიექტი, ამასთან, ამავე პერიოდში მომზადდება საგარეჯოს სამხედრო საწყობის უტილიზაციის საკითხი.

რაც შეეხება ახალქალაქისა და ბათუმის, ასევე გუდაუთის სამხედრო ბაზების საკითხებს, კახა სიხარულიძის თქმით, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოსათვის გუდაუთის ბაზის ქართული მხარისათვის გადმოცემის საკითხი დოკუმენტურად გაფორმდება. ახალქალქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების საკითხი კი პირდაპირ უკავშირდება პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას რუსეთის სამხედრო ბაზების დაბეგვრის შესახებ, რაც ზემოქმედების გარკვეულ ბერკეტად შეიძლება იქცეს.

**"შეიარაღება ეკუთვნის რუსეთს და ის, თუ სად გაიტანს მას, მოსკოვის კომპეტენციაა. ჩვენთვის მთავარია, ბაზები გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან,"** -განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთში ხდება რუსული სამხედრო ძალების დისლოცირება. სულ ახლახან იქ გადაიტანეს კავშირგაბმულობის 3 კვანძი. ასევე საუბარია იმაზე, რომ რუსეთმა, შესაძლოა, ახალქალაქიდან და ბათუმიდან გაყვანილი ბაზები სწორედ სომხეთში გადაიტანოს.

ამასთან დაკავშირებით შესაბამის კომენტარს უკვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აკეთებენ: **"ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების კონტინგეტის საქართველოდან სომხეთში დისლოცირება, თუმცა რუსეთის ტექნიკისა და შეიარაღების ამ ქვეყანაში გატანის წინააღმდეგი ვართ,"** - განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა, აღნიშნული დაჯგუფების თანდათანობით სომხეთში გადასვლის განზრახვის კომენტირებისას.

ტექნიკასთან და იარაღთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია მან იმით ახსნა, რომ ასეთმა პროცესმა, შესაძლოა, ბაქოსა და ერევანს შორის დამატებითი დაძაბულობა წარმოქმნას.

**"საქართველო დელიკატურ ვითარებაში აღმოჩნდება აზერბაიჯანთან მიმართებაში, თუ მისი ტერიტორიიდან სომხეთში რუსული სამხედრო ტექნიკა შევა",** - თქვა გელა ბეჟუაშვილმა.

მისი მონაცემებით, დაჯგუფების პირადი შემადგენლობა, ძირითადად, რუსეთში გადაჰყავთ, ამიტომაც სომხეთში უმნიშვნელო ნაწილის შეყვანაზე შეიძლება იყოს საუბარი.

## შეიცვლება თუ არა მოსკოვის დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტისადმი

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

მიმდინარე კვირა მოსკოვში არძინბას რეჟიმის ახალი პრემიერის, გენადი გაგულიას პირველი ოფიციალური ვიზიტით აღინიშნა. მართალია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში ცვლილებები ვალერი ლოშჩინინის (რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში) პარტნიორთა გამოცვალაზე არაა დამოკიდებული, მაგრამ, ექსპერტთა აზრით, რაღაც სიახლეებს, შესაძლოა, მაინც ჰქონდეს ადგილი.

მოსკოვურ შეხვედრაზე მხარეებმა გააანალიზეს, თუ რა უშლიდა ხელს დღემდე თბილსსა და სოხუმს შორის ნდობისა და პარტნიორული კავშირების აღდგენას. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, ვალერი ლოშჩინინს ამ კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე კონკრეტული მოსაზრებები გააჩნია, რაც მხარეთა შორის მოლაპარაკებებს ურთიერთხელსაყრელ გადაწყვეტილებებამდე მიიყვანს. ამასთან, იმის ილუზია არავის აქვს, რომ ოფიციალური მოსკოვი წლების მანძილზე გატკეპნილ გზას გადაუხვევს, რამდენი პრეზიდენტიცა და სპეცწარმომადგენელიც არ უნდა გამოიცვალოს.

რა ახალი მოსაზრებები გასჩენია ბატონ ლოშჩინინს? პირველი და გადაუდებელი- აფხაზეთიდან რუსეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების ახალ სიმაღლეზე აყვანა, სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება, რუსეთ-აფხაზეთს შორის ახალი საქმიანი ურთიერთობების დაწყებაა. ოღონდ, ახალი ამაში არაფერია.

მოსკოვში მცხოვრები აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ეკონომიკას კრემლის ახალი კონსტრუქტივიზმი კარგს არაფერს მოუტანს , რადგანაც კონფლიქტის ზონაში დევნილების დაბრუნების პროცესი კიდევ რამდენიმე წლით შეიძლება გადაიდოს. ხოლო აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ძალების შენარჩუნება, საიმედო გარანტიას შეუქმნის მოსკოვის ახალი ბიზნეს-გეგმების განხორციელებას.

მაინც რა უშლიდა და რა უშლის ხელს ქართულ-აფხაზური დიალოგის ნორმალურ კალაპოტში წარმართვას? ეს შეკითხვა მოსკოვში ლოშჩინი-გაგულიას შეხვედრაზეც დაისვა. ამ შეკითხვაზე პასუხს დაეძებდა ლოშჩინინის მეორე პარტნიორი ასლან აბაშიძეც. არადა, დარეგულირების აბაშიძისეული სამშვიდობო გეგმისაგან ლოშჩინინის დღევანდელი "ბიზნეს-პროექტი" დიდად არ განსხვავდება. ქართულ-აფხაზური დიალოგის ნორმალურ კალაპოტში წარმართვას, ლოშჩინინისა და აბაშიძის აზრით, ხელს უშლიდა და უშლის მხარეთა შორის ნდობის არ არსებობა. მაგრამ როგორ აღდგება ეს ნდობა აფხაზეთის რუსეთზე ეკონომიკურად მიბმით, სპეცწარმომადგენლები არ ამბობენ.

აი, მოსკოველი ანალიტიკოსები კი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ეთნოკონფლიქტების გადაჭრის სამხედრო ვარიანტის ამოქმედებას ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებას უკავშირებენ. თანამედროვე სიტუაციის გათვლისწინებით, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს მრავალნაირ კომპრომისებს ვაწყდებით, პირველ რიგში - ვაშინგტონის რეკომენდაციებისა და დასავლეთის ძალების ზეწოლით. მოსკოვის ანალიტიკური წრეების აზრით, უახლოეს მომავალში ქართულ-აფხაზური დარეგულირების პროცესში მოსკოვი პოზიციებს აუცილებლად შეიცვლის. და ეს პოზიცია აფხაზეთის რეჟიმის მიმართ იძულების მეთოდებისკენ გადაიხრება. ის, ვინც ამ თვალსაზრისს ემხრობა, აღნიშნავს, ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ახალი პერიოდის დაბადებისა, სადაც წესრიგისა და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენას კრემლი შინ (ჩეჩნეთი) და გარეთაც შეეცდება. ასეთი ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველს კი ის ქმნის, რომ მოსკოვი უკვე ანგარიშვალდებულია იმ კოალიციის წინაშე, ვისთანაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით გაერთიანდა.




# თავდასხმა ათენის მერზე



შემთხვევის ადგილი

ათენის ახლადარჩეული მერი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს გუშინ, მასზე მომხდარი თავდასხმის დროს. დორა ბაკოიანი, ათენის პირველი ქალი-მერი, შემთხვევით სწორედ იმ დროს დაიხარა ხელჩანთის ასაღებად, როდესაც მკვლელმა მის მანქანას ცეცხლი გაუხსნა. ბაკოიანმა მინის ნამსხვრევებისაგან უმნიშვნელო ჭრილობები მიიღო. სიკვდილს გადაურჩა მისი მძღოლიც, რომელიც დაიჭრა და საავადმყოფოში მოათავსეს.

თავდამსხმელი, 35 წლის გეორგ სანდალისი ნარკომანია და ფსიქიური დაავადების დიაგნოზით საავადმყოფოშიც რამდენჯერმე მოხვდა. მამამისმა საბერძნეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ მის შვილს სერიოზული პრობლემები აქვს და მერს ბოდიში მოუხადა. სანამ ბაკოიანს ესროდა, სანადირო თოფით შეიარაღებულმა გეორგ სანდალისმა ჯერ პრემიერ-მინისტრის - კოსტას სიმიტისის სახლთან ატეხა სროლა.

48 წლის დორა ბაკოიანი საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის - კონსტანტინე მიცოტაკისის ქალიშვილია. მერად იგი სულ ახლახანს აირჩიეს და თანამდებობა ჯერაც არ დაუკავებია. აღსანიშნავია, რომ 1989 წელს მისი ქმარიც თავდამსხმელებმა მოკლეს. თუმცა, გამოძიება ამ ორ მკვლელობას შორის ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს.

# აშენებს თუ არა ირანი ატომურ რეაქტორებს?

*ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვეს, განაცხადეს, რომ ირანი ორ უდიდეს ბირთვულ რეაქტორს საიდუმლოდ აშენებს. ეს ატომური დანადგარები ირანის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალქებში - ნათანზსა და არაკშია განლაგებული და მათთვის ფოტოს გადაღება აშშ-ს კოსმოსურმა თანამგზავრებმა ა.წ. სექტემბერში მოახერხეს. ამის თაობაზე ინფორმაცია გუშინ ამერიკულმა ტელეკომპანია "სი-ენ-ენმა" გაავრცელა.*

ლევან ღირსიაშვილი

აშშ-ს ადმინისტრაციის კარგად ინფორმირებული წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ატომური ობიექტების ტიპი და სიდიდე ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. კოსმოსური თანამგზავრებიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე კი ჩანს, რომ ბირთვული რეაქტორების აღჭურვა იმ დანადგარებით მიმდინარეობს, რომელიც ურანის გამდიდრების საშუალებას იძლევა.

ვაშინგტონში არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების და მეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა, კოსმოსიდან გადაღებული ფოტოების შესწავლის შემდეგ, აღნიშნულ ობიექტებში ბირთვული იარაღის შექმნის რეალური საშიშროება დაადასტურეს. **"როგორც ჩანს, ირანი საკმაოდ მსხვილი ატომური სადგურების აღჭურვას ახორციელებს. ეს, შესაძლოა, იმ ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენდეს, რომელსაც ირანი ბირთვული იარაღის შესაქმნელად საჭირო მასალების მოძიებისათვის მიმართავს,"** - განაცხადა ინსტიტუტის პრეზიდენტმა დევიდ ოლბრაიტმა.

აშშ-ს სპეცსამსახურთა განცხადებით კი, ირანი ჯერჯერობით ბირთვულ იარაღს არ ფლობს, თუმცა ამერიკის დაზვერვა გამოთქვამს შიშს, რომ თეირანი ამას უახლოეს მომავალში მიაღწევს, თუ ვითარება საერთაშორისო კონტროლს არ დაექვემდებარება.

პარალელურად, თეირანმა აშშ-ს ბრალდება კატეგორიულად უარყო და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს აცნობა, რომ ამ ობიექტებს ერთმნიშვნელოვნად მშვიდობიანი დანიშნულება აქვთ. უნდა ითქვას, რომ მათი ადგილმდებარეობის შესახებ პირველი ინფორმაცია ამერიკელებს ირანის წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ მიაწოდა. როგორც ცნობილია, ეს ორგანიზაცია ირანის არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის და მისი შტაბ-ბინა პარიზშია განთავსებული. სავარაუდოდ, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ამ მიმართულებით მუშაობას მათგან მიღებული ცნობის შემდეგ გააქტიურებდა.

რაც შეეხება ბირთვული ენერგეტიკით ირანის დაინტერესებას, ამას თეირანი არ მალავს. თუმცა, ამავდროულად აცხადებს, რომ ატომურ ობიექტებში ბირთვული იარაღის მომზადება არ იგეგმება.

ცნობილია, რომ ბუშერში, რუსი ინჟინრების დახმარებით, თეირანი საკმაოდ მსხვილ ატომურ ელექტროსადგურს აშენებს, რომელიც ექსპლუატაციაში 2004 წლიდან შევა. შეერთებულმა შტატებმა ამასთან დაკავშირებითაც გამოხატა თავისი შეშფოთება და განაცხადა, რომ ამ ატომურ ელექტროსადგურში თეირანი პლუტონიუმის გადამუშავებასა და ბირთვული იარაღის შექმნას გეგმავს.

როგორც ჩანს, ირანი ვაშინგტონისთვის პოზიციების დათმობას არ აპირებს. **"ირანის მიზნები სრულიად გამჭვირვალე და მშვიდობიანია,"** - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ. მან კატეგორიულად უარყო ტელეკომპანია "სი-ენ-ენის" მიერ გადაცემული ინფორმაცია ირანში ორი უდიდესი ატომური რეაქტორის მშენებლობის თაობაზე და დასძინა: **"ირანის საქმიანობა ბირთვულ სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციების თანახმად მიმდინარეობს, რაც არაერთხელ დაადასტურეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებმაც."** თეირანი აცხადებს, რომ აღნიშნულ სააგენტოს შეუძლია, ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერ დროს ნებისმიერ ობიექტი შეამოწმოს. აქამდე განხორციელებული შემოწმებებისას, ბირთვული პროგრამების სამხედრო დანიშნულებით გამოყენების რაიმე კვალი არ აღმოჩნდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რას მოიმოქმედებს აშშ-ს ადმინისტრაცია აღნიშნული ინფორმაციის მსოფლიოს საზოგადოებისათვის დადასტურების მიზნით.

# ფხენიანი ვაშინგტონისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეერთებული შტატები მეკობრეობაში დაადანაშაულა და იემენში მიმავალი "სკადის" რაკეტებით დატვირთული კორეული გემის დაკავებისათვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. ფხენიანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ მას რაკეტების წარმოებისა და გაყიდვის სრული უფლება აქვს, რაც მას უცხოური ვალუტის მიღების საშუალებას აძლევს. ჩრდილოეთ კორეის მთავრობის განსაკუთრებული აღშფოთება ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებამ გამოიწვია. როგორც ცნობილია, კორეული გემის დაკავება სწორედ ესპანეთის საზღვაო სპეცრაზმმა განახორციელა. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, ესპანეთთან ჩრდილოეთ კორეას ნორმალური ურთიერთობები გააჩნია. ამდენად, ფხენიანი თვლის, რომ ესპანელებმა ამერიკელთა ხელში ბრმა იარაღის ფუნქცია შეასრულეს.

სააგენტო "ასოშიეიტიდ პრესმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაშვებული შეცდომა აღიარეს. მათი თქმით, ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევა იყო. აშშ-ს ადმინისტრაცია ამ ინციდენტს რაკეტების ერაყში მოხვედრის შიშით ხსნის. ჯერჯერობით უცნობია, მოიხდის თუ არა ვაშინგტონი ფხენიანის წინაშე ოფიციალურ ბოდიშს.

# დემოკრატია ახლო აღმოსავლეთში: აშშ-ს ახალი გრანდიოზული პროექტი?

*შეერთებული შტატები ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიზაციის მხარდასაჭერად ახალ, გრანდიოზულ პროგრამას იწყებს. განათლების, ქალთა უფლებების დაცვისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გზით, ვაშინგტონს ახლო აღმოსავლეთში ფუნდამენტური ტრანსფორმაციის მიღწევის იმედი აქვს. ბოლო დღეებში ამ ინიციატივით თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, მისი მოადგილე რიჩარდ ჰაასი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შეფი ჯორჯ ტენეტი.*

შოთა უტიაშვილი




მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ტერორიზმთან ბრძოლა შეუძლებელია

როგორც ჩანს, შეერთებული შტატები მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ტერორიზმთან ბრძოლა შეუძლებელია. არაბული ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბი, პოლიტიკურად უუფლებო და გაუნათლებელია, ტერორიზმისათვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. "სულ უფრო აშკარაა, – ამბობს კოლინ პაუელი, – რომ წარმატების მისაღწევად უფრო ფართო მიდგომაა საჭირო. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ხალხთან და მთავრობებთან, რათა ამოვავსოთ რეალობასა და სურვილს შორის ნაპრალი, იმედის ნაპრალი".

ყველა არაბული სახელმწიფო ერთად, 260-მილიონიანი მოსახლეობით, უფრო ნაკლებ მთლიან შიდა პროდუქტს აწარმოებს, ვიდრე ესპანეთი, სადაც სულ 40 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ არაბული ქვეყნების უმეტესობა ბუნებრივი რესურსებით ფანტასტიურად მდიდარია. უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, ახალგაზრდობის 40 პროცენტი უმუშევარია.

რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებს, არაბული ქვეყნების უმრავლესობას მონარქები ან მუდმივი პრეზიდენტები მართავენ. არჩევნები სულ რამდენიმე ქვეყანაში ტარდება და მათაც მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვთ. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს (რწმენის თავისუფლება, აზრის გამოთქმის თავისუფლება და სხვ.), ამაზე საუბარიც ზედმეტია.

ძალზე მძიმე მდგომარეობაა განათლების მხრივაც. განსაკუთრებული პრობლემები აქვთ ამ მხრივ ქალებს. მათ შორის წერა-კითხვის მცოდნეთა წილი ძალზე დაბალია.

ამერიკელების აზრით, სწორედ ეს სამი ფაქტორი იწვევს ადამიანების სასოწარკვეთასა და მათ რადიკალიზაციას. მარგინალიზებული არაბებისათვის კი მზადაა მტრის ხატი – ამერიკის შეერთებულ შტატები.

ამავე დროს, ანტიტერორისტული კამპანია არაბულ სამყაროში აშშ-ს მიმართ სიძულვილს კიდევ უფრო ზრდის. როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, ანტიამერიკანიზმი განსაკუთრებით ძლიერია იმ ქვეყნებში, რომელთა მთავრობებიც აშშ-სთან თანამშრომლობენ. გამოკითხულ პაკისტანელთა 90 პროცენტს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა შეერთებული შტატების მიმართ.

ამ მონაცემების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებას მივყავართ იქამდე, რომ, თუ ამერიკელებმა არ მიხედეს ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებს, "ანტიტერორისტული კამპანია" მათ უფრო მეტ ახალ პრობლემას გაუჩენს, ვიდრე ძველს გადაუჭრის.

"ნათელია, რომ მხოლოდ "ალ ქაიდას" დამარცხებითა და განადგურებით ტერორიზმის წინააღმდეგ ომს ვერ მოვიგებთ, – ამბობს ცსს-ს შეფი ტენეტი, - გამარჯვების მისაღწევად ის მიზეზები უნდა აღმოვფხვრათ, რომელსაც ადამიანები სასოწარკვეთამდე მიჰყავს, აძაბუნებს მთავრობებს და ქმნის ძალაუფლების ვაკუუმს, რომელსაც მერე ექსტრემისტები ავსებენ"

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს ხშირად აკრიტიკებდნენ ყველაზე ჩამორჩენილ და რეპრესიულ არაბულ რეჟიმებთან კავშირის გამო, ვაშინგტონი არასოდეს ცდილობდა საუდის არაბეთში, ყატარში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში დემოკრატიზაციის ხელშეწყობას. "ნავთობის შეუწყვეტელი მოწოდების უზრუნველყოფის, საბჭოთა, ირანული თუ ერაყული ექსპანსიონიზმის შეკავების, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის, ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებისა და სხვა ინტერესების გამო, – წერს რიჩარდ ჰაასი, - ჩვენ ვერასოდეს ვახერხებდით არაბული ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევას."

11 სექტემბრის შემდეგ ვითარება შეიცვალა. მართალია, საუდის არაბეთი რეგიონში ამერიკის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა, მაგრამ ამ ფაქტმა ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ თვითმფრინავის 19 გამტაცებლიდან 15 სწორედ ამ ქვეყნის მოქალაქე ყოფილიყო. ტერაქტის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ მხოლოდ მთავრობებთან მოკავშირეობა არასაკმარისია, საჭიროა მოსახლეობის სიმპათიის მოპოვებაც.

რატომ ფიქრობენ ამერიკელები, რომ განათლებული, მდიდარი და პოლიტიკურად აქტიური არაბები მათდამი უფრო მეგობრულად იქნებიან განწყობილნი? ჯერ ერთი, რეფორმირებული არაბები ნაკლებად რადიკალურნი და ექსტრემისტულნი იქნებიან; მეორე, ისინი უფრო მეტად შეძლებენ გლობალიზაციისაგან სარგებლის მიღებას და ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევენ მას; მესამე, ნორმალური ხალხი თავის ყველა უბედურებას სხვას არ აბრალებს და ბოლოს, ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში რაღაც პერსპექტივა მაინც აქვს, ნაკლებად არის განწყობილი, თავიც აიფეთქოს და სხვაც ააფეთქოს. როგორც კოლინ პაუელმა განაცხადა, "იმედი პირველ ხელფასთან ერთად მოდის".

"ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატია არ არის სრულყოფილი, – წერს ჰაასი, – ზოგიერთი მუსულმანური ქვეყანა დემოკრატიულ სისტემას თავის უფრო მოწესრიგებულ, კონტროლირებად სისტემას უპირისპირებს და კმაყოფილებით ამბობს, რომ მას უფრო იოლად შეუძლია სტაბილურობის უზრუნველყოფა. მაგრამ სტაბილურობა, რომელიც მარტო ძალაუფლებას ეფუძნება, ილუზორული და არამდგრადია. ჩვენ ვნახეთ, რა შედეგები მოჰყვა უკმაყოფილების ამოხეთქვას ირანში, რუმინეთსა და ლიბერიაში. ავტორიტარული სისტემები ვერ უძლებენ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, მით უმეტეს, თუ ეს ცვლილებები ისე სწრაფად ხდება, როგორც თანამედროვე მსოფლიოში".

დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება ყოველმხრივ რომ ჯობია ავტორიტარულში ცხოვრებას, ეს ისედაც ვიცით, და ალბათ არაბებმაც იციან, რაკი ასე ხშირად მიგრირებენ. საქმე ის არის, რომ არავინ უწყის ზუსტად, როგორ უნდა მოხდეს ერთიდან მეორეზე გადასვლა. რეცეპტი ამჯერადაც არ არსებობს. ჰაასი ამბობს, რომ პირველი, რაზეც უნდა იფიქროს აშშ-მ, არის ის, რომ, სარგებლის ნაცვლად, ზიანი არ მოიტანოს.

იმ ქვეყნებში, რომელთა მმართველი რეჟიმები დემოკრატიას დასავლური დეკადანსის გამოვლინებად მიიჩნევენ, დემოკრატიის დამყარების მცდელობამ მართლაც შეიძლება, სერიოზული არევდარევა გამოიწვიოს. მით უმეტეს, რომ მათი მოსახლეობა "ამერიკულ იმპერიალიზმს" დიდი ეჭვით უყურებს და ყველას, ვინც არაბული საზოგადოების გარდაქმნას შეეცდება, ალბათ "იანკებისა" და "სიონისტების" აგენტებად გამოაცხადებს. ესეც რომ არ იყოს, თუკი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ამერიკულმა დახმარებებმა თუ ინვესტიციებმა ადგილობრივი ელიტები სწრაფად გადაიყვანა პროდასავლურ პოზიციაზე, არაბულ ქვეყნებში, სადაც ელიტა ძალზე მდიდარია, იგივეს მიღწევა ალბათ შეუძლებელი იქნება.

ძნელი სათქმელია ისიც, რამდენად შემწყნარებლური აღმოჩნდება არაბული საზოგადოება ისეთი ღირებულებების მიმართ, როგორებიცაა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ან აღმსარებლობის თავისუფლება.

თუმცა, მეორეს მხრივ, ამერიკელები აცხადებენ, რომ ტერორიზმის დასაძლევად სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს. ერთი სიტყვით, მიზანი ისეთი მნიშვნელოვანია, ამერიკა კი იმდენად ძლიერი, რომ ვაშინგტონისთვის ძნელი იქნება ისეთი გრანდიოზული პროექტისაგან თავის შეკავება, როგორიც მთელი ახლო აღმოსავლეთის ტრანსფორმაციაა. მით უმეტეს, რომ ამავე მიზნის მისაღწევად ბრძოლა, ოღონდ უკვე სამხედრო მეთოდებით, ალბათ მალე დაიწყება.

# კოპენჰაგენის სამიტის შედეგები

*კოპენჰაგენში ჩატარებულმა ევროკავშირის ლიდერთა სამიტმა ანალიტიკოსთა იმედი, მისი ისტორიული მნიშვნელობის თაობაზე, გაამართლა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ წევრობის კანდიდატი 10 ქვეყანა ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდება. მათ რიცხვში კუნძული კვიპროსიც იქნება. რაც შეეხება თურქეთის საკითხს, აქ ევროკავშირმა თავისი პოზციები არაფრის დიდებით არ დათმო. მასზე ვერც შეერთებული შტატების ადმინისტრაციის თხოვნამ იმოქმედა. საერთო ევროპულ ოჯახში თურქეთის გაწევრიანების ზუსტ თარიღს ევროპის ლიდერები 2004 წელს დაასახელებენ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თურქეთი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს და დაწყებულ რეფორმებს წარმატებით დაასრულებს.*

ლევან ღირსიაშვილი

ევროკავშირის აღნიშნული გადაწყვეტილება თურქეთის ახლად დანიშნულ პრემიერ-მინისტრს აბდულა გულს გუშინვე ეცნობა. როგორც ცნობილია, ოფიციალური ანკარა ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებისათვის მოლაპარაკებების დაწყებას უკვე 2003 წლიდანვე ითხოვდა. თუმცა, ყველაფერი ისე არ დასრულდა, როგორც თურქეთს სურდა. მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციების საშუალებები ამ ფაქტს თურქეთის დიპლომატიის მარცხად აფასებენ. **"თურქეთმა ხუთშაბათს ღამით ევროკავშირის ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უდიდესი დარტყმა მიიღო,"** - ასე იწყება გავლენიან გაზეთ "ფაიენშელ თაიმსში" გამოქვეყნებული სტატია ევროკავშირის სამიტის შესახებ, რომელსაც **"თურქეთის მარცხი ევროკავშირის გზაზე"** ეწოდება. დაახლოებით ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ "ვაშინგტონ პოსტი," "ნიუ-იორკ თაიმსი," საერთაშორისო სააგენტოები და თავად თურქეთის პრესაც.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს ევროკავშირში შესვლაზე ჯერჯერობით უარი ეთქვა, კოპენჰაგენის სამიტი ისტორიაში შევა, როგორც ევროპის გაფართოების ისტორიული თარიღი. გუშინ ევროკავშირის 15-მა წევრმა ქვეყანამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება 2004 წლისათვის ევროპის ოჯახის რიგების კიდევ 10 წევრით გაზრდის თაობაზე. ორი წლის შემდეგ ევროკავშირს შემდეგი ქვეყნები შეუერთდებიან: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი და კვიპროსი. ამ ქვეყნების გაწევრიანების წარმატებით დასრულების შესახებ ბევრი ანალიტიკოსი გამოთქვამდა ეჭვს. მათი შეშფოთების მიზეზს კანდიდატი ქვეყნებისათვის სუბსიდიების მიცემის საკითხი წარმოადგენდა. როგორც ცნობილი იყო, ევროკავშირის ლიდერთა გადაწყვეტილებით, კანდიდატი ქვეყნებისათვის სუბსიდიის სახით 40 მილიარდი ევრო უნდა გამოეყოთ. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იზრდებოდა უკმაყოფილება, რადგან მოსახლეობა და, პირველ რიგში, აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანები ამ თანხას მიზერულად მიჩნევდნენ. კოპენჰაგენის სამიტის დაწყების დღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ფერმერმა მოსახლეობამ მოსაზღვრე ქვეყნებთან შემაერთებელი ავტომაგისტრალები გადაკეტა და სუბსიდირების გაზრდა მოითხოვა. მათი თქმით, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხა ჩეხეთის სოფლის მეურნეობის კომპლექსის დასახმარებლად არასაკმარისია. სუბსიდირების საკითხი სამიტის მსვლელობის დროს გაამწვავა პოლონეთის დელეგაციის პოზიციამაც. პოლონელები ევროკავშირის ლიდერებისგან კანდიდატი ქვეყნებისათვის დამატებით 2 მილიარდი ევროს გამოყოფას ითხოვდნენ. საგულისხმოა, რომ პოლონეთის ინიციატივამ თავად კანდიდატი ქვეყნების დელეგაციებს შორისაც კი ვერ ჰპოვა გამოხმაურება. ხოლო დანიის პრემიერ-მინისტრმა და ევროკავშირის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ანდერს რასმუსენმა პოლონეთის დელეგაციის მოთხოვნას რისკიანი ტაქტიკა უწოდა. **"მე ვიმედოვნებ, რომ პოლონეთი კომპრომისზე წავა. მანევრებისათვის ადგილი აღარ დარჩა. ამ მომენტისათვის კი მე მეტი ფული არ მაქვს,"** - განაცხადა რასმუსენმა.

უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, პოლონეთის მხარე საკმაოდ მყარი არგუმენტით იყო შეიარაღებული. ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლეშეკ მილერი ამტკიცებდა, რომ პოლონეთის მოსახლეობა, სოფლის მეურნეობის სექტორის დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ რეფერენდუმზე ხმას ევროკავშირის გაფართოების წინააღმდეგ მისცემდა. რასმუსენის დაჟინებული მტკიცების მიუხედავად, რომ ევროკავშირს ამ ეტაპზე სუბსიდიების გაზრდა არ შეუძლია, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ პოლონეთის ინიციატივა გაიმარჯვებს და ევროკავშირი კანდიდატ ქვეყნებს დამატებით ფულს გამოუყოფს. თუმცა, როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით უცნობია.

ევროკავშირის სამიტის ისტორიული მნიშვნელობა, მასზე მიღებული გადაწყვეტილებების გარდა, კიდევ ერთი ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ, კოპენჰაგენში მკაფიოდ დაფიქსირდა გერმანულ-ფრანგული პოლიტიკური ღერძის არსებობა. ყველაზე კარგად ეს თურქეთის საკითხის განხილვის დროს გამოვლინდა. მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და იტალიის დელეგაციები თურქეთის ევროკავშირში, რაც შეიძლება, სწრაფად გაწევრიანებას უჭერდნენ მხარს, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა - ჟაკ შირაკმა და გერჰარდ შრიოდერმა საკმაოდ პრინციპული პოზიცია დაიკავეს და თავისი გაიტანეს კიდეც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი ევროპაში აშშ-ს სტრატეგიულ და პოტენციურ პარტნიორებად ითვლებიან (რაც ერაყის პრობლემატიკასთან მიმართებაში კიდევ ერთხელ დადასტურდა), შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის გაფართოება, არა ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების, არამედ ევროპის ცენტრალური ქვეყნების სურვილით წარიმართა. გერმანიაც და საფრანგეთიც ევროპის საკითხებში აშშ-ს ზეგავლენის წინააღმდეგ გამოდიან და დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებენ. თუ იმასაც დავამატებთ, რომ აშშ-მ სამიტის დაწყებამდე ევროკავშირის ლიდერებს თურქეთის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანა სთხოვა, ცხადი ხდება, რომ კოპენჰაგენის სამიტმა ევროპის დამოუკიდებლად განვითარებისკენ სწრაფვა კიდევ ერთხელ განამტკიცა.

# ი ყ ა ვ ი თ  ხ ა ზ ზ ე !

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხ ;

- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

## მუშაობს ჯეოსელი ორ – 900 და 1800MHz სიხშირეზე?




# ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

# 66 ლარის ელექტროენერგია საჩუქრად აშშ-სგან

*აშშ-ს მთავრობა მიმდინარე ზამთრისთვის ("გათბობის მეხუთე პროგრამის" ფარგლებში) საქართველოს დაახლოებით 14 მილიონ დოლარს გამოუყოფს. ამ თანხიდან ხუთი მილიონი დოლარი სოციალურად დაუცველი ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის, ხოლო ცხრა მილიონი დოლარი თბილისის სასიცოცხლო და განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტების მიერ ელექტროენერგიის დაგროვილი ვალების დაფარვას მოხმარდება. სულ, საქართველოს მასშტაბით, დახმარებას 140 ათასი ოჯახი და 540-მდე ორგანიზაცია მიიღებს. აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების უდიდესი წილი, დაახლოებით 80 პროცენტი, "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშებზე მოხვდება. ეს მომხმარებლის ქვითრებში კრედიტის ფორმით აისახება.*

გვანცა კვინიკაძე

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის განკუთვნილი წლევანდელი "გათბობის პროგრამა" დეკემბრიდან მარტამდე გაგრძელდება. ის თითოეული ოჯახისთვის 480 კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასურის (66 ლარი) გადახდას ითვალისწინებს და მისი ოდენობა საგრძნობლად არის გაზრდილი. სამხრეთ კავკასიაში USAID-ის წარმომადგენლის მაიკლ ფარბმანის განცხადებით, ამის მიზეზს პროგრამაში ახალი კომპონენტის – ვალების დაფარვისთვის განკუთვნილი ცხრა მილიონი დოლარის - შეტანა წარმოადგენს. ეს თანხა მთლიანად "ეი-ი-ეს თელასს" გადაერიცხება და თბილისის საავადმყოფოების, ბავშვთა სახლების, მოხუცებულთა თავშესაფრებისა და მსგავსი ორგანიზაციების დავალიანების დაფარვას მოხმარდება. ფარბმანის თქმით, **"ამ კომპონენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი საქართველოს ენერგოსექტორში ვალების შემდგომ დაგროვებას შეუშლის ხელს, რაზეც მომავალში ქვეყნის დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება დიდად იქნება დამოკიდებული."** პროგრამის უშუალო გამახორციელებელი PA Consulting-ია.

მართალია, USAID-ის "გათბობის პროგრამა" მოსახლეობის ხელმოკლე ფენას მნიშვნელოვან შვებას მოუტანს, მაგრამ ხელისუფლებას სასიხარულოს ვერაფერს სთავაზობს. ჩვენმა მთავრობამ ელექტროენერგიის ტარიფის ბოლო ზრდისას მოსახლეობისთვის კომპენსაციის თანხების თუნდაც ნაწილობრივ დაფარვაში დახმარება აშშ-ს სთხოვა. მაიკლ ფარბმანის თქმით, **"საქართველოს ხელისუფლებას არც USAID-ისა და არც რომელიმე სხვა დონორის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მას ტარიფის ზრდისას სხვაობის დაფარვა საკუთარი ძალებით მოუწევს."**

# ბენტონიტური თიხით „აშენებული ოქროს კოშკები„

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთი

ოზურგეთის რაიონში მომუშავე უცხოელი ინვესტორების მიმართ ბოლო წლებში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც იმედგაცრუებით არის გამოწვეული. ეს განსაკუთრებით მეჩაიეობასა და ბენტონიტური თიხების წარმოებაზე ითქმის, რადგან უცხოელების მიერ რიხით დაწყებული საქმე ორივე დარგის დაუძლურებამდე მივიდა. განსაკუთრებით სავალალო ხვედრი ერთ დროს საკმაოდ ხმაურიანი სახელის მქონე მაღაროთა სამმართველოს ერგო.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში სააქციო საზოგადოება "ასკანიტად" გარდაქმნილი უმდიდრესი საწარმო 1998 წელს ტენდერზე გაიყიდა. იგი ბერძნულმა ფირმამ "Silver&Baryte Ores Mining CO. SA"-მ შეიძინა და აქციათა 97,7 პროცენტში 537 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა. ამ კომპანიას, რომელიც საკმაოდ მოზრდილ საბაზრო სეგმენტს ფლობს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, 3 წელიწადში, ოზურგეთის რაიონულ გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, წარმადობა 60 ათას ტონამდე უნდა აეყვანა. ეს, ფაქტობრივად, გულისხმობდა წარმოებაში აქამდე დასაქმებულთა შენარჩუნებას, ხელფასების ზრდას, საბიუჯეტო ვალდებულებათა აღსრულებას, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას და ა.შ. ამას უნდა მოჰყოლოდა 500 ათასი ამერიკული დოლარის მოცულობის ტექნიკური ინვესტიციის განხორციელება. პირველადი ინვესტიცია თითქოს დამაიმედებელი იყო და გარკვეული პროგრესიც შეინიშნებოდა: კერძოდ, 1998 წელს აწარმოეს 500 ტონა (ნახევარფაბრიკატების სახით) და 800 ტონა (დაფქვილი სახით) პროდუქცია - ბენტონიტური თიხა. მას მრავალმხრივი გამოყენება აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში და მოთხოვნილებაც დიდია. . .

მაგრამ შემდეგ საქმე წინ აღარ წასულა. ფაქტობრივად, ინვესტიცია საბრუნავი საშუალებების შესაძენი თანხების ხარჯვაში გამოიხატა. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით წინ ნაბიჯიც არ გადადგმულა. რა შედეგი მივიღეთ? რაიონის ეკონომიკას გამოეცალა ერთ-ერთი საყრდენი; ვერ იხეირა ბიუჯეტმა, რადგან ბერძნული მხარე მასთან ურთიერთობაში გაქვითვა-გამოქვითვის პრაქტიკას იყენებს; შემცირდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, ვინც შემორჩა, მუდმივად აქვს სამუშაო ადგილის დაკარგვის შიში, დაიწია ხელფასმა, გაუარესდა სამუშაო პირობები და ა.შ.

ჯერ რაიონის საკრებულომ აიმაღლა ხმა ინვესტორი კომპანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო; შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა აიყოლიეს უმრავლესობა - "მოქალაქეები" და რაიონული გამგეობა აიძულეს ინვესტორებისთვის პასუხი მოეთხოვათ; მაგრამ მხოლოდ ბიუჯეტის სასარგებლოდ მოახერხეს მიწის გადასახადის შეცვლა. ადგილობრივი თვითმმართველობა ახალი არჩევნების შემდეგ შარშანდელი თოვლივით გაქრა, ხოლო ამჟამინდელი, ასოცირებული საკრებულო რას საქმიანობს, მხოლოდ თავად თუ უწყის.

ბერძნული კომპანია შექმნილი მდგომარეობის გამო თავს იმით იმართლებს, რომ არ არის მომხმარებელი. არადა, არსებობს ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულით სარგებლობის სალიცენზიო კომისიის დასკვნა, რომ მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ყოველთვიურად 100 ათას ტონა ბენტონიტურ თიხაზე არის მოთხოვნა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პროდუქციის გამსაღებელი შპს "ასკანიტში" მოქმედ პროფკავშირსაც(?) გამოუნახავს, მაგრამ ქარხნის ადმინისტრაცია დუმილით ხვდება თანამშრომელთა სადისტრიბუციო თუ კომერციულ ინიციატივას.

ადმინისტრაციასთან დაპირისპირებული მხარე მიიჩნევს, რომ ბერძნულმა კომპანიამ შპს "ასკანიტის" სახით ჩამოიცილა კონკურენტი. ბერძნები მიზანმიმართულად აბრკოლებენ პროდუქციის წარმოებას, წელიწადში აწარმოებენ მხოლოდ 2 ათას ტონა დაფქვილ ბენტონიტს, ხოლო საბერძნეთში გააქვთ 5 ათასი ტონა ნედლეული. "Silver&Baryte Ores Mining CO. SA"-ს თავისი წარმომადგენლები ჰყავს რუსეთსა და უკრაინაში. ბერძნები ოზურგეთში ჩამოსულ კლიენტებს სწორედ იქ გზავნიან და ბერძნულ პროდუქციას სთავაზობენ.

ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულით სარგებლობის სალიცენზიო კომისიის 11 ოქტომბრის სხდომის დასკვნაში პირდაპირ მითითებულია, რომ შპს "ასკანიტის" მიერ ლიცენზიით მიკუთვნებული, სოფ. მთისპირში მდებარე ციხისუბნის ბენტონიტური თიხების კარიერი არასწორად მუშავდება. იქვე დასმულია საკითხი ლიცენზიის ჩამორთმევის თაობაზე. ბერძნულ მხარეს ლიცენზიით გათვალისწინებული წელიწადში 30 ათასი ტონა ნედლეულის მოპოვება რომ უზრუნველყო, მარტო წიაღისეულით სარგებლობის გადასახადი, წელიწადში 48 ათასი ამერიკული დოლარი შეემატებოდა ბიუჯეტს.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6297 | 0.6441 | 0.0052 |
| US$ | 1.5879 | | 1.0227 | 0.0083 |
| €uro | 1.5525 | 0.9778 | | 0.0081 |
| ¥en | 191.61 | 120.7 | 123.45 | |

2002 წლის 14 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2103 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4206 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4950 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1600 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3824 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1769 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0678 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4412 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3680 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0503 | ლარი |

# „ბიუჯეტის დამტკიცების გაჭიანურება კორუმპირებულ ჯგუფებს აძლევთ ხელს„

პირველი გვერდიდან

**სტრუქტურა, შინაარსი და პარამეტრები. ამის შესახებ გადაწყვეტილება კი პარლამენტმა მხოლოდ წინა სასესიო კვირის ბოლოს მიიღო",** - განაცხადა გუშინ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ. სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიისა და საპენსიო ფონდის გაერთიანებამ 2003 ბიუჯეტის კანონპროექტის პარამეტრების 38 მილიონი ლარით გაზრდის აუცილებლობა გამოიწვია. გიგოლაშვილის თქმით, 38 მილიონის გარდა, ბიუჯეტის პარამეტრები გრანტებისა და საბაჟოდან შემოსავლების ნაწილშიც გაიზრდება. **"ევროგაერთიანებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, გრანტების პარამეტრი - 77 მილიონი ლარიდან 91 მილიონ ლარამდე, საბაჟო დეპარტამენტის საგეგმო პარამეტრები კი ცხრა მილიონი ლარით გაიზრდება. ამას დაემატება საგზაო ფონდის გადასახადის ორ პროცენტამდე გაზრდით შემოსული 11 მილიონი ლარი",** - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

გიგოლაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტროს საზრუნავს, ამ ეტაპზე, პარლამენტის მიერ მიღებული ორი გადაწყვეტილება წარმოადგენს. ერთის თანახმად, ვეტერანების მიერ "უფასოდ" მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა 50-70 კილოვატიდან 250 კილოვატამდე გაიზარდა. ამ ელექტროენერგიის საფასური კი ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაფაროს. პარლამენტის მიერ მიღებული მეორე გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების 30 მილიონი ლარით გაზრდას უკავშირდება. საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო 80 მილიონი ლარით უნდა დაფინანსდეს. გიგოლაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრო იმიტომ ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას, რომ ასეთი თანხების გაღების საშუალება, რეალურად, არა აქვს. თუმცა, გიგოლაშვილმა იქვე დასძინა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ თანხის მობილიზება მოახერხოს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ მთავრობას აქვს შესაძლებლობა, 2003 წლის ბიუჯეტის კორექტირებული კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოს მომავალ კვირას წარუდგინოს. **"აღნიშნულ ცვლილებებზე მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს. ძალიან გვინდა, ბიუჯეტი წლის დასაწყისამდე დავამტკიცოთ",** - აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ. ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობს, რომ პარლამენტი ამ დოკუმენტს ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისამდე მიიღებს. უფრო მეტიც, ვასილ გიგოლაშვილი მომავალი წლის ბიუჯეტის 2002 წლის დეკემბერში დამტკიცებას აუცილებლადაც მიიჩნევს, თუნდაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დოკუმენტში ბევრი სადავო საკითხი იქნება: **"ბიუჯეტის დამტკიცების გადატანა მომავალი წლის თუნდაც დასაწყისში, მაშინვე ბიუჯეტის შესრულების პროცესის არევას გამოიწვევს. გვიანდება შემოსავლების გეგმებისა და ხარჯების გაწერა, ასევე გვიანდება მთელი რიგი პროგრამების დაწყება და ყველა სავალალო შედეგიც სწორედ აქედან გამომდინარეობს. მე მხარს ვუჭერ აქსიომას, რომლის მიხედვითაც ყველა შემთხვევაში ჯობია, რომ ცუდი იყოს ბიუჯეტი, მაგრამ დამტკიცდეს წლის დასაწყისამდე და თუ რამე გასასწორებელია მასში, გავასწოროთ მერე, თუნდაც წლის დასაწყისში".**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

რომან გოცირიძე

გიგოლაშვილის ოპტიმიზმს და მოსაზრებებს არ იზიარებენ პარლამენტში. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საუბრობენ იმაზე, რომ 2003 წლის პროექტის განხილვა-დამტკიცება მხოლოდ მომავალ წელსაა შესაძლებელი. შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ გუშინ გამართულ სხდომაზე კანონპროექტის დამტკიცების გადავადების კონკრეტული დროც დაასახელა: **"ჩვენ ბიუჯეტს თებერვლამდე ვერ მივიღებთ".** ახალი წლის მიუღებელი ბიუჯეტით დაწყება შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარემ ფინანსთა სამინისტროს დააბრალა. სალარიძის თქმით, მთავრობას თავის დროზე რომ გაეთხოვა კანონპრექტი, 2003 წელს საქართველო დამტკიცებული ბიუჯეტით შეხვდებოდა.

ახალი წლის დაუმტკიცებელი ბიუჯეტით დაწყებას კორუფციისა და საბიუჯეტო კრიზისის საფუძვლად მიიჩნევს საბიუჯეტო ოფისის თავმჯდომარე რომან გოცირიძეც. ამ ქაოსში დაინტერესებულ მხარედ კი მთავრობას ასახელებს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე საფინანსო მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობასაც მას აკისრებს. **"პასუხისმგებელია მთელი მთავრობა, პრეზიდენტის ჩათვლით. როცა ბიუჯეტი არ მტკიცდება - ეს არის ქაოსი და განუკითხაობა, რაც ყოველთვის დიდი კორუფციის მიზეზი ხდება. ამიტომ ბიუჯეტის დამტკიცების ასე გაწელვა კორუმპირებულ ჯგუფებს აძლევთ ხელს",** - განაცხდა რომან გოცირიძემ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე კი, პირიქით, მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის გაცილებით ცუდი იქნება, თუ პარლამენტი 2003 წლის ბიუჯეტს ახლა დაამტკიცებს. მისი თქმით, დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტის დამტკიცება ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნება. მისი აზრით, ეს იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რამაც ამ ექვსი წლის განმავლობაში ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა და **"ამაში დამნაშავეა როგორც ის, ვინც ადგენს ამ ბიუჯეტს, ასევე ისიც, ვინც ამტკიცებს მას. ამიტომ პარლამენტსაც დიდი წვლილი "მიუძღვის" ქვეყნის საბიუჯეტო კრიზისში".**

2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის თებერვალში დამტკიცებას ვარაუდობს ლადო პაპავაც, თუმცა ამის აუცილებლობის გამომწვევ განსხავებულ მიზეზებს ასახელებს. მისი თქმით, ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის თებერვლამდე გადატანა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მოთხოვნის წინაპირობაა, რაც გულისხმობს, რომ სსფ საქართველოს მთავრობასთან 2003 წლის ბიუჯეტზე საუბარს მხოლოდ თებერვლის მისიის ფარგლებში აპირებს. **"მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი თებერვლამდე გააჭიანუროს, რათა სავალუტო ფონდთან შეთანხმება მოახერხოს,"** - ამბობს ლადო პაპავა.

რომან გოცირიძე ვერ აკონკრეტებს, რა შედეგებით დამთავრდება სავალუტო ფონდთან მთავრობის "ვაჭრობა", მაგრამ დარწმუნებულია, რომ **"ბიუჯეტის შეკვეცა არა მარტო სოციალურ უკმაყოფილებას, არამედ სამეფო კარის უკმაყოფილებასაც გამოიწვევს."**

2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის დამტკიცების პროცესის მთავრობის მიერ ხელოვნურად გაჭიანურების ვერსიას არ იზიარებს დემურ გიორხელიძე. მისი თქმით, ამ ეტაპზე ბიუჯეტის მიღების საკითხი მთავრობის ნებასურვილზე უკვე აღარ არის დამოკიდებული. დემურ გიორხელიძეს არც ის მიაჩნია პრობლემად, რომ 2003 წლის იანვარი 2002 წლის გარღვეული ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედით დაფინანსდეს: **"ბიუჯეტის მიღების ერთი თვით გადავადება არანაირ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული".** დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ბიუჯეტის დამტკიცების გადავადების მიზეზი, შეიძლება, სავალუტო ფონდის მოთხოვნაც იყოს, თუმცა აღიარებს, რომ მისთვის ასეთი ინფორმაცია უცნობია.

გუშინ გამართულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან მიმართებაში მთავრობის მუშაობა უარყოფითად შეაფასა. მისი თქმით, პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების დასკვნებმა ცხადჰყო, რომ ფინანსთა სამინისტრომ ვერ შეძლო მის მიერ შემუშავებული კანონპროექტის დაცვა. სიორიძის თქმით, აუცილებელია დამატებითი კონსულტაციები, კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ გაკეთებული ყველა შენიშვნის ცალ-ცალკე განხილვა. ამისთვის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე პრეზიდენტს უახლოეს დღეებში შეხვდება. მისი თქმით, შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება, როდის უნდა შეიტანოს მთავრობამ პარლამენტში ხელახალი განხილვისათვის კორექტირებული კანონპროექტი.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ლადო პაპავას თქმით, კარგი და ცუდი ბიუჯეტი ძალიან პირობითი შეფასებებია, რადგან **"საქართველოში როგორი ბიუჯეტიც არ უნდა შეადგინოს მთავრობამ, პარლამენტში ყოველთვის იტყვიან, ეს ბიუჯეტი ცუდიაო."**

# მთავრობის კოსმეტიკური რემონტი მშენებლობის სამინისტროს ხარჯზე

*პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებში განიხილეს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა ქონების მართვის, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროების გაუქმების თაობაზე. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა წარმოადგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად, ქონების მართვის სამინისტროს ფუნქციები ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ უნდა შეითავსოს, ხოლო მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ფუნქციები ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებში გადანაწილდება. კანონპროექტის განხილვა მომავალ კვირას პლენარულ სხდომაზე შედგება.*

სოფო კვინტრაძე

კომიტეტების სხდომაზე კანონპროექტს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს წარმომადგენლებისგან. აღნიშნულ ცვლილებებს აპროტესტებენ მშენებელთა და არქიტექტორთა არასამთავრობო ორგანიზაციებიც. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს სამინისტროს აპარატის ლიკვიდაციას და შტატების 30 პროცენტით შემცირებას. დარჩენილი კადრები ფუნქციების მიხედვით გადანაწილდებიან ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებში. როგორც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა განმარტა: **"მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრომ მართვისა და კოორდინაციის შესაძლებლობები ამოწურა. უკანასკნელ პერიოდში სამინისტრო ველარ ასრულებდა მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს."** სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ კი განაცხადა, რომ **"სახელმწიფოს არ შეუძლია შეინახოს ჩინოვნიკთა ის უზარმაზარი არმია, რაც ამჟამად არსებობს."** ზოიძე დარწმუნებულია, რომ სამინისტროებისა და სახელმწიფო დეპარტამენტების შემცირებისა და სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი კვლავ გაგრძელდება და 2003 წლის ბოლოსათვის საქართველოში მხოლოდ 12 სამინისტრო დარჩება. **"მესმის თქვენი უწყებრივი პატრიოტიზმი, მაგრამ სამინისტროების შემცირება გარდაუვალი პროცესია. მხოლოდ ამ რეფორმის შემდეგ გახდება შესაძლებელი მთავრობის ეფექტური მუშაობა და ადეკვატური დაფინანსება,"** – განუმარტა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ სხდომაზე მოწვეულ მშენებლებს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

აკაკი ზოიძე თავს ჩინოვნიკად არ მიიჩნევს

თავად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრები მიესალმებიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ფუნქციების შეთავსების ინიციატივას. გარემოს დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ განაცხადა, რომ მისი უწყებისთვის ურბანიზაციის (კერძოდ, ტერიტორიული დაგეგმარების) ფუნქციის გადაცემა მეტად მნიშვნელოვანია და ნაწილობრივ სამინისტრო აქამდეც ასრულებდა ამ ფუნქციას.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის აზრით კი, თუ მის სამინისტროს მშენებლობის ფუნქცია გადაეცემა, მაშინ აუცილებელი გახდება სამშენებლო პროექტირების ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, სამშენებლო სამუშაოთა ლიცენზირების საკითხის მოწესრიგება, სტრატეგიული ობიექტების ექსპერტიზა და მშენებლობის სექტორში მომუშავე ორგანიზაციების კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხობაძეს და გაჩეჩილაძეს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დამატებით ფუნქციებს შესანიშნავად გაართმევენ თავს, პარლამენტარები კითხვის ნიშნის ქვეშ სწორედ ამ საკითხს აყენებენ. როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი რევაზ არველაძე აცხადებს, ეკონომიკის სამინისტროს იმდენად ბევრი ფუნქცია აქვს, რომ მშენებლობის დამატება მისთვის ძალიან მძიმე ტვირთი იქნება.

"გაერთიანებული დემოკრატების" ფრაქციის წევრმა ზურაბ ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან სამინისტროების ლიკვიდაციას, რადგან **"მთავრობამ არგუმენტირებულად ვერ დაასაბუთა, რატომაა აუცილებელი ამ ცვლილებების განხორციელება და რა სასარგებლო შედეგი მოჰყვება ამას."**

ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა კატეგორიულად ეწინააღმდეგება სამინისტროების გაუქმებას. რაც შეეხება დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს დემურ გიორხელიძეს, წარმოდგენილ კანონპროექტს იგი მხარს დაუჭერს.

# თბილისში დსთ-ს მთავარი საგადასახადო გამომძიებლები ჩამოვლენ

ნინო ნარჩემაშვილი

16-17 დეკემბერს, თბილისის "შერატონ მეტეხი პალასში", დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საგადასახადო და ფინანსური გამოძიების ორგანოების ხელმძღვანელთა საკოორდინაციო საბჭოს მეხუთე სხდომა შედგება. მას საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის დირექტორი მიხეილ ფრადკოვი გახსნის. ქართულ მხარეს საბჭოში ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი წარმოადგენს.

დსთ-ს ქვეყნების საგადასახადო და ფინანსური გამოძიების ორგანოების ხელმძღვანელთა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოს წარმოადგენს, რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ინიციატივით შეიქმნა. მისი საქმიანობის სფეროს ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების წარმოება და ოპერატიულ საქმიანობაში ურთიერთთანამშრომლობა წარმოადგენს. დებულების თანახმად, საბჭო ღია ორგანიზაციაა და მის მუშაობაში მეთვალყურეთა სტატუსით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უცხოეთის ქვეყნების საგადასახადო და საფინანსო დანაშაულებათა საგამოძიებო ორგანოებს.

ხვალ, თბილისში, საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვას და რუსეთის ფედერაციის საგადასახადო და საფინანსო დანაშაულებათა საგამოძიებო ორგანოების დელეგაციები ჩამოვლენ.

# შსს შარიფოვის გამტაცებელთა ვინაობის დასახელებას აპირებს

პირველი გვერდიდან

გავრცელებული ინფორმაციით, "ლუკოილის` ვიცე-პრეზიდენტის მამის გამტაცებელთა ერთი ჯგუფი გუშინ ბოლნისის სოფელ ტანძიაში დააკავეს. დაკავებული სამი სვანიდან მოგვიანებით ორი უპრობლემოდ გაათავისუფლეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შესაძლოა, წინასწარი დაკავების საკანში მყოფი მესამე სვანიც გაათავისუფლონ, რომლის დაკითხვაც გუშინ გვიანობამდე მიმდინარეობდა.

მსგავსი, ოღონდაც გაცილებით ხმაურიანი და ხალხმრავალი ოპერაცია თბილისში, გაგარინის მოედანთან მდებარე პოლიციის შენობის სიახლოვესაც ჩატარდა. ნიღბებით სახედაფარულმა და შეიარაღებულმა შსს-ს სპეცრაზმმა ორი ახალგაზრდა კაცი დააკავა. ჩვენი ინფორმაციით, ეს დაკავებულებიც სვანები იყვნენ. ოპერაციის ჩატარებას სამართალდამცველები კატეგორიულად უარყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა და უამრავი თვითმხილველი ჰყავ-



სადი და ვაგიტ შარიფოვები

და. მომხდარის შესახებ არაფერი იციან ვაკე-საბურთალოს პოლიციაშიც.

**"ჯერჯერობით შარიფოვის გატაცებასთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შემიძლია. რამდენიმე პირის დაკავების ოპერაცია ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე ბოლნისში და სხვაგანაც, მაგრამ ისინი სხვა დანაშაულში იმხილებიან და არა შარიფოვის გატაცებასა და მკვლელობაში. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ დაკავებულთაგან რომელიმე ჯგუფს შარიფოვის გატაცების ბრალდება წარედგინოს. დღევანდელი სიტუაცია კი ასეთია: შარიფოვის გატაცებაში ოფიციალურად არავინაა ბრალდებული,"** – ასეთი პასუხი მივიღეთ შს მინისტრის მოადგილისგან, კრიმინალური პოლიციის შეფისგან ზურაბ ჩხაიძისგან.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, დაკავებულთა ვინაობა დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე გახდება ცნობილი, რომლის გამართვასაც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვპირდებოდა.

# ნავთობკომპანიათა ვიცე-პრეზიდენტების მშობლების გატაცება ურთიერთკავშირშია

## ვარაუდობენ რუსი ანალიტიკოსები

*გასულ კვირას მომხდარი ორი გახმაურებული გატაცებიდან ერთის ტრაგიკული დასასრული გუშინწინ გახდა ცნობილი. "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის ვაგიტ შარიფოვის მამის გვამი ხევში გადაგდებული იპოვეს. ჯერჯერობით, უცნობია მეორე გატაცებულის – "სლავნეფტის" ვიცე-პრეზიდენტის ჯუმბერ ტყებუჩავას დედის ადგილსამყოფელი. თუმცა, ქართველი სამართალდამცველები ამ გატაცების გამოძიებით მაინც და მაინც არ ინტერესდებიან, იქიდან გამომდინარე, რომ მძევლის აყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა და ვარაუდობენ, რომ გატაცებულ ქალს იქვე მალავენ. დედის ბედით დაინტერესებული ტყებუჩავა უკვე რამდენიმე დღეა ტყვარჩელში იმყოფება. გუშინ კი თბილისში ჩამოფრენილი, გარდაცვლილი სადი შარიფოვის ვაჟი, ვაგიტ შარიფოვი ქართველმა კოლეგებმა პანტიანში არ გაუშვეს.*

სოფიკო ჩხაიძე

გახმაურებული გატაცებების შესახებ არაერთი კომენტარი გაკეთდა და ათასგვარი აზრი გამოითქვა. სადი სარიფოვის გატაცების თავდაპირველი ვერსია – ჩვეულებრივი კრიმინალი - სადი შარიფოვის გვამის აღმოჩენის შემდეგ პოლიტიკურმა განცხადებებმა შეცვალა. ქართველი სამართალდამცველები, რომლებიც გატაცების დღიდანვე ირწმუნებოდნენ, გამტაცებელთა სავარაუდო წრე ცნობილიაო, გატაცებულის დაღუპვის ცნობამ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების საიდუმლო მუშაობასა და ამ საქმესთან კავშირზე აალაპარაკა. მითიური სპეცსამსახურების თემა რთულ ვითარებაში გამოსავლად პირველად არ გამოყენებულა.

ამჯერად მათი მოქმედების საბოლოო მიზნად დასახელდა ქვემო ქართლში ეროვნულ ნიადაგზე შუღლის გაღვივება, ბაქო-თბილისს შორის ურთიერთობების დაძაბვა და დიდი ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისთვის ხელის შეშლა. ვერსიათა კრიმინალურ-პოლიტიკურ ნაირსახეობებში, რატომღაც, ადგილი ვერ იპოვნა მოსაზრებამ რუსეთის ორი მსხვილი ნავთობკომპანიის ტოპ-მენეჯერების მშობლების ზედიზედ გატაცებების ურთიერთკავშირის შესახებ. ასეთმა აზრმა მხოლოდ რუსულ მედიაში გაიჟღერა. სხვათა შორის, მანამდე, სანამ ტყებუჩავას დედის გატაცების ფაქტი გახმაურდებოდა, რუსული გაზეთები "ლუკოილთან" დაკავშირებულ გატაცებათა სერიას "შავი სამყაროს" მხრიდან ამ კომპანიის აქციების იაფად ხელში ჩაგდების სურვილს უკავშირებდნენ. ორიოდ დღის წინ კი "ლუკოილის" მიერ "სლავნეფტის" აქციების 75 პროცენტის შესყიდვაზე უარის თქმამ მათ სხვა ვერსიის წამოყენების საფუძველი მისცა. რუსული საინფორმაციო სააგენტოს "როსბიზნესკონსალტინგის" ანალიტიკოსები გადაჭრით ვერ ამბობენ, რომ გატაცებები უშუალოდ ამ ბიზნესგარიგებას უკავშირდება; თუმცა, სწორედ ასეთ კონტექსტში განიხილავენ "ლუკოილის" უარის შედეგებს; კერძოდ, "სლავნეფტის" ფასის დაცემას. არადა, "ლუკოილი" აქციათა უმსხვილეს პაკეტში 4 მილიარდი დოლარის გადახდას აპირებდა, ერთი კვირის წინ კი განაცხადა, რომ "სლავნეფტის" ყიდვა მის პოლიტიკას არ შეესაბამება. შესაბამისად, ეკონომიკური ანალიტიკოსების თქმით, "ლუკოილის" ადრინდელ კონკურენტებს 4 მილიარდის მოსაგროვებლად ფინანსების მობილიზება აღარ დასჭირდებათ, რადგან გარიგების ჩაშლის შემდეგ, "სლავნეფტის" აქციათა 75 პროცენტიანი პაკეტის საწყისი ფასი 1,7 მილიარდ დოლარამდე დაეცა.

ასეთ თანხებზე საუბრისას კი, ცხადია, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოში (მით უმეტეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე) ადამიანის გატაცების უზრუნველყოფა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. უბრალოდ, ამ ვერსიაზე საუბრისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რამდენად შესაძლებელია ორი მოხუცის გატაცებით ამ უზარმაზარი ნავთობკომპანიების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა.

სხვათა შორის, რაღაც საერთაშორისო კვალზე ეჭვი რომ არსებობს, ამას ისიც მოწმობს, რომ სადი შარიფოვის გვამის აღმოჩენით შეშფოთებულმა ქართველმა სამართალდამცველებმა ერთობლივად მუშაობის წინადადებით აზერბაიჯანელ და რუს კოლეგებს მიმართეს. ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფში, ქართველებთან ერთად, სხვადასხვა ეროვნების პირებიც შედიოდნენ. თვით შინაგან საქმეთა სამინისტროში მეზობელი სახელმწიფოების სამართალდამცველებთან დაკავშირებას ხსნიდნენ სადი შარაფოვის გატაცების ვერსიებზე ერთობლივი მუშაობის აუცილებლობით. გუშინ ჭორის დონეზე გახმაურებული დაკავებების შემდეგ კი უკვე საეჭვოა, რომ პოლიტიკური დესტაბილიზაციის და ნავთობსადენს შესახებ განცხადებები გაიხსენონ. სავარაუდოდ, სამართალდამცველთა პირველი ჩინები ისევ "პირველ ჩვენებას" დაუბრუნდებიან და ჩვეულებრივ ყაჩაღებზე ალაპარაკდებიან, რომლებსაც რუსული ნავთობბიზნესის გიგანტის ვიცე-პრეზიდენტის მამა შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში.

# პოლიტიკურ პროცესებს კრიმინალები მართავენ - აღიარებს დეპუტატი

პირველი გვერდიდან

კომიტეტის თავმჯდომარემ ქვეყანაში კრიმინალური ქაოსის შემქმნელი "შავი სამყაროს" ლიდერების ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა და არც მათთან ალიანსში მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლები გათქვა. **"ამ ხალხის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ვფლობთ, მათი ვინაობის გამჟღავნება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ კონკრეტულ გვარებს ახლა ვერ დავასახელებ, ამ მიზნით არ მოვსულვარ თქვენთან შესახვედრად,"** – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა. თუმცა, ყველაფრისმცოდნე და არაფრისმთქმელმა კომიტეტის თავჯდომარემ ჟურნალისტებს პირობა მისცა, რომ მისი კომიტეტი მუშაობს და ძალიან მალე ბოლოლა კრიმინალების ვინაობას ამცნობს საზოგადოებას.

**"დღეს შექმნილი ვითარება მახსენებს სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდს. თუმცა, კრიმინალთა ასეთი მომძლავრება ომის შემდეგაც არ ყოფილა. ახლა კრიმინალურმა სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია, რაც, პირველ რიგში, სამართალდამცველთა სისუსტის ბრალია,** " – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა და ძალოვნებს კრიმინალური სიტუაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის რეცეპტიც შესთავაზა - უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საკადრო წმენდა და რეფორმა.

თავდაცვისა და უშიშროების საპარ-



ირაკლი ბათიაშვილი

ლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, მისი კომიტეტი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რათა 5 დეკემბერს ნატახტრის საგუშაგოსთან დაკავებულ უშიშროების თანამშრომლებს სასჯელი შეუმსუბუქდეთ. საუბარია, შსს-სა და უშიშროების ერთობლივი სპეცოპერაციისას დაკავებულ ზაზა გოროზიასა და ზაზა ანდრიაძეზე. დაკავებისას მათ აღმოაჩნდათ სამი ხელყუმბარა, ერთი "ტტ"-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და მარიხუანა. მათ აფხაზეთში ტერაქტების განხორციელებაშიც დასდეს ბრალი და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

გოროზია და ანდრიაძე აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმ "სატურნში" მსახურობდნენ

**"სატურნის" ბიჭებს პირადად ვიცნობ, ისინი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ და უნიკალური გამოცდილება აქვთ. მათი დანიშნულება სწორედ ტერაქტების თავიდან აცილებაა და თუ რაიმეში ადანაშაულებენ, ეს მათი ბრალი კი არ არის, არამედ იმ ხალხის, ვინც მათ სათანადო ორგანიზებას არ უწევს."** - აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც "სატურნის" დაშლის თაობაზე უშიშროების სამინისტროს მიერ წამოყენებულ წინადადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

**„სამართალდამცველები ხშირად აცხადებენ, რომ სიტუაცია მათ კონტროლს ექვემდებარება. თუკი დღეს შექმნილ ვითარებას ჩვენი სამართალდამცველები აკონტროლებენ, მაშინ დავღუპულვართ. არადა, დანაშაულებათა უკან ძალოვანები მართლაც დგანან, ისინი, ვინც შექმნეს პანკისის ხეობა - ფულის საჭრელი დაზგა. მჯერა, რომ შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილსა და უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას გულწრფელად სურთ, რომ სიტუაცია გაუმჯობესდეს, რასაც გარკვეული გარემოებების გამო ვერ ახერხებენ. თუმცა, როცა შევარდნაძემ მოინდომა "მხედრიონის" ნეიტრალიზაცია, ყველაფერი ადვილად გაკეთდა,"** – ასეთი იყო ირაკლი ბათიაშვილის რეზიუმე.

# იუსტიციის მინისტრი ყოველთვიურ ანგარიშს ითხოვს

იუსტიციის მინისტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ციხეებში კონტროლის გამკაცრება დაავალა. იუსტიციის სამინისტროს საბჭომ გუშინ იმსჯელა მსჯავრდებულთა მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელებაზე და ბოლო ცხრა თვის განმავლობაში ამ კუთხით ჩატარებული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ჯანაშიას ინფორმაციით, ბოლო ცხრა თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უხეშად ირღვეოდა მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლების კანონით დადგენილი ვადები. როგორც გაირკვა, ამ პერიოდში საპატიმროებში ხელმძღვანელობამ დაგვიანებით განიხილა 79 მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი; არის ერთი წლის დაგვიანების შემთხვევებიც.

შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ საპყრობილეების ხელმძღვანელობას განხილული არ ჰქონდა იმ 38 მსჯავრდებულის საქმე, რომელთაც ვადაზე ადრე გათავისუფლება ეკუთვნოდათ. როგორც გაირკვა, ამ კუთხით ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონია ლიდერობს.

იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დაავალა, ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიში მსჯავრდებულთა მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების მდგომარეობაზე და ამ საკითხის მკაცრად გაკონტროლება მოითხოვა.

# პატიმარი ქალების მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს - ითხოვს ომბუდსმენი

*საქართველოს სხვადასხვა ციხეებში შეწყალების მოთხოვნით მიმდინარე პატიმრების შიმშილობის აქცია გუშინწინ შეწყდა, ოღონდ ნაწილობრივ.*

ავჭალის ქალთა კოლონიაში შიმშილობას კვლავაც განაგრძობს 32 მსჯავრდებული ქალი. ისინი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იხდიან სასჯელს და პატიმრობის ვადის შემცირებას ითხოვენ.

ამასთან, მოშიმშილე პატიმარი ქალები სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს მათთან მისვლასა და მათი საქმეებით დაინტერესებას სთხოვენ. ნანა დევდარიანი, თავის მხრივ, პატიმარი ქალების შეწყალების მიმართ მიდგომის შეცვლის თაობაზე დიდი ხანია საუბრობს. მას უკვე მიღწევად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტმა 15 ქალი შეიწყალა, თუმცა, მისი აზრით, ეს საკმარისი სულაც არ არის. **"საქმე რაოდენობაში არ გახლავთ, უნდა შეიცვალოს პატიმარი ქალების მიმართ დამოკიდებულების პრინციპი"**, - ამბობს ნანა დევდარიანი.

მისი თქმით, პატიმარი ქალების უმეტესობა ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით იხდის სასჯელს: **"ეს მუხლი კი შეწყალებას არ ექვემდებარება.** - ამბობს სახალხო დამცველი, - **არადა, ქალი პატიმრების უმეტესობა ერთ გრამზე ნაკლები ნარკოტიკული ნივთიერების გაყიდვისთვისაა დაჭერილი, ამ დროს კი პოლიციას ერთი მსხვილი ნარკორეალიზატორიც არ დაუკავებია. ასეთ ფონზე ამ ქალების დანაშაული სასაცილოდ ჩანს. მათ ნარკოტიკების რეალიზაციისკენ მძიმე სოციალურმა პირობებმა უბიძგა. რა შემიძლია ვუთხრა ამ ქალებს, რომელთა შვილებიც ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ, მომკითხავი არავინ ჰყავთ, საპატიმრო ადგილებში აუტანელი პირობებია. მე არ ვლაპარაკობ მათ გათავისუფლებაზე, პატიმრობის ვადა მაინც შეუმცირონ – ეს ხომ ქალისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მამაკაცისთვის. ქალისთვის მნიშვნელობა აქვს, ციხიდან რომ გამოვა, ასაკი შვილის ყოლის უფლებას მისცემს თუ არა. ამ კუთხითაც უნდა იქნეს ეს პრობლემა დანახული."**

პატიმარ ქალებთან მიმართებაში კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს – დღემდე მოუგვარებელია პატიმარი დედებისა და ბავშვთა სახლებში მყოფი მათი შვილების შეხვედრის საკითხი. იმავე სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ასეთი ბავშვები მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან, რომელთა ჩართვა დამნაშავეობაში მეტად ადვილია. აქ წმინდა ადამიანური ფაქტორიც მოქმედებს და ხშირად, თურმე, თვით ბავშვთა სახლების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ხოლმე ბავშვების დედებთან მიყვანას. თუმცა, პირიქითაც ხდება. სულ ცოტა ხნის წინ საღამოს ცხრა საათზე ქალთა კოლონიის კარებთან ატუზული პატარა ბავშვი შენიშნეს. როცა ვინაობა გამოჰკითხეს, იგი ერთ-ერთი პატიმრის, ვინმე აბდულაევას შვილი აღმოჩნდა. ბავშვი მარტყოფის ბავშვთა სახლიდან გამოპარულა და როგორღაც ციხემდე მიუღწევია. კოლონიის დირექციამ მას ხუთი დღით დედასთან დარჩენის ნება დართო. ხოლო როცა მარტყოფში, ბავშვთა სახლის დირექციას დაუკავშირდნენ, გაირკვა, რომ იქ ბავშვის დაკარგვა არც შეუნიშნავთ.

იქნებ, ამ შემთხვევამ მაინც უბიძგოს შესაბამის ორგანოებს პრობლემის მოგვარებაზე ფიქრისკენ.

## ინფორმაცია

### თავს დაესხნენ გენადი სელეზნიოვის დედას

რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერის გენადი სელეზნიოვის დედას ვერა ფოკინას თავს დაესხნენ. თავდასხმა მოხდა სანკტ-პეტერბურგში, ფოკინას საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში. დაზარალებულს მძარცველებმა ძვირფასეულობა წაართვეს. სპიკერის დედამ თავდასხმისას სერიოზული ტრავმები მიიღო. იგი ამჟამად სანკტ-პეტერბურგის საავადმყოფოში იმყოფება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გენადი სელეზნიოვის დედა ერთხელ უკვე იყო ძალადობის მსხვერპლი. 1997 წელს მას ბინაში ყაჩაღები შეეჭრნენ და გაძარცვეს.

### გიორგი ღონღაძე გატაცებიდან ერთ საათში მოკლეს

უკრაინელ ექსპერტთა დასკვნით, ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე გატაცებიდან 40-60 წუთის შემდეგ მოკლეს. უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის ვიქტორ შოკინის ინფორმაციით, კიევის პროკურატურამ, რომელიც ღონღაძის მკვლელობის საქმეს იძიებდა, სერიოზული დარღვევები დაუშვა კვალის დაფარვის მიზნით. ტარაშენსკის რაიონის პროკურორმა და გამომძიებელმა გამოძიების გაჭიანურებას ხელოვნურად შეუწყვეს ხელი. მათ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მტკიცებულებები გააქრეს. გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით, პროკურორისა და გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

### ბელორუსია ქალით მოვაჭრე ქვეყნებს შორის ლიდერია

გერმანიის სამართალდამცველი სტრუქტურების ინფორმაციით, გერმანიაში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებს შორის ბელორუსია ლიდერობს. მხოლოდ ამ წელს ბელორუსიიდან გერმანიაში სექსუალურ ინდუსტრიაში დასასაქმებლად 1000 ქალია შეყვანილი.

სტატისტიკის მიხედვით, უკრაინიდან გერმანიაში გაყიდულია 128 ქალი, ლიტვიდან - 119, ლატვიიდან - 40, პოლონეთიდან - 84, ხოლო რუსეთიდან - 73. გერმანიის ფედერალური პოლიციის უფროსის უვე იურგენსენის განცხადებით, ადამიანებით ვაჭრობით დასაქმებულ კრიმინალებს მთელ ევროპაში სერიოზული კავშირები გააჩნიათ. "გერმანიაში სამსახურის საშოვნელად ჩამოსული ქალები იმაზე უარეს ჯოჯოხეთში ხვდებიან, რასაც გამოექცნენ," – აცხადებს იურგენსენი.

გერმანელი სამართალდამცველების სტატისტიკური მონაცემებით, ადამიანით ვაჭრობის 99 პროცენტი ქალებით ვაჭრობაზე მოდის, მას მოსდევს ბავშვთა უკანონო გაშვილება, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და სპორტსმენებით ვაჭრობა.

ექსპერტთა დასკვნით, დსთ-ს ქვეყნებში ადამიანით (განსაკუთრებით, ქალებით) ვაჭრობამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამ შავ ბიზნესს მესამე ადგილი უკავია იარაღისა და ნარკობიზნესის შემდეგ. იურგენსენის მონაცემებით, ევროპაში ყოველწლიურად სექსინდუსტრიაში ჩასაბმელად ნახევარი მილიონი ქალი შეჰყავთ, მათი უმეტესობა დსთ-ს ქვეყნებიდანაა.

### გამტაცებელთა ჯგუფი დაკავებულია

ყარაჩაი-ჩერქეზეთში დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების 7 წევრი. ისინი ადამიანების გატაცებით იყვნენ დაკავებულნი. დაპატიმრებულნი არიან ბანდის ხელმძღვანელები – რეციდივისტი ძმები, - კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები.

დაჯგუფების წევრების საცხოვრებელი ბინიდან სამართალდამცველებმა ამოიღეს სერიოზული სამხედრო შეიარაღება და რამდენიმე დღის წინ კისლოვოდსკიდან გატაცებულ მძევალსაც მიაგნეს. მძევალი კანონდამცველებს უკვე მოკლული ეგონათ, რადგანაც გატაცებულის ოჯახის წევრებმა მოთხოვნილი გამოსასყიდის გადახდა დათქმულ დროს ვერ მოახერხეს. იგი გამტაცებლებს საქათმეში ჰყავდათ დამწყვდეული. დაკავებული კრიმინალები საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მილიცია ჯგუფის სხვა წევრებს ეძებს.

### ჰააგის სასამართლომ ჟურნალისტის საქმე განიხილა

ჰააგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა სამხედრო ჟურნალისტის ჯონათან რენდალას უფლებები აღიარა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სამხედრო სასამართლოზე ჟურნალისტი მოწმედ აღარ დაიკითხება.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ ჰააგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება დადებითად შეაფას. "ჰააგის ტრიბუნალის მოსამართლის გადაწყვეტილება ჟურნალისტთა საქმიანობისა და მთელი პრესის თავისუფლებისადმი პატივისცემის გამოხატულებაა," – ასეთი განცხადება გამოაქვეყნა მსოფლიოში ერთ-ერთმა სერიოზულმა ჟურნალისტთა პროფესიულმა გაერთიანებამ.

## მოკლედ

**თბილისი.** ბოლნისის რაიონის პოლიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა ბოლნისში მცხოვრები, 1938 წელს დაბადებული რაზმიკ ვანიანი, რომელმაც არაფხიზელ მდგომარეობაში ურთიერთშელაპარაკებისას დანის გულმკერდის არეში დარტყმით მოკლა შვილი, 1966 წელს დაბადებული არაიკ ვანიანი. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ოზურგეთის რაიონის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, სოფელ შრომაში მცხოვრები, 1979 წელს დაბადებული დავით თურმანიძე. იგი რამდენიმე პირთან ერთად თავს დაესხა ავტომანქანა "გაზელს", რომელსაც მართავდა 1954 წელს დაბადებული ჯუმბერ ახალკაცი. მას დანის მუქარით გასტაცეს 2500 ლარი, ქურთუკი და პირადობის მოწმობა. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** 11 წლის ირაკლი ჭეხანი, რომელსაც გუშინწინ ქუჩაში ესროლა უცნობმა, შოკიდან გამოვიდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე სტაბილურია და ჯანმრთელობის გაუმჯობესების დინამიკა აღენიშნება. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** სხეულის დაზიანებები აღენიშნებათ თბილისის პოლიციის სამმართველოდან თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაყვანილ სამ პატიმარს — ზაზა ქვაჭრელიშვილს, ზაურ ბალუაშვილს და ალექსი გვაჯიას. ორი მათგანი აცხადებს, რომ პოლიციელებმა სცემეს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**ქარელი.** შს სამხარეო სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და მარნეულის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს 45 წლის ბარხუდარ ზეინალოვი, რომლისგანაც ამოიღეს 11.6 გრამი ჰეროინი. ტარდება ღონისძიებები ნარკოტიკების პირველი წყაროს დასადგენად. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ დილით, დაახლოებით 9.15 საათზე, უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს გალიდან სოფელ ჭუბურხინჯისკენ მიმავალ ვაზ-2106 მარკის ავტომანქანას, რომელშიც იმყოფებოდნენ გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის მკვიდრი ეკა ნარმანია და ოჩამჩირის რაიონის სოფელ აკვასკაში მცხოვრები სერგეი მექვაბია. სროლის შედეგად ორივე მათგანი დაიღუპა. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი სამართალდამცავები არ უარყოფენ ინფორმაციას "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის სადი შარიფოვის გამტაცებელთა ჯგუფის დაკავების შესახებ; თუმცა, კომენტარისგან თავს იკავებენ. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** შეწყალების კომისიის მიერ ყოფილი მეომარი პატიმრების საქმეების გადასინჯვამდე მოშიმშილე მსჯავრდებულებმა საპროტესტო აქცია დროებით შეწყვიტეს. სავარაუდოდ, შეწყალების კომისია მეომარი პატიმრების საქმეებს ხელახლა ახალ წლამდე განიხილავს. **"ინტერ-პრესი".**

**თბილისი.** თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება საახალწლოდ ცხინვალის ციხეში მყოფ მსჯავრდებულებს გაათავისუფლებს.

ცხინვალის ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს კეთილი ნების ნაბიჯია და იგი თბილისისგან საპასუხო ნაბიჯებს არ ელის. **"ინტერ-პრესი".**

## საშობაო საჩუქრები - მზრუნველობა მოკლებულ და ინვალიდ ბავშვებს

დღეს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის "სამარიტანელთა ქისის" ოცკაციანი დელეგაცია BBC-ის ჟურნალისტებთან ერთად ლონდონიდან ჩამოიტანს საშობაო ამანათებს, რომელიც გადაეცემა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და გაუნაწილდება ბავშვთა სახლებს.

58 000 ობოლი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული და ინვალიდი ქართველი ბავშვი მიიღებს საშობაო საჩუქარს.

ხვალ, საათზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თაოსნობით ობოლი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული და ინვალიდი ბავშვებისათვის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მოეწყობა საქველმოქმედო კონცერტი-აქცია, რომელშიც ქართული ესტრადის მომღერალ ბავშვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ინვალიდი ბავშვები. კონცერტის შემდეგ საქართველოს წითელი ჯვრის თანამშრომლები ბავშვებს დაურიგებენ ბრიტანეთიდან ჩამოტანილ საშობაო საჩუქრებს.

დაგეგმილია ვიზიტი საპატრიარქოში, საჩუქრების დარიგება ქუჩის ბავშვებისთვის, მარტყოფის ბავშვთა, კოჯრის ინვალიდ ბავშვთა, უსინათლო ბავშვთა სახლების მონახულება, მცხეთის მახლობლად სოფელ მდოგვში მცხოვრები ბავშვებისთვის საჩუქრების დარიგება.

როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში "24 საათს" უთხრეს, საშობაო საჩუქრების გაცემას ბრიტანელი ქველმოქმედების წასვლის შემდეგაც გააგრძელებენ.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ თბილისის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგა. როგორც „თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ განაცხადა, მარჯვენა სანაპიროსათვის გუშინ გაზის შეწყვეტის მიზეზი მომწოდებლის მიერ ბუნებრივი აირის რაოდენობის შეზღუდვა გახდა. თუმცა, „საქგაზი" აცხადებს, რომ „თბილგაზის" მიმართ არავითარი შეზღუდვები არ განხორციელებულა და მათ ბუნებრივი აირი წინა თვეში წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით, 1.250.000 კუბური მეტრის ოდენობით მიეწოდებათ. „საქგაზში" გაზის შეწყვეტის მიზეზად თბილისში ტემპერატურის მკვეთრ დაცემას ასახელებს. აცივებასთან ერთად გაზის მოხმარებამ იმატაო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, რეგიონებში სექტემბრის თვის პენსიების დაფინანსება უკვე დაიწყო. სექტემბერი დაფინანსებულია 15.2 მილიონი ლარით, საიდანაც სადაზღვევო და სოციალური პენსიები 12.2 მილიონ ლარს აღემატება. ძალოვან პენსიონერთა პენსიებისთვის გადარიცხულია 1.8 მილიონი ლარი, საოჯახო დახმარებისათვის - 1.08 მილიონი ლარი, ხოლო გარდაცვლილ პენსიები 63.9 ათასი ლარით დაფინანსდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის ვეტერინარიულ ინსპექციის ცნობით, თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს დაკლული ოთხი ავადმყოფი ხბოს ხორცი, რომელიც შეუმოწმებელი იყო. იგი რეალიზაციიდან ამოიღეს და გლდანის ნაგვის სამარხში გაანადგურეს. დაავადებული ხორცი გასულ კვირას ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზეც გამოავლინეს. ბაზარში შემოტანილი 300 კილოგრამზე მეტი ღორის ხორცი ტრიქინელოზით იყო ინფიცირებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ყაზბეგი.** ჯვრის უღელტეხილი „იკარუსის" ტიპის ავტობუსებისთვის და დიდი სატვირთო მანქანებისთვის კვლავ დაკეტილია. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ყინულის გამო ფასანაური-კობის და სხვა საუღელტეხილო მონაკვეთებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. დღეიდან მოძრაობა შეიზღუდა ბაღდათი-საირმის გზაზეც. ამ მონაკვეთზე ჯაჭვების გამოყენება აუცილებელია ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოში ორი კვირით ჩამოსული ჩეხი ექსპერტები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისათვის სწავლების კურსს ჩაატარებენ. ისინი სამედიცინო დანიშნულების მარიონირებელი გამოსხივების აპარატურის ინსპექტირების შესწავლას აწარმოებენ. ჩეხი ექსპერტების ვიზიტი ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ დააფინანსა. **კავკას-პრესი**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამუშაო ადგილი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ნათელაშვილის საახალწლო საჩუქარი თბილისელებს

*რამდენიმე თვის წინათ ლეიბორისტების მიერ თბილისელებისთვის მიცემული პირობა, რომ საკრებულოს შექმნისთანავე სასმელ წყალზე ტარიფი განახევრდებოდა, შეუსრულებელი დარჩა. ნათელაშვილს იმედი ჰქონდა, რომ დედაქალაქის ახლად შექმნილი თვითმმართველობის ორგანო მხარში ამოუდგებოდა და, ერთობლივი ძალისხმევით, წყლის საფასურის შემცირებას შეძლებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საკრებულოს ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე თითქმის ყველა ფრაქციამ ტარიფის შემცირების საკითხი პირველივე მოსმენით ჩააგდო, ლეიბორისტების ლიდერი სასამართლოზე ამყარებს იმედს.*

ეთერ მამულაშვილი

ლეიბორისტული პარტია მოითხოვს, გაუქმდეს წინა მოწვევის საკრებულოს ის დადგენილება, რომლითაც დედაქალაქის მოსახლეობას სასმელ წყალზე ტარიფი 60-დან 1.20 თეთრამდე გაეზარდა. პარტიამ რვა თვის წინათ შეიტანა სარჩელი საოლქო სასამართლოში, თუმცა, საქმის არსებითი განხილვა, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დღემდე რამდენჯერმე გადაიდო. მოპასუხე მხარე - საკრებულო, ბუნებრივია, პროცესზე ვერ გამოცხადდებოდა, რადგან დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანომ მხოლოდ ერთი თვის წინ დაიწყო ფუნქციონირება.

წინა მოწვევის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში სასმელ წყალზე ტარიფის გაზრდის აუცილებლობა, ძირითადად, ორი მოტივით არის დასაბუთებული. პირველი: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასმელი წყლის ტარიფი არ შეცვლილა. მეორე და უმთავრესი მიზეზი: წყლის თვითღირებულებაში ხარჯების დიდი ნაწილი, 40 პროცენტი, მოდის ელექტროენერგიაზე, რომლის ტარიფი, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ოთხჯერ გაძვირდა. ასეთია ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის დავით ტურიაშვილის არგუმენტები.

"დღეს, რეალურად, წყალი ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარი და 60 თეთრი ღირს. ეს დაანგარიშებულია ბუღალტრულად და დოკუმენტურადაც არის დადასტურებული. ის, რომ დღეს მოსახლეობა წყლის საფასურს - ლარსა და ოც თეთრს იხდის, იმას ნიშნავს, რომ თბილისელები წყლის საფასურს 66-პროცენტიანი შეღავათით იხდიან", - გვითხრეს "თბილწყალკანალში".

ლეიბორისტთა შეფი დარწმუნებულია, რომ სასმელი წყლის საფასურის გაზრდა სრულიად არ იყო საჭირო. უფრო მეტიც: ის ამტკიცებს, რომ ტარიფის გაზრდით ძველმა საკრებულომ დაარღვია კონსტიტუცია, რადგან სასმელი წყლის ტარიფის გაზრდის დროს არ გაითვალისწინა მოსახლეობის საარსებო მინიმუმი.

საკრებულოს ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე ლეიბორისტების მიერ შემუშავებულ პროექტს სასმელ წყალზე ტარიფის შემცირების შესახებ თითქმის არც ერთმა პარტიამ მხარი არ დაუჭირა. ცალკეულმა ფრაქციებმა ლეიბორისტთა ეს წამოწყება მონათლეს მორიგ პოპულისტურ ნაბიჯად, რომლის განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლებლად მიაჩნიათ, რადგან დეფიციტის დასაფარი თანხა ბიუჯეტში, ჯერჯერობით, არ მოიძებნება.

ფრაქციების მოულოდნელი ზურგშექცევა განაწყენებულმა ნათელაშვილმა ასე აგვიხსნა: "ეშინიათ, რომ ჩვენი პარტიის რეიტინგი გაიზრდება და ამიტომაც ბლოკავენ ამ ინიციატივას. მაგრამ ჩვენი რეიტინგის გაზრდა მაშინ ნახეთ, როცა საქმეს სასამართლოში მოვიგებთ".

ნათელაშვილს ახლა საოლქო სასამართლოს იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ პროცესს აუცილებლად მოიგებს. ამის საფუძველს აძლევს "ეი-ი-ეს თელასთან" საკონსტიტუციო სასამართლოში დაწყებული დავა, რომელსაც ლეიბორისტები, ჯერჯერობით, მშვენივრად ართმევენ თავს. "ხომ ხედავთ, "თელასს" ამერიკელობაც არ შველის, ისე ვიგებთ ამ პროცესს", - გვითხრა ნათელაშვილმა, რომელსაც ძველი საკრებულოს ერთ-ერთი დადგენილების გაუქმება ფაფის ჭამასავით იოლი ჰგონია.



*სასმელ წყალზე ტარიფის განახევრების პირობა შეუსრულებელი დარჩა*

ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება მოვლენები საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ საოლქოში საქმის მოგების რეალური შანსი ლეიბორისტებს, მართლაც, აქვთ. პროცესზე, რომელიც უახლოეს კვირაში დაინიშნება, დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოდან გამოცხადდება საქალაქო მეურნეობის თავმჯდომარე პაატა ჯიბლაძე, რომელიც ლეიბორისტთა სიებში ირიცხება. სასმელ წყალზე ტარიფის შესაძლო შემცირების თაობაზე ჯიბლაძემ საკუთარი პოზიცია "24 საათთან" საუბრის დროს ასე ჩამოაყალიბა: "სავსებით შესაძლებელია წყლის საფასურის გაიაფება და ამას აუცილებლად გავაკეთებთ. მერე რა, რომ ბიუჯეტში საამისო თანხა ვერ მოიძიეს. დეფიციტის დაფარვა სხვა გზითაც შეიძლება. მაგალითად, თბილისის გარე ბაზრობებიდან შემოსული თანხით. ამას თავისუფლად გაწვდება თბილისში არსებული ავტოსადგომებიდან შემოსული ფულიც, რომელიც უაზროდ იხარჯება და მავანთა ჯიბეებში ილექება".

"თბილწყალკანალში" აცხადებენ, რომ სასმელ წყალზე ტარიფის შემცირება მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ საკრებულო დეფიციტის დასაფინანსებელ თანხებს გამონახავს. "ჩვენ არ ვუპირისპირდებით არც ლეიბორისტებს და არც საკრებულოს. ვფიქრობთ, რომ საკითხი არასწორად დაისვა. ლეიბორისტებმა ჯერ თანხა მოიძიონ და მერე იმსჯელონ ტარიფის შემცირებაზე", - გვითხრა გოჩა ჯელიამ.

ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ წლის ბოლომდე საოლქო სასამართლოში პროცესი მათ სასარგებლოდ დასრულდება. ასე რომ, ახალი წლიდან მოსახლეობა სასმელი წყლის განახევრებულ საფასურს გადაიხდის. ეს ნათელაშვილის საახალწლო ნობათია.

## გაძარცული ლიფტები სააკაშვილს ელის

*ორი დღის წინათ გამართულ ბრიფინგზე საკრებულოს თავმჯდომარემ მრავალსართულიანი კორპუსების მობინადრენი გაახარა, სამ თვეში დედაქალაქის ყველა 16-სართულიანსა და ექვს თვეში 9-სართულიან კორპუსში ლიფტები ამოქმედდებაო.*
*"თბილლიფტის" ცნობით, ქალაქის მაღალსართულიან კორპუსებში 7 ათასამდე ლიფტია. აქედან 3 000 პირწმინდად გაიძარცვა. ხოლო მოქმედი ლიფტების უმრავლესობა სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში არსებული ლიფტების მოწესრიგებას 9 მლნ. ლარი მაინც უნდა. სხვათა შორის, წინა მოწვევის საკრებულომ წლევანდელი წლის ბიუჯეტში ლიფტების სარეაბილიტაციოდ 250 ათასი ლარის გათვალისწინება სცადა, მაგრამ ეს თანხა ბიუჯეტიდან მალევე ამოიღეს. მიხეილ სააკაშვილს მომავალი წლის ბიუჯეტის იმედი აქვს და ასეთ ოპტიმისტურ განცხადებას ამიტომაც აკეთებს. თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარემ პირობა რომც შეასრულოს, ლიფტების საჭიროებისამებრ ამოქმედებას მხოლოდ მათი ერთხელ შეკეთება არ ეყოფა, ლიფტების მოვლა-პატრონობის მექანიზმია შესაცვლელი. "24 საათი" ამ თემაზე ადრეც წერდა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ ეს საკითხი კვლავ წამოწია.

საბჭოთა პერიოდში თბილისში მოქმედ ყველა ლიფტს ერთადერთი ორგანიზაცია "თბილლიფტი" ემსახურებოდა. ამის გარდა არსებობდა სადისპეტჩეროებისა და მელიფტეების ინსტიტუტი, რომელთაც ლიფტების სისტემატური ზედამხედველობა ევალებოდა. ლიფტების პატრონობაზე მთავარი პასუხისმგებელი კი, "ლიფტების მოწყობისა და უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესების" თანახმად, მათი მფლობელი ქალაქის მაშინდელი აღმასკომი გახლდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ კორპუსებში არსებული დანადგარები კორპუსის მობინადრეთა საერთო საკუთრებაში გადავიდა.

რადგან ლიფტების მოწყობა-ექსპლუატაციის 1972 წელს გამოცემული წესები დღემდე მოქმედებს, ლიფტების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობაც მათ ახალ მფლობელს უნდა დაკისრებოდა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 216-ე მუხლის მიხედვით, ბინის მესაკუთრეთა ერთობლიობა იურიდიულ პირად არ მიიჩნევა და შესაბამისად, პასუხისმგებელიც ვერ იქნება. ასე რომ, მაღალსართულიანი კორპუსისთვის ესოდენ საჭირო ტრანსპორტის მოვლა-პატრონობა, ფაქტობრივად, არავის ევალება. ამის გარდა, 1994 წლიდან დისპეტჩერებისა და მელიფტეების ინსტიტუტიც გაუქმდა. დარჩა მხოლოდ დღემდე მუნიციპალური უწყება "თბილლიფტი" და რამდენიმე კერძო ორგანიზაცია, რომელნიც ლიფტების მომსახურებაზე პასუხისმგებელნი მხოლოდ მაშინ არიან, თუკი კორპუსის მობინადრეები მათთან ხელშეკრულებას გააფორმებენ. მოქალაქეთა უსახსრობისა თუ დაუდევრობის გამო კი, ამ ორგანიზაციებთან მხოლოდ 320-მდე კორპუსს აქვს ხელშეკრულება დადებული. გამოდის რომ, 7000-მდე ლიფტიდან 320 მოწმდება. მართალია, მერიის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მიხედვით, "ეი-ი-ეს თელასმა" კორპუსს ლიფტის ასამუშავებლად ელექტროენერგია "თბილლიფტის" მიერ გაცემული ნებართვის გარეშე არ უნდა მიაწოდოს, მაგრამ ხშირად ასეთი ნებართვები ლიფტების მდგომარეობის შეუმოწმებლად გაიცემა (შეგახსენებთ რამდენიმე თვის წინათ გლდანის მე-5 მიკრორაიონში მომახდარ ფაქტს).

ლიფტების მოწესრიგების იდეა მშვენიერია, მაგრამ შესაბამისი მექანიზმები თუ არ შემუშავდა და მათ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა ვინმეს არ დაეკისრა, არაფერი გამოვა. სათანადო კანონმდებლობაზე მუშაობას კი არავინ აპირებს.

იუსტიციის სამინისტრო და მერია აცხადებენ, რომ ეს მათი კომპეტენცია არ არის. "თბილლიფტი" კი იმედოვნებს, რომ ამ პრობლემას საკრებულო მიხედავს.

## სერიალიდან „მილიონი სამუშაო ადგილი"

*ამას წინათ ქუჩაში ფეხსაცმლის თასმა გამიწყდა. მართალია, რამდენიმე დღე ვგრძნობდი, რომ გამოსაცვლელი იყო, მაგრამ ასე თუ მიმუხთლებდა, რას ვიფიქრებდი?*
*ახლომახლო ამგვარი წვრილმანი არ იყიდებოდა, ბაზრობაზე ან მეტროსთან მისასვლელი დრო არ მქონდა და გუნება გამიფუჭდა. საქმე უგერგილოდ მოვილიე, მთელი ყურადღება იქით მქონდა, რომ როგორმე ფეხსაცმელი არ დამეკარგა.*
*გამახსენდა "შნუროკებიანი" კაცი, რომლის დანახვაზეც ერთხელ გავბრაზდი - ეს არის პრეზიდენტის დანაპირები მილიონი სამუშაო ადგილი-მეთქი?!*
*კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ როგორი ახლომხედველი ვარ მე და რა შორსმჭვრეტელია ჩვენი ხელისუფალი.*
*როცა უკვე მეორედ გადავეყარე, იშვიათი სპეციალობის ადამიანი სასაუბროდ გამოვიწვიე. მუნჯი აღმოჩნდა. გაზეთი, მართალია, დიდი ხანია, არ უყიდია. არ სჭირდებოდა. როცა მის შესახებ დაიბეჭდება, შემპირდა, რომ აუცილებლად იყიდის. ინტერვიუ არ გამომივიდა, ინფორმაცია კი მოვიპოვე.*

დალი კუპრავა

მოსიარულე ადამიან-გარდერობებს, სუპერმარკეტებსა თუ მეწვრილმანეებს დიდი სარგებლობა მოაქვთ: მათ თანამოქალაქეებს გზადაგზა შეუძლიათ შეიძინონ საჭირო ნივთები - თუ დაავიწყდათ, დაინახავენ და გაახსენდებათ, რომ სჭირდებათ, ან ექსტრემალურ ვითარებაში დაეხმარებათ, რომ უცებ გადაჭრან პრობლემა.

ჩვენი გმირი სასარგებლო ადამიანია. დღეში ოთხ-ხუთ წყვილ ფეხსაცმლის თასმას ყიდის, ზამთარში კიდევ უფრო მეტ ფეხსაცმელში ჩასაფენს - "სტელკას" და შედარებით იშვიათად - შესაკრავ ელვას, "ზმეიკას". მყიდველები, ძირითადად, ქალები და ასაკიანი ადამიანები არიან.

როგორც გავიგე, ადრე ვაჭრობაში არ მუშაობდა, რაღაცეებს აკეთებდა ფაბრიკაში, სადაც მასავით ლაპარაკის უნარს მოკლებული ადამიანები მუშაობდნენ. მას ნივთებს გასაყიდად აძლევენ და იმათ ფულს უხდის. ვინ გაძლევს-მეთქი და, ხელით მაღლა მიმანიშნა. ალბათ, უფროსს გულისხმობდა.

დღეში ხან ორი ლარი რჩება, ხან მეტი და ზოგჯერ ნაკლებიც. ოჯახში მარტო არ ცხოვრობს და შემოსავალიც, ისე რა, - ყოფნით. სპეციალურ სკოლაში უსწავლია, კითხვა იცის და ადრე სამსახურშიც დასჭირვებია - ახლა, აბა, რაშიო, გაშალა ხელები.

ხომ გახსოვთ, როგორ ითრევდა ფეხს დავით კლდიაშვილის გმირი, ოტია ქამუშაძე და ცოლს ეურჩებოდა, რა გვინდა ქალაქში, სოფელში დავრჩეთო.

არც ჩვენს გმირს ნდომებია ქალაქში გადმოხვეწა, მაგრამ სოფელში ფული არ ჰქონდათ. მიწა? ხელები ენერგიულად გაასავსავა. ისე კი, ქალაქში ყოფნას სოფელში ცხოვრება ურჩევნია. აქ ცივაო, მანიშნა, სოფელში ღუმელი ანთია, მიუჯდები და გათბებიო. თუ სწორად მივუხვდი, შვილი ჰყავს. ცოლი კი, დიდი ხანია, არ უნახავს.

ადრე უკეთ ცხოვრობდი-მეთქი, - ვკითხე ჩემს რესპონდენტს. ეჰ, ორივე ერთია, ადრეც და ახლაცო, მიპასუხა. არც ადრე და არც თავისუფალ საქართველოში არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ იცის, ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი. აქ კი ხელი ჩაიქნია.

გაოცებულმა ვკითხე: ჰო, მაგრამ, შენ რატომ ხარ უკმაყოფილო, გაზეთებს შენ არ კითხულობ და ახალი სამსახურიც პრეზიდენტმა გამოგიძებნა, რას ერჩი-მეთქი?!



*"შნუროკებიანი" კაცი - სასარგებლო ადამიანია*

www.24hours.ge 24 B

# შეუძლებელის სიყვარული ქართულად

ნინო კირთაძე - პიერ რიშარისა და ვიტორიო გასმანის ქართველი პარტნიორი - ევროპელებს კავკასიის ამბებს უყვება

მადი სერებრიაკოვა

*უარდ შევარდნაძის სამი ცხოვ- – ასე ერქვა საფრანგეთში მოღ- ართველი კინოდოკუმენტალის- და მსახიობის ნინო კირთაძის ლ სრულმეტრაჟიან დოკუმენ- ილმს, რომელმაც კანის ფესტი- წარმატებას მიაღწია. ერთი შემდეგ მას მოჰყვა ჩეჩნეთის ემაზე შექმნილი დოკუმენტური* ***"იყო ერთხელ ჩეჩნეთში"****, რო- ც ე.წ. "გერმანული ოსკარი" – ენტური კინოს უმაღლესი ჯილ- დოლფ გრიმეს პრემია და პრა- ნოფესტივალის პირველი პრიზი ხურა. შარშან, ბუშისა და პუტი- ავედრის წინ, ის საგანგებოდ აჩ- აშშ-ს სენატში. აქტუალური პო- ური თემატიკით გამორჩეულ ბს მოსდევს უმსხვილესი ფრან- ერმანული არხის* ***"არტე"****-სთვის ებული, ქართული სამგლოვია- რადიციების ამსახველი ფილმი* ***რით ჩემს მეგობრებს, რომ რი ვარ"****. დასავლეთისთვის კავ- წარდგენას ნინო კირთაძე მხო- საკუთარი პასუხისმგებლობითა უზიაზმით აგრძელებს - საქარ- ში მისი ფილმები ჯერ არ უჩვე- . სამაგიეროდ, ქართულ კინო- რებას იგი შემორჩა (პიერ რი- ერთად) ნანა ჯორჯაძის გახმა- ლ ფილმში* ***"1001 რეცეპტი შეყ- ული კულინარისთვის"*** *შესრუ- ლი მთავარი როლით. ახალი სთვის მასალის საძიებლად ჩა- ი ნინო კირთაძე ამ დღეებში* ***"24 "*** *სტუმარი იყო.*

ო კირთაძე კინოში ჟურნალისტი- მოხვდა. 1994 წლიდან იგი **AFP-** **Associated Press**-ის კორესპონ- იყო კავკასიის რეგიონში. ჩეჩ- ომის დაწყება მისთვის უმძიმესი ნიშვნელოვანესი შთაბეჭდილება აც, მოგვიანებით, მრავალი ევ- ი პრიზით აღნიშნულ მის ფილმში ჩეჩნეთში ნინოს მივლინებებს საქართველოში პიერ რიშარი ჩა- . ახალგაზრდა ჟურნალისტი შემ- გახმაურებული, ოსკარზე წარდ- ი ქართულ-ფრანგული ფილმის ბ ტელესიუჟეტის მომზადებას და. საბოლოოდ კი ნანა ჯორჯა- რათში მთავარი როლის შესრუ- და ფრანგი ვარსკვლავის პარტნი- მოუხდა. წარმატებული სამსახი- რიერის წყალობით, ნინო კირთა- რანგეთში მოხვდა. საკუთარ კი- ტნიორებს შორის იგი ვიტორიო საც მოიხსენიებს:

**ადაღებების დროს ბევრს ვსაუბ- თ. ერთხელ, შესვენებაზე, ასეთი ამბო: "ბავშვობაში საშინლად მე- ოდა მიწის დამუშავება. სულ ვე- ისეთ სამსახურს, სადაც ნაკლები ო მექნებოდა და ბევრ ფულს გა- იდნენ. და აი, კინო ვიპოვე.**

მცა, ნინო კირთაძეს ვარსკვლავ ორებს შორის განსაკუთრებული იდებულება მაინც პიერ რიშარ- ს. რიშარი მისი მეორე დოკუმენ- ფილმის **"იყო ერთხელ ჩეჩნეთ-** პროდიუსერიც გახდა. თუმცა, ამ ს გადაღებისთვის საჭირო კონტ- ს დადება **"არტე"**-სთან კირთაძემ ი წარმატებული სურათის **"შე- აძის სამი ცხოვრების"** შედეგად .

***ვარდნაძის სამი ცხოვრება"****, ფაქ- ვად, საქართველოს პრეზიდენტ- ულიად არატრადიციული ინტერ- წორედ ეს არის მისი წარმატების ლო:*

**ადაღებების დაწყებამდე არა- მსგავსი ევროპული ფილმი ვნა- ტერანზე, დე გოლზე... ყველა ში საუბრობდნენ პრეზიდენ- რომლებმაც შესანიშნავად პასუხი ყველა კითხვაზე, მათი ი სიტყვა პოლიტიკურად კო- ლია, მკაცრად დაცულია პო- ური ეტიკეტი. ჩემს ფილმში კი სიტუაცია შეიქმნა, თითქოს არი ოჯახის წევრი გელაპარა- ქ არის ძალიან პერსონალური ბები სამფორმაციაგამოვლი- ამიანისა, რომელიც სამივე რე- წამყვანი პოლიტიკური ფიგუ- .**

ო კირთაძე პრეზიდენტით კმაყო- ალბათ, ერთადერთი ადამიანია. ოველოში, საყოველთაო პოლიტი- დეპრესიის ფონზე, იგი ხალისით ედუარდ შევარდნაძესთან საუ- გატარებულ საათებზე:

**ომ არა პრეზიდენტის გულისხ- ა და გულწრფელობა, ფილმი ოვიდოდა. ჩვენ მას ვაწუხებდით ად შეუფერებელ სიტუაციებში, ევდით უამრავ დროს. ერთხელ ბით მითხრა, ამ კითხვებზე რომ ხო, შვებულებაში უნდა გავი- კრანზე საუკეთესოდ ჩანს ადა- ემოციები, მისი გულწრფელო- ველასთვის თვალშისაცემი იყო დიდად დააფასეს მაყურებლებმა ტიკოსებმა.**



ნინო კირთაძე გადაღებებზე



გადამღები ჯგუფი



ნინო: "მე მინდა, რომ ეს კარდი..."

კირთაძის ფილმის გმირი მსხვილი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც თამამად საუბრობს სტალინზე, "პერესტროიკაზე", საკუთარ გადაწყვეტილებებზე, იგონებს საბჭოთა ადამინის ცნობიერებაში გაჩენილ ეჭვს, მღელვარებასა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობასაც. მსმენელი კი კირთაძის პრეზიდენტს მრავლად გამოუჩნდა. კანში ფილმის წარმატებას თავად ავტორიც არ ელოდა. არავის ეგონა, თუ მხატვრული კინოს დღესასაწაულზე ვინმე საქართველოს პრეზიდენტზე გადაღებულ ერთსაათიან ფილმს ბოლომდე ნახავდა. თუმცა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენებაზე სრული ანშლაგი იყო, შემდეგ კი საათნახევრიანი კონფერენციაც გაიმართა:

**- ვერ წარმოიდგენთ, რა გრძნობა იყო, როდესაც ფილმის შემდეგ უამრავი ხალხი მოდიოდა და საკუთარ შთაბეჭდილებას მიზიარებდა – რომ ვიღაც უკვე იყო საქართველოში, ვიღაცას ჩამოსვლა უნდოდა...**

ნინო კირთაძის კინოდოკუმენტური დებიუტი ევროპის უმნიშვნელოვანესმა არხებმა იყიდეს, ერთ თვეში კი ქართველი რეჟისორი **"არტე"**-სთან კიდევ ერთ კონტრაქტზე აწერს ხელს. **"იყო ერთხელ ჩეჩნეთში"** სრული ავანტიურის შედეგად ჩნდება:

**- არავითარი გარანტია არ მქონდა, რომ კიდევ ერთხელ შევაღწევდი ჩეჩნეთში. აბსოლუტურად არალეგალურად ვიყავი ჩასული. ათასი სისულელე გადაგვხდა: ოპერატორი მანქანის საბარგულში გვეჯდა, არავითარი საბუთი არ გვქონდა...**

როგორც ვთქვი, ნინო კირთაძე ჩეჩნეთში პირველად ფილმის გადაღებამდე ბევრად ადრე, ჟურნალისტის სტატუსით მოხვდა. თავად შეესწრო ომის დაწყების პროცესს, დაძაბულობას, გაურკვევლობას:

**- შიგნიდან ეს პროცესები სულ სხვანაირად ჩანდა. ამ ყველაფერს უდიდესი იდეოლოგიური მანქანა უქმნიდა საფუძველს. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს რუსი პოეტების ტექსტები "ბოროტ ჩეჩნებზე". პირველ ომშიც ხომ ასე იყო - ყველაფერს აკეთებდნენ იმის დასამტკიცებლად, თითქოს, რუსები რომ არ შესულიყვნენ, ჩეჩნები ჭუჭყით დაიხოცებოდნენ. ახლაც თითქმის იგივე ხდებოდა: აფეთქებები მოსკოვში, როგორ შეფასებას აძლევდა ამას მედია, როგორ აღვივებდნენ ჩეჩნურ ისტერიას. სინამდვილეში, ადგილზე ყველაფერი სხვანაირად იყო. ვუყურებდი ამ ხალხს, - შეშინებულს, დატერორებულს. ამ დროს, მეორე მხრიდან, ეს საწყალი, გამოუცდელი რუსი ბიჭები, რომლებიც უაზროდ ესროდნენ ყველაფერს, რაც კი მოძრაობდა.**

**"იყო ერთხელ ჩეჩნეთში"** არც ერთი მხარის პოზიციის დეკლამირებას არ ემსახურება. ფაქტობრივად, ეს ჟურნალისტების თვალით დანახული ჩეჩნეთია. ფილმი ხუთი უცხოელი ჟურნალისტის მოგონებებს ეყრდნობა. თითოეული მათგანი ჩეჩნეთის ომში მიდიოდა სამსახურებრივი მოვალეობის აღსასრულებლად. საბოლოოდ კი, ჩეჩნეთის ომი მათთვის "ცხოვრების საქმედ" იქცა. ერთმა მათგანმა, ინგლისელმა ჟურნალისტმა ქალმა, საერთოდ დაანება ჟურნალისტობას თავი, გროზნოში სახლი იყიდა და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს უვლის:

**- ამ ფილმში ვერ შეხვდებით ჩეჩენს, რომელიც თავის პრობლემებზე ლაპარაკობს; რუსს, რომელსაც ტერორი აწუხებს. ჩვენ მოვხვდით სრულ აბსურდში, კაფკას კოშმარულ სიუჟეტში. იქ ჩამოსულ ჟურნალისტებს უფრო საშინელი ომებიც უნახავთ, მაგრამ, თავისი აბსურდულობით, ეს ყველაზე შემზარავი იყო. ამიტომაა, რომ ამერიკელისთვის, ჩეხისთვის ის პირად საქმედ იქცა.**

**- ამ ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, ბუშისა და პუტინის შეხვედრის წინ: არსებობს მათი დაახლოების პოლიტიკური ინტერესი, ჩეჩნეთი კი ამ ინტერესებს ეწირება. როდესაც ტერორიზმის მსხვერპლი ხდება ისეთი ზესახელმწიფო, როგორიც აშშ-ა, ეს მსოფლიოს პრობლემად იქცევა, ხოლო როდესაც მთელი ერის გენოციდი ეწყობა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც ჩეჩნეთია, ეს არავის პრობლემა არ არის. იქ ეს დაფიქსირდა.**

ასეთი მძაფრი პოლიტიკური პრობლემების შემდეგ, ნინო კირთაძის ქართული სამგლოვიარო ტრადიციებით დაინტერესება, ერთი შეხედვით, უცნაურად გამოიყურება. "არტე"-ს მიერ დაკვეთილი მესამე ფილმი, რომელზეც ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა - **"უთხარით ჩემს მეგობრებს, რომ მკვდარი ვარ"** - სიკვდილის თემას უტრიალებს. ამ ფილმის იდეა 10 წლის წინათ დაიბადა, მაგრამ საფრანგეთში უცნობ რეჟისორს ამისთვის ფულს არავინ მისცემდა. ქართველი რეჟისორიც ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. ამასობაში მასალაც თანდათან გროვდებოდ კირთაძესთან ერთად ფილმზე წიბახაშვილი მუშაობდა. ნინომ სცენარს "წიბახას" სასაფლაოებ დაღებული ფოტოები დაურთო დ "არტე"-ში წარადგინა:

**- თავიდან არ სჯეროდა კითხებოდნენ, ხომ არ იგონები დეგ, გადაღებებზე, ოპერატორი კიც ამბობდა, არავინ დაიჯ რომ ეს ყველაფერი დადგმუ არის და სინამდვილეში ხდება როპელისთვის ქართული სამგ არო ტრადიცია სრულიად გა რია. იქ არის სპეციალური ბ მოკვდა კაცი? – რეკავ ბიუ მოვლენ, ყველა პრობლემას რად, ანონიმურად მოაგვარებ სას ჩაატარებენ და ყველაფერ თავრებულია. საქართველოში მთელი შოუა, წარმოუდგენელ ტუალებით. შოუს მიღმა კი, მეტხანს თუ დარჩები, ისეთ პო ისეთ ფაქიზ დეტალებს დაინახა რელიგიის, ფილოსოფიის მიღმ ზობლები, ნათესავები, რომ მთელი კვირის მანძილზე აქ ა მოაქვთ კომშები, ვაშლები... და ნობა სრულიად გულწრფელი დინი, რომ მათი სიყვარულის მოვლინება ერთ მშვენიერ დღე ვალებულს დააბრუნებს. ხალხ აკეთებს წლობით, ყოველდღიუ არ შეიძლება, ასეთი რამ არაგ ფელი იყოს.**

ამ უცნაურ ტრადიციებს ნინ თაძე ფრანგულ "შეუძლებელის რულს" ეძახის. ეს ის გრძნობაა, საც სიყვარულის ობიექტი მიუწ ლი არსებაა. ქართულ სამგლო ტრადიციაში კი იგი ორმაგად მიუ მელი მიცვალებულია. ეს ერთგვა ცოცხლეა სიკვდილის შემდეგ. სა ლოში გადაღებული მასალა თავ ჟისორისთვის გამაოგნებელი ა და. მთელი გადამღები ჯგუფი, რ შიც კიშლიოვსკის ერთ-ერთი გამ ლი პარტნიორი, იაჩეკ პეტრიცკ (სწორედ პეტრიცკიმ გადაიღო მენტური ფილმი კიშლიოვსკიზე რული იყო მგლოვიარეთა გულის ყებელი ჟესტებით, მზრუნველ ტრაგიკომიკური რიტუალებით.

**- საფლავები კი, არა ზოგ მათგანი ლუვრის დარბაზია. წარ გენელია, ფერში, ზეთით შესრუ ლი პორტრეტული ტილოები. მერ ტაფიები – მაღალი პოეზიის ნამ ნიმუშები. წარმოიდგინეთ, რა ა ევროპელისთვის, რომლისთვისა ფულია. აქ კი დღეს ჩვეულებრივ ხი, ყოველდღიურად, წლების მა ზე, დაუზარებლად დადის საფლა მიცვალებულს შამპანურის ბო და ათას წარმოუდგენელ ნივთს საფლავში. მერე ლექსები – წარ გინეთ, ადამიანები, რომლებიც ლიად შედიან მიცვალებულის რ და, აქედან გამომდინარე, სერი პოეზიას ქმნიან. სამეგრელოში ვნახეთ ქალი, რომელსაც შვი ლონში ჰყავს დასაფლავებული ველდღე მოთქვამს: გელოდები გამოჩნდებიო. ეს ყველაფერი რად გამოიყურება, მაგრამ სინ ლეში ისეთი პოეზიაა... ეს არის იმედზე, შეუძლებელ იმედზე, რო მზრუნველობა, სიყვარული "ე გამოდგეს".**

**"იყო ერთხელ ჩეჩნეთში"** წელს დასრულდა. ის პირველად 11 სექტემბრის მოვლენებიდა რამდენიმე დღეში აჩვენეს. ფილ ვის ეს უდიდესი გამოცდა იყო: რიზმით შეძრწუნებულ მსოფ მთელი მუსლიმანური სამყარო მძაფრი დამოკიდებულება ჰქონ ფონზე, პატარა მუსლიმანურ ნას, რომელსაც სწორედ ტერორ ბრალდებით მიწასთან ასწო ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს რძნობა დაემსახურებინა. თუმც ნალი ამჯერადაც სასიამოვნოდ ლოდნელი გამოდგა: **"იყო ერ ჩეჩნეთში"** დოკუმენტური უმაღლესი ევროპული ჯილ "გერმანულ ოსკარად" წოდ ადოლფ გრიმეს ოქროს პრიზი ჯილდოვდა. საუკეთესო დოკუმ რი ფილმის წოდება მიიღო პრაღ ნოფესტივალზე, დაიმსახურა "ე 2001"-ის პრიზიც. რადიო "თავ ლების" ინიციატივით, ფილმი ვ ტონის სენატშიც აჩვენეს.

**"უთხარით ჩემს მეგობრებს მკვდარი ვარ", "არტეს"** შეკ მზადდება საგანგებოდ დაგეგმი მატური საღამოსთვის, რომელიც დილთან დამოკიდებულებას ეხებ კირთაძე კი ახალ ფილმზე იწყებს ობას. სტალინი – მისი მორიგი დოკ ტური ფილმის თემა იქნება.

**- უდიდესი სიამაყის მომგვრ როდესაც შენი პატარა ქვეყნის ისე მოყვები, რომ ამერიკელი ფრანგისთვის და მაროკოელი ერთნაირად მისაღები და საინტ გახდება.**

### სინემა

კინოთეატრი "რუსთაველი", "ელისო"

## ...იტერ პენი-2, დაბრუნება ნევერლანდში„

აშშ. 2002წ



...რი: **რობინ ბადი**

...ხათ ყველა ბავშვს უოცნებია ისეთ ...ულ ქვეყანაში მოხვედრა, სადაც ...ების ხსენებაც არ არის და რასაც ... იმას გააკეთებენ, სადაც ბუნების ...ბი არ მოქმედებენ და ფრენა ისე... ...დვილი საქმეა, როგორც მიწაზე ...ლი.

...ოლტ დისნეის" ეს მულტიპლიკაცი... ...ლმი სწორედ ასეთ ჯადოსნურ სამ... ...გვიხატავს, სადაც ბავშვები დღე... ... თამაშით არიან გართულნი და ...არი პრობლემები მათ არ აწუხებთ. ...ნ ბუკთან ბრძოლაც ხომ მათთვის ... და გართობაა.

...ტერ პენ-2"-ში მოქმედება მეორე ...იოო ომის დროინდელ ლონდონში ... პატარა გოგო, რომელმაც საკუ... ...ვალით იხილა ომის საშინელებე... ...დრევად დასერიოზულდება და დე... ...ერ მოყოლილი ზღაპრები პიტერ ...ესახებ აღარ სჯერა. მისთვის მთა... ...ჰაერიდან ჩამოვარდნილ ბომბებს ...ლი გადაურჩეს და უმცროს ძმას ...ის, როგორც ამას ფრონტზე წა... ...მას შეპირდა.

...რედ ამ გოგოს მოიტაცებს მეკობ... ...აპიტანი ბუკი და ზღაპრული კუნ... ...კენ გააქანებს, რათა მისი მეშვეო... ...უხელთებელი მტერი – პიტერ პენი ... და დაიჭიროს. პატარა გოგომ კი, ...აც თვალნათლივ იხილა დედის მი... ...ბობი ჯადოსნური სამყარო, სული... ...ამოიღვიძებს და სულ სხვა კუთხით შეხედავს თავის ცხოვრებას, მარტივად რომ ვთქვათ, დაკარგული ბავშვობა დაუბრუნდება.

ეს ფილმი ზღაპრის ყველა ნიშან-თვისებითაა გადაღებული, სადაც ბოროტი მარცხდება და სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს. მხოლოდ ერთია სათქმელი – კაპიტანი ბუკი გაჭირვებით თუ ჩაითვლება ბოროტების განსახიერებად. იგი უფრო უიღბლო მეკობრის შთაბეჭდილებას ტოვებს. მულტფილმში ისე ჩანს, რომ მეკობრეთა წინამძღოლს, პიტერ პენის ხელში ჩაგდებაზე უფრო უზარმაზარი რვაფეხისგან თავის დაცვა აინტერესებს. მაგრამ ეს ხომ ზღაპრული და ჯადოსნური სამყაროა, ამიტომაც იქ მიწიერი კანონები და წესები არ მოქმედებენ და ყველაფერი ალოგიკურია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ფილმის შემქმნელები პიტერ პენის შესახებ პირველი ფილმის გავლენიდან ვერ განთავისუფლდნენ და ამ სურათში ერთი სიახლეც არ იგრძნობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ "უოლტ დისნეის" კომპანია მულტფილმებს ყველა ასაკის მაყურებლისთვის ამზადებდა. ერთი და იგივე ნახატ ფილმს სიამოვნებით უყურებდნენ, როგორც ბებია-ბაბუა, ასევე შვილიშვილები. ამჯერად კი ეს ტრადიცია დაირღვა. "პიტერ პენი 2" მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, შესაბამისი სიუჟეტითა და მოქმედი გმირებით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ პატარებში ეს ფილმი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

*არჩილ მელიქიშვილი*

## ქართველები რუსეთში

...დეკემბრამდე, გამოფენაზე Georgia: ..., უცხოელი ხელოვანები – მათ შო... ...საკვირველია, რუსებიც – მოსკოვე... ...აქართველოს გააცნობენ. გამოფენა ...ის თანამედროვე ხელოვნების ცენ... ...აიმართება.

...ა, გერმანელ, უკრაინელ, ესტონელ ...თველ მხატვრებს, კომპოზიტორებს, ...ქტორებსა და მოდელიორებს 20-...1 ოქტომბრამდე საქართველოში ...აურიათ. გამოფენის ორგანიზა... ... თქმით, "ექსპედიციის მიზანი იყო ...კიული ქართული კულტურის, გაქ... ...პირას მისული უნიკალური ხელოვ... ...ანამედროვე აქტუალურ პრიზმაში ...ტეხა, შემდეგ კი ნახევარი თვის გან... ...ბაში, ნანახის საფუძველზე, ახალი ...ნების ნიმუშების შექმნა."

...ორები არიან დიმიტრი ბულნიგინი, ...მი, მიხეილ ფალიაშვილი, ანა რიაბო... ...გოგი ძოძუაშვილი და სხვანი. ძალიან ...რესო გამოფენაა: ვიდეოკლიპები, ინსტალაციები, ფლეშ-ანიმაციები, ობიექტები, არქიტექტურული პროექტები... რამდენიმე ექსპონატის შესახებ მოგახსენებთ: მოდელიორებმა იაკოვ კაჯანმა და ქსენია პეტრუხინამ შექმნეს "ქართული კაბა", რომელზეც ნაციონალური პეიზაჟები და სახეებია გამოსახული – როგორი ეგზოტიკაა, როგორი სიყვარული! მოსკოვურმა ჯგუფმა "არქიტექტორთა გამყინვარება" ელექტროსადგურის პროექტი შემოგვთავაზა – სინათლის წყარო მუსიკალურია, ასე რომ, აღარც სიბნელე გვემუქრება და აღარც არაფერი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი მაინც საცვლებია: ლესია ზაიაცმა და ალექსანდრ გნილიცკიმ ტყლაპისგან დაამზადეს. რა კარგია, მოსკოველები ტრუსებით დანაყრდებიან!

ესაა ხალხთა მეგობრობა: ისინი შუქს მოგვცემენ, ჩვენ – ვიტამინებს... თან რუსი და ქართველი ხალხების კულტურული ერთობისა და განუყოფლობის ნიშნად რუსულ-ქართული ელექტრონული მუსიკის რამდენიმე საღამოც გაიმართება.

### კალენდარი

## 14 დეკემბერი

... თ-ერთ ინტერვიუში ცნობილმა ...ბმა ჯეინ ბირკინმა თავისი კინო... ...ნეობა ასეთნაირად შეაფასა: "მე ...ნიმე ბინძურ ფილმში ვითამაშე, ... ამ გადაღებების დროს ისეთ კარგ ... ვატარებდით, რომ ნამდვილად ..."

...ნ ბირკინის დედაც მსახიობი ...მიტომ პატარა ჯეინს მომავალი ...სიის არჩევაზე დიდხანს არ უფიქ... ...ელისების ცხოვრება და ინტრიგე... ... ბავშვობიდანვე იზიდავდა. 17 ...ირკინი სცენაზე გამოჩნდა გრემ ...ა და სერ რალფ რიჩარდსონის პი... Carving a Statue. შემდეგ მას შეს... ...ს როლი ჯონ ბერის – პოპულა... ...ჯეიმს ბონდის სერიალის კომპო... ...ის მიუზიკლში Passion Flower ... ამ მიუზიკლმა ჯეინ ბირკინის ...ებაც შეცვალა, ცოტა ხანში ის ...რის გაჰყვა ცოლად.



...კინის კინოდებიუტი 1964 წელს ...რიჩარდ ლესტერის ფილმში The Knack... And How To Get It. საყოველთაო პო...ობა ჯეინ ბირკინმა ორი წლის შემდეგ მოიპოვა ანტონიონის ეგზისტენციური ...თ Blow Up. მაყურებელი მოიხიბლა მისი სილამაზითა და ექსპრესიულობით. ...ებელი, თითქმის, ერთხმად ამბობდა, რომ ჯეინ ბირკინი ამ როლისთვის ზედ...რილი იყო.

...ნ ბერის შემდეგ ჯეინ ბირკინი ფრანგ რეჟისორს - ჟაკ დოილონს გაჰყვა ცო... ...მ დრო ბირკინი უკვე ფრანგული კინოს ვარსკვლავი იყო. დოილონთან ერთად ...ნს არ უცხოვრია. ჯეინ ბირკინმა თავისი ბედი მალე ფრანგ კომპოზიტორსა და ..., სერჟ გინსბურგს დაუკავშირა. ცოლ-ქმარმა ერთად ჩაწერა დუეტი Je'taime-...on Plus ("მე შენ მიყვარხარ – მე აღარ"), რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სექსუა... ...უსიკალურ კომპოზიციად დაასახელეს და რომლის გაშვება "ბი-ბი-სიმ" აკრძა...ეც.

...**ნ ბირკინი** 1946 წლის 14 დეკემბერს დაიბადა ლონდონში. მისი შვილი შარ...ინსბურგი დღეს პოპულარული მსახიობია, კინომოყვარულები შარლოტს კარ... ...ნობენ ფილმიდან "ცემენტის ბაღი", რომლის რეჟისორიც მისი ბიძა – ცნობი... ...ერიუ ბირკინია.

## თბილისურ-მოსკოვური სეიშენი "ამირანში"

ორდღიანი "თბილი ჯაზი" დღეს დასრულდება

ვერა ნეფარიძე

კინოთეატრ "ამირანში" გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება ჯაზური მუსიკის ორდღიანი საღამო "თბილი ჯაზი". კინოთეატრის ადმინისტრაციამ ახალი პროექტი თბილისურ-მოსკოვური სეიშენით წარადგინა.

ახალი პროექტის - "თბილი ჯაზის" მიხედვით, კინოთეატრი ამიერიდან მხოლოდ ამერიკული ფილმების მოყვარულთა საყვარელი გასართობი ადგილი როდი იქნება. "ამირანის" მესვეურებმა გადაწყვიტეს, დარბაზს ტრადიციები აღუდგინონ და საკონცერტოდ გამოიყენონ და ამ მიზნით, თითქმის, ხუთასკაციანი დარბაზი თვეში ერთხელ ჯაზის მოყვარულებსაც დაუთმონ. თბილისელი მელომანებისთვის კი ორგანიზატორები მაღალი დონის შემსრულებლებს უცხოეთიდან მოიწვევენ. გუშინდელი და დღევანდელი კონცერტებისთვის მათ გამოცდილი მოსკოველი ჯაზმენები შეკრიბეს. როგორც ჩანს, თბილისელებმა იდეა აიტაცეს – ბილეთების დიდი ნაწილი კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა.

პირველად "თბილი ჯაზი" გუშინ მიხეილ ოკუნმა (ფორტეპიანო), სერგეი გოლოვნიამ (საქსოფონი, ფლეიტა), ალექსანდრე მაშინიმ (დასარტყამი ინსტრუმენტები) და თბილისელმა თამაზ ყურაშვილმა ააჟღერეს. დღეს ამ შემადგენლობას მაია ბარათაშვილიც შეემატება. რაც შეეხება სტუმრებს, თბილისელი მსმენელი მათ შორის ყველაზე სახელმოხვეჭილს, მიხეილ ოკუნის უნდა იცნობდეს. გუშინ კონცერტამდე ცნობილი პიანისტი კინოთეატრის ფოიეში თბილისური მასმედიის საკმაოდ ვიწრო წარმომადგენლობასაც შეხვდა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თამაზ ყურაშვილი სტუმრებთან ერთად*

ყოფილი ინჟინერი, განათლებით მათემატიკოსი მიხეილ ოკუნი საკმაოდ ცნობილი ჯამზენია მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში. მის ცხოვრებაში ყველაფერი ჯაზიდან როდი დაიწყო. უამრავი მისი თანატოლის მსგავსად, მუსიკის სიყვარული "ბითლზმა" ჩაუნერგა. ისიც უკრავდა გიტარაზე ლეგენდარული ოთხეულის ჰიტებს და, როგორც თავად ამბობს, მიხვდა, რომ "ბითლზი" მსოფლიოში საუკეთესოა. მოგვიანებით კი, როდესაც ჯაზის კორიფეებს გაეცნო, მუსიკის ამ მიმდინარეობისადმი მეტი ლტოლვა გაუჩნდა. ოკუნი ისეთ მუსიკოსთა რიცხვშია, ვინც არასდროს ხვდება პრესაში მუსიკალურ-გასართობ გვერდებზე. ზოგადად, მასმედიის ყურადღებასაც (არ იგუ... ...მება პროფესიონალური, ჯაზზე ... ...ტირებული ჟურნალისტიკა) ძალია... ...ათად იპყრობს. წ ჭ ხ ჭ ,... ...ფილებით ამბობს მუსიკოსი. ... ოკუნი თბილისში მეგობრებთან დ... ...თარ ვაჟთან ერთად ჩამოვიდა. დღ... ...მოცდილი ჯაზმენების აკომპანიმ... ...ცნობილი მომღერალი, მაია ბარა... ...ლი იმღერებს. "მე არ ვიცნობ მას, ... დარწმუნებული ვარ, თამაზი საუ... ...სოს შეარჩევდა", - გვიპასუხა პია... ...შეკითხვაზე, იცნობდა თუ არა ი... ბარათაშვილის შემოქმედებას. სა... როდ, მოსკოველი ჯაზმენი კარგ... ...ნობს თამაზ ყურაშვილს. თამაზ ... ...ვილმა გუშინდელ კონცერტზეც ა... რომ მას მიხეილ ოკუნთან მრავა... ...ნი მეგობრობა აკავშირებს; ამასთა... რამდენიმე ერთობლივი დისკი ა... ...წერილი და ერთობლივი კონცერ... ...გაუმართავთ. დანარჩენი სტუმრე... ...ხეილ ოკუნის, ასევე, მუსიკოსი ... ...იაშას მეგობრები არიან. როგორც ... ...ნიზატორებმა გვითხრეს, შესა... "ამირანის" საკონცერტო დარბაზ... ...როსი ოკუნის ბენდიც ეწვიოს. მ... ...კი "ამირანის" აუდიტორია უფ... ოკუნმა მოხიბლა.

რამდენად გაათბო "ამირანში"... ...რებილი გაყინული თბილისელებ... ...კოვურ-თბილისურმა სეიშენმა, ... ...ბესია, ჯაზის ნამდვილმა მოყვარ... ...მა განსაჯონ.

## "დებიუტის" კინოჩვენება დაიწყო

თამარ მურვანიძე

სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილმების კონკურს-ფესტივალი "დებიუტი" გრძელდება. თბილისური ზამთრის ყინვას ჯერჯერობით არავინ შეუშინებია, სპექტაკლებზე ხალხმრავლობაა. მაყურებელი, რომელიც არცერთ წარმოდგენას არ აკლია, დიდი ინტერესით ელის ყოველ ახალ დადგმას: ახალგაზრდებისთვის "დებიუტი" მარტო კონკურსი არაა, ეს არის ახალი შეხვედრები, ახალი იდეები, საკუთარი და სხვისი ნამუშევრის გაცნობა-შეფასება, კამათიც და შინაარსიანი გართობაც.

12 დეკემბერს თეატრალურ ინსტიტუტში "დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი" ვნახეთ, გუშინ, 13 დეკემბერს მაყურებელი ჯერ "მზიან ღამეს" დაესწრო, მერე კი აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გადაინაცვლა, სადაც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა "მძიმე განსაცდელი" წარმოადგინეს. არტურ მილერის ცნობილი "სალემის პროცესი" (ზოგი ვარიანტით, "სეილემის პროცესი") ქართველმა მაყურებელმა ამჯერად ახალგაზრდა მსახიობების



ვახო ბესელიას ფოტო

*სცენა სპექტაკლიდან*

შესრულებით და, ბუნებრივია, გან... ...ბული ინტერპრეტაციით იხილა.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟ... დიმიტრი ხვთისიაშვილია, მასვე ... ...ნის მუსიკალური გაფორმებაც; მ... ...რია თინათინ ჰეინე. პიესის თარ... ავტორები არიან: თემურ ჩხეიძე ... თევან ლორთქიფანიძე.

უნდა ითქვას, რომ "მძიმე განს... ...ლის" წარმოდგენა მსახიობის ს... შემთხვევითი არ ყოფილა; სპექტ... მსახიობები ამასწინათ გარდაც... ანზორ ქუთათელაძის სამსახიობო... ...ფის სტუდენტები არიან. ბატონი... ...რი მსახიობის სახლში მოღვაწეობ... დადგმა მოსწავლეებმა მასწავლ... ხსოვნას მიუძღვნეს. "მძიმე განს... ...ლი" იყო პირველი სპექტაკლი, ... ...ლიც ახალგაზრდებმა ბატონი ან... გარდაცვალების შემდეგ ითამაშე...

დღეს 4 საათზე თეატრალურ ... ...ტუტში "სისხლიანი ქორწილია" ... ...მილი, მანამდე კი - დილის 12 საა... კინოთეატრ "ქოლგაში" სტუდე... ფილმების ჩვენება დაიწყება. დღ... თეატრალური ჟიურის პარალე... კინოჟიურიც აქტიურ მუშაობას ი...

## „ძაან, ძაან მაGGარია!„

რას ხედავს და იღებს ახალი თაობა

ანა კორძაია-სამადაშვილი

გამოფენა, რომლის შესახებაც გიამბობთ, გუშინ გაიხსნა თარხნიშვილზე, ერთი ჩვეულებრივი სახლის მეოთხე სართულზე: **დავით ცხადაძის** ფოტოსკოლის მოსწავლეებმა თავიანთი პირველი ნამუშევრები გამოფინეს.

შვიდ ავტორს - რუსკების გარდა (ერთმანეთში რომ არავის არეოდა) ყველამ მხოლოდ სახელი მიაწერა თავის ნამუშევრებს - შავ-თეთრი ფოტოები აქვს გამოფენილი. ყოველ მათგანზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე ფოტოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ გამოფენა მხოლოდ სამთვიანი კურსის დამთავრების შემდეგაა მოწყობილი. უჩვეულო პერსპექტივები, პროფესიული კომპოზიციები და დამაჯერებელი პორტრეტები – ეს, ცხადია, პედაგოგების დიდი დამსახურებაცაა, მაგრამ კარგ მთქმელს ხომ კარგი გამგონიც უნდა... ჩემი მისვლისთვის დამთვალიერებლებს უკვე მიეწერათ თავინთი შთაბეჭდილებები: "ვიცოდი, რომ ყოჩაღი ხარ", "ნიჭიერო!", "ძაან, ძაან მაGGარია!"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მომავალი ფოტოგრაფები*

"თინეიჯერები" იმას იღებენ, რასაც ხედავენ: მოხუცის ხელში ჩაბღუჯულ ფქვილის პარკს, ბავშვის სევდიან თვალებს, გაპარტახებულ ქალაქს, დაბინდულ სარკეში არეკლილ სახეს. ალბათ, დასავლეთის რომელიმე განვითა... ...ლი ქვეყნის ომის შემდგომი თ... ბავშვების რეაბილიტაციით დაკ... ...ლი ფსიქოლოგი დისერტაციას ... და ქართველი ახალგაზრდების ... მენზე, სკეპტიკური ქართვე... აუცილებლად იკითხავდა: რა მ... და, შვილო? და მაინც, მიუხედავ... ცთუ სასიამოვნო რეალობისა, ... გაზრდა ფოტოგრაფების ხელო... შეიძლება "კეთილი ხელოვნება" ... დოთ, მით უმეტეს, თუ იმას გა... ლისწინებთ, რომ ისინი ჯერჯე... არც საზოგადოებას ეპრანჭები... არც ხელოვნებათმცოდნეებს ... სწავლობენ.

დაიმახსოვრეთ ეს სახელები ... მად ისინი დათო ცხადაძისა და ბ... ცაბერიძის მოსწავლეები არია... რამ, ამ გამოფენით რომ ვიმსჯ... დიდი მომავალი ელით და ... აუცილებლად ვიამაყებთ, რომ ... პირველი ნაბიჯების მომსწრენი ... ვით: რუსკა ასათიანი, რუსკა გ... დაშვილი, თამუნა ქორქია, ელენ... გინიძე, სანდრო ჭოხონელიძე, ... ჯავახაძე (ფაფი), ნათია კუჭავა.

## ვინ გახდა მსხვერპლი

ცუდო! ცუდი თავი გაბია!

გერმანიის ბულვარულ გაზეთ Bild-ში ისტორიკოს იორგ ფრიდრიხის წიგნის - "ცეცხლი: გერმანია ბომბებქვეშ. 1940-1945"- რამდენიმე თავი გამოქვეყნდა. საზოგადოება აღშფოთდა.

დიდი ბრიტანეთის პატრიოტების რისხვა მეტ-ნაკლებად გასაგებია: ავტორი ინგლისელებს და თვით უინსტონ ჩერჩილსაც სამხედრო დანაშაულებში სდებს ბრალს, რაც ბრიტანელებმა ეროვნული ღირსების შებღალვად აღიქვეს. ხოლო გერმანელებმა კვლავ საყვარელ თემაზე დაიწყეს კამათი – დამნაშავეა გერმანელი ხალხი, თუ - ომის მსხვერპლი. მოგეხსენებათ, ნაცისტთა ცოდვების გამო დღემდე არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ერი ცდილობს, წარსული მოვლენები საერთოდ არ გაიხსენოს და ყველას, ვინც ხმას იმაღლებს, უმალვე ნეონაცისტად რაცხავს.

აქამდე გერმანელთა სასარგებლოდ ყველაზე სერიოზულ არგუმენტად მიაჩნდათ 1969 წელს გამოცემული კურტ ვონეგუტის წიგნი - "სასაკლაო ნომერი ხუთი, ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა", რომელიც 1945 წელს დრეზდენის უაზრო დაბომბვას ეძღვნება. პირველი მწერალი კი, ვინც ნაციის თვითშეგნების კარდინალურად შეცვლა შეძლო, ნობელის პრემიის ლაურეატი, ანტიფაშისტი მწერალი გიუნტერ გრასი აღმოჩნდა. გასულ წელს მან გამოაქვეყნა რომანი - "შეწყვეტილი რეისი". მაშინ გაზეთი Die Welt წერდა, - გრასმა ისტორიული ტაბუ დაარღვიაო. მართლაც, უცნაური ამბავია – "გერმანული ტიტანიკის" შესახებ თავად გერმანიაში ცოტას თუ სმენია. ამბავი კი ასეთი გახლავთ: 1945 წლის 30 იანვარს სამგზავრო ხომალდი, რომელზეც, დაახლოებით, ცხრა ათასი გერმანელი ლტოლვილი და დაჭრილი იმყოფებოდა, საბჭოთა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. ეს ზღვაოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატასტროფა იყო. ამ მაშტაბის მოვლენის აღწერას, ალბათ, გრასის დონის ოსტატი თუ მოახერხებდა ისე, რომ აგრესიული რეაქცია არ გამოეწვია.

იორგ ფრიდრიხმა კი ეს ვერ შეძლო – მას ან ოსტატობა არ ეყო, ან ლავირების უნარი, ანდა - "მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირე ქვეყნების მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების უპრეცენდენტო კრიტიკა" მართლაც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. ზოგიერთებს გაახსენდათ, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში შესვლის შემთხვევაში ამ ქვეყნების მოსახლეობას სავსებით რეალური საფრთხე ემუქრება.

ამ წიგნის პათოსი და ძირითადი თემა იმ გერმანელთა ტანჯვას შეეხება, რომლებიც – ამაში ავტორს ნამდვილად ვერავინ შეეწინააღმდეგება – ასევე ამ ომს ემსხვერპლნენ. 1940-1945 წლების დაბომბვის შედეგად დაიღუპა 635 ათასი გერმანელი, და... გერმანული ქალაქები, მათ შო... ჰამბურგი, კიოლნი და დრე... ფრიდრიხი ამტკიცებს, რომ ეს ... ფერი თავად ჩერჩილის მიერ იყ... ცირებული, და მიზანი, სწორე... სახლეობის მოსპობა იყო. ბრიტა... ისტორიკოსმა, ენტონი ბივორმა... ხად ბრძანა, - თუ კარგია, ბო... სროლა გერმანელებმა დაიწყეს... მა კოლეგამ, კარლ კონელმა ... ითხოვა, რომ გერმანელებმა დი... ტანეთს საჯაროდ მოუხადონ ბ... მიყენებული შეურაცხყოფისთვი...

რუსულ პრესასაც შესანიშნა... აქცია ჰქონდა, თუმცა მისთვის ... არაფერი უკითხავს: ისტორიულ... ლი ხომ სისულელე არაა და ო... ლოსდაბოლოს, გერმანიამ და... ისტორიული ბრალისა რა მო... ნოთ, მაგრამ გამოთქმა - "ის... თავად განვგსჯის", ჩანს, სისუ... ყოფილა.

# ეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

ახელი და გვარი

მისამართი:

აფოსტო ინდექსი:

აკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნე-
ისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და
ატომ?

აქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

იგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც
მაყობთ?

აქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი?
ონკრეტულად რა?

აქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის
მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს?
ერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაიღონ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ცხელი ხაზი

რომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ოპტიმიზა-
ა და რესტრუქტურიზაციის პროცესის გამჭვირვალობისათვის სპეციალური
ლი ხაზი" გაკეთდა. როგორც სამინისტროში გვარწმუნებენ, ამიერიდან ნე-
ერ დაინტერესებულ პირს შეეძლება სრული ინფორმაცია მიიღოს ამ აქტუა-
ი პრობლემის გარშემო.
ცხელი ხაზის" ტელეფონებია 983703 და 387851.

## "განსაკუთრებული არაფერი მომხდარა"

ბილისის საკრებულოში ქალაქის მთავრობის დამტკიცებისას ჯანმრთელო-
და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს დავით პავლიაშვილს ერთი ხმა
ო იმისთვის, რომ კვლავ თავის სავარძელს დაბრუნებოდა.
ავით პავლიაშვილი:
ვენი სამსახურის მისამართით გამოთქმული პრეტენზიები იმ მოვლენებს
მირდება, რაც საერთოდ ქვეყანაში ხდება. არასამთავრობო ორგანიზაციების
ომადგენლებმა ბრალი დამდეს იმაში, რომ მე ვერ შევძელი სამედიცინო მომ-
რების ფასების ზრდის შეჩერება, გაჭირვებულთა შესაბამისი დახმარება და
სეთ ბრალდებებს, ცხადია, არ ვეთანხმები, ვინაიდან ეს აბსოლუტურად არ
ს ჩემს კომპეტენციაში.
აც შეეხება საკრებულოს გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ.
რ მიმაჩნია სწორად ის, რომ თანამდებობაზე სულ ერთი და იგივე ადამიანი
. ამიტომ ჩემთვის ქალაქის საკრებულოსა და მთავრობის გადაწყვეტილება
ებია. ასე რომ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, როცა
გადაწყვეტილებებს სხვა მოტივაცია აქვს, საწყენია."
ანმეორებითი კენჭისყრის ვადები ჯერჯერობით უცნობია.

## სიმელოტე და ინფარქტი

რთნი თვლიან, რომ სიმელოტე მაღალი ინტელექტის ნიშანია, მეორენი - და-
ებად მიიჩნევენ. როგორც უნდა თქვან, ეს ფაქტი ზოგიერთი მამაკაცის
რებას რადიკალურად ცვლის, ბევრისათვის კი უმნიშვნელო ამბავია. თუმცა,
არი პრობლემა ეს არაა.
მელოტისა და ალოპეციის (თმის სრული ცვენა) მიზეზი გასული საუკუნის
ნ წლებამდე მედიცინის ერთ-ერთ პრობლემად ითვლებოდა. ექიმმა ჰამილ-
ა დაამტკიცა, რომ თმის ცვენის ძირითადი მიზეზი სისხლში მამაკაცის სას-
ჰორმონების სიჭარბეა. ანდროგენები, რა თქმა უნდა, მთავარი პრობლემა
სტრესი; ცუდი ეკოლოგიური პირობები; არასწორი კვება; ფარმაკოლოგიუ-
შუალებები და სხვა მავნე ფაქტორები.
ულ ცოტა ხნის წინ დამტკიცდა, რომ სიმელოტე არამარტო გარეგნული დის-
ორტია, არამედ გულის იშემიური დაავადების (გ.ი.დ.) რისკ-ფაქტორიცაა.
იკელმა ექიმებმა ჩაატარეს ფართომასშტაბიანი კვლევა - საკუთარ თავზე,
ლსაც "ექიმთა ჯანმრთელობის გამოკვლევა" უწოდეს. შეისწავლეს ოცდაო-
იასი ჯანმრთელი ექიმი, რამაც საშუალება მისცათ, თმის გავრცელების მი-
ით მამაკაცის ხუთი ტიპი გამოეყოთ: ნორმალური თმიანობა; სიმელოტე შუბ-
თმის მცირე შეთხელება თხემზე; ზომიერი სიმელოტე და შიშველი კანი.
1-წლიანმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ აბსოლუტური სიმელოტის მქონე მა-
ცთა შორის იყო გულის იშემიური დაავადების მქონე ათასხუთასი მამაკაცია.
ა ინფარქტს, სტენოკარდიასა და გულის კორონალური სისხლძარღვების
ანებას გულისხმობს.
მ მამაკაცთა შორის, რომელთაც თავზე ნორმალური თმიანობა ჰქონდათ, გუ-
იშემიური დაავადების მხოლოდ ერთეული შემთხვევა აღენიშნათ. აქედან გა-
ინარე, რაც უფრო ცოტა თმაა მამაკაცის თავზე, მით მეტია ინფარქტის რის-
უმცა, საქმე არც ისე რთულადაა. კარდიოლოგები დაგვეთანხმებიან, რომ ინ-
ტის მიზეზი მხოლოდ სიმელოტე რომ იყოს, ალბათ, ეს პრობლემა დიდი ხნის
არებული იქნებოდა. სიმელოტისა და გულის დაავადებათა ერთმანეთთან
მჭიდრო კავშირს მრავალი საერთო გამომწვევი მიზეზი განაპირობებს.
აც შეეხება ლამაზი თმის პრობლემას, გულს ნუ გაიტეხთ. არსებობს მრავა-
ხვა მეთოდი, თუნდაც - ქირურგიული პლასტიკა და რეკონსტრუქციული
აციები. მაგრამ ქირურგთან ვიზიტამდე აუცილებლად სცადეთ კონსერვა-
ლი საშუალებები: სპეციალური შამპუნები, ლოსიონები, სამკურნალო პრეპა-
ბი და ხალხური მედიცინის სხვადასხვა მეთოდი. რა თქმა უნდა, ალოპეციის
ნალობა მკაცრად ინდივიდუალური და ექიმ-სპეციალისტთან შეთანხმებუ-
ნდა იყოს.

## სასარგებლო რჩევები დიეტის დაცვისას

ყოველთაოდ ცნობილია, რომ დიეტის გასაღები გონებაში უნდა ეძებოთ და
საკუთარ მუცელში. ზოგადად, დიეტის არსი ძალზედ მარტივია - უნდა მიირ-
ნაკლებად კალორიული საკვები და, იდეალურ შემთხვევაში, გაზარდოთ ფი-
რი დატვირთვა.
ვექტურობისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პროდუქტების ხარჯზე
ება კალორიების მიღება, მაგრამ, ზოგადად, უნდა აირჩიოთ დიეტა, რომე-
ხანგრძლივი, მაგრამ, იმავდროულად, ჯანსაღი საკვების მიღებისა და ჯანსა-
ხოვრების წესის დაცვისკენ იქნება მიმართული. რეკომენდებული არ არის
დიეტის დაცვა, რომელიც აუტანელია და მძიმედ შესასრულებელი.
მოაყალიბეთ საკუთარი გეგმა და აუცილებლად დაწერეთ ფურცელზე.
რგად გაიაზრეთ და გაითვითცნობიერეთ, რამდენია თქვენთვის სასურველი
, რომელსაც გინდათ მიაღწიოთ. რამდენი კილოგრამის მოკლება გსურთ დი-
ხანგრძლივობის სხვადასხვა ეტაპზე.
ომელ დღეებში შეგიძლიათ, თავს უფლება მისცეთ და შეისვენოთ?
ა იქნება ჯილდო იმ შემთხვევაში, თუ წარმატებას მიაღწევთ და წონაში და-
ბთ, ან, პირიქით- სასჯელი.
მოიღეთ მიზანში რომელიმე მოვლენა (მაგალითად, ახლობლის დაბადების
ან ქორწილი) ან პერიოდი, რომლისთვისაც თქვენ შეეცდებით, იყოთ სასურ-
ფორმაში.
ითვალისწინეთ თქვენთვის დამახასიათებელი სისუსტეები - რომელია ის
ები, რომელმაც შეიძლება გაცდუნოთ? რა გზით შეიძლება აირიდოთ მისი
მევა და რა საკვებით შეცვლიდით მას?
ეცადეთ თავიდან აიცილოთ გადაღლა და არ დაუშვათ, რომ დღის განმავ-
აში დიდ ხანს არ მიიღოთ საკვები.
თხარით გარშემო მყოფებს, რომ დიეტობთ, ეს მათთვის, შესაძლოა, მოსას-
მოსაწყენი აღმოჩნდეს, სამაგიეროდ, თქვენ გაგაძლიერებთ და სიმხნევეს
ნიჭებთ.
აიწონებით ხშირად - შეეცადეთ ეს კვირაში ერთხელ გააკეთოთ.
იქნებით ზედმეტად ამბიციური - კვირაში ერთი კილოგრამის დაკლების
ოდინით დაკმაყოფილდით.
ა ბოლოს, ყველა ადამიანს აქვს კარგი და ცუდი დღეები. იმის გამო, რომ წა-
ტებელი დღე გქონდათ, ნუ ულალატებთ თქვენს პრინციპებსა და დასახულ
ებს.



ევში 90 წლის ასაკში გარდაიც-
ნიკოლაი ამოსოვი - საბჭოთა
იოქირურგიის ფუძემდებელი და
ის ოპერირების მსოფლიოში აღი-
ული არაერთი მეთოდის ავტორი.
აგრეთვე იცნობდნენ, როგორც
ოსოფოსსა და პუბლიცისტს.
ამედიცინო საქმიანობის 60 წლის
ლზე ამოსოვმა ათასობით უმძი-
ავადმყოფი გადაარჩინა. 1939
დან მოყოლებული მან 10 ათასი
აცია გააკეთა გულზე და კიდევ 8
ი ფილტვებზე.
დღეში რამდენიმე ოპერაციას
ბდა და საოპერაციოდან სალა-
6 საათამდე არ გამოდიოდა," –
ნებს კიევის გულსისხლძარღვთა
რგიის ინსტიტუტის დირექტორი გენადი კნიშოვი.
ავად ამოსოვი კი ამბობდა: " ნუთუ შეიძლება კარდიოქირურგიის სხვა საქმი-
ასთან შედარება. აქ ხომ ლაპარაკი განწირულ ადამიანებზეა, რომლებიც
ა გარეშე დაიღუპებიან".

# უფასო სასწრაფოს ორი ვარიანტი

*საქართველოს უფულო და ავადმყოფ მოქალაქეებს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება, კარგა ხანია, სანატრელი გაგვიხდა. ჩვენი არჩეული ხელისუფლების მთავარი სიტყვიერი საზრუნავიც ეს არის, მაგრამ ჯერჯერობით სიტყვა მაგრად დგას და საქმეს ახლოსაც არ იკარებს. 2002 წლის დასასრულს აღნიშნული პრობლემის გარშემო ორმხრივი ფრონტი გაიხსნა. უფასო სასწრაფოს შემოღებას ცდილობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროც და თბილისის საკრებულოც. ოღონდ ესაა, რომ "საერთო მტრის" წინაამდეგ ამ ორი ძალის გაერთიანება არ ხდება და სიტყვასთან საქმე ისევ წაგებული რჩება.*

ზაზა ფაჩუაშვილი



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

საკრებულოს ვარიანტით მომავალი წლიდან ყოველი თბილისელისთვის უფასო უნდა იყოს სასწრაფოს სამი გამოძახება. თუ ავადმყოფს სამივეჯერ მართლაც სჭირდებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, მაშინ მას აღრიცხვაზე აიყვანენ და მეოთხე გამოძახების დროსაც უფასოდ მოემსახურებიან. ასეთ შემთხვევაში გამოძახების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ფონდიდან, რომლის შექმნა ნავარაუდევია სპეციალურად ქრონიკული ავადმყოფებისთვის. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მეოთხე და შემდგომი გამოძახებები ფასიანი იქნება.

ეს ვარიანტი ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს სვამს, ვინაიდან დიდ ბიუჯეტს მოითხოვს. მილიონიანი ქალაქის მოსახლეობას წელიწადში 3 მილიონი უფასო გამოძახება ეკუთვნის. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთი გამოძახების თვითღირებულება 15 ლარია. აქედან სამი მილიონი გამოძახება 45 მილიონი ლარი ეღირება. რა თქმა უნდა, უფასო გამოძახების პოლისი ყველას არ დასჭირდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველა ეცდება, ოდნავი თავის ტკივილის შემთხვევაშიც კი (ვთქვათ, "პახმელიაზე") გამოიყენოს ექიმის უფასო მომსახურების კანონიერი უფლება.

კომუნისტების მუქთა ხანის დროს თბილისში ერთი თვის განმავლობაში სასწრაფოს იძახებდა 1500-1700 ადამიანი. საკრებულოში კი ვარაუდობენ, რომ ყოველთვიური გამოძახება სამას ერთეულს არ გადააჭარბებს. ასეთი პროგნოზის საფუძველი უცნობია, თუმცა სავსებით შე-
საძლებელია, ყველაფერი პირიქი
ამდენი სტრესის ქვეშ მყოფი ადამ
რომლებიც უფულობის გამო ე
ვერ მისულან, ხელიდან არ გაუ
უფასო დახმარების შანსს. ქალაქი
დაცვის ბიუჯეტი კი 16 მილიონ
მეტი ვერ იქნება. ეს თანხა ათას
უნდა გაიყოს. საკრებულოს გეგმი
უნდა ეყოს ქალაქის 42 საავადმ
თავის ექიმებიანად შენახვას, პოლ
ნიკურ ქსელს, სასწრაფო დახმარე
ა.შ. ეს ამბავი იმ ვაჭრის ბედსა ჰგა
თი პატარა ნაჭრით შვიდი ქუდის შ
რომ მოინდომა და მკერავისგან შვ
ტარა კოკორი მიიღო.
შრომის, ჯანმრთელობისა და
ლური დაცვის სამინისტროს ვარი
...ეი-ოფის დაწყებამდე თითქმის ... ამბობდა, რომ უნივერსიტეტს ...ესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქ...ა. ასეთი ვარაუდის საფუძველს ...ნტთა მიერ ჩემპიონატის ბოლო ...ში ნაჩვენები თამაში იძლეოდა. ცუდად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი, ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა და ოთხეულში მოხვედრის რეალური შანსიც გაუჩნდა, თუმცა...

ამის შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში. სტუდენტებმა მნიშვნელოვანი მატჩები წააგეს, ოთხეულს მიღმა დარჩნენ და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად აკადემიასთან მოუწიათ ბრძოლა. უნივერსიტეტმა ვერც ამ ორრაუნდიან დუელში მოახერხა ძალების კონცენტრირება. ერთი კვირის წინ ამ გუნდების პირველ მატჩში აკადემიამ გაიმარჯვა - 23:13. საეჭვო იყო, ისეთი თამაშით, როგორსაც უნივერსიტეტი აჩვენებდა, განმეორებით მატჩში ათქულიანი დეფიციტი აღმოეფხვრა. ასეც მოხდა. პირველი მატჩის მსგავსად, აკადემიამ განმეორებითი შეხვედრაც მოიგო (16:7) და მომავალი წლიდან უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

უნივერსიტეტისგან განსხვავებით, ქუთაისის "აიას" ყველა პირველ ლიგაში დაქვეითებას უწინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა. დღეს "ლელო" მთელი თავით სჯობს მეტოქეს, რაც ამ გუნდების ურთიერთპაექრობამაც დაადასტურა. პირველი მატჩი, რომელიც ქუთაისში გაიმართა, წამყვანი მობურთალების გარეშე დარჩენილმა სტუმრებმა 13 ქულის სხვაობით მოიგეს. გუშინ ვარკეთილში უნდა გამართულიყო ამ გუნდების განმეორებითი მატჩი. ქუთაისელები არ გამოცხადდნენ და მათ წაგება ჩაეთვალათ.

ერთი სიტყვით, ქუთაისელები მეორედ დაქვეითდნენ პირველ ლიგაში. ეს არცაა გასაკვირი. სრულიად უსახსროდ დარჩენილი გუნდი საერთოდ რომ ახერხებს თამაშს, ესეც გასაკვირია. უმაღლეს ლიგას კი მომავალ სეზონში ორი ახალი ბინადარი ეყოლება. მათი კლასიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ღირსეულადაც შეეწინაღმდეგებიან ლიგის ბინადართ.



K1 ანუკი ქვაჟაძე
ასაკი-18, 168/98/70/99, თვალი - ყავის, თმა - მუქი წაბლი



K3 თამუნა თოფურია
ასაკი-15, 181/86/63/93, თვალი-მწვანე, თმა-წაბლის



K2 თამთა ვაშაკიძე
ასაკი-15, 174/80/63/89, თვალი-თაფლის, თმა-წაბლის



K4 ანი ბაბურაძე
ასაკი-16, 170/78/53/84, თვალი-ღია ყავის, თმა-წაბლის






K5 ანი ალექსიშვილი
ასაკი-17, 174/89/60/90, თვალი-ყავის, თმა-ღია წაბლის

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

Visage
ესთეტიკური
კოსმეტოლოგიის
ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და
ამიერკავკასიაში მაღალი ტექნო-
ლოგიების პროფესიულ პროგრამა
"Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზია
"Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელე-
ქტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა
პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება
ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი,
ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები,
კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-5

საგაზეთო ქაღალდ
ფასდაკლები

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო
ქართული ფლორის საოცრე

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

# მწერალი ქრონიკაა...

*აზრები, რომელსაც ქვემოთ მოვიტან, დიდი ხნის წინაა ჩაწერილი. გამახსენდა და მისი გულუბრყვილობის მიუხედავად, მაინც გადმოვწერე:*
*"ნამდვილი ლიტერატურა ჩემი საიმედო თავშესაფარია, რომელიც თავზე არასოდეს ჩამომენგრევა (რეალობისგან განსხვავებით). როცა მონატრებულ წიგნს თავიდან ვკითხულობ, ვინ იცის, მერამდენედ, რატომღაც ის ადგილები მაგონდება, სადაც ეს წიგნი პირველად წავიკითხე (უცნაურია, მაგრამ ასეა). სხვისგან შექმნილი სამყაროს პოლუსები მთელ ჩემს წარსულს ეყრდნობა". 1989 წელი.*
*ახლა, "ჩემი მეგობარი" ნოდარი გამახსენდა, რომელსაც ზამთრის საღამოებში, როცა ტელევიზიით "ვრემია" და ყრილობების ტრანსლაციები გადაიცემოდა, სახლში, ბუხრის პირას, ერთ-ერთი ჩვენგანი ხმამაღლა კითხულობდა და მთელი ოჯახი გადამდები სიცილით იცინოდა. მაკინტოშიანი ინტელიგენტის ცხენისაგან დაკბენილი იდაყვი, გამწარებული სახე და "გადაშენდი იქით" დღემდე მახსოვს. მაშინ, დედაც ცოცხალი იყო და მამაც.*
*რეზო ჭეიშვილს აქვს სევდისა და იუმორის გრადაციის საოცარი უნარი, როცა ღიმილსა და ცრემლს შორის ისე გაგატარებს, თითქოს ბეწვის ხიდზე გადაჰყავდე.*
*ამას წინათ, თავისი ჟურნალის "მწვანეყვავილას" ბოლო ნომერი მომცა წასაკითხად, სადაც ყოველ მეორე თუ არა, მესამე გვერდზე თავად რეზო ჭეიშვილის ესეებია. ერთ-ერთი გალაკტიონსაც ეძღვნება. პოეტის აბურდული ცხოვრების, დედასთან ურთიერთობისა და ბოლო დღეების სევდიან ისტორიებში ერთი დეტალია, რომელსაც გურამ ასათიანი აუცილებლად "კვიმატს" დაარქმევდა.*
*გიგლა ხუხაშვილის ნაამბობს გადმოგვცემს რეზო ჭეიშვილი: გარდაცვლილ გალაკტიონს "ჩემი თაობის (ცოტა უფროსებიც) პოეტები უთევდნენ ღამეს. ნაშუაღამევსო, გიგლამ მითხრა, როცა ყველამ ჩათვლიმა, კოხტად დავუვარცხნე თმა-წვერი (მიცვალებულს) და ჩემი სავარცხელი გულისჯიბეში ჩავუდევი ფრთხილადო. ახლა იგი (გალაკტიონი) ხუხაშვილის სავარცხლით განისვენებს მთაწმინდაზე. კაცი-მატერია და მატერია აღარაა, ძვალი და ალუმინის პროქრისტიანის ნახმარი სავარცხელია დარჩენილი. კარგია ეს თუ ძალიან კარგი, ვერაფერს ვიტყვი, საკვირველი კია, მე და ჩვენმა ღმერთმა!"*
*ასეთი უცნაური კაცია რეზო ჭეიშვილი.*

ქეთევან სადღობელაშვილი

**- ამბობენ, მწერალი ერთი ხელით ცას ებჯინება, მეორით მიწას და მისი სამყარო ამ ორ განზომილებას შორისაა მოქცეულიო... თუ ასეა, უმეტეს დროს სად ატარებს მწერალი?**

- სხვისი არ ვიცი, და რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, მის მერე ვმუშაობ, მართალია შეზღუდული იყო ჩემი არეალი კინოსტუდია-რედაქციაში, მაგრამ ჩემს ძირითად საქმეს ყოველთვის ვაკეთებდი - ვწერდი. ქუთაისშიც ვმუშაობდი. "განთიადს" ვრედაქტორობდი, ჟურნალიც დავაარსე- "მწვანეყვავილა", ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელიც ვიყავი. საქმეების გამო, სულ გზაში ვარ, ჩემმა შვილმა ისიც კი მითხრა: სულ გზაში ხარ და პარალელურად იქნებ კონდუქტორობაც შეგეთავსებინა, ვინ გეტყვის უარსო.

**- რამდენადაც ვიცი, მსახიობობაც მოსინჯეთ...**

- ახლა, ამერიკულ ფილმს, თუ ცნობილი მსახიობები არ თამაშობენ, ხალხი არ ესწრება, იტალიური და ფრანგული კინო პირიქითაა, ისეთ სახეს ეძებს, რომელიც გაცვეთილი არ არის, "ქართული ფილმის" ნიჭიერი რეჟისორებიც უმეტესად ტიპაჟზე მუშაობდნენ. რაღაი კინოსტუდიაში ვმუშაობდი, მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი, ჩემს "ღირსებას" ვიცავდი. მერაბ კოკოჩაშვილი იღებდა ფილმს "გზა მშვიდობისა, ჯაყო" ნოდარ დუმბაძის "ნუ გეშინია, დედა"-ს მიხედვით. ნოდარს ინფარქტი ჰქონდა და მერაბმა მითხრა - მწერალი უნდა ითამაშოო. დავთანხმდი, რადგან მწერალთან უფრო ახლოს ვიყავი. ორი ეპიზოდი იყო: ერთგან მწერალი მესაზღვრეებთანაა ჩასული და ჭოგრიტით ათვალიერებენ საზღვარს, თანაც, ერთად მღერიან "ჩარირამას", მეორე ეპიზოდში დათვს კლავენ თუ იჭერენ, არ მახსოვს. მოსკოვმა ამოაღებინა ორივე სცენა - რა უნდა მწერალს საზღვარზე, არ შეიძლება ასეთი გაბაზრებული იყოს ჩვენი საზღვრებიო. გამოვიდა ფილმი, ტიტრებში ყველაზე ბოლოს როლებში წერია: მწერალი - რეზო ჭეიშვილი. ვიღაცამ მკითხა: ტიტრებში რომ ხარ, ფილმში რატომ არა ხარო. ყველა ქართულ კინოს ახლა ასე აწერენ-მეთქი, ვუთხარი. ამით დამთავრდა ჩემი, როგორც მსახიობის, მოღვაწეობა ქართულ კინემატოგრაფში.

ასეთივე ამბავი სხვაც დამემართა. "მერანი" კაი საქმეს აკეთებდა ერთ დროს, დიდ წიგნებს უშვებდა. ერთხელაც, რუსულად გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილის რჩეული, წიგნს უკან ქართულადაც უნდა ეწეროს მწერლის გვარი, აწერია კიდეც: წინ - მიხეილ ჯავახიშვილი, უკან - რევაზ ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი. ჩამოიბეჭდა 60 000 ტირაჟი. ვაჩვენე გამომცემლობის დირექტორს, გაგიჟდა, მაგრამ რაღას შეცვლიდა. თუ უხერხული არ იქნება, შეგიძლია ყველა რუსულ წიგნს ქართულად დააწერო ჩემი გვარი-მეთქი, ვუთხარი.

კინოსტუდიის ერთი ამბავიც უნდა მოგიყვე, მერე დამავიწყდება. ჩემი ძმაკაცი იყო ანზორ სალუქვაძე, ერთად მივედით კინოსტუდიაში, რედაქტორებად. ანზორს არ უყვარდა სცენარების კითხვა, ერთ გვერდს თავში წაიკითხავდა, მეორეს ბოლოში, ან სულ არ წაიკითხავდა და ისე მსჯელობდა. ერთხელაც, "ზღვის შვილების" სცენარი დაწერა გიგლა ხუხაშვილმა. კულტურის სამინისტროში, ცეკაში, ტეკაში, ყველგან გაიტანა სცენარი. არ ვიცი, ანზორს ასიამოვნა თუ რა იყო. ერთგან, არაფერ შუაში რომ არაა, ჩაუწერია: "ზღვაში გადაეშვა მოხდენილი ყმაწვილი, ლამაზი ჭაბუკი ანზორ სალუქვაძე". კითხულობს ანზორი გიგლას სცენარს, ამოიღო კალმისტარი, გადაშალა თავისი გვარი და ყველგან, ერთი ხუთგან, სადაც ეს ადგილი მეორდებოდა, დააწერა გიგლა ხუხაშვილი. გიგლა ხო იცით, როგორი "მოხდენილია", ფეხი ტკივა, ძლივას დადის. გადამრავლდა ეს სცენარი 50 ცალად სამხატვრო საბჭოსთვის, სადაც შედიოდნენ: დევი სტურუა, ბესო ჟღენტი, მიხეილ კვესელავა, ვოვა მაჭავარიანი. წაიკითხა ყველამ სცენარი, სადაც წერია, როგორ ხტება წყალში მოხდენილი, ტანწერწეტი ჭაბუკი გიგლა ხუხაშვილი, რომელიც სცენარის ავტორიცაა. ვიღაცამ იკითხა: ცოტა უხერხული არაა ეს ამბავიო? გიგლა აზრზე არ იყო, რა ხდებოდა...

**- მოგვიანებით, მთელი კინოსტუდიის ამბები გადმოიტანეთ "ცისფერ მთებში"?**

- ნაწილობრივ, რადგან იქ რედაქციების ამბებიც შეერია. თუმცა იმდენი ამბავია, კინო რას დაიტევს?

**- სხვათა შორის, სხვის სამყაროებშიც მოგიწიათ ყოფნა, როცა სცენარებს წერდით ფილმებისთვის: "ყვარყვარე", "სამანიშვილის დედინაცვალი", "ბაკულას ღორები". რა საერთო აღმოაჩინეთ პოლიკარპე კაკაბაძისა და დავით კლდიაშვილის სამყაროსთან.**

- საერთო ბევრი იყო, მაგრამ ამ სცენარებზე მუშაობისას ჩემი მიზანი იყო, ვერავინ მიმხვდარიყო, სად ვარ თავად მე. მიზანს მივაღწიე, რადგან ნახსენებ ფილმებში ბევრი ტექსტი ჩემი დაწერილია, ამ დროს კი პოლიკარპეს და კლდიაშვილის ტექსტი ჰგონიათ.

**- რატომ გინდოდათ ამის დაფარვა?**

- კი არ ვფარავდი, პატივისცემას გამოვხატავდი მათ მიმართ. თანაც, ეკრანიზაციისას აუცილებელია, ჩაჯდე მათ სტილში, მაგალითად, ბორანის ეპიზოდი საერთოდ არაა კლდიაშვილთან, ფილმში არის...


ზაურ გულაშვილის ფოტო

*რეზო ჭეიშვილი*

**- როცა თქვენი ეპიზოდები შეგქონდათ სხვის ტექსტში, ეს არ იყო გარკვეული სითავხედე?**

- სითავხედე არა, პირიქით, კიდევ ვამბობ, პატივისცემის გამოხატვა იყო. თვითონ პოლიკარპე კაკაბაძე არ იყო სცენარის დამწერი, მიმუშავია მასთანაც. ერთხელ სცადა და არ გამოუვიდა.

**- "ყვარყვარეს" გადაღების პერიოდში ცოცხალი იყო?**

- არა, უკვე აღარ იყო. "ყვარყვარე" დამოუკიდებლად გავაკეთე, ბევრი სცენა ამოიღეს, თორემ უკეთესი ფილმი გამოვიდოდა. თუ გახსოვთ ფრონტის ეპიზოდი: ყვარყვარე ველზე გადის, დურბინდით ათვალიერებს პოზიციებს და გარშემომყოფებს ეკითხება - ეს ჩვენი პოზიციაა? არა, კაცო, მტერიაო - პასუხობენ. წინო? - წინაც მტერიაო, უკანო? - უკანაც მტერია და საერთოდ, ალყაში ვართო. აბა, მე საიდან შემოვედიო - გაკვირვებულია ყვარყვარე. პიესაში, ბუნებრივია, არ არის ეს ეპიზოდი, მთლიანად ჩემი მოგონილია.

**- მახსოვს, ერთხელ მითხარით, პირველი სქელტანიანი წიგნი, რომელიც ბავშვობაში წავიკითხე, მარქსის "კაპიტალი" იყოო...**

- პირველი არა, მაგრამ... დედაჩემის გავლენა იყო - იმ კაცმა დაწერა და თქვენ ვერ კითხულობთო - გვსაყვედურობდა. მაინტერესებდა, თუ შევძლებდი წაკითხვას. რაც მაშინ დღე დამადგა? მარტო წინადადებებს ვკითხულობდი. ცუდი სიზმარივით მახსოვს.

**- გახვედით ბოლომდე?**

- ბოლომდე, მე მგონი, თვითონ ავტორსაც არა აქვს წაკითხული... მერე, სადღაც წავიკითხე, მარქსი ვიღაც ქალს ურჩევს: თუ გიჭირთ "კაპიტალის" წაკითხვა, ჯერ მეშვიდე თავიდან დაიწყეთ, მერე გადადით მეოთხეზე, მერე მესამეზე, მეხუთეზე, დაბრუნდით პირველზე და ყველაფერი გასაგები იქნებაო. თუ ამდენი იცოდა, თვითონ ვერ დაალაგა?

**- კიდევ გახსოვთ "კაპიტალისნაირი" მწარე წიგნი?**

- მესამე თუ მეოთხე კლასში ვიყავი, ბიბლიოთეკიდან უკვე გამქონდა დიდი წიგნები. ერთხელაც, წიგნის სათაური მომეწონა - "შაჰ-ნამე", ისე გამომიწერეს, არ მოუქცევიათ ყურადღება. დიდი ინტერესით წამოვედი სახლში, გადავშალე და ვერაფერი გავიგე. როგორც გაირკვა, ეს იყო კობიძის "შაჰ-ნამეს" სპარსული ვერსია. დავაბრუნე უკან. დამხვდა ბიბლიოთეკის გამგე, ძველი, დარბაისელი ქალი, როგორებიც იყვნენ მაშინ ქუთაისში. კინაღამ გაგიჟდა - ვინ გაატანა ამ ბიჭს ეს წიგნიო? იმას რა წამაკითხებდა, სპარსულად.

**- საინტერესომდე როდის მიხვედით?**

- შატობრიანის "გლეხი კაცის ისტორია" წავიკითხე. იმხელა წიგნი იყო, მეგონა, გამიჭირდებოდა, მაგრამ მშვენივრად იკითხება.

**- მოკლედ, ვინ იყო ის მწერალი, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა.**

- ტოლსტოი. "ომი და მშვიდობა" მთლიანად გადავწერე, რუსულად.

**- როგორ, გადაწერეთ...**

- როცა მხატვარი დიდი მხატვრის ასლს ხატავს, ხომ ეხმარება რაღაცაში. მე ტოლსტოი მაინტერესებდა. ერთ დღეში კი არ გადამიწერია, ნელ-ნელა ვწერდი. ერთი წელი მაინც. როცა კითხულობ, არ ჩანს, გადაწერისას კი იმდენ სისუსტეს აღმოაჩენ,

გაგრძელება C2 გვერდზე





*კადრები ფილმიდან: "გზა მშვიდობისა, ჯაყო". მწერლის როლში – რეზო ჭეიშვილი*



*"ცისფერი მთების" გადაღებისას...*

C1 გვერდიდან

სიდიადესაც, რა თქმა უნდა. გადაწერის სურვილი მერე აღარ გამჩენია.

**- საკუთარს ჯერ წერთ და მერე ბეჭდავთ, თუ პირდაპირ ბეჭდავთ...**

- ჯერ შავად ვწერ, მერე თეთრად და მერე ვბეჭდავ. ადრე, შემეძლო 40-45 გვერდი დამებეჭდა, მიხაროდა. ახლა აღარ.

**- წეღან თქვით, სხვადასხვა ადგილას ვმუშაობდი და პარალელურად ვწერდიო. შეიძლება პარალელურად წერა?**

- არა, დილას ვწერ ან გვიან ღამე. არ მქონია ისეთი ნორმირებული სამსახური, გინდა თუ არა, არ გამეცდინა. ერთი ჩვევაც მაქვს, შემიძლია ერთი ნაწარმოები მივატოვო, მეორეზე გადავიდე და რაღაცა დროის შემდეგ ისევ პირველს დავუბრუნდე. დასრულებულ ნაწარმოებსაც ხშირად ვუბრუნდები და ვთვლი, რომ ეს ნაკლია.

**- იმდენად ხშირად უბრუნდებით, რომ სათაურებსაც კი უცვლით ხოლმე...**

- ამ ბოლო დროს აღარ ვაკეთებ...

**- როდის შეეშვით ამ "მავნე ჩვევას"?**

- როცა მივხვდი, რომ მკითხველსაც ვაბნევ. თუკი დაწერ და დაბეჭდავ, უნდა დაანებო თავი. მე კიდევ, რაღაც არ მაკმაყოფილებს...

**- შეიძლება თუ არა ნაწარმოები შეასწოროთ იმის გამო, რომ ვიღაცას უწევთ ანგარიშს?**

- კი. მკითხველს, ცალკეულ მკითხველს. კარგი, გემოვნებიანი მკითხველის ხმაც კი მესმის. წინასწარ ვიცი, რაზე რას იტყვის...

**- არის რამდენიმე ადამიანი, რომელზეც აკეთებთ ათვლას?**

- იყვნენ, ახლა თითქმის აღარ არიან... სამაგიეროდ, ისეთები არიან, ვინც, ვიცი რაზე ჩაიცინებს, გაბოროტდება...

**- წერის დროს ფიქრობთ მათზე?**

- წერის დროს არა, მაგრამ მათ არსებობას ვითვალისწინებ.

**- იმ აზრს, რომ მწერლისთვის ყველაზე დიდი მასწავლებელი მკითხველია, ეთანხმებით?**

- კი მაგრამ, სადღაა მკითხველი?

**- როგორ არ არის. ვინც 20 წლის წინ კითხულობდა, ის დღესაც კითხულობს.**

- ასეთი მკითხველი ცოტაა, მასობრივი მკითხველი სხვა რაღაცაა. დღეს, რაც უფრო გაუგებარია ნაწარმოები, რაც უფრო გაშლი და გაწელავ სიტყვებს, მით უფრო მისაღები ხდები. ასეთი ვითომ ინტელექტუალები ახდენენ ზეგავლენას ლიტერატურულ პროცესებზე.

**- წლების მანძილზე თქვენ ხართ მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ასეთი სტრუქტურით მწერალთა კავშირი მოგწონთ?**

- არა, არ მომწონს. დღეს მანიფესტაციები იმართება მათ წინააღმდეგ, ვისაც რაღაცის შეცვლა უნდა. ისე, მწერალთა კავშირის წევრობა მწერლობას სულაც არ ნიშნავს.

**- ვინ მართავს მანიფესტაციებს, შიგნით ხდება ეს პროცესები?**

- ის მართავს, ვისაც არ უნდა, რომ რეფორმა გატარდეს, ვისაც არა აქვს არაფრის შანსი...

**- რეფორმა რას ითვალისწინებს - რომ მწერალთა კავშირში იყოს ის, ვინც ნამდვილი მწერალია?**

- რა თქმა უნდა. მწერალთა კავშირიდან გასული არიან ნამდვილი მწერლებიც. გვინდა, რომ ისინი ისევ გაერთიანდნენ. დღეს 1200-მდე განცხადებაა შემოტანილი კავშირის წევრობაზე...

**- რად უნდათ?**

- არ ვიცი, რაღაც სტიქიაა.

**- თქვენ ლიტფონდის თავმჯდომარეც ხართ. იქ როგორ დაიცავთ თავს მწერლობის მოსურნეებისაგან?**

- ყველას პრეტენზია აქვს, მაგრამ თუ რამე შემოვა ლიტერატორთა სახლიდან და ლიტფონდიდან, რომელსაც საერთაშორისო ლიტფონდი ეხმარება კაპიკებით, მოხმარდება მხოლოდ ნიჭიერ ხალხს და ნამდვილ მწერალს.

**- ვინაა და რამდენი ეს ნამდვილი მწერალი?**

- რამდენია, თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით? XIX საუკუნეში გამოდიოდა აფიშა და სულ 7 მწერალი ეხატა ზედ. ახლაც გამოუშვიათ პლაკატი "კახელი მწერლები", ვისაც კახეთში გაუვლია, ყველა იმ პლაკატზეა.

**- თქვენ რომ შეგადგენინონ ასეთი აფიშა, რამდენ მწერალს შეიყვანდით?**

- რამდენსაც თქვენ.



**- 10-მდე გამიჭირდებოდა...**

- ხოდა, 10-ია. რამდენი მწერალი დარჩა XX საუკუნეში, თქვენ რა გგონიათ...

**- მოდით, ისევ თქვენს ძირითად საქმეს - წერას დავუბრუნდეთ.**

- მე რისთვისაც ვარ, იმას ყოველთვის გავაკეთებ...

**- ამდენი რაღაცის თავმჯდომარე, მოადგილე და პასუხისმგებელი, თქვენს ძირითად საქმეს ხელს არ უშლის?**

- შეიძლება, მეხმარება კიდეც, თემასაც მაძლევს და თავისუფლებასაც.

**- არის თუ არა მწერალი საუკეთესო ისტორიკოსი... თუკი თქვენს პოლიტიკურ რომანს "კუდიან ვარსკვლავს" გავიხსენებთ, როგორია ჩვენი დროის ისტორია?**

- საუკეთესოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ უფრო მეტი ისტორიაა ტოლსტოის "ომი და მშვიდობაში", ვიდრე მთელი რუსეთის ისტორიკოსებს უწერიათ. გინდა, გოგოლის "მკვდარ სულებს" რომ კითხულობ, იმ ყოფას ისტორიკოსი ვერაფრით გადმოსცემს, ისეთი ქრონიკაა რუსული ცხოვრების. ძალიანაც რომ გინდოდეს, თანამედროვეობას ვერ გაეთიშები, მაგრამ მე არ მწამს იმ კაცისა, ვინც ისტორიას არ ცნობს და გაიძახის - აბსტრაქციაში ვმუშაობო. თუ ისტორიის არ გწამს, იქაც ვერაფერს გააკეთებ, რადგან მოგონილი მწერლობა არ არსებობს. ძალიან მიყვარს ისტორია, თუმცა, არ მიცდია "კუდიან ვარსკვლავში" მთელი ისტორია ჩამეტია. ესაა სურათები, სადაც ყველაფერი ყოფიდანაა დანახული. ძალიან მინდა, ჩემი ახალი რომანი "ქარების დაბრუნება" წაიკითხოთ ("ლიტერატურულში" იბეჭდებოდა გაგრძელებებით). იქ სხვაგან წავედი, გულწრფელობის დიდ ზღვარზე...

**- სხვა ნაწარმოებებში გაკლდათ გულწრფელობა? თქვენთან არასდროს მიგრძვნია ამის ნაკლებობა.**

- არა, მაგრამ ეს მაინც სხვაა, ერთგვარად ავტობიოგრაფიულია, ჩემს ოჯახში, ჩემს გარშემო ხდება მოქმედება... რა ვიცი, უნდა ნახოთ.

**- პოეტები ამბობენ, სამყარო იმისთვის არსებობს, რომ წიგნებში შევიდესო, თქვენი სამყაროს რა ნაწილი შევიდა წიგნებში...**

- ცოტა შემდეგისთვისაც დავიტოვე, ის გრძნობა, რომ ყველაფერი ერთბაშად არ მეთქვა, სულ მქონდა. ზოგი მწერალი ერთ პერსონაჟში ჩაყრის ყველაფერს, რაც გაუგია. მე ვიზოგავდი. შემაჯამებელი კიდევ იქნება, თუ ვიქენით. ყველაფერს დისტანცია უნდა. მოხდა ხომ რაღაც, უკან უნდა დაიხიო და შეხედო, თანაც ერთ კაცში რომ 20 კაცის ხასიათს ჩაყრი, ის ხასიათი მერეც ხომ დაგჭირდება. ჩემთან უამრავი გმირია. ამ ახალ რომანში და გინდაც "მუსიკა ქარში" იმდენი გმირია, ერთმანეთში ზრიალებენ.

**- ყველა გმირი გახსოვთ?**

- კი, ყველა მახსოვს. გამეორებით შეიძლება გამეორდეს, ოღონდ უფრო ინტონაციით.

**- გამოგონილი ბევრია?**

- არც ერთი არაა გამოგონილი. ერთი ნაწარმოები მაქვს, "ასკილის წითელი ყვავილი", იქ ყველაფერი გამოგონილია, მაგრამ არც ერთი არარეალური, არადა, იმდენი გმირია, თვალები აგიჭრელდება...

**- მათ სახელებს და გვარებს საიდან იგონებთ, სპეციალურად ადგენთ?**

- შეფარდებაა, როგორ დაალაგებ, მამის სახელს გაურევ გვარში ან სახელს და გვარს აურევ, ინტუიციის საქმეა. გაჩვენებთ ჩემი მოგონილი გვარ-სახელების წიგნაკს, ამოწერილებიც მაქვს მიცვალებულების განცხადებებიდან...

**- მოდით, ვთქვათ, როგორ ვარჯიშობს მწერალი (ფიზკულტურას არ ვგულისხმობ).**

- მწერალი ქრონიკაა. ძველ გაზეთებს ვეძებ, სადაც სინამდვილიდან აღებული ქრონიკებია. სასამართლო ქრონიკები მაინტერესებს. სასამართლოში არასოდეს მქონია საქმე, მაგრამ სულ შევდიოდი და ვჯდებოდი, ვუყურებდი გარჩევებს. საინტერესოა.

**- ფანტაზიით არ შეგიძლიათ შექმნათ?**

- როცა ერთხელ ვნახავ, ფანტაზია მერე მოდის. სიზმარიც ხომ ფანტაზიაა, სინამდვილისგან რომ შედგება. არაფრით დაგესიზმრება ის, რაც არ გინახავს.

**- და რასაც მომავალში არ ნახავ...**

- ეგეც არის კი, მაგრამ უფრო ნანახის კომბინაციიდან იქმნება, რამ დამასიზმრაო - მერე ამბობენ. რაც თვალმა აიღო - სიზმარი ისაა.

**- ხო მაგრამ, ხანდახან ისეთები ესიზმრება ადამიანს... თქვენ რა, სტალინი გინახავთ სიზმარში?**

- კი, როგორ არა, გვილაპარაკია კიდეც.

**- რაო, რა გითხრათ?**

- არ მახსოვს, ჩაწერილი მაქვს.

**- იწერთ სიზმრებს?**

- ვიწერ კი, იმწუთასვე უნდა დაიწეროს, მართალია, ზუსტად ვერ გადმოიტან, მაგრამ მინიშნებები არის, რომ ჩავხედავ, ყველაფერი მახსენდება...

**- გამორჩეულად მიყვარს თქვენი "მუსიკა ქარში", სადაც სულ იგრძნობა სათუთი ზღვარი სიცილსა და სევდას შორის, როგორ ახერხებთ ამ ზღვარის შენარჩუნებას?**

- სერიოზულობით. იუმორი არის ძალიან სერიოზული საქმე, კარგი იუმორი ერთეულებს შეუძლიათ. არ ვიცი, რატომ ვამბობ ამას, მაგრამ ერთხელ მკითხეს - რით ებრძვით მარტოობასო და მარტოობით-მეთქი, ვუპასუხე. დაახლოებით ეგეთი რამეა იუმორი, თვისებაა, ისევე როგორც მუსიკალური სმენა, ოსტატობაცაა. რაც შეეხება სევდასა და სიცილს, ადამიანში ეს ორივე თანაარსებობს, გამოხატვას ახერხებ გულწრფელობა - ოსტატობა-უბრალოებით.

**- თვლით თუ არა, რომ ბავშვობა არის ის ამოუწურავი სამყარო, რომელიც მთელი სიცოცხლე მიჰყვება ადამიანს?**

- ბავშვობა ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომაც ყველაფერი, რაც ამ გრძნობას უკავშირდება, მახსოვს. რაც უინტერესოა, იმას გონება თავისით თიშავს. აბა, ტრიგონომეტრია რომ არ დავივიწყო, გადავირევი, ათასი უბედურება ხდება, ის რომ გულთან მივიტანო, მოვკვდები, რაღაცნაირად ვიშორებ.

**- როგორ იშორებთ, მეც მასწავლეთ ეგ ხერხი...**

- უნდა ამოიგდო, დაივიწყო, ტრენინგია ერთგვარი. ერთი თვისებაც მაქვს - კაცი რომ არ მსიამოვნებს და არ მინდა შემხვდეს, არ მხვდება, თუმცა ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა. ქართულად გავაკეთე სცენარი ფილმისთვის "პიერი - მილიციის თანამშრომელი", ქუთაისში იყო ერთი მეღოლე - აჩიკო ბელაკონია, გამახსენდა და ფილმში რომ ქურდებია, იქ გავურიე. ერთ დღესაც, კინოსტუდიაში, სულიკო ჟღენტს ჭადრაკს ვეთამაშები, ვიღაცამ წერილი მოუტანა. სულიკოს ჭადრაკი უფრო აინტერესებდა და გადმომიგდო ის წერილი. აჩიკო ბელაკონია წერს სულიკოს - ამა და ამ ფილმში ქურდად ვარ ნახსენები და რატომ, დავალება ხომ არ არისო? მერე ვიღაცამ მითხრა: აჩიკო შენზეა გაბრაზებული, ქურდად გამომიყვანაო, არადა სიამოვნებს, ვიცი. ერთხელაც, ქუთაისში ვარ ჩასული და ფეხით გავუყევი სახლისკენ, მთავარ ქუჩას ერთი მხრიდან ჩიხი აქვს. ვიფიქრე, ამ ქუჩით რომ წავიდე, ბელაკონია არ შემხვდეს-მეთქი, 7 წელია თანაც, არ მინახავს, გავუყევი უკაცრიელ ჩიხს და რას ვხედავ, იქიდან მოდის ბელაკონია, აქედან მე... კარგად შევხვდით ერთმანეთს. ქურდობა მოწონდა მერე, მაგრამ "ჟეშტიანშჩიკობას" ვერ გასცდა. სახურავზე მოკვდა საწყალი, ჩაქუჩით ხელში. ერთმა მითხრა - მაგი ქართველი არ იქნებაო. რატომ-მეთქი. ბელაკონი უკრაინული გვარიაო. ბიჭოს, მერე დამარტყა თავში, სუფთა რუსული სახე ჰქონდა, ბელაკონია კი მეგრული გვარი მეგონა, ხომ უნდა გააკეთო ამაზეც რამე...

**- რამდენი ასეთი სახე "გაწუხებთ" ალბათ, რამდენი სამოთხრობე და სარომანე გმირები არიან გამზადებულნი?**

- ძალიან ბევრი...

**- არის ქუთაისი თქვენი სამყაროს ჭიპი?**

- ალბათ. "მუსიკა ქარში" ვწერდი: ამხელა სამყაროში ადამიანი ერთხელ იბადება და მაინცდამაინც იქ დავიბადე, იმ ეზოში და იმ ადგილას, სადაც უნდა დავბადებულიყავი. ასეა.

**- თქვენი სამყაროსგან რომელი წიგნი დარჩება?**

- დარჩება რაღაც. ალბათ სხვაზე მეტიც, იმიტომ, რომ ჩემთან ყველაფერი ნამდვილია.

**- რომელია ყველაზე მეტად თქვენი?**

- "მეოთხე სიმფონია" ის წიგნია, სადაც მართლა არაფერი გამისწორებია. "კვამლიც". ოსტატობა ნოველებში უფრო მეტია: "რასემონი", "გუია ა"... თქვენ "მუსიკა ქარში" ახსენეთ, იქაც რაღაც დამაკლდა, ცოტა ფოკუსში მინდოდა მომეყვანა, ზოგი რამ ზედმეტია.

**- ყოველთვის ასეთი უკმაყოფილო ხართ?**

- ყოველთვის, გარდა იმისა, რაც ჩამოვთვალე, ბოლო რომანშიც - "ქარების დაბრუნება" - მეტი ოსტატობაა და მეტი გრძნობა.

**- რისი შეცვლა შეუძლია წლებს?**

- ჯერ შეჯამების მომენტი არ დამდგომია, მინდა მე-17 საუკუნის ქრონიკა გავაკეთო, მაშინდელი საქართველოც დღევანდელივით ყველაზე არეული და უბედური იყო.

**- დღევანდელზე როდის დაწერთ?**

- კრიტიკა აღარ მაინტერესებს. ცხოვრება მიდის და არაფერი რჩება, მთავარი ის კი არ არის, რამდენი ხანი იყავი, მთავარია როგორ იყავი, რა დატოვე და როგორ წახვალ...

**- მეტი რა უნდა დაგეტოვებინათ?**

- სამყაროს შეცნობა მაინტერესებს, ნაწილობრივ მაინც.

**- ადამიანის სიცოცხლეში ეს მიიღწევა?**

- როგორც ჩანს, არა...

**- რელიგიისკენ წახვედით?**

- ყველა რელიგია მოგონილია. ქრისტიანობის მორალი მაღალი დონისაა, მის ტრადიციას, მცნებებს და ყველაფერს, რაც სიკეთეს უკავშირდება, პატივს ვცემ, დანარჩენს, რაც მიუღებელია, არავის ვედავები. რაც ტოლსტოის სწამდა, ის მეც მწამს. ტოლსტოი რელიგიური იყო, მაგრამ ეკლესიაში არ უშვებდნენ, აღდგომა არ სწამდა. მაგრამ მთავარი სწამდა - სიკეთე!

**- შემოქმედის ხელს თუ გრძნობთ წერისას?**

- ტოლსტოი ამბობდა - მქონდა ეგ მომენტები და მაშინ ვიყავი ბედნიერიო. მქონია მეც წამები - დიდი თუ პატარა დოზით, ამ დროს ამაღლებულიც ხარ და ბედნიერიც, მაგრამ ცოტაა ასეთი განცდები, მოთმინება უნდა და მოლოდინი...





*რეზო ჭეიშვილის "გვარ-სახელების" წიგნაკიდან ერთი სიტყვის გამოყენებაც კი მწერლის ნებართვის გარეშე აკრძალულია!*

# პროცესი

რეფორმამდელი საოლქო სასამართლო, რეფორმამდეც ის იყო, რაც იყო

რეზო ჭეიშვილი



**თავმჯდომარე** - მამული იაშავიძე
**პროკურორი** - ლაშა მიქლიოშვილი
**ადვოკატი** - ჩიტო არაფიძე
**ბრალდებული** - სულიკო ქაშაპიძე
**დაზარალებული** - ბიჭიკო ცვარნაძე
**მსაჯულები** - ციალა შავნიძე, ნატო ქვეშაგელიძე
**მამა ბრალდებულისა** - ბორის ქაშაპიძე
**მოწმეები** - ვალია ნეკრისოვა, გალია მოლოფეევა, პროკოფი დოქიძე

*მართლმსაჯულების ძველი, კლასიკური სტილით ნაგები თეთრი შენობა. კიბის ხვეულებით, რკინის მოაჯირებითა და მარმარილოს საფეხურებით. სასამართლოს რომელიღაც დიდ დარბაზში, რომელიღაც სართულზე ღია პროცესი მიჰყავს თავმჯდომარე მამული იაშავიძეს.*

### სურათი 1

**თავმჯდომარე** - გაეცანით საბრალდებო დასკვნას?!

**დაზარალებული** - კი ბატონო (თავი აქვს სქლად გადაბანდული)!

**თავმჯდომარე** - შენ არ გეკითხებიან დაზარალებულო ბიჭიკო ცვარნამიძევ... თუ ცვარნაძე? აქ ცვარნამიძე წერია. წერა არ იცით?! გაასწორეთ, თორემ მკაცრად მოგთხოვთ, - თქვენ გეუბნებიან!

**მსაჯული ქალები** - ჩვენ?

**თავმჯდომარე** - თქვენ - არა. გაეცანით საბრალდებო დასკვნას, ბრალდებულო სულიკო ქაშაპიძევ?! თქვენ რა შუაში ხართ! - (მსაჯულებს მიუხედავს თავაზიანად. წარმოსადეგ მამაკაცს კარგი კოსტიუმი აცვია).

**ბრალდებული** - არა...

**თავმჯდომარე** - (რამდენადმე ირონიულად) ბატონო სულიკო, არ გაეცანით თუ არ გაგაცნეს?

წელში წახრილი დგას სულიკო ქაშაპიძე, წინა სკამის საზურგეზეა ხელებით დაყრდნობილი - ხმას არ იღებს, არ იცის, რა უპასუხოს.

**ადვოკატი** - იცის, ბატონო, გაცნობილია, გულზე გადავარდა, ეტყობა (ეხმარება ადვოკატი ჩიტო არაფიძე).

**თავმჯდომარე** - ძალიან კარგი... რატომ რეკე თავში ბოთლი ამ პატიოსან ადამიანს? ალბათ ბევრი გიანგარიშა...

**სულიკო ქაშაპიძე** - არ მახსოვს, ანგარიში მე არ გამისწორებია...

**თავმჯდომარე** - მითუმეტეს, დაბრძანდით, თუ შეიძლება! (ბრალდებული არ ჯდება). ესე იგი (კითხულობს) ამა წლის 15 ივლისს იქეიფა რა რესტორან "დელი მურადში" (დარბაზს უყურებს) დანაშაულში ეჭვმიტანილმა სულიკო ბორისის ძე ქაშაპიძემ, ამხანაგებთან ერთად, ატეხა დებოში, დაამსხვრია ინვენტარი, ჭურჭელი, შეურაცხყოფა მიაყენა ირგვლივ მყოფ მშვიდობიან მოქეიფეებს და ბოლოს ბოთლი ჩაარტყა თავში მიმტან, ამჟამად დაზარალებულ, ბიჭიკო ცვარნაძეს, ცვარნაძეს (მარცვლავს), აქ სწორად სწერია... ცნობთ თუ არა, დანაშაულში ეჭვმიტანილო სულიკო ქაშაპიძევ, თავს დამნაშავედ, დაბრძანდით, თუ არ შეწუხდებით! ცნობთ?!

**ჩიტო არაფიძე** - ნაწილობრივ, ნაწილობრივ!

- ნაწილობრივ! - ყაბულსაა დანაშაულში ეჭვმიტანილი ახალგაზრდა, შინაურული, თავხედური მზერა აქვს, არ ნერვიულობს, თუმც, ეტყობა, კარგად ვერც ერკვევა სიტუაციაში.

**თავმჯდომარე** - (პროკურორს) შეკითხვები ხომ არა გაქვთ, ბატონო ლაშა?

**პროკურორი** - შეკითხვები არა მაქვს, ბატონო მამული.

**თავმჯდომარე** - გამოიძახეთ მოწმეები: რესტორან "დელი მურადის" ოფიციანტები (კითხულობს) ვალია ნეკრისოვა, გალია მილოფეევა და მიმტანი დოქიძე... ეს ქალი ნეკრისოვაა თუ ნეკრასოვა?

- ნეკრისოვა! - თავისაუღებლად პასუხობს სხდომის მდივანი, სასამართლოში წლებშემოკლებული, კვამლისფერთმიანი ქალი.

**თავმჯდომარე** - შემოვიდნენ... ნეკრისოვა... (გვარით უკმაყოფილოა) და სხვები.

### სურათი II

*თავმჯდომარის მაღალი მეორით დაწყებულა პროცესი.*

*მორჩილად დგანან თავგატეხილი ბიჭიკო ცვარნაძე, ქალები - გალია და ვალია აფოფრილი, ჩალისფერი თმებით, დაღლილი, გულგრილი იერით და დოქიძე. მოსამართლე მამული იაშავიძის მუქარა, - ჩაგალპობთ ციხეშიო მათზე უარყოფითად არ მოქმედებს.*

**თავმჯდომარე** - გესმით ქართული? წახვალთ ციხეში, თუ გესმით!

- ზა შტო? - კითხულობს წითელტუჩებდაბერილი გალია ნეკრისოვა.

**თავმჯდომარე** - ნე პრავდუ გავარიტე, ვოტ ზა შტო! მოქალაქე პროკოფი დოქიძევ, გაიმეორეთ ადრინდელი ჩვენება!

**დოქიძე** - შევედი რესტორან ჰაჯი მურატში

**თავმჯდომარე** - ჰაჯი მურატში კი არა ევგენი ონეგინში...

**დოქიძე** - "დელი მურადში", იმ დღეს ვისვენებდი და შემთხვევით შევიარე...

**თავმჯდომარე** - რა თანამდებობა გიჭირავთ აღნიშნულ რესტორანში?

**დოქიძე** - მიმტანი ვარ.

**თავმჯდომარე** - მიმტანი თუ გამტანი? ორჯერაა ნასამართლევი წვრილმანი ქურდობისათვის, რა ფასი აქვს ამის ჩვენებას... ამნაირი მოწმე გინდ გყოლია და გინდა არა! კაცი ხარ, ბიჭო, შენ, შენ გელაპარაკებიან დაზარალებულო ცვარნაძე, ვისი კუდი მოიყვანე?! კაცი ხარ შენ?! თავი გაგიტეხა ბოთლით, გაგიტეხა კი არა, - გაგიროფა, სხეულის მძიმე დაზიანება ჰქვია მაგას, რვა წლამდე ციხეს ითვალისწინებს და მიიღებს კიდეც რვა წელს, სასამართლოზე სხვას ამბობ, დაკითხვაზე სხვა ჩვენება მიეცი და თანაც ცრუ მოწმეები მოიყვანე?! შეკითხვა გაქვთ, ბატონო ჩიტო არაფიძევ?

**ადვოკატი** - დიახ, ბატონო (ახველებს), ბიჭიკო ცვარნაძევ, დაზარალებულთან ვარ, მოახდინეს თუ არა თქვენზე დაკითხვისას ზეწოლა?

**ცვარნაძე** - მოახდინეს ზეწოლა, ვერ დავფარავ!

**ადვოკატი** - (გამომცდელად) როგორ?

**ცვარნაძე** - როგორ გითხრა, ზევიდან კი არავინ დამწოლია, მაიძულეს.

**ადვოკატი** - აიძულეს... თვითონ თქვა, შეიტანეთ ოქმში, ბატონო მამული!

**თავმჯდომარე** - შევიტანთ, ბატონო ჩიტო, ნუ აღელდებით! პროკურორი ხომ არაფერს დაამატებს?!

**პროკურორი** (კატეგორიულად) - არა!

**თავმჯდომარე** - ცვარნაძევ, დაგარტყა თუ არა ბოთლი?!

**ცვარნაძე** - (ადვოკატს უყურებს) ნაწილობრივ.

**თავმჯდომარე** - რას ნიშნავს ნაწილობრივ?

**ცვარნაძე** - არ უნდოდა, გაუვარდა ხელიდან.

**თავმჯდომარე** - რა გაუვარდა ხელიდან?

**ცვარნაძე** - ბოთლი.

**თავმჯდომარე** - და შენ დაგეცა მაინცდამაინც?!

**ცვარნაძე** - დიახ.

**თავმჯდომარე** - იწექი?..

**ცვარნაძე** - კი. დამარტყა ვიღაცამ უკანიდან, წავიქეცი, მერე ბოთლი მომხვდა, ეტყობა, გაუვარდა ხელიდან.

**თავმჯდომარე** - რაც გაუვარდა, იმაზე სხვა პასუხს გამცემ, ახლა კი ცრუ ჩვენებისათვის გამოვიტანთ კერძო განჩინებას... ბოთლის შემთხვევით გამგდებს ჰგავს ეს, დააკვირდით ბატონებო! ტიპიური მკვლელია, აიცდენს სასჯელს და მოგკლავთ! შენ კი ცვარნაძე, ბოთლს კი აღარ გესვრის, ტყვიას მიგაჭედებს შუბლში! ჭერი ვინ გახვრიტა ტყვიით, ვინ ისროლა?!

**ცვარნაძე** - ეს ნამდვილად აღარ ვიცი, ყველა ისროდა და რა ვიცი, ვინ გახვრიტა!..

**თავმჯდომარე** - მარტო იყოო არ გვიმტკიცებდი?!

**ცვარნაძე** - (დაბნეულია) წაქცევის მომენტში, მარტო იყო!..

**ადვოკატი** - პროტესტს ვაცხადებ!..

**მსაჯული** - (თავმჯდომარეს) პროტესტს აცხადებს ადვოკატი ჩიტო არაფიძე.

**ადვოკატი** - აბნევთ დაზარალებულს, პროტესტია, დააფიქსირეთ!

**თავმჯდომარე** - არ მიიღება (პროკურორს), თქვენ ხომ არაფერს ბრძანებთ, ბატონო ლაშა...

**პროკურორი** - საბოლოო სიტყვაში!

**თავმჯდომარე** - სად ჰქონდა სარესტორნო ფულები სტუდენტ ქაშაპიძეს, გვიპასუხეთ!

**ცვარნაძე** - შემოსვლისას არ მოგვითხოვია და შემდეგ არ გვიკითხავს, ფული არც გადაუხდია.

**თავმჯდომარე** - ესეც ახალი ამბავი, დანაშაული დანაშაულს ემატება, შესვენება!

- დაღუპავს ბავშვს!

- შეცდომა ვის არ მოსვლია! - ერთმანეთს ეჩურჩულებიან მსაჯული ქალები, ერთი თარგის მდოგვისფერი პალტოები აცვიათ.

- შტო ოტ მენია ხოტელ? - კითხულობს უკმაყოფილო ვალია ნეკრისოვა.

- პოშიოლ ვონ, თავისი ქალიშვილს მოუაროს! - სქელ, წითელ ტუჩებს მუწავს გალია მოლოფეევა.

### სურათი III

*მარტო არიან ოთახში ადვოკატი ჩიტო არაფიძე და ბორის ქაშაპიძე, ბრალდებულის მამა.*

**ბორისი (მამა) და ჩიტო (ადვოკატი)**

- რა გადაეცი, ჩიტო, მაგ მკვდარძაღლს?

- რაც გამატანე - ის, ჩემი არ დამიმატებია.

- მერე.

- რა მერე, ჩაიდო ჯიბეში...

- დათვალა?

- დათვალა არა - გადათვალა, მივეცი და შემდეგ რა ჩაიდინა, არ ვიცი!..

- აბა რას ბდღვინავდა?..

- ეცოტავა ალბათ.

- ხომ არ გადაგიღუნია?

- მადლობის მაგიერია, თავი ცეცხლში შევრგე!

- ისე ვამბობ!

- დოუკვირდი მერე - რას ამბობ!

**დოქიძე** - (ღია კარიდან იხედება) გეძახის.

**ჩიტო** - მე! (გაქცევას აპირებს)

**მამა** - (ჩიტოს) ვკითხავ, იცოდე! ვხუმრობ! (იცინის ნაძალადევად თვალებგადმოქაჩული სქელკისერა კაცი).

**ჩიტო** - იხუმრე და კითხე თან! მე შენ გეტყვი, არ ექნება დათვლილი! (გადის)

**მამა** - (დოქიძეს) სანდოა, პროკოფი, ეს კაცი?!

**დოქიძე** - ჩიტო? რას ამბობ, ბორია შოთაევიჩ!

**მამა** - მე ქე გამიხეთქა გული იაშავიძემ, ის ჩემისა, რვა წელს ქვევით არ ჩამოვიდა არაფრით.

**დოქიძე** - ეს ასეა, არ იცი, შოთაევიჩ!

### სურათი IV

*კაბინეტის თითქოს განგებ ღრეჭოდ დატოვებული კარიდან გამოდის მოსამართლე მამული იაშავიძის და მსაჯული ქალების ციალა შავნიძის და ნატო ქვეშაგელიძის ხმები.*

**თავმჯდომარე** - გასაგებია თქვენი პოზიცია, სავსებით გასაგებია, მაგრამ კანონს ხომ არ დავარღვევთ. ახალგაზრდა კაცია, პერსპექტიული, როგორც თქვენ ბრძანებთ და მაინც უნდა დაისაჯოს... ჩვენ არ გავათავისუფლებთ, სხვები გაუშვებენ, ესეც მართალია, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა ვთქვათ, კანონი არ უნდა გავახაროთ, ასეთია არაპირდაპირი მითითება და ჩვენი მორალური კრედო!

(დოქიძე მოყვება ჩიტო არაფიძეს. ჩიტოს დიდი პორთველი უჭირავს).

**დოქიძე** - მე გჭირდებით, ბატონო მამული?

**თავმჯდომარე** - ჩაყევი ქალებს, გაუმასპინძლდი, ჩაი, ნამცხვარი... დრო კიდევა გვაქვს!

(საათზე იხედება)

- არ არის საჭირო ბატონო მამული, ნუ შეწუხდებით!..

- ნაჭამი ვართ.

- ჩვენ ნაჭმები ვართ...

- ჩამობრძანდით ბატონო, ჩამობრძანდით, ყავა გაგამხნევებთ!

მსაჯული ქალებისა და დოქიძის ხმებია, ჩადიან...

**თავმჯდომარე მამული იაშავიძე და ჩიტო არაფიძე**

მართლმსაჯულების დიდი, ცარიელი დარბაზი, ფრიზებით, ლავგარდენებით, ბუჯერებით.

**იაშავიძე** - შენც კარგი გვრიტი ხარ, ჩიტი კი არა, გააჩერეთ ლაშა მიქლიოშვილი-თქვა არ გითხარით, პროტესტს დამიწერს, შარში გამხვევს, მე თავი მოძულებული კი არა მაქვს, არ მინდა თქვენი არაფერი, ხომ იცით, რა დროა... მამა არ მოვიდეს ჩემთან! რაც შვილია ის მამაა, ანდა პირიქით, მშობელს რომ შვილი უყვარს, თვარა მაგ რა გასაზრდელი იყო. გააჩერეთ მიქლიოშვილი, თვარა რასაც მოითხოვს იმას მოვარტყამ მაგ თქვენს სულიკოს და მიყარეს მერე კაკალი!.. რო დამიწყე ფიგურული ტრიალი, რისი მქონებელიც იყავით, ვერ მითხარით! ფიგურნოე კატანიე მინდოდა მე?! ყვავს ჩამოაგდებ ხიდან და ახლა ხმას არ იღებ, რამდენი გამოგატანეს?

**ჩიტო** - მამაჩემის ძვლები დამეჭიროს კბილებით, პატივისცემა არ მაკლია მაგათგან, ზედმეტი რად მინდა... რავა გეკადრება, მაგის კაცი ვარ, მამული, ასე მიცნობ?!

**თავმჯდომარე** - ასეც გიცნობ და - ისეც, მიქლიოშვილი გააჩერეთ, როგორც გინდათ!

### სურათი V

*ეჭვმიტანილი სულიკო ქაშაპიძე, მამა იმისი ბორის ქაშაპიძე და დოქიძე*

**დოქიძე** - შამპანურიც დავუდგი, მაგრამ არ დალიეს.

**მამა ქაშაპიძე** - პროკურორს არ შეუტანეთ?..

- შამპანური?

- შამპანური რა ჩემ ფეხებად უნდა, - მაყუთი!

- აღარ დარჩა, გუშინდელი სუფრა რა დაჯდა, თუ იცი?

- საშამ არ გადაიხადა?

- საშამ არა კოლამ...

- სადაა ჩიტო?

- თავმჯდომარესთან, არ გაუყოო, უმძრახად ყოფილან ერთმანეთში... იმას ცალკე უნდაო.

- ხელიხელ გადახვეულნი არ იჯდნენ დღეისწორს "ზეთანიაში"? ვინებია უმძრახად?

მუხის მორები გამაქვს ბიჭო მე ატტონიანი მანქანებით საზღვარგარეთ, მახათი არ გაეტევა, სადაც 100-წლიან მორებს ვაძვრენ და თქვენ მაჭმევთ!..

**სულიკო (შვილი) ქაშაპიძე** - ახლა მოგინდათ საქმის გარჩევა, ჩამატოვებ მე აქ, ვატყობ.

**მამა ქაშაპიძე** - (დოქიძეს) რამდენი სახლი მაქვს თბილისში.

**დოქიძე** - არ დამითვლია, ხუთი... ექვსი...

**მამა ქაშაპიძე** - ოთხი, ნუ უმატებ. ოთხი, მარა 24 რატომ არ მექნებოდა, ეს რომ არ გამჩენოდა, ამას უნდა დაუტოვო ჩემი მონაგარი?..

**შვილი ქაშაპიძე** - ნერვებს ნუ აიშლი თუ არა, კი არ დამიტოვებ, - დაგრჩება. საფლავში ვერ ჩაიტან და ვერც ჩაგატნევ, ძალიანაც რომ მოინდომო.

**მამა** - ხედავ?! (დოქიძეს არ აცილებს თვალს)

**დოქიძე** - წავედი მიქლიოშვილთან, თქვენ უყურეთ ერთმანეთს!

### სურათი VI

*პროკურორი ლაშა მიქლიოშვილი და დოქიძე*

**პროკურორი** - თქვენ რა ბრძანდებით, ბატონო პროკოფი, ბრალდებულის?

**დოქიძე** - ბიძა, პატივცემულო, ჩემი გაზრდილია ფაქტიურად...

**პროკურორი** - გასაგებია, კარგი გაზრდილი ჩანს, გამტანი ხართ, არა?

**დოქიძე** - მიმტანი, მომმარაგებლად ვმუშაობდი, გამტანი (ნაძალადევად იცინის) მოსამართლემ იხუმრა, მისი ჭკუით...

**პროკურორი** - გასაგებია, ჩიტო არაფიძე რა არის თქვენი?

**დოქიძე** - არაფერი. აქ ვნახე პირველად, შემტანი ყოფილა...

**პროკურორი** (მაგიდაზე თითებს ათამაშებს) - საკვირველია, როგორ ენდეთ... გასაგებია, გასაგები, სურათი ნათელია, პროცესიდან გაუშვებს თქვენს ძმისშვილს...

**დოქიძე** - დისშვილს... რა ვიცი, პატივცემულო, რვა წელს პირდებოდა, დააქცია ქვეყანა.

**პროკურორი** - ყვირილში იღებს...

**დოქიძე** - ისე, პატივცემულო, მამა მაგისი რაიკომის მდივანი გახლდათ, კომუნისტების დროს, შესანიშნავი ადამიანი, ნამეტანი თავმდაბალი, ბავშვი რაა, ბავშვი რომ მიგეგზავნა და ხუთი დოლარი გაგეტნია, სიტყვაზე ვამბობ, აიღებდა, სინდისს გეფიცებით, პატივცემულო, არ იუკადრისებდა და საქმესაც გააკეთებდა, იმნაირი კაცი იყო.

**პროკურორი** - ამბობენ კი, მაგი არ უქნია ღმერთს, თვარა მამა კარგი ყავდაო... სულერთია, მე პროტესტს დავწერ, ხელახალ სასამართლოს მოვითხოვ.

**დოქიძე** - დავიღუპებით, პატივცემულო, რწმენა დაიკარგება, გზაკვალი აერევა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს.

**პროკურორი** - კანონი უკანონობას კი არ ნიშნავს, დემოკრატია კანონების უმაღლესობაა, იაშავიძეს გონია, მარტო მაგასა აქვს პირი, მაგისათვის არც სასამართლო რეფორმაა, არც კანონის უზენაესობა, არც მორალი... ძლივს გამოვწიწვე მილიციას მაგ საქმე, სასამართლოს გზას არ აჩვენებდნენ, რომ მე არა...

**დოქიძე** - ისე, პატივცემულო, ერთი მგლისკენაც უნდა ითქვას, თქვა (ხმას უდაბლებს) ბატონი ლაშა მიქლიოშვილი არ დამიტოვოთო...

**პროკურორი** - მეც უნდა გამსვაროს?! არ დავუშვებ, საერთოდ ჩემზე არაა ლაპარაკი, მე მარტო არა ვარ, ჩემს ზევით არიან და ჩემს ქვევითაც.

**დოქიძე** - ყველაფერი გათვალისწინებულია, რასაკვირველია, პატივცემულო.

**პროკურორი** - საერთოდ, როგორ მიბედავთ, წაიღეთ ეს, მოკიდე ხელი, წაიღე!

**დოქიძე** - ბაღანა დაიღუპება, პატივცემულო.

**პროკურორი** - კი არავის ვერიდები, რას იხედები აქეთ-იქით, ხელზე არ დამაჩნდეს ერთბაშად!

იყოს დროებით, აგერ შედევი (სეიფის კარს აღებს), იყოს (სეიფს კეტავს). სხვას რომ არ მიცე, აქ შევინახავ, სხვები აიღებენ და გაუშვებენ მაინც... ეს იყოს აქ ნივთმტკიცებად, ისე ახლა, მართლა და მართლა, ახალგაზრდას ხომ არ დავღუპავთ, ათასი ოხერი მკვლელი, ყაჩაღი გარეთაა. შეწყალება მზადდება დიდი, პრეზიდენტი მოაწერს ხელს და შეიწყალებენ ყველას, ვინც პირველად ჩავარდა მკვლელობაზე. თუ ერთხელ მეტად კაცი არ მოგიკლავს, გამოგიშვებენ, ჰუმანური აქტია თავისთავად, დიდი აქტი და ახლა ვილაცამ ვიღაცას თავი გაუპო, დიდი ამბავი. ისე, მამამისიც კაი ფრუქტია, მოჭრას ერთი ასი ძირი ხით მეტი და პატივი სცეს ყველას... ეშლებაო, მომივიდა ხმები, ვინ აპატიებს, შენკენ კი არ უნდა მიითალო მხოლოდ. გამოაგდებენ, ისე მამა მიცოცხლოს და იფხანოს ბარძაყები მერე, მე შენ გეტყვი, ხის მჭრელს ვერ იშოვიან ან მორების გამტანს, შენ რატომ უნდა შემოსულიყავ ჩემთან, იაშავიძე გოთვერანმა, არ იცის - ვის რა ეკუთვნის?! აღარ აირჩევენ ხელახლა ხვდება და მიდის რქებით პარლამენტისკენ; დეპუტატობას უმიზნებს და გახდება კიდეც, ვინაა გამკავებელი! მოკლედ, გილოცავთ, ბავშვის გათავისუფლებას (ხელს ართმევს), ჩვენ ახალგაზრდების მხარეზე ვართ, საქართველოს მომავალი მაგათ ხელშია! გადაეცი, იმ დამპალს, პროტესტს არ წერს-თქვა და არ გაწელოს, მეტს ვეღარაფერს გამოგრჩებათ, ორ პროცესზე ვარ კიდევ დასასწრები!

### სურათი VII

- ნახე, ბიჭო, რას მომაწვაა?! - თქვა გარეთ გამოგდებულმა სულიკო ქაშაპიძემ და ძმაკაცს გამოართვა ღერი სიგარეტი, ყველაფერი რომ იყო შეტენილი შიგ, თამბაქოს გარდა.

- კლასიკურადაა შეკეთებული, - უთხრა ძმაკაცმა.

- ატეცი გვიყურებს, მაგანაც... - (ღრმად და გემრიელად შეისუნთქა ბოლი, ამოაბოლა, მამას მაინც თვალი მოარიდა):

- რას მომაწვა იაშავიძე, ეს ბიძაჩემიც რავარია?!

- დოქიძე?

- პროკოფია კესარიელი, გადააგდო ატეცი!..

- დოქიძემ?

- ჩიჩუაა დედაჩემი, მაგისი დედაც, დედა კი არა - დაც... რის დოქიძე...

- მაინც კარგად დამთავრდა ყველაფერი.

- პრინციპში კი, ბოზის შექმნილი ვიყო.



ადამიანთათვის ბუნებრივია იმედის ილუზიებში გადავარდნა... მაგრამ, ნუთუ ჩვენ მათ რიცხვს შევადგენთ, ვისაც აქვს თვალი, მაგრამ ვერ ხედავს, აქვს ყური, მაგრამ არ ესმის?

ისინი გვარწმუნებენ, რომ ჩვენ სუსტები ვართ და არ გვაქვს უნარი ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგის გამკლავებისა. მაგრამ, როდისღა უნდა გავძლიერდეთ? თავისუფლების წმიდათაწმიდა იდეით შეიარაღებული სამი მილიონი კაცი, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, დაუმარცხებელ ძალას წარმოადგენს ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი ნებისმიერი მტრისათვის. ბრძოლა მხოლოდ ძლიერთა პრივილეგია არ არის; იგი დაკვირვებულთა, აქტიურთა და გამბედავთა საქმეცაა. რატომ ვრჩებით ამგვარად გახევებულნი? ნუთუ უმოქმედობა ისაა, რასაც დამსწრე ბატონები ესწრაფვიან? რისი მოპოვება სურთ მათ? ნუთუ სიცოცხლე ისეთი ძვირფასია, ანდა მშვიდობა ისეთი ტკბილი, რომ მათი ყიდვა ჯაჭვებისა და მონობის ფასადაც კი ღირს? ყოვლისშემძლე უფალმა დაგვიფაროს ამისაგან! მე არ ვიცი, რა გზას დაადგებიან სხვანი, მაგრამ რაც შეეხება ჩემს თავს, მომეცით თავისუფლება, ან მიბოძეთ სიკვდილი!

*პატრიკ ჰენრი. ამერიკელი ფილოსოფოსი, პატრიოტი და რევოლუციონერი. სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმულია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის წამოწყების გადაწყვეტილების მიღებისას. 1775 წლის 23 მარტი.*

## პოლიტიკური მეცნიერება

**პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს პერიოდულად შევთავაზებთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.**

**რეალპოლიტიკი** - გერმანული ტერმინი, რომელიც გერმანიისა და პრუსიის კანცლერის, ოტო ფონ ბისმარკის (1862-90) პოლიტიკის დახასიათების მცდელობისათვის გახდა ცნობილი. ბისმარკმა გერმანიის იმპერიის გაერთიანება შეძლო ავსტრო-უნგრეთთან და საფრანგეთთან ხანმოკლე ომების მეშვეობით. მან განაცხადა, რომ გერმანიის პრობლემათა გადაჭრა მხოლოდ "სისხლითა და მახვილით" იყო შესაძლებელი. ამგვარი აზროვნების ადრეული ექსპონენტი ნიკოლო მაკიაველი იყო (1469-1527), ვისაც მიაწერენ ფრაზა "vaison d`etat"-ის (სახელმწიფოებრივი მოტივი) ავტორობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების ერთადერთი გამართლება მხოლოდ მისი წარმატებით შეიძლება. იმის მტკიცებაც შესაძლებელია, რომ რეალპოლიტიკის მიმდევარნი ჩვეულებრივი რეალიზმის მომხრენი არიან. დღეს შიშველ სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობა და მისი ყოველ შემთხვევისას გამოყენება აღარ წარმოადგენს ყველა საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწის არსენალის შემადგენელ ნაწილს.

**პრონონსიამენტო** - ეს არის ესპანური წარმოშობის ტერმინი, რომელიც სამხედრო ოფიცრობის წარმატებულ ამბოხებას ნიშნავს. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ამ ცნობილი ფენომენის ყველაზე უკანასკნელ გამოვლინებას ადგილი ესპანეთში ჰქონდა, სადაც პრონონსიამენტოს საშუალებით გენერალმა ფრანკომ 1936 წელს ესპანური რესპუბლიკა დაამხო. ის დელიკატური განსხვავება, რაზედაც ზოგიერთი სამხედრო მიუთითებს, ამ ტერმინთან კავშირში არის ის, რომ ამ სიტყვის ხმარება მხოლოდ მაშინაა მართებული, როდესაც სამხედროთა მოქმედება ხალხის ნებას გამოხატავს. ყველა სხვა სახის სამხედრო ჩარევა პოლიტიკურ პროცესში კი უბრალოდ გადატრიალებას, ანუ პუტჩს წარმოადგენს.

**გახსნილი და ღია მმართველობა** - ესაა იმ ტიპის მმართველობა, რომლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა პროცესი შემოწმებისათვის და თვალყურის დევნებისათვის ყოველთვის ღიაა. მოქალაქეთა მხრიდან სამთავრობო დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობა მთლიანად შეუზღუდავია და არ არის ანტიჯაშუშობისა და კონფიდენციალურობის, აგრეთვე ოფიციალურ პირთა მიმართ ობსტრუქციების ამკრძალავი კანონმდებლობით ლიმიტირებული. ინფორმაციის თავისუფლება ამ კონცეფციის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს. სკანდინავიური ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები ძალიან ღია სისტემებს წარმოადგენენ, რაც არ ითქმის მესამე სამყაროსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით) მთავრობებზე.

**მონეტარიზმი** - ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს, რომ გამოშვებული ფულის რაოდენობა ადგენს ფასების სიმაღლესა და სიდაბლეს. ეს კონცეფცია პირველად კლასიკური ეკონომიკის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს. მოგვიანებით კი, 1950-იანი წლებისათვის, იგი მილტონ ფრიდმანმა და ჩიკაგოს ეკონომიკურმა სკოლამ წამოსწია. ამ კონცეფციის მიმდევართა მთავარი მტკიცება ის იყო, რომ ინფლაციური ტენდენციების შესაჩერებლად საჭირო იყო ქვეყნის ეკონომიკის ფულით მომარაგების პროცესის მკაცრი კონტროლირება. "მონეტარისტები" გამეფებული "კეინსიანიზმის" შეგნებულ ოპონენტებს წარმოადგენდნენ. "კეინსიანელებს" მიაჩნდათ, რომ მთავრობის ეკონომიკაში ჩარევა კერძო სექტორის სტიმულირების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, მაშინ როცა "მონეტარისტები" თვლიან, რომ თუ კერძო სექტორი სამთავრობო ჩარევისგან თავისუფალი იქნება, ეკონომიკა ბევრად უფრო გაჯანსაღდება, იმდენად, რამდენადაც, მათი აზრით, სამთავრობო ჩარევები ეკონომიკაზე დესტაბილიზატორისა და ინფლაციის გამომწვევის როლს თამაშობს. ამდენად, მონეტარიზმი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს ფულით ეკონომიკის მომარაგებაზე კონტროლის დაწესებაა. პოლიტიკური მნიშვნელობით, ეს ტერმინი გულისხმობს თავისუფალი სამარკეტო ეკონომიკის უპირატესობას. იგი ასოცირდება რეიგანისა და ტეტჩერის ადმინისტრაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, როგორიცაა პრივატიზაცია, დაბალი გადასახადები და პროფესიული კავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის შემოღება.

**კეინსიანიზმი** - იგი ეკონომიკური თეორიისა და სოციალური პოლიტიკის ნაზავს წარმოადგენს, რომელიც ჯონ მეინარდ კეინსის (1883-1946) მოსაზრებების რეზულტატში ჩამოყალიბდა. კემბრიჯელი ეკონომისტი, კეინსი აკრიტიკებდა ვერსალის ხელშეკრულებას მის 1919 წელს შექმნილ ნაშრომში "მშვიდობის ეკონომიკური შედეგები", რომელშიც მან მართებულად იწინასწარმეტყველა, რომ ეს ხელშეკრულება ევროპას დაასუსტებდა და გააღატაკებდა. კეინსმა სერიოზული დრო დაუთმო ომით გამოწვეული ეკონომიკური დეპრესიის მიზეზთა გამოკვლევას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დეპრესიის გამომწვევი მიზეზი კომბინირებულ, მთელი ევროპის ქვეყანათა საერთო საბაზრო მოთხოვნის გაქრობაში მდგომარეობდა. 1936 წელს შექმნილ მის ნაშრომში "დაქირავების, ინტერესისა და ფულის ზოგადი თეორია", მან ეს აზრი განავითარა იმის მტკიცებით, რომ მიზეზი გამომდინარეობდა საზოგადოების წევრთა სამომხმარებლო საქონელზე მხარჯველობითი ქმედების შემცირებიდან. მისი აზრით, დეპრესიის მეორე გამომწვევი მიზეზი მეწარმეთა და მთავრობათა ისეთ პროდუქტთა წარმოებაში ჩადებულ ინვესტიციებში მდგომარეობდა, როგორი წარმოებაც უმუშევრობის დიდ ხარისხს წარმოშობდა. ამდენად, კეინსის აზრით, გამოსავალი მხარჯველობითი ქმედების ზრდაში უნდა ეძებნათ. მთავრობები ამას იმგვარი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით აღწევენ, როგორიცაა საბანკო რესურსებზე პროცენტთა დადაბლება და გადასახადების შემცირება, რაც აუცილებლად აისახება დროებით საბიუჯეტო კრიზისებში. მთავრობებს აგრეთვე შეუძლიათ დაქირავებულთა რიცხვის გაზრდა და სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯის მომატება. ამდენად, ეკონომიკაში ბევრად მეტი ფული იქნება მიმოქცევაში, რაც აუცილებლად გაზრდის აგრეგატულ მოთხოვნილებას საქონელსა თუ სერვისებზე.

კეინსიანურმა იდეებმა დიდი გავლენა იქონიეს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე. კეინსის მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან ეკონომიკაში ინტერვენციების მიმართ, და მის მიერ მოტანილი იერიშები ე.წ. ლეიზე - ფეარის (ეკონომიკაში სამთავრობო ჩაურევლობის) პოლიტიკაზე, ისევე როგორც მის მიერ განვითარებული ბალანსირებული ბიუჯეტის თეორია იქცა მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებების შთაგონების წყაროდ. ამ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს მიაჩნდა (და მართებულადაც), რომ კეინსის რეცეპტი ომის წინანდელი დეპრესიისმაგვარი მოვლენებისგან სამომავლოდ თავდაცვის საუკეთესო საშუალება იყო. ამ თეორიამ მემარცხენე მთავრობებს მიანიჭა ისეთი ფისკალური პოლიტიკის უნარი, რომელმაც მათ საშუალება მისცა ხალხის მთელი დატვირთვით დაქირავებისა, რაც რესურსების საჯარო მფლობელობის კარგ ალტერნატივად გამოდგა. ხშირად იმასაც კი ამბობენ, რომ კეინსმა გადაარჩინა კაპიტალიზმი.

თვითონ კეინსი ლიბერალურ პარტიას ეკუთვნოდა. თუმცა მას ნამდვილად ვერავინ მიაკუთვნებს სოციალისტებს. მიუხედავად ამისა, მას, მრავალი ეკონომისტისაგან განსხვავებით, სწამდა ინსტიტუციონალური საშუალებებით მიგნებული გამოსავლისა. ამდენად, კეინსი გახდა "ბრეტონ ვუდსის" ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი. ამ ხელშეკრულებამ საერთაშორისო ვალუტების სტაბილიზება შეძლო და ისეთი ინსტიტუტების წინამორბედად მოგვევლინა, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. ამ ინსტიტუტებმა მეორე მსოფლიო ომისშემდგომი 30 წლისთავის შექმნეს გარანტია იმისა, რომ მსოფლიოში გამეფებულიყო ისეთი ეკონომიკური კლიმატი, რომელშიც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები და ინვესტიციები გაძლიერებულიყვნენ და განვრცობილიყვნენ.

კეინსის მოსაზრებებმა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს. მან, შეიძლება ითქვას, გამოიგონა მაკრო-ეკონომიკა; ესაა დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მსოფლიო ეკონომიკის ძრავის მოქმედებას მოხმარების აგრეგატული ტენდენციების, დაზოგვისა და ინვესტირების ანალიზის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, არსებობდნენ ნაკლებად რთული თეორიების მიმდევარი, ე.წ. "მოთხოვნის მხრის" ეკონომისტები, როგორიცაა ჯ. ჰობსონი (1858-1940), ვისაც ასევე დიდი ავტორიტეტი გააჩნდა.

1930-იან წლებში შვედეთის სოციალურ-დემოკრატიულმა მთავრობამ და აშშ-ში რუზველტის ადმინისტრაციამ აითვისეს კეინსის მიერ ნაკარნახევი ეკონომიკური ზომები სამუშაო ადგილთა რაოდენობის ზრდის მისაღწევად. მაგრამ 1950-იანი წლების შემდეგ ეკონომიკური მენეჯმენტი ბევრად უფრო ამბიციური გახდა ეკონომიკის სხვადასხვა საფეხურთა მანიპულირების საშუალებით უფრო მეტად ზუსტი ეკვილიბრიუმის მისაღწევად. თანდათანობით, კეინსიანიზმი საყოველთაოდ აღიარებულ სწავლებად იქცა, რომელიც მთავრობათა უმეტესობის მიერ ათვისებულ იქნა. 1972 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა განაცხადა: "ჩვენ ყველანი ახლა უკვე კეინსიანელები ვართ".

1970-იანი წლების ეკონომიკური სიტუაციისათვის, რომელსაც მზარდი უმუშევრობა და ინფლაცია ახასიათებდა, კეინსიანიზმს რჩევები არ გააჩნდა. ზოგიერთები არსებულ სიტუაციას კეინსიანიზმსაც კი აბრალებდნენ. მეოცე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი ორთოდოქსული მონეტარული პოლიტიკის და დაბალანსებული ბიუჯეტის პოლიტიკის დაბრუნებით ხასიათდება. მასშტაბური უმუშევრობა მრავალმა სინანულით გარდაუვალ რეალობად აღიარა. სხვებმა კი იგი ანაზღაურებათა უკონტროლო ზრდის შემაკავებელ, მოხერხებულ ინსტრუმენტად მონათლა.

## დემოკრატიზაცია

# მესამე ტალღის მომავალი

სემუელ ჰანთინგტონი

*პოლიტიკური მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი სემუელ ჰანთინგტონი არის ალბერტ უეზერჰედ მესამის უნივერსიტეტის პროფესორი და ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ ოლინის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი. მისი მრავალი ნაშრომი შეიცავს ისეთ წიგნებს, როგორიცაა "მესამე ტალღა - დემოკრატიზაცია მეოცე საუკუნის მიწურულს" (1991) და "ცივილიზაციათა შეჯახება და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება" (1996).*

სულ რაღაც ხუთასი წლის წინათ ისეთ პორტუგალიელ ლიდერთა და მოაზროვნეთა ჯგუფმა, მეფე იოანე II-ს, პრინც ჰენრი "მოგზაურის", ბართოლომეო დიასის და ვასკო და გამას მონაწილეობით იმოქმედა გამბედაობით, მიზანდასახულებითა და წარმოსახვის უნარით, რასაც ადამიანთა ისტორიაში ახალი ფაზა - აღმოჩენათა ხანის დაწყება მოჰყვა. მათ ისეთი მაგალითი დააფუძნეს, რომელსაც ესპანეთმა, საფრანგეთმა, ბრიტანეთმა და ჰოლანდიამ მიბაძეს. ოციოდ წელზე ოდნავ მეტი ხნის წინათ კი მარიო სოარესმა და მისმა კოლეგებმა, რომელნიც იგივენაირი გამბედაობით, მიზანდასახულობითა და წარმოდგენის უნარით მოქმედებდნენ, ადამიანთა ისტორიაში ასევე ახალი ხანის დადგომას ჩაუყარეს საფუძველი - მათ დემოკრატიის ერა დააფუძნეს. მათაც ისეთი მაგალითი შექმნეს, რომელსაც უახლოეს მომავალში ესპანეთი, საბერძნეთი, ბრაზილია და მრავალი სხვა ქვეყანა მიბაძავდა.

ასეთი რეზულტატი კი ნამდვილად არ იყო გარანტირებული რამ. პორტუგალიაში სამხედროთა მიერ 1974 წელს დიქტატურის დამხობას მოჰყვა თვეების განმავლობაში გაგრძელებული ქაოსი და კონფლიქტი. იმ დროისათვის დემოკრატიას დიდი და ნათელი მომავალი არ ეწერა და მრავალთა აზრით, პორტუგალიაში ძალაუფლებას აქაური სტალინისტურ-კომუნისტური პარტია დაეპატრონებოდა. ამ პესიმიზმს იზიარებდა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი ჰენრი კისინჯერიც. როდესაც დროებითი მთავრობის წევრი მარიო სოარესი ჰენრი კისინჯერს სტუმრად ეწვია, ამ უკანასკნელმა იგი და მისი დროებითი მთავრობა მკაცრად გააკრიტიკა კომუნისტების წინააღმდეგ უფრო გაბედული ნაბიჯების გადაუდგმელობის გამო.

"ამ შემთხვევაში თქვენ კერენსკი ხართ" - ამბობდა კისინჯერი - "მე მჯერა თქვენი გულწრფელობისა, მაგრამ გულუბრყვილო ბრძანდებით".

სოარესმა უპასუხა: "მე ნამდვილად არ მსურს ვიყო კერენსკი". რაზეც კისინჯერმა დასძინა: "კერენსკისაც არ სურდა ყოფილიყო კერენსკი".

მიუხედავად ასეთი პროგნოზებისა, მარიო სოარესმა და მისმა კოლეგებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ყველა სკეპტიკოსი, კისინჯერის ჩათვლით, ცდებოდა. პორტუგალიაში კერენსკებმა გაიმარჯვეს, მოხდა დემოკრატიის კონსოლიდაცია და მარიო სოარესი ჯერ პრემიერ-მინისტრი, და შემდეგ კი პრეზიდენტი გახდა. დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ, რომელსაც დასაბამი პორტუგალიაში მიეცა, დემოკრატიის ახალი ერა წამოიწყო, რომლის განმავლობაშიც პირველად ისტორიაში მსოფლიოს ნახევარზე მეტ ქვეყნებს ამა თუ იმ ფორმის დემოკრატიული მთავრობები მართავდნენ.



*სემუელ ჰანტინგტონი*

მოდით, მოკლედ გადავხედოთ წარსულს. პირველმა და ყველაზე ხანგრძლივმა ტალღამ დემოკრატიზაციისა, რომელიც ადრეულ მე-19 საუკუნეში დაიწყო, ოცდაათამდე ქვეყანაში 1920 წლისათვის დემოკრატიის ტრიუმფი გამოიწვია. ავტორიტარიზმის განახლებამ და ფაშიზმის აღზევებამ 20-იან და 30-იან წლებში მსოფლიოში არსებულ დემოკრატიათა რიცხვი 1942 წლისათვის ათამდე შეამცირა. მეორე, დემოკრატიზაციის შედარებით ხანმოკლე ტალღამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას მოჰყვა, მსოფლიოში მოქმედ დემოკრატიათა რიცხვი დიდი გაჭირვებით, მაგრამ 30-მდე გაზარდა. მაგრამ ამ პროცესს ამ ქვეყნებში დემოკრატიულ მთავრობათა მრავალი კოლაფსი მოჰყვა. დემოკრატიზაციის მესამე ტალღას, რომელიც პორტუგალიიდან დაიწყო, მოჰყვა ამ პროცესის ძლიერ დაჩქარება და წინა ორ ფაზასთან შედარებით, ბევრად უფრო მასშტაბური ზრდა. ოციოდ წლის წინათ მსოფლიოს ქვეყანათა მხოლოდ 30 პროცენტი იყვნენ დემოკრატიულნი; დღეისათვის მსოფლიოს ქვეყანათა 60 პროცენტს მართავს ისეთი მთავრობები, რომელნიც სხვადასხვა ფორმით ჩატარებული ღია, სამართლიანი და შეჯიბრებითობის პრინციპით გამართული არჩევნების პროდუქტს წარმოადგენენ. საუკუნის მეოთხედის წინათ ავტორიტარული მთავრობები - კომუნისტური პოლიტბიუროები, სამხედრო ხუნტები და პიროვნული დიქტატურები - არა გამონაკლისს, არამედ ნორმას შეადგენდნენ. დღეისათვის ის ასობით მილიონი ადამიანი, ვინც წარსულში ტირანიების ქვეშ იტანჯებოდნენ, თავისუფლებაში ცხოვრობს. ამას ისიც ემატება, რომ დემოკრატიები ერთმანეთს არ ებრძვიან, რამაც მსოფლიოში მშვიდობიანი ზონების მასიური ექსპანსია და ქვეყანათა შორის კონფლიქტების შანსთა შემცირება გამოიწვია. ასეთ მოკლე დროში დემოკრატიის ასეთი დრამატული ზრდა, ეჭვგარეშეა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებაა.

მაგრამ რას უნდა მოველოდეთ მომავალში? გახდება დემოკრატია კიდევ უფრო მეტად კონსოლიდირებული იმ ქვეყნებში, სადაც იგი ახლახან დამყარდა? გახდებიან კი მეტი ქვეყნები დემოკრატიული? ვიხილავთ თუ არა ისეთ სამყაროს, რომელშიც დემოკრატია სამთავრობო სისტემებში არა მარტო დომინანტურ მოდელად, არამედ უნივერსალურ სამთავრობო სისტემად წარმოგვიდგება?

### ეკონომიკა და კულტურა

პასუხები ზემოთ დასმულ კითხვებზე, ჩემი აზრით, დიდადაა დამოკიდებული ორ ძირითად ფაქტორზე: ეკონომიკურ განვითარებასა და არადასავლური კულტურების დემოკრატიასთან შეთავსების უნარიანობაზე.

პირველ რიგში, როგორც ეს ყველას მოგვეხსენება, არსებობს ძალიან მჭიდრო კავშირი დემოკრატიის განვითარების და ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის. თუ ნავთობით მდიდარ ქვეყნებს, როგორც გამონაკლისებს, გვერდზე გადავდებთ, შეგვიძლია დავინახოთ, რომ მსოფლიოს ყველა უმდიდრესი ქვეყანა, გარდა სინგაპურისა, არის დემოკრატიული; და თითქმის მსოფლიოს ყველა ულატაკესი ქვეყანა, ინდოეთისა და ორიოდ სხვა ქვეყნის გამოკლებით, არის არადემოკრატიულად მართულთა რიცხვში. საშუალო ეკონომიკური განვითარების დონის პატრონი ქვეყანათაგან ზოგიერთი დემოკრატიულია, ზოგი - არა. მაგრამ, ზემოთ აღნიშნული მჭიდრო კავშირი მაინც არ ამტკიცებს უეჭველ მიზეზობრიობას. ამდენად, ჩვენ შემდეგი კითხვების წინაშე ვრჩებით: წარმოშობს თუ არა ეკონომიკური ზრდა დემოკრატიას? წარმოშობს თუ არა დემოკრატია ეკონომიკურ განვითარებას? თუ ეკონომიკური განვითარებაცა და დემოკრატიზაციაც არიან რაღაც სხვა გამომწვევი მიზეზის რეზულტატები?

როგორც ეს ათწლეულთა წინათ სიმორ მარტინ ლიპსეტმა აღნიშნა, ჩვენს წინაშე უამრავი მტკიცებულებაა, რომელიც გვარწმუნებს, რომ ეკონომიკურ განვითარებას გააჩნია მძლავრი პოზიტიური გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. მოკლედ, თუ გვსურს დემოკრატიის წარმოშობა, ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიკურ ზრდას. არსებობს რამდენიმე მიზეზი ამგვარი ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ეკონომიკური განვითარება შეიცავს ურბანიზაციის მაღალ ხარისხს, ერუდირებულობასა და განათლებას. იგი ასევე მოიცავს სამსახურებრივი სტრუქტურების ცვლილებებს, რაც მდგომარეობს გლეხთა კლასის რაოდენობისა და მნიშვნელობის შემცირებასა და საშუალო კლასისა და ურბანულ მშრომელთა კლასის განვითარებაში. ამ უკანასკნელ ჯგუფებს სულ უფრო და უფრო მეტად სურთ საკუთარი ხმისა და გავლენის გაზრდა იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელთაც მათ ყოფაზე პირდაპირი გავლენა აქვთ. განათლების დონის ამაღლების საშუალებით მათ აქვთ უნარი პროფესიული კავშირების ორგანიზებისა, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო ასოციაციებში გაერთიანებისა საკუთარ ინტერესთა დაცვის მიზნით. მეორეც ის, რომ ეკონომიკური განვითარება მეტ საზოგადო თუ კერძო რესურსს წარმოშობს, რომლებიც საზოგადოების ჯგუფებზე ნაწილდება. პოლიტიკა უფრო და უფრო კარგავს "ყველაფერი ან არაფერი"-ს წესით თამაშის სახეს და, ამდენად, ამკვიდრებს კომპრომისებისა და ტოლერანტობის ტრადიციას. მესამეც, ეკონომიკური ზრდა წარმოშობს მეტად რთულ ეკონომიკას, რომლის კონტროლიც სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება სახელმწიფოსათვის. როგორც ეს ცენტრალური (პლანირებული) ეკონომიკის მაგალითზე ვიხილეთ, სახელმწიფო კონტროლი მხოლოდ ეკონომიკური სტაგნაციის ფასად შეიძლება იყოს მიღწეული. მეოთხეც, სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას ეკონომიკაზე მოჰყვება ძალაუფლების დამოუკიდებელ ცენტრთა წარმოშობა და ზრდა, რომლებიც ექვემდებარება კაპიტალის, ტექნოლოგიისა და კომუნიკაციების კერძო კონტროლს. იმ ბურჟუაზიას, რომელიც ასეთ მონაპოვრებს ფლობს, სურს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელშიც მას გავლენა ექნება და რომელიც არ იქნება მართული სამხედრო ხუნტის, პოლიტბიუროსა და დიქტატორისა თუ მისი ფავორიტების მიერ. საბოლოოდ, მაშინ, როცა სწრაფი ეკონომიკური ზრდა გარკვეული ხნით შემოსავლის უთანასწორობას უწყობს ხელს, გრძელვადიანი პერიოდის გასვლისას იგი საშემოსავლო დისტრიბუციის პროცესში უფრო თანასწორ ურთიერთობას წარმოშობს. დემოკრატია შეუთავსებელია აბსოლუტურ ეკონომიკურ თანასწორობასთან, რომელიც მიიღწევა მხოლოდ შიშის მთესველი დიქტატურის მეშვეობით; მაგრამ დემოკრატია ასევე ვერ იარსებებს სიმდიდრისა და შემოსავლის ძლიერი უთანასწორობის შემთხვევაშიც. ეკონომიკური ზრდა თანდათანობით ამცირებს ამგვარ უთანასწორობას და, ამდენად, ხელს უწყობს დემოკრატიის წარმოშობას.

ეკონომიკური ზრდის დემოკრატიზაციაზე ასეთი პოზიტიური გავლენის რეზულტატად შესაძლებელია იმის იდენტიფიკაცია, რასაც მე ჩემს წიგნში "მესამე ტალღა", "გარდამავალი ზონა" ვუწოდე. როგორც კი ქვეყნები ეკონომიურად ვითარდებიან და განვითარების ამ საშუალო ზონაში შედიან, მათში ავტომატურად წარმოიშვებიან ისეთი ზეწოლის მექანიზმები, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური სისტემის გათავისუფლებასა და დემოკრატიზაციას იწყებენ. იმ 40 თუ მეტ დემოკრატიულ სისტემაზე გადასულ ქვეყანათაგან, რომლებმაც ამას უახლოეს წარსულში მიაღწიეს, უმეტესობა ამ გარდამავალ ეკონომიკურ ზონაში იმყოფებოდა. შეგვიძლია ისიც ვიწინასწარმეტყველოთ, რომ დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლას უახლოეს მომავალში მსოფლიოს იმ ნაწილებში დავინახავთ, რომლებიც სწრაფ ეკონომიკურ ზრდას განიცდიან. ასეთ მხარეს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია წარმოადგენს.

ამ მომენტისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ამ პროცესში კულტურული ელემენტის როლის ხაზგასმა. თანამედროვე დემოკრატია დასავლური ცივილიზაციის პროდუქტს წარმოადგენს. მისი ფესვები სოციალურ პლურალიზმში, კლასურ სისტემაში, სამოქალაქო საზოგაოებაში, კანონის უზენაესობის რწმენაში, წარმომადგენლობით ხელისუფლებაში, სასულიერო და საერო მმართველობის გაყოფასა და ინდივიდუალიზმისადმი რწმენაში მდგომარეობს, რამაც დასავლეთ ევროპაში განვითარება ათასწლეულის წინათ დაიწყო. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში ამ მემკვიდრეობამ წარმოშვა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის გამართული ბრძოლები არისტოკრატებისა და მზარდი საშუალო კლასის ინიციატივით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული განვითარება. დასახელებულ ნიშან-თვისებებს შესაძლოა ინდივიდუალურად წავაწყდეთ სხვა ცივილიზაციებშიც, მაგრამ ასე ერთ გუნდად ისინი მხოლოდ დასავლეთში არსებობდნენ, რაც ხსნის იმას, თუ რატომაა თანამედროვე დემოკრატია დასავლური ცივილიზაციის პირმშო.

ევროპა, როგორც ეს არტურ შლეზინგერმა თქვა, არის "წყარო, უნიკალური წყარო ინდივიდუალური თავისუფლების, პოლიტიკური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და კულტურული თავისუფლებისა... ესენი წარმოადგენენ ევროპულ იდეებს - არა აზიურს, არა აფრიკულს, არა აღმოსავლურს, ამ უკანასკნელთა მხრიდან მათი დასესხების შემთხვევების გამოკლებით". მესამე ტალღის უდიდესი მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ მან დასავლურ ცივილიზაციაში დემოკრატიის უნივერსალურობა უზრუნველჰყო და გაავრცო მისი მანიფესტაციები სხვა ცივილიზაციებშიც. თუკი მესამე ტალღას გააჩნია მომავალი, მისი ეს მომავალი დემოკრატიის არადასავლურ საზოგადოებებში ექსპანსიაში მდგომარეობს. ცენტრალური საკითხი ასე გამოიყურება: რამდენად ძალუძს თანამედროვე დემოკრატიას, დასავლეთის ამ პროდუქტს, არადასავლურ საზოგადოებებში ფესვების გადგმა?

### არჩევნები და დემოკრატია

ეს კითხვა აუცილებელს ხდის იმის გარკვევას, თუ რას ნიშნავს სიტყვა დემოკრატია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გამეფებული შეხედულება დემოკრატიის დეფინიციას თითქმის მთლიანად არჩევნებს უკავშირებდა. დღეს დემოკრატია განიხილება როგორც ძალაუფლების შემადგენელი და პასუხისმგებლობიანი ხელისუფლების შემქმნელი საშუალება. სხვა პოლიტიკურ სისტემებში ადამიანები მმართველები სოციალური სტატუსის, დაბადების, დანიშვნის, სიმდიდრისა და ძალადობის საშუალებით ხდებიან. დემოკრატიულ წყობილებაში, საპირისპიროდ ამისა, ან მართულნი და მმართველნი ერთნი არიან, როგორც ეს პირდაპირი დემოკრატიის შემთხვევაშია, ანდაც მმართველნი მართულთა ხმის საშუალებით არიან არჩეულნი.

თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს იმ შემთხვევაში გააჩნია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რამდენადაც მის უძლიერეს გადაწყვეტილებათა მიმღებნი შერჩეულნი არიან სამართლიანი, ღია და პერიოდული არჩევნების საშუალებით, რომელშიც კანდიდატები თავისუფლად პაექრობენ ხმათა მოსაპოვებლად და რომელშიც მთლიანი სრულწლოვანი მოსახლეობა უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა. დემოკრატიის ამგვარმა პროცედურულმა დეფინიციამ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპოზიცია 50 წლის წინათ შუმპეტერის "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია"-ში მოახდინა, რომელიც ამ სფეროში მოღვაწე ყოველმა მეცნიერმა მიიღო და აღიარა. ამ დეფინიციის მიხედვით არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედია. მხოლოდ აქედან გამომდინარეობს დემოკრატიულ სისტემათა სხვა ნიშანთვისებები. თავისუფალი, სამართლიანი და შეჯიბრებითი არჩევნები კი მხოლოდ იმ სიტუაციაშია შესაძლებელი, სადაც არსებობს სიტყვის თავისუფლება, შეკრებისა და პრესის შეუზღუდავი მუშაობის გარანტიები და სადაც ოპოზიციონერ კანდიდატებს და პარტიებს ძალუძთ ძალაუფლებაში მყოფთა კრიტიკა ამ უკანასკნელთა მხრიდან შურისგების შიშის გარეშე.

თუმცა არის კი არჩევნები ყველაფერი, რაც დემოკრატიას გააჩნია?

ლარი დაიმონდი თავის ბრწყინვალე სტატიაში, რომელიც "დემოკრატიის ჟურნალში" გამოქვეყნდა, კარგად განმარტავს იმ უმთავრეს სხვაობას, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიასა და საარჩევნო (წარმომადგენლობით) დემოკრატიას შორისაა. ლიბერალურ დემოკრატიას არა მხოლოდ არჩევნები ახასიათებს. მას ასევე მოეპოვება აღმასრულებელ ხელისუფლების ძალაუფლების შემზღუდავი მექანიზმები; მას ჰყავს დამოუკიდებელი სასამართლოები, რომელნიც კანონის უზენაესობას უზრუნველყოფენ; მას მოეპოვება ინდივიდუალურ უფლებათა და თვითგამოხატვის, ასოციაციის, რწმენისა და მონაწილეობის მიღების თავისუფლების დამცავი საშუალებანი; იგი ზრუნავს უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფად; იგი ლიმიტირებას უკეთებს ძალაუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიის უნარს საარჩევნო პროცესის მიკერძოებულად ჩატარებისა; მას აქვს ეფექტიანი გარანტიები თვითნებურ დაპატიმრებათა და პოლიციის სისასტიკის გამოსარიცხად; მას არ აქვს ცენზურა და გააჩნია მედიის ხელისუფლების მხრიდან მინიმალური კონტროლი. საარჩევნო დემოკრატიებს ჰყავთ მეტ-ნაკლებად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების რეზულტატში მოსული ხელისუფლება, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ის მრავალი ჩამოთვლილი გარანტიები უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ლიბერალურ დემოკრატიებში არსებობენ. როგორც ამას დაიმონდი აღნიშნავს, არჩევითი (წარმომადგენლობითი) დემოკრატიების რიცხვმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იმატა, მაგრამ ლიბერალურ დემოკრატიათა რიცხვი თითქმის არ გაზრდილა. "თავისუფლების სახლის" მიერ 1996 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით 118 ქვეყანას ეკუთვნის წარმომადგენლობით დემოკრატიად კვალიფიცირება; მაგრამ მათგან მხოლოდ 79 თუ იმსახურებს "თავისუფალი" ანუ ლიბერალური დემოკრატიის წოდებას. 39 ქვეყანა არჩეული მთავრობებით მიჩნეულნი არიან მხოლოდ "ნაწილობრივ თავისუფლად" და მათ რიცხვშია ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი, ინდოეთი, უკრაინა, თურქეთი, ბრაზილია, პაკისტანი და კოლუმბია.

გაგრძელება D3 გვერდზე

D2 გვერდიდან

ასეთი განსხვავების რეზულტატად ზოგიერთი ეჭვის ქვეშაც კი აყენებს დემოკრატიის არჩევნებთან იდენტიფიკაციას. ისინი მიგვითითებენ "ელექტორალიზმის ცთომილებასა" და "თავისუფალი არჩევნების ხაფანგზე". ერთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი იმ მოსაზრებასაც კი ავითარებს, რომ არჩევნები დემოკრატიისათვის შეიძლება არც ისეთი მნიშვნელოვანი იყოს: თუ, მისი აზრით, ხალხს გააჩნია პროტესტის გაცხადების თავისუფლება, კრიტიკის, ორგანიზებისა და დემონსტრაციის უფლება, უფლება საკუთარ მმართველთა ლობირებისა, არჩევნები საჭირო აღარც არის. სხვა კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ "დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ერისათვის თავისუფალი პრესის არსებობა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე თავისუფალი არჩევნებისა". თვითონ იგი, რა თქმა უნდა, ჟურნალისტია. საარჩევნო პროცესით ასეთ განხიბლვას სხვადასხვა მიზეზი გააჩნია, მაგრამ, ძირითადად მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად განსხვავდება არჩევნების რეზულტატი არადასავლურ ქვეყანაში დასავლურ საზოგადოებებში არჩევნების საშუალებით მიღებული რეზულტატისაგან.

პირველ რიგში, არადასავლურ საზოგადოებებში არჩევნების საშუალებით შესაძლოა ძალაუფლებაში ისეთი ლიდერები და ჯგუფები მოვიდნენ, რომელნიც სერიოზულად დაემუქრებიან ქვეყანაში დემოკრატიის შენარჩუნებას. არჩეული უზენაესი აღმასრულებელი ხელისუფალნი ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ხშირად იქცევიან თვითნებურად და არადემოკრატიულად თავიანთ ოპონენტთა შევიწროებებისა და საპრეზიდენტო ბრძანებულებებით მმართველობის წყალობით. ზვიად გამსახურდია საქართველოში ასეთ მაგალითთა ადრეულ შემთხვევას განეკუთვნება; ალბერტო ფუჯიმორი კი პერუში ამის ყველაზე უკანასკნელი დემონსტრაციაა. სხვა უზენაესი აღმასრულებლები ლათინურ ამერიკაში იქვემდებარებდნენ საკანონმდებლო ორგანოს და თავს ახვევდნენ მათ სხვადასხვა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებიც უზენაეს აღმასრულებელს საკუთარ თანამდებობებზე ყოფნის გახანგრძლივების უნარს ანიჭებდა. არადასავლურ საზოგადოებებში, რომლებშიც ნაკლებადაა განვითარებული დასავლეთის ლიბერალური ტრადიციები, არჩევნების საშუალებით ძალაუფლებაში მოხვედრილი მთავრობები ხშირად მცირე ყურადღებას უთმობენ ინდივიდუალურ უფლებებს, ეწევიან უმცირესობათა დისკრიმინაციას, ზღუდავენ პრესის თავისუფლებას და ეგუებიან, აქეზებენ კიდეც პოლიციის მხრიდან სისასტიკეს.

მეორე - არჩევნები არადასავლურ ქვეყნებში პოლიტიკოსთათვის ქმნიან ისეთ მოტივაციებს, რომლებიც მათ ამომრჩეველთა ყველაზე მეტ ხმებს მოუტანს და, როგორც წესი, ეს მოტივაციები პოლიტიკოსთა მხრიდან გამოიხატება ეთნიკური, რელიგიური და ნაციონალისტური ხასიათის მოწოდებებში. ასეთ მოწოდებებს ქვეყანაში და საზოგადოებაში დანაწევრებისა და ფრაგმენტაციის ტენდენცია გააჩნიათ და ასევე შესაძლოა ანტიდასავლურ პოლიტიკურ ლიდერთა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გამარჯვების საწინდრად იმუშაონ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არადასავლური საზოგადოებების მიერ დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტების კოპირება ხშირად ხელს უწყობს და ძალაუფლებისაკენ უხსნის გზას ეთნოცენტრისტ და ანტიდასავლურ პოლიტიკურ მოძრაობებს. დემოკრატია ზოგჯერ პაროქიალიზმის, და არა კოსმოპოლიტიზმისკენ მიდრეკილი პროცესია. არადასავლურ საზოგადოებებში პოლიტიკოსები არჩევნებს სულაც არ იგებენ იმის დემონსტრირებით, თუ როგორი დასავლური ორიენტაციისანი არიან ისინი. რელიგიურად ორიენტირებული პარტიები, რომელნიც აკრიტიკებდნენ დასავლურ სეკულარიზმს, მიუღწევიათ საარჩევნო წარმატებებისთვის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი, ინდოეთი, ისრაელი და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები. ალჟირის სამხედროებმა გააუქმეს არჩევნები, რომელშიც ფუნდამენტალისტ-ისლამისტი "ხსნის ფრონტი" უეჭველ წარმატებას აღწევდა. თურქმა სამხედროებმა გააძევეს მთავრობა, რომელსაც სათავეში "ისლამური კეთილდღეობის პარტია" ედგა. ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში არჩევანი არადემოკრატიული სეკულარიზმისა და ანტიდასავლურ დემოკრატიას შორის მერყეობს.

დასავლეთში საარჩევნო დემოკრატია ეფუძნება და გამომდინარეობს ლიბერალური პოლიტიკური მემკვიდრეობიდან, რომელიც თავის თავში ინდივიდუალურ უფლებებსა და კანონის უზენაესობას შეიცავს. საარჩევნო დემოკრატიას ასევე ძალუძს გარკვეული როლის თამაში არალიბერალურ, არადასავლურ სისტემებშიც. განვიხილოთ ირანის მაგალითი. იგი ფუნდამენტალისტი სახელმწიფოა. უდიდესი ძალაუფლება ეკუთვნის უზენაეს აიათოლასა და "მზრუნველთა საბჭოს", რომელიც რელიგიური ლიდერებითაა დაკომპლექტებული. რევოლუციის, რეჟიმისა თუ რელიგიურ ლიდერთა კრიტიკა იქ უმოწყალოდ და გულდასმით ისჯება. მედია ან მთავრობის კონტროლის ქვეშაა, ანდაც მკაცრი ცენზურის ობიექტს წარმოადგენს. რელიგიური უმცირესობები დევნილ მდგომარეობაში არიან, და ზოგჯერ, როგორც ეს ბაჰაების შემთხვევაშია, რეპრესირებულნი არიან. თვითნებური დაპატიმრებები აქ ჩვეულებრივი საქმეა და პატიმართა წამების ფაქტები საქვეყნოდ გახმაურებული პრაქტიკა. სხეულის დანაწევრება-დაჩეხვა სისხლის სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სასჯელია. პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი აქ ხშირად საკმაოდ მაღალია. ამდენად, ირანი წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც საკმაოდ შორს დგას დასავლური ლიბერალური სახელმწიფოს მოდელისაგან.

მიუხედავად ამისა, ირანი საამომრჩევლო დემოკრატიაა. 1997 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოჰამედ ხატამიმ აშკარა უპირატესობით მოუგო ისტებლიშმენტის კანდიდატს. ხატამის ხმათა 69 პროცენტი ერგო სრულწლოვანი მოსახლეობის იმ 88 პროცენტიდან, რომელმაც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. 1993 წელსაც ჰაშემი რაფსანჯანიმ 63 პროცენტით გაიმარჯვა დაძაბულ არჩევნებში სამი სხვა კანდიდატის წინააღმდეგ. 1992 წლის მეჯლისის არჩევნებში (პარლამენტის) "მზრუნველთა საბჭომ" ათასზე მეტი კანდიდატი ჩამოაშორა არჩევნებს, მაგრამ დარჩენილი ორი ათასი კანდიდატი ერთმანეთს 270 ადგილისათვის თავდაუზოგავად შეება. 1996 წელს საბჭომ პროცესიდან გარიცხა ორი ათასი მეჯლისის კანდიდატი, მაგრამ დატოვა სამი ათასი 270 ადგილისათვის საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები იქ აკრძალულია, ორივე არჩევნებში კანდიდატები ასოცირდებოდნენ ორ ნახევრადპარტიულ პოლიტიკურ დაჯგუფებებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ შედარებით ზომიერისა და შედარებით ფუნდამენტალისტ შეხედულებებს. ქალები კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებასთან ერთად, ასევე მონაწილეობდნენ არჩევნებში როგორც თანამდებობების კანდიდატები და 1997 წელს მათ მეჯლისის 5 პროცენტი შეადგინეს. მეჯლისს საკმაოდ დიდი ძალაუფლება გააჩნია. მას შეუძლია პრეზიდენტის მიერ მისი კაბინეტის პოტენციური კანდიდატების არდამტკიცება და ძალუძს მინისტრთა კაბინეტის წევრის გადაყენება. მეჯლისი ასევე მონაწილეობს ეკონომიკურ საკითხებზე გამართულ მწვავე დებატებში და 1994-1995 წლებში მან შეძლო მაშინდელი პრეზიდენტის, რაფსანჯანის მიერ წარმოდგენილი რეფორმების ბლოკირება. შეიძლება ითქვას, რომ მეჯლისი ყველაზე ცოცხალი და ქმედითუნარიანი პარლამენტია ახლო აღმოსავლეთში ისრაელის კნესეტის შემდეგ. საარჩევნო შეჯიბრის ხარისხი ირანში ყველაზე ძლიერია მთელ არაბულ სახელმწიფოებში და ერთი ან ორი სახელმწიფოს გარდა, მთელ მუსულმანურ სამყაროში. ამდენად, ირანი ახერხებს შეათავსოს შეჯიბრებითი არჩევნები და ძალაუფლების გარკვეული შემოწმებისა და ბალანსირების პრაქტიკა ფუნდამენტალისტურ რეპრესიებთან და ინდივიდუალურ უფლებათა საშინელ დარღვევებთან ერთად. სპარსეთის ყურეში, საუდის არაბეთში, რომელიც ამერიკის უახლოესი მოკავშირეა, ყველაზე ნაკლებად დემოკრატიული სახელმწიფოა, მაშინ როცა ამერიკის ყველაზე დიდი ანტაგონისტი - ირანი - რეგიონის ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა.

## დასავლეთის გავლენა

ლიბერალური დემოკრატია, რომლის ფესვებიც ინდივიდუალური ღირსების კონცეფციიდან იღებს სათავეს, დასავლეთის პროდუქტია, და ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ლიბერალური დემოკრატიის განხორციელება დასავლეთის საზღვრებს გარეთ შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, რომ სულ ცოტა ერთი ლიბერალური დემოკრატია მაინც არსებობს თითქმის ყოველ ცივილიზაციაში. ლიბერალური დემოკრატია არ არის შინაგანი, თანდაყოლილი მიზეზების გამო შეუთავსებელი ძირითად არადასავლურ კულტურებთან. თუმცა, არადასავლური საზოგადოებებისათვის ლიბერალური თუ არჩევითი დემოკრატიების მისაღებობის ხარისხი დამოკიდებულია ამ საზოგადოებებზე დასავლეთის გავლენის ხარისხით. იმ 39 ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ღია და სამართლიანი არჩევნების გზით მოსული მთავრობები, მაგრამ რომლებსაც ამავე დროს ძლიერ აკლიათ პოლიტიკური თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები, მიეკუთვნება ათი ლათინური ამერიკის ქვეყანა, რვა აფრიკული, ხუთი მართლმადიდებელი ქრისტიანული და ხუთი მუსულმანური ქვეყანა. არჩევითი დემოკრატია ამ ქვეყნებში არ წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიისაკენ გადადგმულ ნაბიჯს. ინდოეთი, თურქეთი და შრი ლანკა, მაგალითისთვის, არიან არჩევითი დემოკრატიები თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ისინი ისევ რჩებიან იმ ქვეყნებად, რომელთაც არ ძალუძთ საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

მსოფლიოს დიდი ცივილიზაციები სერიოზულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად არიან ისინი დასავლური კულტურისმაგვარი, ან იმით, თუ რამდენად ჰქონია დასავლეთს მათზე გავლენა წარსულში. ლათინური ამერიკა უეჭველად დასავლეთის ახლო ნათესავია და, ზოგიერთის აზრით, იგი დასავლეთის ოჯახის ნაწილადაც კი უნდა ჩავთვალოთ. მართლმადიდებელი სამყარო უფრო შორეულ და უფრო პრობლემატურ ნათესავს წარმოადგენს. აფრიკაში დასავლური მმართველობა ხანმოკლე, და სამხრეთ აფრიკის საზღვრებს გარეთ, ფრიად ლიმიტირებული იყო. მუსულმანურ ქვეყნებში დასავლური გავლენა ქვეყანათა მიხედვით განსხვავდება, მაგრამ ისლამის არაბულ სამყაროში იგი ძლიერ შეზღუდულია. იგივეა ჩინეთის შემთხვევაშიც. ზოგადად არადასავლური საზოგადოებისათვის საამომრჩევლო დემოკრატიისა თუ ლიბერალური დემოკრატიისადმი კეთილგანწყობის ხარისხი პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ რამდენად ყოფილა ესა თუ ის საზოგადოება დასავლური გავლენის ქვეშ.

დემოკრატიული განვითარება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ლიდერებს სჯერათ, რომ მათ აქვთ მოტივაცია ამ პროცესისათვის ხელშეწყობისა, ან ვალდებულება ასეთი განვითარების მიღწევისა. ამგვარი ელიტები მსოფლიოს უმეტეს ნაწილში უბრალოდ არ არსებობენ. მუსულმანურ ქვეყანათაგან უმრავლესობაში ავტორიტარული მმართველები აკონტროლებენ სიტუაციას და არანაირ ნიშანწყალს არ იმჩნევენ დემოკრატიზაციის წამოსაწყებად. იმ რიცხობრივად მცირე დემოკრატიებში, რომლებიც მუსულმანურ სამყაროში არსებობენ, მმართველები მცირე ინტერესს თუ იჩენენ ამომრჩევლობითი დემოკრატიიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასასვლელად. ალბათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყველა იმ მუსულმანურ ქვეყნებში, რომლებიც არ იმართებიან ფუნდამენტალისტი რეჟიმების მიერ, ფუნდამენტალისტი მოძრაობები დომინირებენ და ხშირად მონოპოლიზაციასაც კი უკეთებენ ოპოზიციას. ლიბერალურ-დემოკრატიული ოპოზიციური ჯგუფები მათი არარსებობის გამო უფრო არიან შესამჩნევნი. "ერთი მუსულმანური საზოგადოებიდან დაწყებული და სხვა მრავალით გაგრძელებული" - ამბობს ფოუად აჯამი - "ლიბერალიზმზე და ეროვნულ ბურჟუაზიულ ტრადიციაზე წერა ნიშნავს ნეკროლოგების წერას, რომელიც მიძღვნილია იმ ხალხზე, ვინც წარმოუდგენელი რისკი გასწია და შემდეგ დამარცხდა". ამას დავამატებთ, რომ როგორც ეს ფართოდაა ცნობილი, დემოკრატია ემყარება მძლავრ სამოქალაქო საზოგადოებას. მუსულმანურ ქვეყნებში კი ვითარდება მძლავრი სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ იგი ფუნდამენტალისტი სამოქალაქო საზოგადოებაა და არა სეკულარული და ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოება.

ჩინეთსა და სხვა აზიურ საზოგადოებებში ლიბერალური დემოკრატია დიდად არავის ადარდებს. ისიც კი არის ნათქვამი ზოგიერთი დასავლელი მკვლევრის მიერ, რომ აზია "არალიბერალური დემოკრატიის" აკვანია, რომელიც იმ კულტურული მემკვიდრეობის პროდუქტია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს და აღიარებს სახელმწიფოს პატერნალისტურ და აღმზრდელობით როლს და უყურებს კანონს, როგორც მოქალაქეთა ქმედებების გზისმკვლევს და არა როგორც პიროვნულ თავისუფლებათა დამცველს და გარანტს. ჩინეთში პოლიტიკური ლიდერები ძლიერ ეწინააღმდეგებიან დემოკრატიას; ჩამოყალიბების ფაზაში მყოფი ბურჟუაზია იძულებულია მჭიდროდ გადაბას ხელისუფლებას მასზე რამენაირი ზეგავლენის მოსახდენად და სტუდენტები და სხვა დისიდენტები კი მოკლებულნი ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილ სოციალურ ბაზისს. ადამიანის უფლებების კონცეფცია, რომელმაც სახელმწიფო უნდა შეზღუდოს, ძლიერ სუსტია აღმოსავლეთ აზიაში; თუ ინდივიდუალური უფლებები აღიარებულნი არიან, მათ მიიჩნევენ სახელმწიფოს მიერ შექმნილ უფლებებად. აქ ჰარმონია და თანამშრომლობა ურჩევნიათ განსხვავებულ აზროვნებას, უთანხმოებასა და შეჯიბრებითობას. წესრიგისა და იერარქიისადმი პატივისცემის შენარჩუნება იქ უმთავრეს ფასეულობებად არიან მიჩნეული. იდეებს, ჯგუფებსა და პარტიებს შორის კონფლიქტი კი სახიფათო მოვლენებად ითვლება. ამდენად, საამომრჩევლო დემოკრატია, იმდენად რამდენადაც იგი ვითარდება აზიურ საზოგადოებებში, გამოყენებულია უფრო კონსენსუსის მისაღწევად, ვიდრე არჩევანის განსახორციელებლად; მისი ნიშან-თვისებანი ძლიერ განსხვავდებიან დასავლური საამომრჩევლო დემოკრატიისაგან; მას აკლია დასავლური დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ლიბერალური პრაქტიკისა და ინსტიტუტების იერსახე.

## სტრატეგია დემოკრატიზაციის მსურველთათვის

პრაქტიკული საკითხი ასე გამოიყურება: მესამე ტალღის დღევანდელ კონდიციაში რა ურჩევნიათ დემოკრატიის განვრცობის მსურველებს - ხელი შეუწყონ საამომრჩევლო დემოკრატიის იმ 50-მდე არათავისუფალ ქვეყანაში გავრცელებას, სადაც დემოკრატიის არანაირი ფორმა არ მოქმედებს, თუ მიანიჭონ პრიორიტეტი ლიბერალური დემოკრატიის განვითარებას იმ ქვეყნებში, სადაც საამომრჩევლო დემოკრატიები უკვე არსებობენ? რა თქმა უნდა, გარკვეულწილად სასურველია და საჭირო ამ ორივე არჩევანის განხორციელება. ამ დროისათვის, თუმცა უფრო მეტი ყურადღება, ჩემი აზრით, უნდა დაეთმოს საამომრჩევლო დემოკრატიების ლიბერალურ დემოკრატიებად გარდაქმნას. ამ პროცესის საწყისი მხარე ლათინური ამერიკა უნდა გახდეს, სადაც ლიბერალურ დემოკრატიას რამდენიმე ქვეყანაში ფესვი უკვე აქვს გადგმული, და სადაც არსებობს ათამდე საამომრჩევლო (მაგრამ არა ლიბერალური) დემოკრატია. ლათინური ამერიკის საამომრჩევლო დემოკრატიებს მრავალნაირი სახელწოდება გააჩნიათ - "დელეგაციური", "დაცული", "შემზღუდველი", "კორპორატისტი" და "კვაზი" დემოკრატიები. მიუხედავად ამისა, ლათინური ამერიკის კულტურა ძლიერ წააგავს დასავლურ კულტურას. ლათინოამერიკელები ფლობენ დასავლურ ენებს. მიგრაცია და ვაჭრობის ექსპანსია ლათინურ ამერიკასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას უწყობს ხელს. ეკონომიკური საზომით, ლათინური ამერიკის ქვეყანათა უმრავლესობა განვითარების საშუალო საფეხურზე იმყოფებიან. ლათინური ამერიკის ელიტები ბევრად უფრო კეთილგანწყობილნი არიან ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობათა მიმართ, ვიდრე სხვა, არადასავლურ ცივილიზაციათა ელიტები. ყველა ეს ფაქტორი გვკარნახობს იმის აუცილებლობას, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იქაურ აღმასრულებელთა მხრიდან ძალაუფლების მიტაცების პრაქტიკის აღკვეთას და ლათინური ამერიკის საამომრჩევლო დემოკრატიების ლიბერალურ დემოკრატიებად გარდაქმნას. იგივენაირი ლოგიკით ჩვენი შემდეგი პრიორიტეტი მიმართული უნდა იყოს მართლმადიდებელი ქვეყნების მიმართულებით, სადაც საამომრჩევლო დემოკრატიების ლიბერალურ დემოკრატიებად ქცევის პროცესს უნდა შეეწყოს ხელი.

მეორე დიდი აუცილებლობა მდგომარეობს ლიბერალურ დემოკრატიათა შორის ერთობის შეგრძნების ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობის ფორმების პოვნაში. ამის კეთების ერთი გზაა მრავალ ქვეყანაში საჯარო დაფინანსების საშუალებით დემოკრატიის განვრცობით დაკავებული ინსტიტუტების შექმნა. მესამე ტალღა უკვე გახდა მოწმე ისეთ ორგანიზაციათა ფორმირებისა, როგორიცაა "დემოკრატიის ნაციონალური მემკვიდრეობა" შეერთებულ შტატებში და "ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისათვის" დიდ ბრიტანეთში. სხვა დასავლური დემოკრატიები დგამენ ნაბიჯებს ანალოგიურ ინსტიტუტთა დასაფუძნებლად. ძლიერ სასურველია, რომ ეს ინსტიტუტები გაერთიანდნენ საერთაშორისო ასოციაციაში საკუთარ ქმედებათა კოორდინირების მიზნით, და იმისათვის, რომ იქცნენ ეფექტიან ლობისტებად ეროვნულ მთავრობათა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წინაშე დემოკრატიული განვითარებისათვის. მრავალი წლის წინ, როდესაც თეთრ სახლში, პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი ჩვენ გვქონდა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ ჩაგვეტარებინა მსოფლიოს ყველა დემოკრატიული მთავრობის ლიდერთა და დემოკრატიულ მოძრაობათა შეხვედრა იმისათვის, რომ დემოკრატიის გლობალური მასშტაბით განვრცობის პრობლემებზე გვესაუბრა. მაგრამ იმ დროისათვის ამ იდეას სიმწიფე აკლდა და პროექტის განხორციელებას აღარ შევუდექით. ძნელია, რომ იმ მთავრობებმა იკისრონ ასეთ წამოწყებათა ლიდერობა, რომელთა მრავალი ინტერესი მუდმივად სასწორზეა. დღეს, მესამე ტალღის დაწყებიდან 20 წლისთავზე, პირობები ბევრად უფრო კეთილგანწყობილნი არიან და სასურველია, რომ კერძო ჯგუფებმა დაიწყონ მუშაობა ორგანიზაციათა საერთაშორისო ასოციაციისა და მოძრაობების შესაქმნელად, რომლებიც დემოკრატიის გლობალური მასშტაბით განვრცობით და ასევე თითოეულ ქვეყანაში დემოკრატიის ფუნქციონირების გაუმჯობესებით იქნებიან დაკავებულნი. კომინტერნი გარდაიცვალა. დადგა ჟამი დემინტერნის დაბადებისა. ასეთი გაერთიანების ჩამოყალიბება იქნება ადამიანთა თავისუფლების სწრაფი განვრცობის პროცესის საკონსოლიდაციოდ და უზრუნველსაყოფად გადადგმული დიდი ნაბიჯი; ანუ იგი იმ პროცესის გასაგრძელებლად გადადგმული ნაბიჯი გახდება, რომელიც მარიო სოარესის მეთაურობით საუკუნის მეოთხედის წინათ დაიწყო.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკოლოზ რურუამ*

*სიახლენი უზენაესი სასამართლოდან*

# ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან

*გთავაზობთ ინტერვიუს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, ბატონ ლადო ჭანტურიასთან, რომელიც მას "სამართლის" რედაქციამ ჩამოართვა. შევეცადეთ, რომ მკითხველისათვის წარმოგვედგინა რესპოდენტის პიროვნების როგორც პროფესიული, ისე ინდივიდუალური მხარეები. საუბარი, ჩვენი აზრით, საკმაოდ გულწრფელი და საინტერესო გამოდგა.*

**- სულ ახლახან ჩატარდა კავკასიის სამი ქვეყნის სასამართლოების წარმომადგენელთა შეხვედრა – კონფერენცია, რომელზეც საბოლოოდ მიიღეს დოკუმენტი. რა დოკუმენტია ეს და ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მის განხორციელებას წინაღმდეგობები შეხვდეს?**

- სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სასამართლოების წარმომადგენელთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის იდეა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის მინისტრის, ქალბატონ ვიჩორეკ ცვოილის თბილისში ვიზიტისას დაიბადა. გასულ კვირას თბილისში ჩატარებული კონფერენცია ამ პროექტის ფარგლებში პირველი შეხვედრა გახლდათ. ამ იდეის განხორციელების ცენტრად თბილისის შერჩევა, ჯერ ერთი, იმან განაპირობა, რომ სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთთან არ ჩადიან. გარდა ამისა, საერთაშორისო ექსპერტების აზრით, საქართველოში განხორციელებული სამართლებრივი და სასამართლო რეფორმა საუკეთესოა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა, არამედ მთელს პოსტსოციალისტურ სივრცეში. სწორედ ამ გამოცდილების გაზიარება ჩაითვალა შესაძლებლად მრავალმხრივი რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის თემაც, ვფიქრობ, კარგად იყო შერჩეული : “კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა”. თუ რატომ გახდა ეს თემა აქტუალური: საბჭოთა პერიოდში არსებობდა ე.წ. საზედამხედველო წარმოება. ამ პრაქტიკის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის და გაუქმების უფლება ჰქონდათ გენერალურ პროკურორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, საბჭოთა კავშირის მასშტაბით - საოლქო სასამართლოებს და საოლქო პროკურორებს და, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. ეს მართლდებოდა იმით, რომ ბევრი გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლოს ჰქონდა გამოტანილი, იყო უკანონო, ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, რითიც, თვლიდნენ, რომ ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ხოლო საზედამხედველო წარმოება ამ შეცდომების გამოსწორების საშუალებას იძლეოდა. ეს წესი შემორჩა თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ახლა რატომ არის ცუდი ამ წესის არსებობა. პირველი - საზედამხედველო წარმოება დროით არ არის შეზღუდული, რაც ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს 10-15 წლის შემდეგაც. ეს იწვევს მართლმსაჯულების არასტაბილურობას და არავითარ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. პირიქით, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა, უნდა აღსრულდეს კიდეც. მეორე - სასამართლო პროცესი მხარეების შეჯიბრებითობას ემყარება და კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის გასაჩივრების უფლება, ენიჭებათ პროცესის მონაწილე მხარეებს. საზედამხედველო წარმოება კი გასაჩივრების პრივილეგიას ანიჭებს სულ სხვა თანამდებობის პირებს და ამით, პრინციპში, კორუფციის საშიშროებაც იქმნება. სულ სხვაა კოლეგიური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სულ სხვა, როცა ამ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს კონკრეტული თანამდებობის პირი, რომელიც, დიდი შანსია, რომ გავლენის სუბიექტად იქცეს, რაც არაერთხელ მომხდარა კიდეც. მესამე - სასამართლოს გადაწყვეტილება, თუნდაც ის სადავო იყოს, არის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ანუ იმ ფიგურის მიერ, რომელსაც სახელმწიფო აძლევს დავების გადაწყვეტისა და კონკრეტულ სისხლის


ლადო ჭანტურია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანის უფლებას.

საზედამხედველო წარმოება დასავლეთის არცერთ სახელმწიფოში არ არსებობს. იგი რევოლუციამდე რუსეთშიც კი არ არსებობდა. ეს წმინდად საბჭოური მოვლენაა. როცა საქართველოში სასამართლო რეფორმაზე ვმუშაობდით, ვთქვით, რომ ჩვენში უნდა დავნერგოთ ის სტანდარტი, რომელიც სამართლებრივ ქვეყნებშია აპრობირებული და საზედამხედველო წარმოებაზე უარი ვთქვით. ფაქტობრივად, მე თავად ვთქვი უარი იმ უფლებებზე, რომელიც მე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეიძლებოდა მქონოდა; და ვთვლი, რომ სამართლიანადაც, რადგან სასამართლო ხელისუფლება ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობას, გარკვეული, კანონით დადგენილი წესებით დაცვით.

ახლა, ვთქვათ, არსებობს პრეტენზიები, რომ მოსამართლეთა შორის არის კორუფცია, ხდება არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამის საპასუხოდ შემიძლია შევადარო დღევანდელი სასამართლო პრაქტიკა წინა წლებისას. რა თქმა უნდა, არის უკანონო გადაწყვეტილებებიც, მაგრამ ახლა გაცილებით ცოტა გვხვდება ასეთი, რადგან ადრე, ვთქვათ, მოსამართლემ იცოდა, რომ მისი გადწყვეტილება არ იყო საბოლოო, შეიძლებოდა გადასინჯულიყო და ამიტომ ასეთი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა საქმეს. დღეს, როცა მოსამართლემ იცის, რომ მისი გადაწყვეტილება ქვეყნდება – უზენაესი ყველა საბჭოს გადაწყვეტილება ქვეყნდება და მათ კონკრეტული მოსამართლე აწერს ხელს - იცის, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს კოლეგებს, ადვოკატებს, მეცნიერებს შორის და აგრეთვე საზოგადოებაშიც; ბუნებრივია, ის გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება ყოველივეს, ვიდრე მაშინ, როცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეებსაც კი ხელნაწერის სახით ბარდებოდა.

საზედამხედველო წარმოების არსებობის მომხრეები სამართლიანობის მოტივით ამართლებენ თავიანთ პოზიციას, ანუ უშვებენ შესაძლებლობას, რომ მოსამართლე შეიძლება შეცდეს. რა თქმა უნდა, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ თუ საზედამხედველო ორგანო შეცდა, მის შეცდომას ვეღარავინ გამოასწორებს. ასე რომ, მხოლოდ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორი გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში, მთელი მართლმსაჯულების პრინციპებს თავდაყირა ვერ დავაყენებთ. ეს თემა შეგნებულად შეირჩა კონფერენციისთვის, ძალზე საინტერესო დისკუსია შედგა და ბოლოს შევთანხმდით, შეგვემუშავებინა რეკომენდაციები. მხარეები დათანხმდნენ, რეკომენდაციებში ჩადებულიყო ფორმულირება, რომ სასამართლო პროცესები სამი ინსტანციით დასრულდეს და შემდგომ საზედამხედველო გადასინჯვაზე უარი ითქვას. პრინციპში, ის თემები, რაც რეკომენდაციაში ჩაიდო, საქართველოს კანონმდებლობით მეტნაკლებად მოგვარებულია. შესაბამისად, რეკომენდაცია უფრო სხვა სამხრეთკავკასიური ქვეყნებისთვის არის გათვალისწინებული.

**- როგორც ამბობენ, თქვენ იყავით სამართლებრივი განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი პროტოგონისტი. სჩანს, რომ ეს პროცესი ძალიან შენელდა. რატომ მოხდა ასე? თქვენ ასევე საუბრობდით ორსაფეხუროვანი სახელმწიფო გამოცდების სისტემის შემუშავებაზე. რა ბედი ეწია ამ ინიციატივას?**

- სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ იურიდიული განათლების ძირეული ორგანიზაციული რეფორმა არ მომხდარა. ის უამრავი კერძო იურიდიული სასწავლებელი, რომელიც საქართველოში არსებობს, ვერ უზრუნველყოფს არათუ მაღალი კვალიფიკაციის იურისტების მომზადებას, არამედ სტუდენტთათვის მისაღები ცოდნის მინიმალურად მიწოდებასაც კი. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მხედველობაში მაქვს ახალი სახელმძღვანელოები, კომენტარები, ახალი კანონები. წამოვიდა ის თაობა იურისტებისა, რომლებიც უცხოელ კოლეგებთან, როგორც თანატოლები, ისე თანამშრომლობენ. თუმცა, ვიმეორებ: იურიდიული განათლების რეფორმა საქართველოში, ისეთი, როგორიც პირადად მე წარმომიდგენია, არ განხორციელებულა. რაც შეეხება ორსაფეხუროვან სისტემას. მე დღესაც ვფიქრობ და სათანადო კანონპროექტიც მოვამზადეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ, რომელიც, ალბათ, უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით შევა პარლამენტში - აუცილებელია თეორიული საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ პრაქტიკული პროფესიული უნარის ჩამოყალიბება. ეს ეხება მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ჩვენეული მოდელი, ფაქტობრივად, იმეორებს ფრანგული ეროვნული მაგისტრატურის სკოლის და ესპანურ-პორტუგალიური ანალოგიური სკოლების მოდელს. კერძოდ, საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების მიღების შემდეგ ის პირები, ვისაც სურთ, გახდნენ მოსამართლეები, პროკურორები, აბარებენ მისაღებ გამოცდას და ამ სკოლაში ჩარიცხვისთანავე ისინი ითვლებიან სახელმწიფო მოხელეებად. მათზე ვრცელდება სახელმწიფო მოხელეებისთვის განკუთვნილი კანონმდებლობა, იღებენ ხელფასს, რომელიც შესაბამისობაშია მომავალი პროკურორის ან მოსამართლის ხელფასთან და ამ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საფრანგეთში გრძელდება ორი წელი, ისინი პრაქტიკულად მუშაობენ, სასამართლო პროცესების ინსცენირება ხდება, და ისინი გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებენ სასამართლო პროცესებისთვის. საფრანგეთში ამ სკოლაში ჩარიცხვა დიდი პრესტიჟია. ეს არის გამოყენებითი პროფესია და მხოლოდ თეორიული ცოდნით თითქმის შეუძლებელია იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც პრაქტიკაში გვხვდება. სასამართლო რეფორმამაც დაგვანახა, რომ მხოლოდ გამოცდის ჩაბარება, ანუ კანონების კარგად ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ მოსამართლეობას. ვინც გამოცდა ჩააბარა, შეიძლება იყოს კარგი მოსამართლე, მაგრამ მას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, პრაქტიკულად ისწავლოს მოსამართლეობა. ამ მიზანს მომავალში მოემსახურება იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც, იმედი მაქვს, რომ საქართველოში ბოლოს და ბოლოს იქნება.

გაგრძელება D4 გვერდზე

D3 გვერდიდან

**- რა არის ამ იდეის განხორციელების გაჭიანურების მიზეზი?**

- დაფინანსების არარსებობა. მიზეზი ეს გახლავთ, სხვა წინააღმდეგობა აღარ არსებობს, რადგან ყველა დარწმუნდა, რომ ეს აუცილებელია. მეტსაც გეტყვით, ამ იდეას კატეგორიულად უჭერს მხარს ევროსაბჭო. მოითხოვს კიდეც, რომ ისეთი სახელმწიფო მოხელეების, როგორებიც არიან მოსამართლეები, პროკურორები, მომზადების საკითხი უნდა იყოს სახელმწიფოს ამოცანა, რომელიმე სახელმწიფო ორგანო უნდა აგებდეს პასუხს მათ პროფესიულ სრულყოფაზე. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს ეს საკითხი გადაწყდება, თუმცა გეთანხმებით, რომ ძალიან გაჭიანურდა.

**- საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ ხოლმე მსგავსი იდეების განხორციელებაში. ამჯერადაც მათი იმედი გაქვთ?**

- ეს მაინც სახელმწიფო დაფინანსებით უნდა მოხდეს. არ შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებაზე იყოს დამოკიდებული, რადგან ერთ დღეს წავლენ საერთაშორისო ორგანიზაციები და რა? სკოლა უნდა დაიხუროს? მე, სხვათა შორის, მქონდა ასეთი წინადადება და ახლაც სწორად მიმაჩნია, რომ, ასე ვთქვათ, ვინც პროდუქციის შემკვეთი და მიმღებია, ანუ პროკურატურა და სასამართლო ხელისუფლება, თავისი ბიუჯეტიდან გამოყონ თანხები იუსტიციის სკოლისთვის, რათა მან, მინიმუმ ფუნქციონირების დაწყება მაინც შეძლოს.

**- კი, მაგრამ, თავად ეს ორგანიზაციები მუდმივად დაფინანსების ნაკლებობაზე ჩივიან...**

- სხვა დაფინანსების წყაროს სახელმწიფოში არსებულ დაფინანსების წყაროებს შორის ვერ ვხედავ. არადა, საქართველოში დღეს არ არსებობს დაწესებულება, რომ სახელმწიფო მოხელეებს, არა მხოლოდ მოსამართლეებსა და პროკურორებს, ამზადებდეს. GIPA (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) კი ამზადებს სახელმწიფო მოხელეებს და იქ მომზადების ძალიან მაღალი დონეა, მაგრამ, ჩემი აზრით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დაწესებულების მიმართ სახელმწიფო დაინტერესება არ ჩანს. ვინც ამ ინსტიტუტს დაამთავრებს, მან უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური გარანტირებული აქვს. დღეს კი ეს პრობლემაა. დღეს კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სამსახურს ტოვებენ. უზენაესი სასამართლოდანაც კი, სადაც ხელფასები, სხვა დაწესებულებებთან შედარებით, გაცილებით მაღალია, კადრები მიდიან. კერძო სექტორში ანაზღაურება გაცილებით მაღალია. მოკლედ, არ ჩანს სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ პრობლემისადმი და ეს არის ძალიან ცუდი. არადა, ეს საკითხი სანამ არ გადაწყდება, ქვეყანას მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი ექნება.

**- როგორია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასი?**

- ყველაზე მაღალია სახელმწიფო მოხელეებს შორის - საშუალო ხელფასი 1200-1300 ლარს შორის მერყეობს.

**- საქართველოში მოღვაწე მოსამართლეების მხრიდან სრული დამოუკიდებლობა და აპოლიტიკურობა გადაწყვეტილების მიღებისას თუ არის შესაძლებელი?**

- თქვენ იცით, რა მძიმე მემკვიდრეობა გვერგო წინა წყობილებიდან. ეს იყო სრულიად უუფლებო სასამართლო ხელისუფლება. დღეს ჩვენ ვდგამთ პირველ ნაბიჯებს დამოუკიდებლობისკენ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი, სასამართლო გადაწყვეტილებები იყოს დამოუკიდებელი ყოველგვარი ზეწოლისგან, არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ კორუფციის, ინტერეს ჯგუფთა გავლენის, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენისგანაც თავისუფალი. არადა, მოსამართლეს უნდა შეეძლოს საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება.

**- ეს მით უფრო რთულდება, როცა არ არსებობს მოსამართლის სამუდამო, ანუ უვადოდ დანიშვნის პრაქტიკა.**

- სამუდამოდ დანიშვნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ფინანსურ გარანტიებთან ერთად. და მაინც, მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ სასამართლო დღეს ბევრად უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე რეფორმამდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იდეალური დამოუკიდებლობა გვაქვს. ამის თქმა შეუძლებელია. თუმცა გაცილებით დამოუკიდებელნი რომ არიან, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ამის თქმა სრული პასუხისმგებლობით შემიძლია. ისე კი, ჩვენს ხელისუფლებას მოსამართლეებზე ზეწოლის მოხდენის არანაირი რეალური ბერკეტი არ გააჩნია. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ არ შეიძლება მოსამართლეს ანგარიში მოეთხოვოს, არ შეიძლება ვინმეს ანგარიში ჩააბაროს, არ შეიძლება მოსამართლე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო დაისაჯოს. რა თქმა უნდა, თუ აშკარად კანონის უხეშ დარღვევასთან და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან არ გვაქვს საქმე, რაც დანაშაულს წარმოადგენს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, არა მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს, გახლავთ ხმაურის ატეხვა. ვთქვათ, ტელევიზიით მოსამართლეებს კორუფციაში ადანაშაულებენ და ასე შემდეგ. მოსამართლე მთლიანად თავისუფალი პოლიტიკური ზეწოლისგან არ არის, მაგრამ სამართლებრივი საფუძველი და ფაქტობრივი წინაპირობა იმისა, რომ მოსამართლე პოლიტიკური შეკვეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაისაჯოს, არ არსებობს. ამიტომ, ბევრი რამ დამოკიდებულია თავად მოსამართლეზე, მის პიროვნულ თვისებებზე. ზოგი მეტად ემორჩილება ზეგავლენას, ზოგი ნაკლებად, მაგრამ გარემო და კანონიერი საფუძველი საიმისოდ, რომ სასამართლომ შეასრულოს პოლიტიკური შეკვეთა, რეალურად არ არსებობს.

**- რა არის მოსამართლისთვის ის მთავარი თვისება, რაც მას პროფესიონალად აქცევს?**

- პირველი - რასაც მხოლოდ ცოდნით ვერ შეიძენ, ეს გახლავთ მოსამართლის შეუვალობა. მეორე - მას უნდა ჰქონდეს თვისება, მხარეებს რეალურად დაანახოს, რომ ის არის ობიექტური. არ კმარა მხოლოდ დამოუკიდებელი, კანონიერი და სწორი გადაწყვეტილების მიღება. მოსამართლემ პროცესის მონაწილეებს კიდეც უნდა დაანახოს, რომ ის დამოუკიდებელია, მიუკერძოებელი და ობიექტური, რაც ხშირად გვაკლია; ალბათ, იმიტომ, რომ ეს ზოგადი კულტურის ნაწილია და ამას სწავლება ჭირდება. მესამე - მოსამართლე უნდა იყოს კეთილშობილი ადამიანი. არ შეიძლება მოსამართლე იყოს ბოროტი, ანგარიშსწორებით მიიღოს გადაწყვეტილება. მე არ ვლაპარაკობ მატერიალურ დაინტერესებაზე. არ შეიძლება მოსამართლემ შურისძიების გამო მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. და ბოლოს, რა თქმა უნდა, მაღალი კვალიფიკაცია, რაც არ ნიშნავს მხოლოდ კანონის კარგად ცოდნას. ეს ნიშნავს სამართლის ცოდნას, რაც გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კანონი. სამართალი ნიშნავს კანონსაც, კანონის ინტერპრეტაციასაც, კანონის გამოყენებასაც და კანონის გამოყენების მეთოდოლოგიასაც. მე ხშირად მომყავს აზდაკის მაგალითი. აზდაკს არც ერთი უსამართლო გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ, ამასთან, არ მიუღია არც ერთი კანონზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება. დღეს მოსამართლეს მოეთხოვება კანონიერი გადაწყვეტილებაც მიიღოს და სამართლიანიც, რაც, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ძნელია. საქართველოში ამ თვისებების რეალიზაცია ძნელია. პატარა საზოგადოებაა, კლანურ-მეგობრულძმაბიჭური ურთიერთობები ხშირად უფრო ფასეულია, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები და კანონის უზენაესობა. რაც ძალიან ართულებს მოსამართლის მოღვაწეობას საქართველოში და არა მხოლოდ მოსამართლისას, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელისას.

**- იურიდიული ლიტერატურის გარდა რა ლიტერატურის კითხვას ურჩევდით დამწყებ სამართალმცოდნეებს?**

- იურიდიული განათლება ზოგადი განათლების ნაწილია, ეს არის ზოგადი განათლება, ისევე, როგორც ექიმის განათლება. მე რაიმე კონკრეტული რჩევისგან თავს შევიკავებ – იმდენი საინტერესო წიგნი არსებობს, რომ რომელიმეს გამორჩევა მიჭირს. მაგრამ მაინც მგონია, რომ კლასიკურ ლიტერატურას ნებისმიერი იურისტი უნდა იცნობდეს. ხელოვნებაშიც უნდა ერკვეოდეს, თუ მას ოდნავ განათლებულობის პრეტენზია აქვს. სხვათა შორის, ახლა გერმანიაში გამოვიდა გამოცემა სახელწოდებით "წიგნები, რომლებიც ყველას უნდა ჰქონდეს წაკითხული". ძალიან საინტერესო აღწერაა ავტორებისა. მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ორი წიგნია: ბიბლია და ჰომეროსის ილიადა და ოდისეა. სხვა რა გითხრათ, უამრავი საინტერესო წიგნი გამოდის. ყოველ შემთხვევაში, დეტექტივების კითხვას არ ვურჩევ.

**- თუ კონკრეტულ წიგნსა და ავტორს არ ვიგულისხმებთ, თქვენი აზრით, იურისპუდენციის გარდა, რომელ სფეროში უნდა იყოს გათვითცნობიერებული კვალიფიციური იურისტი? თუ მიგაჩნიათ, მაგალითად, ფილოსოფიის ცოდნა მისთვის საჭიროდ, თუ უამისოდაც შეიძლება დადგეს ის კარგი პროფესიონალი?**

- ყველაფერი, რასაც ადამიანი ჩათვლის საჭიროდ, უნდა იცოდეს. ზოგმა შეიძლება ფილოსოფია არ იცოდეს კარგად, მაგრამ იცოდეს ისტორია. ყოველ შემთხვევაში მსოფლმხედველობა ყალიბდება მთლიანობაში – ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა იცოდეს. ცხადია, ვინც მეტი იცის, ის ყოველთვის უფრო გამოჩნდება. მაგრამ ეს ყველაფერი საუნივერსიტეტო განათლებიდან უნდა მოდიოდეს, იქ უნდა იღებდეს სტუდენტი უნივერსალურ ცოდნას და უკვე მერე ხდებოდეს მისი პროფესიული დაოსტატება. ერთი შემიძლია ნამდვილად ვთქვა – ყველაფერი ამდიდრებს ცოდნას.

**- ერთი ცნობილი ამერიკელი იურისტი და მეცნიერი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეც იყო - ლუის ბრენდაისი - ამბობდა, რომ მოსამართლე, რომელსაც არ უსწავლია ეკონომიკა, შეიძლება საზოგადოების მტერი გახდეს. თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ეს ძალიან სწორია, რადგან მხოლოდ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ძნელია გადაწყვეტილება მიიღო, თუ ელემენტარული ცოდნა მაინც არ გაქვს იმ საკითხებში, რომელიც ქვეყნისთვის გადამწყვეტი შეიძლება იყოს. ამიტომაც მოსამართლის პროფესია ძალიან ძნელი პროფესიაა.

**- თუ გყავთ ფავორიტი მოსამართლე ან თუნდაც ადვოკატი ისტორიიდან, არა მაინცდამაინც ქართველი. ვთქვათ, ვინმე ისეთი, როგორიც არის სავინიი. ანუ, ისეთი იურისტი, რომელიც თქვენ პირადად მოგწონთ?**

- ქართველებიდან მე ასეთ ადამიანად სერგო ჯორბენაძე მყავს. ისე, მართალი გითხრათ, ამ თემაზე სერიოზულად არ მიფიქრია. აი, გუსტავ რადბუხი მიმაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად. იგი ვაიმარის რესპუბლიკის დროს იუსტიციის მინისტრიც იყო და სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელიც. დანარჩენს რაც შეეხება, მართალი გითხრათ, ასე სერიოზულად არ მიფიქრია ისეთ ფიგურებზე, რომლებსაც შეიძლება მივბაძო. ყოველთვის ვცდილობდი და ახლაც ვცდილობ, ყველასგან ვისწავლო ის, რაც კარგი აქვთ.

**- სწორედ ამიტომაც, რადგან არის სახელები, რომლებიც საზოგადოებას არ გაუგია, მაგრამ კონკრეტულ პროფესიონალს ბევრი სმენია მათ შესახებ, კარგი იქნებოდა, რომ სხვებისთვისაც ცნობილი გახდარიყო მათი ინტელექტუალური მემკვიდრეობა.**

- საქართველოში არის ერთი პრობლემა - ქართულ იურიდიულ მეცნიერებას არასოდეს მიუღწევია მსოფლიო განვითარების თანამედროვე დონისთვის. მეტიც, საქართველოში რევოლუციამდე ერთი ქართველი იურისტი პროფესორიც კი არ გვყოლია. სამწუხაროდ, ის ორი სასამართლო – ქუთაისისა და თბილისის საგუბერნიო სასამართლოები - მთლიანად არაქართველი მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული. 1918 წელს სენატის პირველი თავმჯდომარე - ხელთუფლიშვილი - ქუთაისის სასამართლოში მსაჯული იყო. ასე რომ, საქართველოში პროფესიონალი მოსამართლე, პროფესიონალი მეცნიერი- იურისტი რევოლუციამდე არ ყოფილა. მიზეზი ამისა მარტივია. ჩვენს სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე დონისთვის არასოდეს მიუღწევია - რასაც ხელისუფლების დანაწილება, კანონის უზენაესობა, პროფესიონალი იურისტის არსებობა ჰქვია. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ ვერ დავასახელოთ ისეთი სახელები, როგორიცაა სავინიი, იერინგი, ვინშაიდი. ეს ჩემთვის სულ არ წარმოადგენს მოულოდნელობას. თუმცა, ჩვენ გვყავდა ისეთი ცნობილი იურისტები, როგორიცაა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, უკვე შემდგომ თინათინ წერეთელი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, შალვა მესხიშვილი, ზოზო ნანეიშვილი და ასე შემდეგ. მაგრამ, მსოფლიოს აღიარებულ იურისტებთან მათი შედარება, ცოტა არ იყოს, ძნელია.

**- ვთქვათ, სკოლა ან განსაკუთრებული მიმდინარეობა მათ არ შეუქმნიათ?**

- სკოლების არსებობას საქართველოში ძალზე კრიტიკულად ვუყურებ. ეს იგივეა, რომ ვილაპარაკოთ საფეხ-



ლადო ჭანტურია

ბურთო გუნდის შექმნაზე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მიიღებს მონაწილეობას. ეს დამოკიდებულია ქვეყნის კულტურაზე. ვისაც ამერიკული, ევროპული იურისპუდენციის ნაწარმი უნახავს, იმას არასდროს მოუვა აზრად, რომ დღეს საქართველოში მოიაზროს მათი კონკურენტი ან თუნდაც თანასწორუფლებიანი სასწავლო თუ სამეცნიერო იურიდიული დაწესებულება. ამიტომ, ასეთი პრეტენზიაც არ უნდა არსებობდეს, რომ ჩვენ საქართველოში შევქმნათ ისეთი იურიდიული სკოლა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული იქნება. თუმცა, გვყავს ძალზე სერიოზული მეცნიერები, რომელთაც მართლაც იცნობენ მსოფლიოში და ანგარიშს უწევენ – ახალი თუ ძველი თაობის წარმომადგენლები.

**- სურვილი ხომ უნდა არსებობდეს, რომ იდეალს მივუახლოვდეთ?**

- სურვილი ნებისმიერი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ისე არ უნდა იყოს რეალობას დაშორებული, რომ სასაცილო გახდე. ჩვენ გვეყოფა ის, რაც გვაქვს და უკეთესობაც იქნება. მე რასაც ახალგაზრდა იურისტებს ვუყურებ საქართველოში, მაოცებენ თავიანთი ცოდნის დონით. ეს უკვე სულ სხვა დონის ხალხია. ეს ის იმედია, რაც სხვა სფეროებში საქართველოში არ არის.

**- რას ფიქრობთ მსაჯულთა ინსტიტუტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და რას იტყვით ამ ინსტიტუტის საქართველოში დამკვიდრების პერსპექტივაზე?**

- თქვენ იცით, რომ ამ თემაზე მსჯელობა მიმდინარეობს. ამერიკულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამერიკული კულტურისა და ტრადიციის განუყოფელი ნაწილია და არავის აზრად არ მოუვა, ეჭვქვეშ დააყენოს მისი არსებობა. ევროპის ქვეყნებშიც იყო ეს ინსტიტუტი, თუმცა ზოგიერთებმა მე-19 საუკუნეში გააუქმეს, ზოგმა მე-20-ში. საქართველოში კი არასდროს გვქონია. ვფიქრობ, რომ საქართველოში ამ ინსტიტუტის შემოღებაზე საჯარო დისკუსია უნდა გავმართოთ და საქართველოსთვის მისაღები მოდელი შევიმუშავოთ. საზოგადოების მონაწილეობა მართლმსაჯულებაში რაღაც სახით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, სისხლის სამართლის საქმეებზე მაინც. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ უნდა ვიმსჯელოთ, ხომ არ დაანგრევს ეს ყველაფერს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, საზოგადოების რაღაც დონით მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში აუცილებელია.

**- რას გულისხმობთ, რა უნდა დაანგრიოს მსაჯულთა ინსტიტუტმა?**

- ვთქვათ, პროცესების ჩატარების ორგანიზაციული პრობლემები შეიძლება შექმნას. ამას ფინანსები ჭირდება, რადგან, ვთქვათ, თორმეტი მსაჯული მთელი პროცესის მანძილზე ჩაკეტილი უნდა გყავდეს - სასტუმრო უნდა გქონდეს, მოკლედ, საკმაო ფუფუნებაა. ამასთან, თუ წარმოვიდგენთ, რამდენი სისხლის სამართლის საქმე იხილება, ამდენი მსაჯულის დაბინავება, შენახვა ამ პერიოდში, იოლი საქმე არ არის. თუმცა, მოსამართლისთვის მსაჯულების არსებობა ტვირთის დიდი შემსუბუქებაა, რადგან ვერდიქტს იღებს არა თავად, არამედ მსაჯულები. ეს საკითხი, კიდევ ვიმეორებ, ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ. მას ბევრი აქვს დადებითი, მაგრამ ხარვეზებიც შეიძლება აღმოაჩნდეს.

**- სასამართლო პროცესების გაშუქებისას ხშირად ვხედავთ, რა სიტუაციაა სხდომათა დარბაზში. ხშირია მოსამართლის მიმართ შეურაცხყოფები. სამართლებრივ სახელმწიფოებში მოსამართლის შეურაცხყოფისთვის მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული, იქ კანონი მკაცრად განსაზღვრავს სასამართლო დარბაზში ქცევის წესებსაც. ჩვენში კი მსგავსი არაფერი ხდება. რატომ არ არსებობს მსგავსი რამ ჩვენთან. არის თუ არა ეს საჭირო სასამართლოსადმი მოქალაქეთა მხრიდან პატივისცემის უზრუნველსაყოფად?**

- ჩვენთან მსგავსი რამ არ არის და ეს უდიდესი პრობლემაა სასამართლოების საქმიანობისა. ამასთან, დაბლა სწევს მათ პრესტიჟსა და ავტორიტეტს. არადა, სასამართლოს პრესტიჟი და ავტორიტეტი სახელმწიფოს ავტორიტეტიცაა და კონკრეტული მოსამართლის. პირი, რომელიც პროცესის დროს მოსამართლის მოთხოვნას და ბრძანებას არ ემორჩილება, არ ემორჩილება სახელმწიფოს. ჩვენ ამ თემაზე დავიწყეთ მსჯელობა. მსოფლიო ბანკი ამზადებს კანონპროექტს, რომელიც მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, დარბაზში დაამყაროს იდეალური წესრიგი. იმედი მაქვს, რომ ეს კანონპროექტი მომავალი წლის თებერვლისთვის იქნება მზად.

**- იქნება ეს სასამართლო პოლიცია, რომელზეც ადრე იყო საუბარი?**

- არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. მალე კანონპროექტი მზად იქნება და ეს პრობლემა მოიხსნება, ისევე, როგორც მოიხსნება თბილისის სასამართლოების პრობლემა. დღეს თუ ვინმეა ცუდ დღეში, მიმდინარეობს თბილისის რაიონული სასამართლოები არიან. უკვე მომავალი წლის ივლისში მათ ნორმალური ფუნქციონირების საშუალება მიეცემათ. შენობების რეაბილიტაცია. იქნება ერთი სასამართლო, ოღონდ ცალ-ცალკე კოლეგიები განთავსდებიან სხვადასხვა შენობებში.

**- თუ შეგიძლიათ ისაუბროთ იმ კანონების ნაკლოვანებებზე, რომელთა შექმნაშიც თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონში ამდენი წლის შემდეგ თუ ხედავთ ხარვეზებს, ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს?**

- უხარვეზო კანონი ჯერ დედამიწის ზურგზე არ დაწერილა, მათ შორის არც საქართველოში და გამონაკლისს არც მეწარმეთა შესახებ კანონი, არც სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს, რომელთა შექმნაშიც მე მივიღე მონაწილეობა. სასამართლო პრაქტიკამ, რეალურმა ცხოვრებამ ეს ხარვეზები აჩვენა. თუ თქვენ მიაქციეთ ყურადღება, ახლახან გამოვიდა მესამე გამოშვება მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარისა და რაც იქ განმარტებულია - კანონის ინტერპრეტაციები - ეს ყველაფერი შეიძლოდა კანონში ყოფილიყო. სხვათა შორის, ამბობენ კიდეც, რომ ხარვეზი კანონის აუცილებელი თანამდევია, იმისათვის, რომ სამართალი განვითარდეს. ყველაფერს კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებს. კანონმა მეწარმეთა შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შექმნა, ის იყო, რომ შესთავაზა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები კომპანიების, ანუ სამეწარმეო საზოგადოებისა, რაც დასავლეთის ქვეყნებში არსებობდა და რაც მანამდე ჩვენთვის უცხო იყო. კანონი არ შეიცავს არც ერთ პოლიტიკურ დებულებას, ანუ ეს არ არის პოლიტიკური ლოზუნგების დონეზე შექმნილი. იმ მიზანს, რომელსაც ისახავდა, თავიდანვე მიაღწია იმით, რომ ის ურთიერთობები, რაც პარტნიორებს შორის, საზოგადოების დაფუძნების პროცესში უნდა ყოფილიყო, საკმაოდ მარტივად იქნა საქართველოსთვის წარმოდგენილი. კომპანიების სამართალი საზოგადოდ ძალიან რთული სფეროა საზღვარგარეთის ქვეყნებში, რადგან ეს არის უზარმაზარი კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად შექმნილი რთული წარმონაქმნები, იგივე სააქციო საზოგადოებები - ასეთი რთული ფორმით საქართველოში შემოღება ძნელი იყო. თავიდანვე ამბობდნენ, რომ კანონი გაუგებარია, მაგრამ დღეს ეს კანონი იურისტებისთვის უკვე ჩვეულებრივ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს, როგორც სამოქალაქო კოდექსი, რომელზეც ჩინურიაო, ამბობდნენ, მაგრამ ახლა ამ კოდექსის საფუძველზე უკვე სასამართლო პრაქტიკა შეიქმნა, დაინერგა, და მას იურისტები სწავლობენ. რა თქმა უნდა, ხარვეზი მეწარმეთა კანონს ბევრი აქვს. დღეს რომ ვწერდეთ ამ კანონს, შესაძლოა ბევრი რამ სხვანაირად გაკეთებულიყო. მაგრამ ეს ყოველთვის ასეა კანონშემოქმედებაში. კანონის ხარვეზს ცხოვრება აჩვენებს. მთავარია, რომ სასამართლოს მიეცეს ამ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა. მაგრამ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ კანონების მუდმივად ცვლისა. იგივე სასამართლო ხელისუფლებაში ბევრ კანონში ხარვეზს ვხედავ, ბევრი რამ არაეფექტური გამოდგა, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ასე უცებ შევცვალოთ. ეს არასერიოზულია. კანონის დანერგვა ცხოვრების წესის შეცვლას ნიშნავს, ცხოვრების წესის შეცვლა კი ყოველთვიურად და ყოველ ნახევარ წელიწადში არ შეიძლება. ამიტომ მომხრე ვარ, ხარვეზიანი კანონები ცხოვრებაში უფრო სწორი ინტერპრეტაციით, სწორი მიმართულებით გამოვიყენოთ, ვიდრე მუდმივად ვცვალოთ, რადგან ეს არის არასტაბილურობის წინაპირობა. ძალიან ხშირად მიზეზი ჩვენთან არსებული პრობლემებისა ესეც არის.

**- რადგან ახლა სახელმწიფო მოწყობის ცვლილებებზეა ლაპარაკი, მგონი რაღაც კომისიაც კი არსებობს საკონსტიტუციო ცვლილებებისა...**

- მგონი მეც ვარ ამ კომისიის წევრი, ზუსტად არც ვიცი

**- ხომ არ გიფიქრიათ ასეთ მოდელზე სადაც არსებობს ერთი უზენაესი სასამართლო, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებებსაც შეითავსებდა, ანუ გადაწყვეტდა კონსტიტუციურ პრობლემებსაც, როგორც ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც?**

- გაკეთება ყველაფრის შეიძლება. იმავე დიდ ბრიტანეთში ხელისუფლების დანაწილების აბსოლუტურად განსხვავებული სისტემა არსებობს. მაგალითად, იუსტიციის მინისტრი შეიძლება მოსამართლეც იყოს, მთავრობის წევრი შეიძლება პარლამენტარიც იყოს. გაკეთება შეიძლება ყველაფრის, მაგრამ ის მოდელი, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს - ორდინალური მართლმსაჯულება, ანუ საერთო სასამართლოები და ცალკე საკონსტიტუციო სასამართლო, შეიძლება შენარჩუნებული იყოს, რადგან მისაღებია ევროპის მრავალი ქვეყნისთვის და მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ცუდი იქნება ამის მუდმივი ცვლა. დღეს შეიძლება გაჩნდეს იდეა, რომ ეს გაერთიანდეს და ერთიან სასამართლოდ ჩამოყალიბდეს, ცოტა ხანში ვინმეს მოუვა აზრად ისევ დაშლა და ასე შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს. ჩემი აზრით, ინსტიტუციონალური არასტაბილობა ანგრევს ქვეყანას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის სისტემა, რაც დღეს საქართველოში გვაქვს, არ არის ცუდი, მშვენივრად მუშაობს. საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს თავისი კომპეტენცია, რაც კონსტიტუციით არის განსაზღვრული და საერთო სასამართლოებს აქვთ თავისი კომპეტენცია, რომლის ფარგლებშიც, უნდა ითქვას, ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა გვაქვს საქართველოში. მხედველობაში მაქვს კომპეტენციის გამიჯვნა ინსტანციებს შორის. ამერიკის უზენაესი სასამართლო სულ სხვა ტიპის სასამართლოა. მას შეუძლია თავად აირჩიოს კეისები (განსახილველი საქმეები) და მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს. ამერიკის უზენაესი სასამართლო, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლოა და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთაც აქვთ პრეცედენტის მნიშვნელობა, კანონის ძალა. იქ, თქვენ იცით, რომ სამართლის წყაროებს შორის კანონს მეხუთე ადგილი უჭირავს. პირველ ადგილზე კი დგას სასამართლო პრეცედენტი. კანონი ამოქმედდება არა მას მერე, რაც მას კონგრესი მიიღებს, არამედ მას შემდეგ, რაც სასამართლოები რეალურად აღიარებენ ამ კანონს. რადგან კანონის მიღება არ ნიშნავს მის სავალდებულობას - სასამართლომ შეიძლება თქვას, რომ ეს კანონი არ არის სწორი და ეს კანონი პრაქტიკაში არც გამოიყენება. მოკლედ ეს სულ სხვა ტრადიციების ქვეყანაა. მე თავად შედარებითი სამართლის სპეციალისტი ვარ და საოცრად მხიბლავს და მომწონს მეთოდები ინგლისელი და ამერიკელი მოსამართლეების მუშაობისა, მაგრამ ჩვენთვის ეს აბსოლუტურად უცხოა, წარმოუდგენელი. არადა, ძალიან საინტერესოა ციტირების წესი, გადაწყვეტილებების მოძებნის წესი, პრეცედენტების მოძებნის წესი. ეს არის სისტემა, სადაც მოსამართლე საოცრად თავისუფალი და ამავე დროს საოცრად შებოჭილია. ასე რომ, თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც მხარს ვუჭერ იმ სისტემას, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს. ეს არის აპრობირებული სისტემა, რომელიც ევროპის ქვეყნებში არსებობს. განსაკუთრებით მიღებულია ეს სისტემა ყოფილ სოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

**- თქვენი აზრით, რა არის სახელმწიფო განვითარებისთვის უმთავრესი ფაქტორი, რაც ჯერჯერობით ჩვენში არ არსებობს?**

- მოსახლეობა, ხალხი უნდა ენდობოდეს თავის ხელისუფლებას, რადგან ხელისუფლება არის ხალხის ნაწილი. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ არის. მეორე - ხელისუფლება უნდა იყოს ანგარიშვალდებული თავისი ხალხის წინაშე, რაც საქართველოში არ არის და ამის მიზეზების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მესამე - ხალხის მონაწილეობა ხელისუფლების მართვაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი კანონებით, რომლებიც არ წარმოშობს ისეთ, თუნდაც მახინჯ საარჩევნო სისტემას ან არჩევნებს, როგორიც უკვე რამდენი ხანია საქართველოში გვაქვს.

აი, ამას უნდა ემყარებოდეს სახელმწიფო - ხალხი უნდა ენდობოდეს ხელისუფლებას და ხელისუფლება გრძნობდეს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე. სხვაც უამრავი საკითხია, მაგრამ მთავარი ესაა. ხალხი, რომელსაც ეზიზღება თავისი ხელისუფლება, ვერაფერს შექმნის, რადგან ძლიერი სახელმწიფოს გარეშე ვერც ერთი ხალხი ვერ განვითარებულა. ჩვენ ვიცით ქვეყნები, რომლებიც აგერ უკვე 50-100 წელია დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ თანამედროვე ფუნქციონირებადი სახელმწიფო ვერ შექმნეს. რატომ, იმიტომ რომ მიზეზები იგივეა, რაც ჩვენთან. მე ხშირად იმასაც ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს შექმნა, ეტყობა, ყველა ხალხს არ შეუძლია. სახელმწიფო არის საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვისაც სახელმწიფოს შექმნა შეუძლია. თუმცა, ამის ნიშნები ჩვენ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არის.

**- ბატონო ლადო, თითქმის თქვენს ხელთ იყო, რომ სხვა თუ არავინ, პოლიცია მაინც გამხდარიყო ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე, რაც პოლიციის დეცენტრალიზაციით იყო შესაძლებელი. თუმცა, იმ კომისიის მიერ შექმნილ კონცეფციაში, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით, პოლიციის დეცენტრალიზაციის საკითხი ცალსახად არ დგას.**

- კონცეფციის ნაწილი არის პოლიციის დეცენტრალიზაცია, ოღონდ ერთადერთ პირობად კონცეფციაში ჩაიწერა დაფინანსების წყაროების მითითება. თუ დეცენტრალიზაცია მოხდა და დაფინანსების წყაროები არ განისაზღვრა, ამან შეიძლება იდეის დისკრედიტაცია გამოიწვიოს. დღესაც ვფიქრობ, რომ ცენტრმა ბევრი ფუნქციის დელეგირება უნდა მოახდინოს ადგილებზე. მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა პოლიციამ, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

სხვა რა არის პოლიციის დანიშნულება, თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. დღეს, სამწუხაროდ, ავტოინსპექტორის მეტი ქუჩაში პოლიციელი არ დგას, ანუ ის ფუნქცია, რომ პოლიციელი არის საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ქუჩაში, აბსოლუტურად იგნორირებულია. ესე იგი, პოლიცია თავის ფუნქციას არ ასრულებს, დანაშაულის პრევენცია არ ხდება. კონცეფციაში ეს პრობლემა გათვალისწინებულია.

**- სამართალდამცველ სტრუქტურათა რეფორმის კონცეფციის მიმართ არსებობს პრეტენზია, რომ ის არ არის რადიკალური, არადა, საქართველოში ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ ქვეყანას სამართალდამცველთა რადიკალური რეფორმა ჭირდება.**

- რეფორმის კონცეფცია რადიკალურიცაა და რევოლუციურიც, რადგან ჩვენ ამ კონცეფციის განხორციელების საფუძველზე საბოლოოდ ვემშვიდობებით გამოძიების და სამართალდამცველ ორგანოთა ფუნქციონირების საბჭოთა სისტემას. ეს რევოლუციური კონცეფციაა და, საბოლოოდ, ჩვენი სამართალდამცველი სტრუქტურების ინტეგრაცია მოხდება დასავლურ სტრუქტურებში. მაგრამ ახლა მთავარია, ეს განხორციელდეს. კი, დაიწერა, მაგრამ, თუ არ განხორციელდა, არავითარი აზრი არ აქვს. ზოგის აზრით, მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაშლაა რევოლუციური. არადა, ეს არაფერს ნიშნავს და დღეს სისულელეც კი იქნებოდა ამის გაკეთება. გამოძიებისა და პოლიციის კონცეფცია, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ, ნამდვილად რევოლუციურია და რეალისტური. მაგრამ კიდევ გიმეორებთ, რომ ყველაფერს ჭირდება განხორციელება.

**- რა პერსპექტივა აქვს ამ ყველაფრის განხორციელებას?**

- ჩვენ მალე დავასრულებთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მუშაობას, ექსპერტები აქ არიან და მუშაობენ. სადღაც მარტში მზად იქნება ყველა საკანონმდებლო აქტი, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, რომ აუცილებელია ნება, რათა ეს კონცეფცია განხორციელდეს. საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს გვიჭერენ, ოღონდ იმ პირობით, თუ რაღაცას გავაკეთებთ. არ შეიძლება, ჩვენი საქმე უცხოელებმა გააკეთონ. ისინი შეიძლება დაგვეხმარონ და არავის ისე არ ეხმარებიან, როგორც საქართველოს, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე თავად უნდა გავაკეთოთ. იმავე სასამართლო რეფორმის სფეროში ბევრი პრობლემაა - ზოგი უხილავი, ზოგიც - ხილული, იგივე კორუფცია, უპასუხისმგებლობა. მაგრამ არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ჩვენთან თანამშრომლობა რა შეუწყვეტია, არც ერთი პროექტი არ გაჩერებულა, ყველა პროექტი გრძელდება, რადგან ხედავენ, რომ გვინდა რაღაცის გაკეთება და ვცდილობთ. ზოგი რამ, ცხადია, არ გამოგვდის. ასე უნდა იყოს სხვა სფეროებშიც.

**- და ბოლოს, თქვენ საუბრობთ ნების აუცილებლობაზე. ვისი მხრიდან არის საჭირო ნების გამოვლინება?**

- იმ ხალხის მხრიდან, ვინც სათავეში უდგას იმ სისტემებს, რომლებსაც რეფორმა უნდა შეეხოთ.

*ინტერვიუს უძღვებოდნენ სოფიკო ჩხაიძე და ნიკოლოზ რურუა.*

კრიტიკული აზროვნება

# კანონი - გააზრებული გამბედაობა

*"მწამს, მონობის უღელქვეშ არ გმინავს არავინ მათ გარდა, ვინც ეს დაიმსახურა".*
*სამუელ ადამსი, ამერიკელი პატრიოტი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანაავტორი, ორგანიზაცია "თავისუფლების შვილთა"* (* Sons of Liberty - ბოსტონში დაარსებული პატრიოტულ-რევოლუციური ორგანიზაცია.) დამაარსებელი.*

ნიკოლოზ რურუა

პრობლემათა გადაწყვეტის იდეალური ვარიანტი ხშირად წარმოსახვაში არსებობს, თუმცა მისი მიგნება არც იქ არის იოლი. ადამიანის გონებაში, მეტწილად, ცნობიერების მიღმა ჩასახულ იდეებსა და აზრებს, როგორც ყველაფერს ღირებულს, ვიდრე დაიბადებოდეს, დამწიფება ესაჭიროება. თუმცა სხვა ბუნებრივ ციკლთაგან განსხვავებით, იდეას ზრდასრული ფორმის მისაღწევად, შესაძლოა, რამდენიმე თაობა დასჭირდეს.

საქართველოს შემთხვევაში, ასეთი იდეის დამწიფების პროცესი ყველაზე მნიშვნელოვან ფაზაში გაწყდა (თუმცა, ძნელია ქვეყნის ცხოვრებაში მისი განვითარების რომელიმე საფეხურის "უმნიშვნელოდ" მონათვლა). იმ დროისათვის ერის მოაზროვნე ნაწილის ნაფიქრსა და ნაშრომში თუნდაც ჩამოუყალიბებელი და პოლიტიკურ კონცეფციად დაუხვეწელი თავისუფლების იდეა უფრო და უფრო მკაფიოდ გაისმოდა. დღევანდელი მკითხველისათვის, ვისთვისაც მოქმედ დემოკრატიათა შესახებ ინფორმაცია უკვე შედარებით ადვილად მოიპოვება, იოლი ამოსაცნობია, რას გულისხმობდნენ ქართველი პატრიოტები - მათი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს დემოკრატიული პრინციპების არსი და უპირატესობა.

ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს კეთილდღეობით დაინტერესებული საზოგადოება ასე თუ ისე ემზადებოდა უკვე დამწიფებული აზრის ხორცშესხმისათვის, ანუ იმ გრძელი პროცესის წამოსაწყებად, რასაც დემოკრატიის გულწრფელი მშენებლობა ჰქვია.

ამის პარალელურად, როგორც ვიცით, მტკივნეული მოვლენები ვითარდებოდა რუსეთის იმპერიაშიც, ვის ნებაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს ბედი. ამ დროისათვის რუსეთში მოხდა უნიკალური ფაქტი - მონარქიის თვითლიკვიდაცია, რისთვისაც იმპერია მზად არ აღმოჩნდა.

ასეთი ფუნდამენტური ცვლილებისათვის მოუმზადებლობის ერთი მიზეზი იმპერიის პოლიტიკური წრეების არაერთსულოვნება და უნიათობა გახლდათ. პროგრესული ძალების მარცხი რუსი ხალხის ინერტულობითა და ბოლშევიკების ბასრი პოლიტიკური ყნოსვითაც შეიძლება აიხსნას. რუსი მონარქისტი ივან სოლონევიჩი წერდა, რომ ბოლშევიკების არჩევანი ისეთ ადამიანზე შეჩერდა, ვისაც მგლის ყბებთან და ცხვრის ტვინთან ერთად ინფუზორიის მორალი გააჩნდა; ადამიანზე, ვინც ჯგუფურ გაუპატიურებაში მეთექვსმეტე მოძალადედ მიიღებდა მონაწილეობას.

წინამდებარე წერილის ძირითადი მიზანია, ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკიდან მკითხველს გააცნოს რამდენიმე პოლიტიკური თუ სამართლებრივი დოქტრინა. საქართველოს, როგორც ახალგაზრდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ანალოგიური კონცეფციების შემუშავება თუ ჩამოყალიბება სჭირდება. ეს კონცეფციები, საბოლოოდ, ჩვენი პოლიტიკური კულტურის ნაწილი უნდა გახდეს. მათი დემონსტრირება იმასაც დაგვანახებს, რომ ზოგიერთ, ერთი შეხედვით "ისედაც ნათელ" ან "წვრილმან" საკითხზე ჯერჯერობით არც კი დავფიქრებულვართ.

ჩვენში ხშირად გაისმის სიტყვები "დასავლური ორიენტაცია", "დასავლური ტიპის დემოკრატიული ინსტიტუტები" და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ტერმინები განმარტებული არ არის და მათი ასეთი მისტიცირება მხოლოდ ზიანის მომტანია. თვით ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ, ამერიკულ კონსტიტუციაშიც კი არ არის ჩაწერილი ჯადოსნური სიტყვები თუ ფრაზები - ამერიკული დემოკრატიის ძალა არა სიტყვებსა და ფრაზებში, არამედ მთლიან ამერიკულ კონსტიტუციურ წყობილებაშია. ამ მოსაზრების დედაარსი ასეთია: ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთზე კონსტიტუციონალიზმი უფრო მეტად საქციელია ვიდრე თეორია. ასე რომ, საქციელს, რომელსაც მიველტვით, განმარტება და ახსნა ესაჭიროება.

ადამიანი ამქვეყნიურ სიცოცხლეს ბუნებისაგან მინიჭებული ვადის ამოწურვისას ამთავრებს. მის მიერ შექმნილი საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა კი ავტორის (ადამიანის) სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს. თუმცა არც ერთი საზოგადოება და მისი სტრუქტურა არ ინარჩუნებს მთლიანობას სასწაულებისა თუ შემთხვევითობის, ან ინერციისა და გრავიტაციის კანონების ხარჯზე. თუ ოდესღაც საზოგადოებას პირველ რიგში სოციალური საქციელი, წეს-ჩვეულებები, კულტურისა და ტრადიციის არაფორმალური ნორმები ასულდგმულებდა, ყველაფერი ეს თანამედროვეობისათვის საკმარისი არ არის. დღევანდელ საზოგადოებას კანონის ძალა სჭირდება არა მარტო იმისათვის, რომ ჯანსაღი იყოს, არამედ იმისთვისაც, რომ ცოცხალი დარჩეს.

"დასავლეთისკენ" ჩვენი ლტოლვა, თავისთავად, მისასალმებელი მოვლენაა, თუ მას რეალური ცვლილებების წინაპირობად ჩავთვლით და არა ფუჭ სიტყვებად, რომლებიც მხოლოდ ძლიერი ფრთის ქვეშ შეყუჟვის სურვილს გასთქვამს. ზედმეტია თქმა, როგორ გვჭირდება ძლიერი და საიმედო მოკავშირეები. მაგრამ სრულფასოვან, თანასწორუფლებიან თანამშრომლობასა და მეგობრობაში ორივე მხარემ (საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით) ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს. იმ თვისებების შეძენა, რომლებიც ჩვენს პოტენციურ მოკავშირეებს ჩვენთან პარტნიორობისათვის განაწყობს, მხოლოდ დიდი შინაგანი შრომითა და ძალისხმევითაა შესაძლებელი.

ეს უდავოდ შეგნებული, გააზრებული და არა ინსტინქტური პროცესია. თუმცა არჩევნის გაკეთებისას, გზის ყოველ მონაკვეთში ჩვენი ინსტინქტებიც გარკვეულ როლს თამაშობს. თუმცა მხოლოდ მათ იმედად ყოფნას მაინც არავის ვურჩევთ.

თავისუფლების იდეა, მიუხედავად მისი დაუხვეწავი ფორმისა, საქართველოსათვის არ არის ახალი - მის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად ქართველი ხალხი ჯიუტად იბრძოდა მთელი მისი ისტორიის მანძილზე. თუმცა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შესახებ მაშინდელი შეხედულებები, დღევანდელი კომპლექსური და სწრაფად ცვალებადი ურთიერთობების მსოფლიოში, წარმოუდგენელი და სახიფათოც კია (სამაგალითოდ ჩეჩნეთის მოვლენებიც კმარა) - თვით ტერმინი "დამოუკიდებლობაც" (როგორც ვიცით, დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ და გადაჯაჭვულ მსოფლიოში სავსებით "დამოუკიდებელი" მხოლოდ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნები არიან).

ამის მიუხედავად, მტკიცედ გვწამს, რომ მორალური დამოუკიდებლობა (ისევე, როგორც პოლიტიკური) ქვეყნის სრულფასოვანი და გააზრებული არსებობისათვის აბსოლუტურად აუცილებელია.

მორალურ დამოუკიდებლობაში მკვეთრად ჩამოყალიბებული და გააზრებული ეროვნული ფასეულობების განცდა იგულისხმება. სამწუხაროდ, ზოგიერთისთვის ასეთი აზრი შეიძლება გულუბრყვილოდ ჟღერდეს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ერის უსაფრთხო და ჯანსაღი არსებობის ერთადერთი პირობაა.

განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული ფასეულობები სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ამის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სახე არის კონსტიტუცია; ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მაგალითად, ინგლისს ფორმალური კონსტიტუცია არ გააჩნია, მაშინ როცა შეერთებული შტატების სახელმწიფო სისტემისა და ეროვნული იდეალების სული და გული, მისი არსი, სწორედ კონსტიტუციასა და მის პრეამბულაშია ჩაქსოვილი.

საქართველოში კონსტიტუციის მიღება უეჭველად პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო. სამწუხაროდ, ნაჩქარეობისა და რთული პოლიტიკური გარემოებების გამო, მისი სუბსტანციური ვარგისიანობა დაზარალდა: კომპეტენტური მკითხველი მასში უამრავ ხარვეზსა და შეუსაბამობას აღმოაჩენს. მაგრამ ეს ნაკლი არაფერია იმ ზარალთან შედარებით, რაც საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის საკუთარ კონსტიტუციასთან (ანუ, მარტივად, "თამაშის წესებთან") დამოკიდებულებას მოაქვს. კონსტიტუციისადმი ჩვენი დამოკიდებულება ფარისეველურია - იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ, უბრალოდ მივიღეთ დოკუმენტი, სახელად კონსტიტუცია, როგორც ქვეყნისათვის აუცილებელი ატრიბუტი და მეტი არაფერი. ამგვარი მიდგომა თვით სრულყოფილებასთან მიახლოებულ კონსტიტუციასაც კი არარაობად აქცევდა. ამიტომაც ვიმეორებთ: კონსტიტუციონალიზმი არის არა მხოლოდ სიტყვები და ფრაზები, არამედ - ჩვენი საქციელი. კანონი, რომელიც კანონმორჩილი მოქალაქის შინაგან რწმენას არ უკავშირდება, ძალად მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 35-ე მუხლი საკუთარ მოქალაქეებს ყველა ძირითადი სამოქალაქო უფლების დაურღვევლობის გარანტიას აძლევს. იგივე ფუნქცია აკისრია შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ ათ ჩასწორებას, რომლებიც "უფლებათა ბილის" (Bill of Rigts) სახელითაა ცნობილი. თუმცა განსხვავება უზარმაზარია: როცა ჩინეთში არაპოპულარული აზრი სასტიკად იდევნება, ამერიკის შეერთებულ შტატებში მავნე პოლიტიკურ დოქტრინათა და სახიფათო შეხედულებათაგან თავდაცვის ერთადერთ გარანტიას ასეთ შეხედულებათათვის სახალხოდ თვითგამოხატვის უფლებისმინიჭებაში ხედავენ. ამის სამაგალითო კუ-კლუქს-კლანისა და ნეო-ნაცისტების სანქცირებული გამოსვლებისა თუ თავყრილობების სახელმწიფოს მხრიდან (პოლიციითა და, საჭიროების შემთხვევაში, არმიით) დაცვა გამოდგება. შესაბამისად, ჩინელი და ამერიკელი ხალხების თავისუფლებებს შორის განსხვავების ერთი მიზეზი არის თითოეული ქვეყნის საკუთარი კონსტიტუციისადმი, ანუ "თამაშის წესებისადმი" დამოკიდებულების შედეგი. ამერიკელი ხალხი და ხელისუფლება საკუთარ კონსტიტუციას ძალიან სერიოზულად აღიქვამს, ჩინელ ხალხსა და მის ხელისუფლებას კი ამ აუცილებლობის დანახვასა და აღიარებაში წარმატებისათვის ჯერ არ მიუღწევია.

სამწუხაროდ, საქართველოსაც ასეთივე მანკიერი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებს მიაკუთვნებენ და სამართლიანადაც. მაგრამ ეს არ არის ურყევი კონდიცია, რისი შეცვლაც არ შეგვეძლოს. ამ აუცილებლობის მხოლოდ შეგნებაც კი უკეთესი მომავლისაკენ გადადგმული ნაბიჯია.


ნიკოლოზ რურუა
ლევან ხერხეულიძის ფოტო

დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი და შეერთებული შტატების რიგით მესამე პრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი ამბობდა: "არასდროს მწამდა, რომ არსებობს ერთი მორალური კანონი საზოგადოებისთვის და მეორე - კერძო პირთათვის". ჩვენ, ქართველებმა ამის საპირისპირო თეორია გულწრფელად ვაღიარეთ და ცხოვრებისეულ აუცილებლობად ვიწამეთ. შედეგად კი მივიღეთ საზოგადოება, რაც დღეს გვაქვს. მივიღეთ მისი ჩვეულებრივი წევრი - დაღლილი, განხიბლული და საბოლოო ჯამში ახლომხედველი ადამიანი, რომელსაც ცნება "მოქალაქეობრივი ღირსება" გულუბრყვილო და მოსულელო სიტყვებად მიაჩნია. ასეთი მოქალაქე საკუთარი და საერთო კეთილდღეობის მისაღწევ გზაზე მთავარი ბარიერია.

თუმცა, ამგვარი მიდგომა (მსოფლმხედველობა) მემკვიდრეობით გვერგო. ამას პოლიტიკური ანალიტიკოსი და საბჭოთა ისტორიის ინტერპრეტატორი აბდურახმან ავტორხანოვი ასე განმარტავს: "...человека верующего в Бога, чтущего исторические святыни и национальные идеалы, сталинский режим перековал в "советского человека" - в ханжу и хама - не верующего ни в какие идеалы - ни в небесные, ни в земные, ни даже в собственные, социалистические."

ასეთი ადამიანი არც ჩვენი ყოველდღიურობის სცენაზეა იშვიათი. მასთან საბრძოლველად ერთობა, თავისუფალი, გამბედავი აზროვნება და კომპეტენციაა საჭირო. თუმცა დამკვირვებელი ჩვენს ყოფაში იმდენ გადაუდებელ და გადაუჭრელ პრობლემას დაინახავს, რომ თითქმის სასოწარკვეთილი, შესაძლოა ასეთი თავსატეხის წინაშე აღმოჩნდეს: კონკრეტულად საიდან უნდა დაიწყოს ნანატრი ცვლილებები და ნამდვილი რეფორმები - ზევიდან ქვევით (ხელისუფლებიდან ხალხამდე) თუ პირიქით? თუმცა ასეთი სერიოზული საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა აბსოლუტურად შეუძლებელია. გარდაქმნათა პროცესი, ალბათ, მაინც ორივე მხრიდან უნდა დაიძრას, რადგან იგი "გუნდური თამაში", ანუ ერთობლივი ძალისხმევისგან შემდგარი აქტი უნდა იყოს. როდესაც ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნდობისა და პასუხისმგებლობის კავშირი არც ისე ძლიერია, ეს ამოცანა რთულდება. მაგრამ არც ერთი კრიზისი არ არის რეალურად ისეთი ცუდი, როგორც ის შეიძლება წარმოსახვაში იყოს. ამიტომ გავბედავთ და გავაგრძელებთ.

ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქენი, კანონზომიერების ძალით შებოჭილნი, ყოველდღიურ პრობლემებში დანთქმული, ხშირად უძლური ვართ განვაზოგადოთ ვითარება. ჩვენში მიძინებულია ე.წ. "დიდი სურათის" დანახვის უნარი. ამიტომაც (როგორც ამას მკითხველი შენიშნავს) ამ წერილის ავტორი განგებ "ხატავს ფართო ფუნჯით", ე.ი. ძალიან ზოგადად საუბრობს. ამის მიზეზია ჩემი ღრმა რწმენა, რომ დაკონკრეტება და დეტალებზე ფოკუსირება მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, როდესაც მთლიანი სურათი აღქმული გვაქვს: "ცალკეულ "ხეთა" და "ფოთოლთა" გარჩევა "ტყის" შეუმჩნევლად უაზრობაა. ამიტომ ასეთი ვრცელი შესავლის შემდეგ შევეცდებით მკითხველს უფრო კონკრეტული მოსაზრებანი გავუზიაროთ.

ჩვენი რწმენით, ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზეზი ჩვენი პრობლემებისა ეფექტიანი სახელისუფლო (მმართველი) ორგანიზმის, როგორც სისტემის, არარსებულობაა. ეს დასკვნა მომდევნო კითხვის აუცილებლობას იწვევს: როგორ შეიძლება შევქმნათ საიმედო და ფუნქციონირებადი სისტემა და რა ფაქტორების გათვალისწინებაა აუცილებელი ამ პროცესში?

რამდენადაც გვწამს პრეცედენტის ძალისა, შემოგთავაზებთ რამდენიმე გამოცდილ და მუშა მოდელს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ერს პოლიტიკური ექსპერიმენტებისა და შეუმოწმებელი თეორიების გამოცდის ფუფუნების უფლება არა აქვს. აქვე დავამატებთ, რომ დამხმარე წყარო შეიძლება ძალიან სასარგებლო გამოდგეს, მაგრამ ის საკუთარი აზროვნების შემცვლელად არ ივარგებს.

ეფექტური მმართველი სისტემის შესაქმნელად აუცილებელია შემდეგი პრინციპების აღიარება და გათავისება. პირველი: იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ეფექტურად და სამართლიანად მართოს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანის ბუნების თავისებურებებში, რაც მხოლოდ მისი (ადამიანის) ქცევის ანალიზით მიიღწევა; და მეორე: ხელისუფლება, რომელიც მართავს ტირანული მეთოდების გამოუყენებლად, ერთადერთი სტაბილური ხელისუფლებაა.

შევეცდებით ადამიანის ზოგადი ხასიათის დემონსტრირებას ე.წ. "კანონის ეკონომიკური ანალიზის" (Economic Analysis of Law) გამოყენებით. შემდეგ მკითხველი გაეცნობა ხელისუფლების ტირანიისაგან თავდასაცავად შემუშავებულ პოლიტიკურ დოქტრინას, რომელიც "ძალთა დანაწევრების" (Separation of Powers) სახელითაა ცნობილი.

"კანონის ეკონომიკური ანალიზი" შედარებით ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტია. იგი 1960-იანი წლებიდან ამერიკელ ეკონომისტთა და იურისტთა თანამშრომლობის შედეგად დაიბადა. ამ მეთოდმა ორივე დისციპლინის წარმომადგენელთ საშუალება მისცა ერთი-მეორის არსენალს დასესხებოდნენ: ეკონომისტებს კანონი სთავაზობს არამარტო საინტერესო პრობლემებს, არამედ კონკრეტული კატეგორიებით აზროვნებას; ხოლო ეკონომიკა კანონს მიკროეკონომიკური თეორიისა და მათემატიკური ეკონომიკიდან ჩამოყალიბებულ აბსტრაქციებს აწვდის, რაც კანონს მისი ზოგადი მიზნების (მომგებიანობის, ეფექტურობის) განზოგადების უნარს ანიჭებს. ამ სკოლის ფუძემდებელთა შორის აღნიშვნის ღირსნი არიან ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში რონალდ კოაზი, ასევე რიჩარდ პოზნერი, გვიდო კალაბრეზი და ა.დ. მელამედი.

"ადვოკატს, ვისაც ეკონომიკა არ უსწავლია, დიდი შანსი აქვს საზოგადოების მტერი გახდეს", - წერდა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს წევრი ლუის ბრენდაისი.

იმისათვის, რომ ეს მეთოდი გავითავისოთ, ეკონომიკის სფეროში მოკლე ექსკურსი დაგვჭირდება. როგორც ვიცით, ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის (და სხვა ეკონომიკური აქტიორების) რაციონალურ საქციელსა და მის არჩევანს.

მსოფლიოში, იმ სამყაროში, სადაც რესურსები ადამიანთა უსაზღვრო სურვილებთან შედარებით შეზღუდულია, ჩვენი სურვილები მთლიანად არასდროს კმაყოფილდება: ყოველთვის გვსურს, მაგალითად, კიდევ ერთი წიგნი, ფეხსაცმელი, შვებულება, დისკი, კრუიზი და სხვა. ცხადია, ყველაფერი სასურველის მოპოვება შეუძლებელია, რადგან რესურსები, როგორც ვთქვით, ლიმიტირებულია. სხვადასხვა ფაქტორით შეზღუდული ვართ ჩვენც, ამ რესურსთა მსურველები: სახარჯო ძალა, ანუ ფინანსური პოტენციალი, კონკურენცია, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ა.შ. ამიტომაც იძულებული ვხდებით, გავაკეთოთ არჩევანი სასურველ საგანთა და სიტუაციათა შორის.

ამგვარად დახასიათებული ეკონომიკის ფუნქცია არის იმ პრეზუმპციის ანალიზი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი საკუთარ მიზანთა და სიამოვნებათა "რაციონალური მაქსიმაიზერი" (Rational Maximizer), ანუ თვითინტერესის სფეროში მაქსიმალისტია. ეს გულისხმობს, რომ ადამიანი ირჩევს ისეთ ნივთსა და ქმედებას, რაც მას მეტ სარგებლობას, მეტ სიამოვნებას მოუტანს. ეს დასკვნა არ გულისხმობს, რომ ადამიანის ყოველი საქციელი აუცილებლად ცივი გონებით განსჯილი ქმედებაა. ეს პრეზუმპცია უფრო იმას ნიშნავს, რომ ადამიანის საქციელი რაციონალური არჩევანის მოდელს შეესაბამება ("თვითინტერესი" აგრეთვე არ ნიშნავს, რომ ინდივიდები აუცილებლად ხარბი და ანგარებიანი ეგოისტები არიან - რაციონალური გადაწყვეტილების მიმღებმა მოგება ანუ სიამოვნება შეიძლება სხვისი გაბედნიერებითაც მიიღოს).

თვითინტერესის პრეზუმპცია იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი საშუალებას აძლევს ეკონომისტებს იწინასწარმეტყველონ ადამიანის ეკონომიკური ცვლილებებით (მაგალითად, რესურსებზე ფასების შეცვლით) გამოწვეული რეაქცია. ასეთი ცვლილებების ვითარებაში "რაციონალური მაქსიმალისტის" საქციელი პროგნოზირებადია. ეს ნიშნავს, რომ თუ რეალობის(ანუ, პირობითად, "ფასების") ცვლილება ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა, იგი შესაბამისად შეცვლის საკუთარ საქციელსაც. ამ დასკვნას ისევ დავუბრუნდებით.

ინგლისის იურისპრუდენციაში ისტორიულად არსებობს თეორია: "ადამიანი დაარღვევს კანონს, თუ ის ამ საქციელით მოგებას ნახავს". ეს საკმაოდ სევდიანი პრეზუმპცია ადამიანის საქციელზე დაკვირვებიდან გამომდინარე სასარგებლო რეზულტატია, რომლის გათვალისწინებითაც იქმნებოდა ყველა ინგლისური კანონი. თუმცა, ასეთი მოსაზრება სულაც არ ნიშნავს, რომ კანონების ავტორებს არ სწამდათ უანგარო და პატიოსანი ხალხის არსებობისა. უბრალოდ, იცოდნენ, რომ შეუძლებელია ცალ-ცალკე კანონმდებლობის შექმნა უანგაროთა და ანგარებიანთათვის. მათ კარგად უწყოდნენ, რომ ვერანაირი ორგანიზებული საზოგადოება ვერ იარსებებდა შიშისა და ვალდებულების პრინციპების გარეშე. და, რომ პატიოსანი მოქალაქე ვალდებულებების მორჩილია, ხოლო უწესო - მხოლოდ შიშისა.

თუმცა ინგლისელთა, ჩვენი აზრით, ამ პრაგმატულ შეხედულებას არცთუ ისე უსაფუძვლო ალტერნატიული კონტრარგუმენტი გააჩნია. მისი ავტორი მე-18 საუკუნის ბრიტანეთში ირონიულად მტრად შერაცხული, დღეს კი დემოკრატიისა და ამერიკული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ცნობილი ტომას ჯეფერსონია: "ადამიანებს სურთ იცხოვრონ პატიოსნად, თუ ამის საშუალება არსებობს".

ჩვენი აზრით, ეს ორი მიდგომა (ინგლისური და ამერიკული) ერთმანეთს არ გამორიცხავს. ისინი შეიძლება მივიჩნიოთ მედლის ორ მხარედ, რომლებიც ერთმანეთის მართებულობაში გვარწმუნებს: ადამიანთა ბუნებაზე ზოგადი დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სამართლიან და ეკონომიკურად ზომიერ (არადამაზარალებელ) კანონს ადამიანი ხალისით ემორჩილება და იცავს.

ამ მოსაზრების სამაგალითოდ დავუბრუნდეთ ზემოთ დახასიათებული კანონის ეკონომიკურ ანალიზს. თუ ამ მეთოდს ეკონომიკის ფასადს ჩამოვაცილებთ და ადამიანის ქმედებას სხვა კონტექსტს მივუსადაგებთ, შევნიშნავთ, რომ ინდივიდის, როგორც "რაციონალური მაქსიმალისტის" მოტივაცია ისევ ძალაში რჩება. იგივე აბსტრაქცია ადამიანის სავარაუდო (ნებისმიერი) საქციელის პროგნოზირებისათვის ისევ კარგ ინსტრუმენტად გამოდგება. სადემონსტრაციოდ ერთ სიტუაციას შემოგთავაზებთ: თუ მოქალაქეს კანონისა და სახელმწიფოს მხრიდან პირადი საკუთრების დაცვის გარანტია ექნება, მას საკუთარი კაპიტალის დაგროვებისა და გაზრდის ინტერესი (ინგლ. - Incentive, რუს. - Побуждение) გაუჩნდება.

სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული საკუთრების ხელშეუხებლობის უფლების გარეშე მოქალაქეს ამ უფლების საკუთარი ძალებისა და დიდი პერსონალური ფასის ხარჯზე დაცვა მოუწევს (მაგალითად, შეიარაღება, ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენლების ან დამნაშავეთა სამყაროსაგან პროტექციის ყიდვა და ა.შ.). როცა ხელისუფლებას მოქალაქის შრომის პროდუქტის დაცვა მნიშვნელოვან საკითხად არ მიაჩნია, პროდუქტიულობისათვის სუსტი მოტივაცია იქმნება. მაგრამ, თუ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული კანონი ან რეგულაცია მოქალაქის პირადი ინტერესისთვის მომგებიანობით გამოირჩევა, ადამიანი, როგორც "რაციონალური მაქსიმალისტი", ასეთი კანონისადმი ლოიალურობას ამჯობინებს. როდესაც მოქალაქე აცნობიერებს, რომ ამა თუ იმ რეგულაციისადმი მორჩილება მისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე ურჩობა, იგი ავტომატურად, თუმცა საკუთარი თვითინტერესით მართული, მთელი საზოგადოებისთვის სასარგებლო ხდება. ანუ თუ მისი "ხარჯი" ურჩობის შემთხვევაში მეტია "დანაკარგზე", რომელსაც იგი მორჩილების შემთხვევაში განიცდის, ადამიანი კანონის მორჩილებას ამჯობინებს.

დაახლოებით ორასი წლის წინათ ამგვარი მოსაზრება ჩამოაყალიბა კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებელმა ადამ სმიტმა თავის გენიალურ ნაშრომში "ერთა სიმდიდრე" (Wealth of Nations). ადამ სმიტის დღეს უკვე კაპიტალისტური სისტემის უცვლელ ელემენტად ქცეული "უხილავი ხელის" პრინციპი ზოგადად ასეთია: ადამიანი საზოგადოებრივი რესურსებიდან უმეტესის მიღებას ცდილობს. თუმცა მას არც საზოგადოების კეთილდღეობაზე უფიქრია და არც ამისათვის საჭირო ცოდნა გააჩნდა. იგი საკუთარი მოგებით მოტივირებული, ე.წ. "უხილავი ხელის" პრინციპით იმართება და მას, ძალაუნებურად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამსახურში აყენებს. იმ სამსახურში, რომლისთვისაც ენერგიის ხარჯვა ამ ადამიანს არც განუზრახავს. ადამ სმიტის აზრით, ის, რომ ინდივიდს საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვა არც უფიქრია, უკეთესიც კია, რადგან პიროვნება კერძო ინტერესის გათვალისწინებით საზოგადო ინტერესს უკეთ ემსახურება, ვიდრე ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობისათვის გადაწყვეტდა მოღვაწეობას. სმიტს სჯეროდა, რომ მარტოოდენ "საერთო სიკეთისათვის" წამოწყებული პროექტები წარუმატებლობისათვის იყო განწირული.

საკუთარი აზრის სადემონსტრაციოდ სმიტს ხაბაზის მაგალითი მოჰყავს, რომელიც პურს აცხობს არა საზოგადოებაზე მზრუნველობის ბენევოლენტური მიზნით, არამედ პირადი მოგების სურვილით. სწორედ ეს თვითინტერესი, ანუ, სმიტის მიხედვით, "უხილავი ხელი" აიძულებს ხაბაზს სხვათათვის სასარგებლო საქციელის ჩადენას. შედეგად, მომხმარებელი თავისუფლდება პურის ცხობის საჭიროებისაგან და გამოთავისუფლებულ დროს უფრო მომგებიან საქმიანობაზე ხარჯავს. მართალია, ადამ სმიტის "უხილავი" ხელის თეორია დღეისათვის მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გადამუშავებული და დახვეწილია, მაგრამ მაინც რჩება თავისუფალი სამარკეტო (საბაზრო) ეკონომიკის ქვაკუთხედად. ადამ სმიტმა სცადა ეჩვენებინა, რამდენადაა მარეგულირებელი ორგანოს ეფექტურობა დამოკიდებული ადამიანის, როგორც საზოგადოების მოქმედი პირის ბუნების ცოდნაზე.

ეს ის კანონზომიერებაა, რომელსაც ვერანაირი უხეში ძალა ვერ შეაკავებს. ისტორიას ამის მრავალი მაგალითი აქვს და თუკი ჩვენ ისეთი ინსტიტუტების მშენებლობა განგვიზრახავს, რომლებმაც დროის გამოცდას უნდა გაუძლონ, ეს ფაქტი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**




# საფოსტო მარკა - ქვეყნის სავიზიტო ბარათი

E11

ნავთობსადენი საქართველოს მთავრობასთან უშუალო კავშირშია E2

ნავთობპოლიტიკური თამაშები E3

საფრთხეების ქვეყანა E4

ბრიუსელი თბილისი-ცხინვალის გზას აგებს E5

ყველაფერი საქართველოში ფასიანი ქაღალდების შესახებ E7

სახელმწიფო მსაჯია სტადიონზე E8

როგორ აშენდა ბათუმში ნავთის ქალაქი E9

საფოსტო მარკა - ქვეყნის სავიზიტო ბარათი E11

საფოსტო მარკა - ქვეყნის სავიზიტო ბარათი E12

ვის უქადის ყველაზე დიდ საფრთხეს სამრეწველო შპიონაჟი? E13

მე-11 მუხლი, ანუ ზომბები დიდ ბიზნესში E14

ფიატის აღზევება და დაცემა E15

# ნავთობსადენი საქართველოს მთავრობასთან უშუალო კავშირშია

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, ამ ერთი კვირის წინ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. "საუკუნის პროექტის" განხორციელება, საქართველოს ხელისუფალთა დაუდევრობის გამო, კინაღამ შეფერხდა. "ბი-პი" ერიდება იმის ღიად დაფიქსირებას, რომ მილსადენის ბორჯომის უნიკალურ ხეობაში გატარების გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა კარნახით მიიღო და "ბი-პი"-სთან საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გია ჭანტურიას მეშვეობით გაახმოვანა. თუმცა, გარკვეულ მინიშნებებს ამის თაობაზე კომპანია მაინც აკეთებს.*



მაიკლ თაუნსენდი

მაია ურუშაძე

***მაიკლ თაუნსენდი** "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" ("ბი-თი-სი კოს") აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ. ის 24 წელია, მენავთობეა და აქედან 22 წელი - "ბი-პი"-ში მუშაობს, კასპიის რეგიონში კი 1992 წლიდან მოღვაწეობს. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აღმასრულებელ დირექტორად მაიკლ თაუნსენდი კომპანიის დაფუძნების დღიდან - პირველი აგვისტოდან დაინიშნა. ამ ორი დღის წინ "ბი-პი"-ს თბილისის ოფისში ჟურნალისტებთან გამართული მრგვალი მაგიდის შემდეგ ის "24 საათთან" ექსკლუზიურ საუბარზე დასთანხმდა. ინტერვიუსთვის მას მხოლოდ ხუთიოდე წუთი აღმოაჩნდა. საუბარი კი იმდენად გახანგრძლივდა, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აღმასრულებელმა დირექტორმა კინაღამ აზერბაიჯანში გამგზავრება დააგვიანა.*

**- "ბი-თი-სი კო"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასება დამტკიცებულია. როგორია თქვენი უახლოესი სამოქმედო გეგმა?**

- პროექტი ახალ ფაზაში შევიდა. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან 125-ე კილომეტრზე (წალკის რაიონი) ვიწყებთ მშენებლობას თურქეთის მიმართულებით და თურქეთის საზღვართან მივაღწევთ თუ არა, მოვუბრუნდებით და წალკიდან აზერბაიჯანის მიმართულებით განვაგრძობთ მუშაობას. გვინდა, ზაფხულში მშენებლობა მთიან რეგიონებში დავასრულოთ და ზამთრისთვის ბარში ჩავინაცვლოთ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მილიონობით კაც-დღე დავხარჯეთ ამ მილსადენის დასაპროექტებლად, ვითვალეთ მისი სიგრძე, სიგანე, კედლების სისქე, და ასე შემდეგ. გვინდა, რომ საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა სამუშაო გავწიეთ იმისთვის, რომ "ბი-პი"-ს დევიზი - "საუკეთესო" - რეალობად ვაქციოთ. ეს პროექტი საქართველოსთვის უდიდესია ინვესტიციის თვალსაზრისით. გვინდა, მოსახლეობამ კარგად გააცნობიეროს ის, რომ ამ პროექტს, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში სხვა პირდაპირი ინვესტორების მოზიდვა მოჰყვება. ისიც მნიშვნელვანია, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" პროექტი შაჰდენიზის გაზსადენის განხორციელების გარანტიას მოგვცემს – დაამტკიცებს, რომ საქართველო მიმზიდველია ინვესტირებისათვის.

**- რა სტადიაშია შაჰდენიზის გაზსადენის საკითხი?**

- გაზთან დაკავშირებით ჩვენ დიდ დაინტერესებას ვხედავთ ევროპის მხრიდანაც. კონკრეტული ღონისძიებები, თუ რა და როგორ მოხდება, მომდევნო რამდენიმე თვეში დაიგეგმება.

*ამ წუთისთვის "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი" მსოფლიოში უმსხვილესი ნავთობპროექტია. სამხედრო სფეროს თუ არ გავითვალისწინებთ, ის მსოფლიოს კერძო სექტორის ყველაზე მსხვილი ინვესტიციაა. მთლიანად პროექტი, ნავთობის მოპოვებისა და ტრანზიტის ჩათვლით, 20 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.*

**- რა იქნება უშუალოდ საქართველოს შემოსავალი ნავთობის ტრანზიტიდან?**

- 2,5 მილიარდი დოლარი 40 წელიწადში. 260 მილიონი დოლარი ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიცია იქნება. მილსადენის ექსპლოატაცია საქართველოში წლიურად 30 მილიონი დოლარი დაჯდება, მშენებლობაზე კი 2000-2500 კაცი იმუშავებს. დასაქმდებიან სხვადასხვა ქართული კომპანიები, ჩატარდება არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთაც "ბი-პი" დააფინანსებს. უკვე დაწყებული გვაქვს იმ ბაზების მშენებლობა, სადაც მილები და მშენებლობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მასალა უნდა განთავსდეს. ამ ბაზების მშენებლობაზეც ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. გარემოსდაცვითი დოკუმენტი გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვასაც იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ პროექტის შესახებ. გამოკითხვა ჩატარებულია, ახლა შედეგების შესწავლა მიმდინარეობს. გარდა ამისა, კიდევ უფრო იხვეწება საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა, რაც მილსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას გულისხმობს. ამ პროგრამების შექმნაში საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ. პროგრამები შეეხება საქართველოს წყლის რესურსების, ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების, მათი დასაქმების შესაძლებლობებს. თანხები, რომელთა საშუალებითაც ეს პროგრამები განხორციელდება, არ იქნება სესხი, არამედ იქნება გრანტი, რომელსაც გარემოსდაცვითი დოკუმენტი ითვალისწინებს. ამ პროგრამებზე სამ ქვეყანაში თვრამეტი მილიონი დოლარის დახარჯვაა გათვალისწინებული, საიდანაც საქართველოში ექვსი მილიონის დაბანდება იგეგმება. რაც შეეხება გარემოს დაცვის საკითხებს, აქაც დამუშავდება სხვადასხვა პროგრამები, რომელთა განხორციელებისთვისაც "ბი-პი" მილიონებს დახარჯავს. გარემოს დაცვის პროგრამების შესარჩევი ტენდერი ჯერ არ გამოგვიცხადებია. მაგრამ აქაც ყველაფერი ანალოგიური სცენარით მოხდება: მომდევნო რამდენიმე თვეში არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოგვიდგენენ თავიანთ წინადადებებს, რომელთაგანაც "ბი-პი" საუკეთესოებს შეარჩევს და დააფინანსებს.

*მაიკლ თაუნსენდის მრავალსიტყვიანობა აბსოლუტურად გასაგები იყო. "ბი-თი-სი კო"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასება დამტკიცებულია. ეს მას მშენებლობის დაწყების საშუალებას აძლევს. "ბი-პი"-ს მშენებლობისას პრობლემები აღარ სჭირდება. როგორც ჟურნალისტებთან არაოფიციალური შეხვედრისას თავად "ბი-თი-სი კო"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, კომპანიას სურს, უფრო მჭიდრო ურთიერთობები იქონიოს საზოგადოებასთან, სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო ეფექტური "პი-არი" აწარმოოს. თავად "ბი-პი"-ს თუ დავესესხებით, "აუხსნას საზოგადოებას, თუ რას ნიშნავს ეს მილსადენი საქართველოსთვის".*

**- ერაყში აშშ-ს მიერ წარმატებული ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში როგორია "ბი-პი"-ს ექსპერტთა გათვლები: შესაძლოა თუ არა, რომ ერაყული ნავთობრეზერვების გახსნა "ბი-პი"-სთვის წამგებიანი აღმოჩნდეს?**

*"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აღმასრულებელ დირექტორს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, აშკარად, არ ეხალისებოდა. როგორც ჩანს, მას კომპანიის აქციონერებისთვისაც საკმაოდ ხშირად უწევს მსგავსი ახსნა-განმარტებების მიცემა...*

- არ უნდა იმოქმედოს. არავითარ კავშირში არ არის ერაყული ნავთობის რეზერვები აზერბაიჯანული ნავთობის ფასთან. ჩვენ იმ ქვეყნებთან, ვინც ეს ნავთობი უნდა შეისყიდოს, სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული. როგორც ჩვენ, ასევე ეს ქვეყნებიც მიიჩნევენ, რომ ეს პროექტი სტრატეგიულია და, ამდენად, ბევრი ქვეყნის მთავრობა ანიჭებს აზერბაიჯანულ ნავთობს უდიდეს კომერციულ მნიშვნელობას.

**- განიხილავს თუ არა უკვე "ბი-პი" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან ყაზახეთის მიერთებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს, რა სტადიაშია მოლაპარაკებები ამ თემაზე და რა პრობლემებთან არის დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება?**

- ლონდონში ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო შეხვედრა გვქონდა. დაფიქსირდა ყაზახეთის ნავთობკომპანიასთან, რომ "ბი-თი-სი კო"-ს წევრ აქციონერებს გააჩნიათ გარკვეული ინტერესი ყაზახეთშიც. მილსადენის კომპანიის ოთხი წევრი, რომელთა წილები აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოზე 15-15 პროცენტით განისაზღვრება, წილებს ფლობენ ყაზახეთში, კერძოდ, ქაშაგანის ნავთობმოპოვებაშიც. ამდენად, ეს საკითხი სერიოზულად დგას დღის წესრიგში.

**- საუბარია, რომ აზერბაიჯანულ ნავთობთან ყაზახური ნავთობის შერევა მათი სხვადასხვა ხარისხის გამო არ იქნება სასურველი. როგორია ექსპერტთა აზრი?**

- "ბი-თი-სი კო"-ს წესების მიხედვით, ნედლი ნავთობი, რომელმაც მილსადენში უნდა გაიაროს, გარკვეული თვისებებისა უნდა იყოს, სანამ მილში შევა. შეიძლება მისი ადგილზე გადამუშავებაც გახდეს საჭირო. ეს მხოლოდ ფასზე იმოქმედებს და არა ტრანსპორტირების მეთოდებზე. უბრალოდ, თუ საუკეთესო ნავთობს ნაკლებად ხარისხიანი ნავთობით გავაზავებთ, საუკეთესო ნავთობი კარგ ნავთობად იქცევა. ამდენად, ეს იქნება "ბი-პი"-ს პრობლემა, თუ რა ფასად გაყიდის მას.

**- აწყდებით თუ არა, ასე ვთქვათ, "გარე" წინააღმდეგობებს?**

- ხელს არავინ გვიშლის. თურქეთმა ორი თვის წინ გაამკაცრა ბოსფორის გადაკვეთა, რაც დღეში 5-6 ტანკერით ამცირებს იმ ნავთობის მოცულობას, რომელიც ბოსფორის გავლით შეგვიძლია გავიტანოთ. არა მგონია, შავი ზღვის ქვეყნებს ან თურქეთს სურდეთ, კონკურენცია წარმოიქმნას.

*სხვათა შორის, უშუალოდ ინტერვიუს წინ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას მაიკლ თაუნსენდს უკვე დაფიქსირებული ჰქონდა, რომ "ბი-თი-სი კო" საქართველოს ნავთობის კორპორაციასთან ერთად ოთხშაბათობით განიხილავს ხოლმე მომავალი სამი თვის სამოქმედო გეგმებს და მხოლოდ მერე იწვევს მესამე მხარეებს. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ იქვე იგეგმება, ასე ვთქვათ, "გასახმოვანებელი" ინფორმაციებიც...*

გაგრძელება E6 გვერდზე

# ნავთობპოლიტიკური თამაშები

## ანუ როგორ უნდა გაიკვალოს გზა მაღალი საზოგადოებისაკენ

ბადრი კოპლატაძე

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტთან დაკავშირებული სკანდალი დეკემბრის ყველაზე ღირსშენიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. პროექტი, რომელიც მანამდე არანაირ კითხვებს არ იწვევდა და რომელსაც საზოგადოება დიდ იმედებს უკავშირებდა, მოულოდნელად მწვავე საჯარო დებატების მიზეზი გახდა. "ჯორჯიან გლასს ენდ მინერალ ვოთერ კომპანის" პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის აქტიურობამ მოვლენებს მოულოდნელი განვითარება მისცა.

ხაზარაძის და მისი კომპანიის ინტერესი სრულიად ბუნებრივი იყო. ის ბიზნესი, რომელსაც კომპანია ეწევა, პირდაპირ არის დაკავშირებული ბორჯომის ხეობის და მთლიანად ბორჯომის რაიონის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. ეს თემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა იმ ფონზე, როდესაც კომპანია ბორჯომის ბიზნესით მსხვილი ინვესტორების დაინტერესებას შეეცადა. თუმცა, საკითხმა შემდგომში უფრო კომპლექსური სახე მიიღო და მთლიანობაში იმ კითხვებს, რომელიც გაჩნდა, ობიექტური საფუძველი ჰქონდა. ახლა აღარავინ უარყოფს, რომ ნავთობსადენზე ავარიის შემთხვევაში, თუნდაც ამის მხოლოდ თეორიული ალბათობა არსებობდეს, მდინარე ბორჯომულას აუზს პრობლემები შეექმნება. დღეს ხელისუფლებაც აღიარებს - რომ არა საზოგადოების აქტიურობა, გარემოს დაცვის სამინისტრო, ალბათ, სრულიად უპრობლემოდ და ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე გასცემდა გარემოს დაცვით ნებართვას. არადა, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლება იყო ვალდებული, ამ საკითხებისათვის თვალი მიედევნებინა. მინისტრი ჩხობაძე თავს იმართლებდა, რომ მათ ძალზე ცოტა დრო ჰქონდათ "ბიპის" მიერ მომზადებული დოკუმენტების შესასწავლად, თუმცა ნავთობსადენის სავარაუდო და დაზუსტებული მარშრუტები რამდენიმე თვის წინ იყო ცნობილი. ამდენად, გარემოს დაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს, სურვილის შემთხვევაში, მასალების მოსაგროვებლად საკმაოზე მეტი დრო ჰქონდათ.

ნავთობსადენთან დაკავშირებულმა სიტუაციამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. ადგილობრივი მედია თბილისში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდა. სხვათა შორის, სწორედ იმ დღეებში ბაქოში გამომავალი გაზეთები აქცენტს საქართველოში აზერბაიჯანელებზე განხორციელებულ თავდასხმებზე აკეთებდნენ. სწორედ მაშინ გახმაურდა იმ წერილის შინაარსიც, რომელიც ამ თემას შეეხებოდა და რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი აზერბაიჯანელი კოლეგისაგან მიიღო. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანული მედია თავისუფლების დიდი ხარისხით არ გამოირჩევა, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ



გიორგი ბუხაიძის ფოტო

*გია ჭანტურია*

გახშირებული პუბლიკაციები ადგილობრივი მთავრობის განწყობას გამოხატავდა და იმ სირთულეებზე მიუთითებდა, რომელიც პროექტის ჩავარდნას შეიძლება გამოეწვია.

თუმცა, ამ "დამთხვევისათვის" საქართველოში დიდი ყურადღება არავის მიუქცევია, რადგანაც პროცესი გაცდა მარტოოდენ ნავთობსადენთან დაკავშირებულ საკითხებს და პოლიტიკური ბრძოლის ნიშნებიც შეიძინა. ამ მხრივ, განმსაზღვრელი ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გიორგი ჭანტურიას ფიგურა გახდა.

უკვე რამდენიმე წელია ჭანტურიას სახელი მუდმივად ფიგურებს პოლიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე საკადრო ცვლილებებს იწყებს. ქართული მედია ჭანტურიას ჯერ კიდევ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასახელებდა სახელმწიფო მინისტრობის რეალურ კანდიდატად. სხვათა შორის, იმავე პერიოდში გამოქვეყნდა შევარდნაძის ყოფილი პრესმდივნის ვახტანგ აბაშიძის ინტერვიუც, რომელიც პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატებზე საუბრობდა და მის მიერ მოცემულ აღწერილობაში ბევრმა სწორედ ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი ამოიცნო. ჭანტურიას სახელმა გაიჟღერა შარშანაც, როდესაც სტუდენტური გამოსვლების შემდეგ მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა. სახელმწიფო მინისტრობას მაშინაც მას უწინასწარმეტყველებდნენ.

თავის მხრივ, საჯარო გამოსვლებში ჭანტურია ყოველთვის ამტკიცებდა, რომ არ აპირებს სამოქმედო ასპარეზის შეცვლას და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. თუმცა, პოლიტიკური წრეები, მედიაც ამ განცხადებებს ყოველთვის პასუხისათვის დიპლომატიურად თავის არიდებად მიიჩნევდნენ. ამიტომაც, ჭანტურია მუდმივად ინარჩუნებდა პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატის სტატუსს. მის პოზიციებს ამყარებდა მისი ურთიერთობები მსხვილ ინვესტორებთან, ასევე ისიც, რომ მის სახელთან ნაკლებად იყო დაკავშირებული სკანდალები და მისი გამოსვლების ძირითადი თემა ყოველთვის ნავთობსადენი იყო.

ბორჯომის გარშემო შექმნილი სიტუაცია კანცელარიისთვის, ისევე როგორც პოლიტიკური ძალებისთვის, ნავთობკორპორაციის ხელმძღვანელზე პრევენტული შეტევის განხორციელებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ ჭანტურია საჯარო დებატებში თავიდანვე წამგებიანი ფორმით ჩაერთო - მის გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა გაღიზიანება და მოვლენების ასეთი განვითარებისათვის მოუმზადებლობა. ამას თან დაერთო რამდენიმე ისეთი განცხადებაც, რომელმაც მის მოწინააღმდეგეებს პოზიციები გაუმაგრა. პრობლემის არსიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე ჭანტურიას დაცვა მის მომხრეებსაც გაუჭირდათ.

ავთანდილ ჯორბენაძეს, გარეგნულად საიმედო მდგომარეობის მიუხედავად, კარგად ესმის, რომ მისი პოზიციები ბოლომდე მყარი არ არის. პრეზიდენტის გარშემო თავმოყრილი სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ფარული დაპირისპირების ხარისხი ისევ მაღალია. არჩევნებთან მოახლოებასთან ერთად ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდება. აქედან გამომდინარე, ყველა ცდილობს, ნიადაგი წინასწარვე შეამზადოს და პოტენციური კონკურენტების განეიტრალებას შეეცადოს. ამიტომაც სახელმწიფო კანცელარიაში მოვლენებს თავიდან მშვიდად ადევნებდნენ თვალს. საქართველოს მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი, გარდა ჩხობაძისა, მიმდინარე პროცესებში აქტიურად არ ჩართულა. თუმცა, როდესაც ცხადი გახდა, რომ საზოგადოების ზეწოლით ჩხობაძეს შეიძლება რადიკალური გადაწყვეტილება მიეღო, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა ავთანდილ ჯორბენაძე, თანაც ისეთი ფორმით, რომელმაც უხერხულ სიტუაციაში ჩააგდო არა მარტო ჩხობაძე, არამედ ჭანტურიაც. მანამდე ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი ყოველთვის მიანიშნებდა, რომ ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან მას განმსაზღვრელი პოსტი ეკავა. თუმცა კრიტიკულ მომენტში თავადვე იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ბევრი საკითხი, რომელზეც მანამდე ის საუბრობდა, მის კომპეტენციას სცილდებოდა. ჯორბენაძის ღამეული ვიზიტი სწორედ ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

ჭანტურია მარტო აღმოჩნდა პარლამენტშიც. მიუხედავად იმისა, რომ მარშრუტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უშიშროების საბჭომ მიიღო, მთავრობა არც პარლამენტში გამოჩენილა და, როგორც თვითონ უწოდებენ, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტის განხილვისას, კრიტიკის ქარცეცხლში კვლავ ჭანტურია მოექცა. სხვათა შორის, სკანდალის პოლიტიკური მოტივაციის თემამ საპარლამენტო დებატების დროსაც გაიჟღერა და ისიც - უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან. საბოლოო ჯამში, კანცელარია, თავისი პასიურობით, პრობლემის გარშემო მთელი პასუხისმგებლობის ჭანტურიასკენ მიმართვას შეეცადა.

კანცელარიისგან განსხვავებით დებატებში პირველივე დღიდან აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკური ძალები. მათ ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანიისთვის კარგი მომენტი ჩაუვარდათ ხელში. დასაწყისში ისინი საკმაოდ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ჭანტურიას მიმართ. თუმცა, შემდგომში ტონი ერთგვარად შეარბილეს და ჭანტურიას საბოლოო გაწირვამდე საქმე არ მისულა. ასეთი კომბინირებული მიდგომით პოლიტიკური ძალები შეეცადნენ, ეგრძნობინებინათ ჭანტურიასთვის, და არა მარტო მისთვის, რომ პოლიტიკურ სცენაზე მოვლენების განვითარებაზე გავლენას კვლავ ინარჩუნებენ. როგორც კანცელარიის, ისე საპარლამენტო ძალების ტაქტიკამ, შეიძლება ითქვას, გაამართლა, რადგანაც სკანდალის ბოლო დღეებში ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი აშკარად მოტეხილად გამოიყურებოდა.

როგორ დასკვნებს გამოიტანს გიორგი ჭანტურია ამ მოვლენებიდან, ეს ალბათ შემდგომ გამოჩნდება, თუმცა ერთი რამ დღესვე შეიძლება ითქვას: თუ ის მომავალში მაინც გადაწყვეტს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას, ბორჯომის თემა მუდმივად მისი თანმდევი იქნება. მთლიანობაში კი ნავთობსადენთან დაკავშირებულმა სკანდალმა კიდევ ერთი რამ გამოაჩინა – არავის, არც კანცელარიაში არც პარლამენტში, ხელს არ აძლევს სახელისუფლო ოლიმპისთვის მებრძოლი ახალი სახეების გამოჩენა. ყველა შეეცდება, რომ ეს სივრცე საიმედოდ იყოს ჩაკეტილი. ამჯერად, ეს წარმატებით მოხერხდა.

# „საფრთხეების ქვეყანა"

თუ კი გინდა, რომ არაფრის გეშინოდეს, გახსოვდეს, რომ ყველაფრის შეიძლება გეშინოდეს.

*სენეკა*

ვლადიმერ პაპავა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

ქართველი კაცისათვის საყვარელი სიმღერა "ყვავილების ქვეყანა" თავიდანვე საქართველოს, როგორც ყვავილების ქვეყნის, ასოციაციით იმღერება. დღეს საქართველო, სამწუხაროდ, სულ უფრო მეტად ემსგავსება "საფრთხეების ქვეყანას" და ნამდვილად არ მინდა, რომ ის საბოლოოდ ასეთად ჩამოყალიბდეს და ეს "საფრთხეებით" ჩანაცვლებული "ყვავილები" ბოლოს "ჩოქვით შემოსავლელიც" გაგვიხდეს.

საქართველოს საფრთხეების დასახასიათებლად აუცილებელია დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან განვითარებული მოვლენების თუნდაც მოკლე მიმოხილვა.

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას, რომ საფრთხეების წარმოქმნის ერთერთ ყველაზე ძლიერ მასტიმულირებელ ფაქტორს ხელისუფლების მიერ სტრატეგიული ხასიათის პრობლემების განჭვრეტისა და მათზე ზრუნვის სისუსტე წარმოადგენს, ან არა და, ნებისმიერ ქვეყანას თავისი არსებობის ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე განვითარების ამოცანათა მთელი კომპლექსის გადაწყვეტა უხდება, რომელთაგანაც უმთავრესი სწორი სტრატეგიის შერჩევაა, რის საფუძველზეც შემდგომ ტაქტიკური ხასიათის ღონისძიებები განისაზღვრება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რომლის ხელისუფლებაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მორიგი აღდგენიდან დღემდე, ცალკეული გამონაკლისის გარდა, უმთავრესად ტაქტიკური ხასიათის ამოცანების დასმით და გადაწყვეტის გზების ძიებით უფრო არის დაკავებული, ვიდრე ყოველმხრივ არგუმენტირებული სტრატეგიის შემუშავებით.

1989 წლის 9 აპრილის შემდგომი პერიოდი საქართველოს მოსახლეობის აზროვნებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის საყოველთაო აღიარების თვალსაზრისით რევოლუციურ გარდატეხად შეიძლება ჩაითვალოს. ბუნებრივია, ეს ეკონომიკურ აზროვნებაზეც აისახა. ამ დროს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ არაერთი საყურადღებო კონცეფცია შეიქმნა. ყველა მათგანი საკმაოდ დიდი "დოზით" სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რომანტიკული აღქმით იყო გაჟღენთილი. კონცეფციებში მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტის გზა არც თუ იშვიათად ბუნდოვანი ფრაზებით გადმოიცემოდა და თავად დამოუკიდებლობის იდეაც ხშირ შემთხვევაში ბოლომდე გააზრებული არ იყო (გასაკვირიც არ არის, რადგანაც ამ დროს საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებული იყო მოსაზრება: "ბალახსაც კი შევჭამთ, ოღონდ საქართველო დამოუკიდებელი იყოს").

ამ ობიექტური ნაკლის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული კონტურები სწორედ ხსენებული კონცეფციების საფუძველზე გამოიკვეთა: დამოუკიდებელი (რაც გაიგივებული იყო უშუალოდ რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობასთან) ეკონომიკა, რომელიც საბაზრო სისტემას უნდა დაფუძნდებოდა (თუმცა, თავად ამ სისტემის კონტურები ძალზე ბუნდოვან წარმოდგენებს ემყარებოდა). ეს კი იმ დროს სავსებით საკმარისი ჩანდა იმისათვის, რომ პოლიტიკურად დამოუკიდებელ საქართველოში რეფორმების გატარება დაწყებულიყო; ამ რეფორმების საჯაროდ გამოცხადებული მიზნები ნებისმიერი, ხშირად ბოლომდე გაუცნობიერებელი გზებითა და საშუალებებით კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის უარყოფასა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებაში გამოიხატებოდა.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის მშვიდობიანი (არჩევნების გზით) შეცვლის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რომანტიკულმა იდეამ უკიდურესად ექსტრემისტული ფორმა მიიღო: რუსეთისაგან დამოუკიდებლობის უსწრაფესად მიღწევის სურვილი მაქსიმალურად გამძაფრდა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის იდეების ხორცშესხმა კი სამომავლოდ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ნებისმიერი ექსტრემიზმი თავისთავად საფრთხეს წარმოადგენს და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობისათვის აბსურდამდე მიყვანილი ბრძოლა (ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ვითომდა რუსეთისადმი ეკონომიკური ბლოკადის გატარების მიზნით სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვა იყო) ვერაფერს სასიკეთოს ვერ მოუტანდა საქართველოს და მის ეკონომიკას: ერთის მხრივ, მართვის ადმინისტრაციული სისტემა საბაზროთი არ შეცვლილა, ხოლო მეორეს მხრივ კი – ყოფილი საბჭოთა სივრცის საწარმოებთან კოოპერაციული კავშირები ნაადრევად და თანაც მექანიკურად გაწყდა.

არაერთი ქართველი პოლიტიკოსი, თუ ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ 90-იანი წლების ქართული ეროვნული ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) ექსტრემიზმის იდეა, შესაბამისი მოქმედების გეგმით, ნგრევადი იმპერიის ცენტრში მუშავდებოდა, რასაც საქართველოში შეგნებულ, თუ შეუგნებელ განმხორციელებელთა მთელი "არმია" მოეძებნა. ამ შეხედულების თანახმად, აღნიშნული გეგმის უმთავრესი მიზანი ექსტრემისტული მოძრაობის იმ აბსურდამდე მიყვანა უნდა ყოფილიყო (რის თვალსაჩინო და იმავდროულად სამწუხარო მაგალითს 1991 წელს აშშ-ს პრეზიდენტისადმი საქართველოს პრეზიდენტის დაპირისპირება წარმოადგენდა), რის შემდეგაც, როგორც ზოგადად სახელმწიფოებრივი, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეა გაუფასურებული აღმოჩნდებოდა.



ვლადიმერ პაპავა

გოჩიტა ბახაიძის ფოტო

საქართველო და მისი ეკონომიკა ექსტრემისტულ მდგომარეობაში არც ისე დიდხანს იმყოფებოდა. კერძოდ, ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლით გამოწვეულ სირთულეებს თან ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე საომარი მოქმედებები, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის კრიმინალიზაცია, ეკონომიკურ პოლიტიკაში შეცდომების კასკადი (რის "მწვერვალსაც" საკრედიტო და საბიუჯეტო ემისია წარმოადგენდა, რამაც ჰიპერინფლაცია გამოიწვია) დაერთო, რასაც წარმოების, თითქმის, ოთხჯერადი ვარდნა მოჰყვა. ყოველივე ამით გამოწვეულმა ურთულესმა სოციალურმა პრობლემებმა ექსტრემისტული ტენდენციები მნიშვნელოვნად გააფერმკრთალა.

ამ დროს ხელისუფლებაში პირველად იჩინა თავი რევანშისტულმა პოზიციამ.

სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის ზოგიერთმა პირმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის საკითხი, ქართველების მიერ სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვის უნარი და შესაძლებლობა, და ქვეყნის "რუბლის ზონაში" შესვლა მოითხოვა, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს მხრიდან ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე უარის თქმას ნიშნავდა. თუ კი საქართველოს ხელისუფლება ამ პოზიციას გაიზიარებდა, მაშინ ამგვარი სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილება საბოლოო ჯამში კვლავ რუსეთის იმპერიული ძალების ზეგავლენის ქვეშ მოგვაქცევდა. ქართველ პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ზემოხსენებული ნაწილი ასევე თვლის, რომ პოლიტიკური რევანშიზმის პოზიცია იმ საერთო გეგმის (თუ კი ასეთი არსებობდა) ერთი ელემენტი იყო, რომელიც ექსტრემიზმით დაიწყო და როგორც უკვე ითქვა, ყოფილი იმპერიის ცენტრში უნდა ყოფილიყო შემუშავებული.

რევანშისტების პოზიცია ეკონომიკაში ერთობ გაფერმკრთალდა 1994 წლიდან მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ანტიკრიზისული პროგრამის გატარების ფონზე, რომელიც 1995 წელს წარმატებით განხორციელებული ფულის რეფორმით დაგვირგვინდა. კიდევ უფრო დიდი დარტყმა მათ კონსტიტუციის მიღებამ და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამ მიაყენა.

მართალია "რუბლის ზონის" იდეა დღეს შეიძლება მკვდრადაც კი (სულ ცოტა, "მიძინებულად" მაინც) ჩაითვალოს, მაგრამ რევანშისტების გეგმები და მოქმედების არეალი არა თუ არ შეკვეცილა, არამედ კიდევ უფრო გაფართოვდა.

თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს უმთავრეს საფრთხეს ხელისუფლების კრიმინალიზაცია ქმნიდა, 90-იანი წლების ბოლოს წინა პლანზე კორუფციის მასშტაბების არსებითი ზრდა და მისგან "ხელშეწყობილი" საბიუჯეტო კრიზისი გახდა. შედეგად, 1998 წლიდან მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, რაც რევანშისტების ერთმა ჯგუფმა საბაზრო ეკონომიკას "გადააბრალა". ეს კი ხელს სოციალური რევანშის შესაძლებლობას უწყობს; მაგალითად, კერძო საკუთრების ნაციონალიზაციისა და დეპრივატიზაციის შეგნებულ, თუ გაუცნობიერებელ მომხრეთა ხმა სულ უფრო ხმამაღლა და თანაც საკმაოდ ხშირად გაისმის, რაც პოლიტიკანების მხრიდან იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების მიზნით კიდევ უფრო მეტადაა აჟიტირებული. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ რევანშში გადაიზარდოს; სხვა სიტყვებით კორუფციული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლოა სოციალური რევანშის ინტერესების სამსახურში იქნეს გამოყენებული.

დღევანდელი საქართველო იმ მდგომარეობაშია, როცა სახელმწიფოს მხრიდან დაშვებული შეცდომები რევანშისტებსა და მათ დამქაშებს ხელისუფლებაზე ზეწოლის გაძლიერების ამოცანას "უადვილებს", რაც საბოლოოდ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხედვაში რუსული ორიენტაციის უპირობო დამკვიდრებაში გამოიხატება, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის *ყველაზე დიდი საფრთხის – რუსეთში დაბრუნების* შესაძლებლობის პოზიციებს ამყარებს. თავის მხრივ, დღევანდელი რუსეთიც ბევრად უფრო მზადაა რეინტეგრაციისათვის: ამის საუკეთესო მაგალითია ბელორუსთან გაერთიანების პროცესი.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ანტირევანშისტული პოზიცია არ უნდა იქნეს დაყვანილი ანტირუსულ ისტერიამდე და აუცილებელია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობისათვის საჭირო ყველა რესურსი გამოინახოს და ამოქმედებულ იქნეს; ამასთან ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ პირველი ნაბიჯი მაინც რუსეთის გადასადგმელია, რაც უწინარეს ყოვლისა ორმაგ სტანდარტებზე უარის თქმაში უნდა გამოიხატოს.

ნებისმიერი საფრთხე - იქნება ეს უშუალოდ რუსეთი, თუ ქართული სახელმწიფოს სისუსტე, კორუფცია, საბიუჯეტო კრიზისი, თავდაცვისუუნარობა, ეკოლოგია, ან ნებისმიერი სხვა, საბოლოო ჯამში რევანშიზმის ზემოხსენებული განშტოებებიდან (პოლიტიკური და სოციალური) ერთ-ერთს (თუ ორივეზე ერთდროულად არა) მაინც ემსახურება.

საფრთხეების თემა ამოწურულად ვერ ჩაითვლება თუ არ განვიხილავთ კონკრეტული საფრთხის მატარებლის, ანუ "საფრთხობელას" პრობლემას. ასე მაგალითად, რუსული "საფრთხობელების" ფუნქციას რუსეთის პრეზიდენტი, დუმას და მთავრობის ზოგიერთი წევრი, გენერლები, "ჯავახკი" ასრულებენ. თუ საქართველოში არსებულ ოპოზიციონერებს შეეკითხებიან, ისინი ქვეყნის ძირითად "საფრთხობელებად" მის პრეზიდენტსა და მთავრობას აღიქვამენ; ეს უკანასკნელნი კი პირიქით "საფრთხობელებად"

გაგრძელება E6 გვერდზე

# ბრიუსელი თბილისი-ცხინვალის გზას აგებს



″სამხრეთ ოსეთის პარლამენტი″

გიორგი კალანდაძე

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მინავლებული კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის წარუმატებელი მიმდინარეობის ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაბიჯები, რასაც საქართველოს მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთ, პოსტკონფლიქტურ, ზონების ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით დგამენ. ასეთ რეგიონებში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროექტები ერთნაირად ზემოქმედებს დაპირისპირებული მხარეების მდგომარეობაზე, რადგან ქართულ-ოსური ან ქართულ-აფხაზური კონფლიქტების გამოისობით ამ რეგიონებში სრულიად მოიშალა ინფრაქტრუქტურა. მის აღსადგენად კი არც თბილისს, არც სოხუმსა და არც ცხინვალს საკმარისი სახსრები არა აქვთ.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ყოველი პროექტი, რომელსაც საქართველოს ამ მეტად რთულ რეგიონებში საერთაშორისო ორგანიზაციები თუ დონორი სახელმწიფოები ახორციელებენ. ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ირაკლი მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ პოსტკონფლიქტური ზონების ეკონომიკური რეაბილიტაცია შეიძლება საფრთხეებსაც შეიცავდეს. მისი თქმით, თუ რეაბილიტაციის პროცესი **"არასწორად წარიმართება, მან შეიძლება გააძლიეროს სეპარატიზმის ეკონომიკური ბაზისი. გაუჩინოს თვითმარქვია მთავრობებს ასეთი მოსაზრება - თუ მაინც გვეხმარებიან, რად გვინდა საქართველოსთან გაერთიანება. ვინაიდან ესაა პოლიტიკური საქმიანობა, ამიტომ ის უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ."**

ევროკომისია, თბილისისა და ცხინვალის მთავრობებთან შეთანხმებით, 1998 წლიდან მოყოლებული, ცხინვალის რეგიონში ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტებს ახორციელებს. ბრიუსელი ყოველი კონკრეტული პროექტის დაფინანასებას მხოლოდ ორივე მხარის სურვილების გათვალისწინებით გამოყოფს. ასე მაგალითად, დაფინანსდა ცხინვალის ზონის ელექტრომომარაგების სისტემა, თითქმის თავიდან აშენდა ოთხი სკოლა. დასასრულს უახლოვდება ცხინვალის გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია და ა.შ. აქამდე, ამ და მსგავსი პროექტების დასაფინანსებლად ევროკომისიამ ხუთი მილიონი ევრო გამოყო.

ირაკლი მაჭავარიანი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროკომისიის პროგრამის დასახელებაზე - **"რეაბილიტაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე."** მისი თქმით, პროგრამის განხორციელების არეალი ცხინვალის ზონას სცდება და იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა. მაგალითად, ბორჯომის რაიონში, გუჯარეთის ხეობაში.

პირველი პროგრამა, რომელიც 3,5 მილიონი ევროთი დაფინანსდა, ხუთ პროექტს მოიცავდა. მაჭავარიანი განსაკუთრებით გამოყოფს ქალაქ ცხინვალისა და მიმდებარე ქართული სოფლების წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტებს, რომელსაც ამჟამად რეგიონის როგორც ქართული, ისე ოსური მოსახლეობა წარმატებით იყენებს.

მეორე პროგრამა, რომლის განსახორციელებლად 1,5 მილიონი ევროა გამოყოფილი, ახლაც მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამი პროექტი. პირველი ეხება გორი-ცხინვალის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენას. ირაკლი მაჭავარიანის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ რუსეთიდან ჩამოიტანეს ლიანდაგები ამ პროექტის განსახორციელებლად. ასევე გარემონტდა ცხინვალის რკინიგზის სადგურის შენობა.

მეორე პროექტი ითვალისწინებდა ქალაქ ცხინვალის გაზმომარაგების აღდგენას. სხვათა შორის, აღდგენით სამუშაოებს ანხორციელებს ქართული კომპანია "გაზმშენი", რომელმაც 90-იან წლების მიწურულს თბილისის ცალკეული უბნების გაზიფიცირება განახორციელა. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ამოქმედებამდე "სამხრეთ ოსეთის" ხელმძღვანელობამ საკუთარი სახსრებით დაიქირავა ეს კომპანია გაზგამანაწილებელი სისტემის აღსადგენად. მოგვიანებით, მათ სამუშაების გასაგრძელებლად ფული არ ეყოთ, რის გამოც, გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციისათვის ევროკომისიის პროგრამიდან 100 ათასი ევრო გამოიყო.

მესამე პროექტი დაახლოებით 500 ათასი ევროს მოცულობისაა და ის მოიცავს ენგურის კასკადზე არსებული ვარდნილჰესიდან ცხინვალის რეგიონისთვის ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. თუმცა, ევროკომისიის გრანტი გამოიყო არა ვარდნილჰესისთვის, არამედ "სამხრეთ ოსეთის ენერგოკომპანიისთვის". ამ თანხით მოხდა ჰესისთვის სათადარიგო ნაწილების შეძენა, რის სანაცვლოდაც, ცხინვალის რეგიონი დღეს იღებს ელექტროენერგიას საქართველოს ენერგოსისტემიდან.

განსაკუთრებით საგულისხმო ამ ისტორიიდან კი ისაა, რომ ცხინვალის ზონის მოსახლეობა საქართველოში ყველაზე იაფ ელექტროენერგიას იღებს. რიგით ცხინვალელს ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია ორი თეთრი უჯდება. **"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან დიდი დავა მოგვიწია ამის თაობაზე, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროენერგიის საბითუმო ღირებულება ექვსი თეთრია,"** – იხსენებს ირაკლი მაჭავარიანი და ელექტროენერგიაზე ცხინვალის ზონისთვის დაწესებულ ფასდაკლებას **"სპეციფიკური სიტუაციით"** ხსნის. საქმე ისაა, რომ მანამდე ცხინვალის რეგიონი ასევე საკმაოდ იაფ ელექტროენერგიას რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპანიისგან "ერთიანი ენერგოსისტემებისგან" იღებდა – ერთ კილოვატსაათს 1,15 ცენტად (დაახლოებით 2,5 თეთრი).

**"ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამოცანა, რომ ელექტროენერგია ცხინვალის ზონისთვის ამ ფასზე ნაკლებად უნდა მიგვეწოდებინა, რათა რუსებისთვის კონკურენცია გაგვეწია. პროექტი ასევე ითვალისწინებს სპეციალური კონტრაქტის გაფორმებას, რომლის მიხედვითაც "სამხრეთ ოსეთის ენერგოკომპანიამ" ვალდებულება აიღო, რომ ელექტროენერგიას მიაწვდის ცხინვალის ზონაში მდებარე ქართულ სოფლებს. როგორც ხედავთ, ყველა ეს პროგრამა ან ორივე მხარის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, ან ფინანსდება ისეთი პროექტები, რომლებიც**

გაგრძელება E6 გვერდზე

# „საფრთხეების ქვეყანა„

მეოთხე გვერდიდან

სწორედ ოპოზიციონერებს ასახელებენ და ა.შ.

რევანშისტი "საფრთხობელების" რიგები თანდათანობით სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება: აშკარა კომუნისტებთან ერთად, რევანშიზმის იდეას შეგნებით, თუ შეუგნებლად ცალკეული ნაციონალურობისა და პატრიოტობის, თუ დასავლური პარტიების მსგავსი სახელწოდებების საბურველით შენიღბული, თავისი ბუნებით მაინც ბოლშევიკური მენტალიტეტის მქონე ძალები ემსახურება. ისინი უკვე მარტო რუსეთთან მიერთების იდეით აღარ კმაყოფილდებიან. მათ, როგორც აღინიშნა, პრივატიზაციის პროცესის უკან შემობრუნება, სოციალური ფსევდოგარანტიების აღდგენა, საბოლოო ჯამში კი ისტორიის "ბორბლის" უკან დატრიალება უნდათ.

შედეგად, ამდენი "საფრთხობელას" გარემოცვაში მყოფი ხალხი არამარტო დაიღალა, არამედ მართლაც შეშინდა, რაც ყველაზე რელიეფურად გამოიხატა თბილისის საბურთალოს რაიონში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ჩაშლილ არჩევნებში, როცა ამომრჩეველმა ხალხური სიბრძნით იხელმძღვანელა: "*რა მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ შეგჭამს - მგელი* (ხელისუფლების კანდიდატი), *თუ მგლისფერი ტურა* (ოპოზიციის კანდიდატი)". აქ კი მოსახლეობის მხრიდან არჩევნების, როგორც ასეთის, უარყოფის ახალი საფრთხე იკვეთება: არჩევნებისადმი ბოიკოტის ლოგიკური დასასრული ქართული სახელმწიფოებრიობის უარყოფაა და ეს ზემოხსენებული პოლიტიკური რევანშის სქემაში უმთავრესი მიზანია. ამ საფრთხის მატარებლები ("საფრთხობელები") ერთდროულად როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, და ამის გაცნობიერება მათი მხრიდან აუცილებელია.

ამასთან, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვისწავლით საფრთხეების მართვას, როცა რუსული ზღაპრის გმირი "კალაბოკივით" "ბაბუშკასაც" გავექცევით და "დედუშკასაც" (რომ არაფერი ვთქვათ "კურდღელზე", "მელასა" და "მგელზე"), და საღ-სალამათნიც დავრჩებით.

# ბრიუსელი თბილისი-ცხინვალის გზას აგებს

მეხუთე გვერდიდან

**აკავშირებს ორივე მხარეს ერთმანეთთან,"** – მიიჩნევს ირაკლი მაჭავარიანი.

ამჟამად საუბარია მესამე პროგრამაზე, რომლისთვისაც გამოყოფილია 2,5 მილიონი ევრო. საქართველოში ევროკომისიის მისიის ექსპერტი ემანუელ ანკეტილი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ორივე წინა პროგრამის განხორციელების პროცესში, აცხადებს, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკება მესამე პროგრამის პროექტებთან დაკავშირებით ოდნავ გაჭიანურდა.

ამ საკითხს საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ასე ხსნის: **"მესამე პროგრამა შეიცავს ისეთ პროექტს, რომელიც, ცოტა არ იყოს, პოლიტიკური მნიშვნელობისაა. გათვალისწინებული თანხის ნახევრის - 1,2 მილიონი ევროს გამოყოფა უნდა დაიხარჯოს გორი-როკის გვირაბის რეაბილიტაციაში. ოღონდ ოსურ მხარეს წაეყენა პირობა – აუცილებელია მოხდეს გზაზე კონტროლის გამკაცრება. ამიტომ შეთანხმებაში შევიდა მოთხოვნა, რომ შეიქმნას ტვირთების გადაადგილების ერთობლივი მაკონტროლებელი პუნქტი."**

სწორედ ეს მოთხოვნა იქცა მხარეებს შორის უთანხმოების მიზეზად. ირაკლი მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ ოსურ მხარე საბაჟო პუნქტის ერგნეთთან გახსნის მომხრე იყო, რასაც არ დაეთანხმნენ ქართველები. მათი არგუმენტით, ერგნეთში, სადაც კონტრაბანდული ტვირთით ცნობილი ბაზრობა მდებარეობს, შეუძლებელია რუსეთიდან, როკის გვირაბის გავლით, წამოსული ტვირთბრუნვის სრული გაკონტროლება. საქმე ისაა, რომ როკის გვირაბიდან კონტრაბანდის გადატანა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისკენ ერგნეთის გვერდის ავლით სავსებით შესაძლებელია. ამით იყო გამოწვეული ქართული მხარის მოთხოვნა, ერთობლივი ქართულ-ოსური საბაჟო-გამშვები პუნქტი ან როკის გვირაბთან, არ სამხრეთით, დაბა ჯავის მისადგომებთან გახსნილიყო. ამან უკვე ცხინვალი არ დააკმაყოფილა.

ორმხრივი მოლაპარაკების გაჭიანურებას ხელი შეუწყო "სამხრეთ ოსეთში" ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმაც, რომლის დროსაც ცხინვალში პრეზიდენტი შეიცვალა – თვითმარქვია რესპუბლიკის მეთაური, ქართულ-ოსური მოლაპარაკებების დამწყები ლუდვიგ ჩიბიროვის ნაცვლად, გაცილებით ხისტი პოზიციის მქონე ედუარდ კოკოითი გახდა. თუმცა, როგორც ემანუელ ანკეტილი აღნიშნავს, ამჟამად მოლაპარაკება თბილისსა და ცხინვალს შორის მესამე პროგრამის განხორციელების თაობაზე მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს. ევროკომისიის ექსპერტებმა ორივე მხარეს ტვირთბრუნვის კონტროლის გამკაცრების საკუთარი მექანიზმები შესთავაზეს, რომელიც თბილისსა და ცხინვალში იხილება.

ირაკლი მაჭავარიანი აღნიშნავს, სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, თბილისი უარს ამბობს გორი-როკის გვირაბის მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებაზე. მისი თქმით, ევროკომისიის მესამე პროგრამის საკითხი განიხილება ცხინვალში მხარეთა შეხვედრაზე, რომლის გამართვაც 20-21 დეკემბერსაა დაგეგმილი.

# ნავთობსადენი საქართველოს მთავრობასთან უშუალო კავშირშია

მეორე გვერდიდან

**- რატომ მოხდა, რომ საუკუნის პროექტს ამხელა პრობლემები მოჰყვა? ვისი სისუსტეა ეს?**

- გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემა, ანალოგიურად, როგორც მოხდა საქართველოში, ისევე განხორციელდა აზერბაიჯანსა და თურქეთში. საქართველოში ამის გასაჯაროებას ჩვენ იმით ვხსნით, რომ შესაძლოა, ჩვენ საზოგადოებას დროულად არ მივაწოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად გაივლიდა მილსადენი. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ რეალურად საზოგადოება ფაქტის წინაშე აღმოჩნდა.

**- დასკვნები იმის თაობაზე, რომ ახალქალაქის რაიონზე მილსადენის გატარება საქართველოსთვის პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, წინ გედოთ. მაშ, ვინ "შემოგაჩეჩათ" ბორჯომის მარშრუტი, მაშინ, როცა ახალქალაქის იაფი და მოკლე მარშრუტი თავიდანვე გქონდათ შერჩეული?**

- როცა მარშრუტის დაკონკრეტებაზე მიდგა საქმე, ეს არ იყო "ბი-პი"-ს გადაწყვეტილება, იყო საქართველოს მთავრობის არჩევანი, რომელიც საქართველოს ნავთობის კორპორაციის მხრიდან გახმოვანდა. ამის მერე თითქმის ყველა ჰიდროლოგმა ჩაიხედა ბორჯომის საკითხებში და ძალიან ბევრი არ ეწინააღმდეგება.

**- და მაინც, იყო თუ არა ახალქალაქის მარშრუტი "ბი-პი"-ს მიერ მიჩნეული ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად?**

- თქვენის ნებართვით გაგახსენებთ პერიოდს, როცა საწყის ეტაპზე ეს პროცესი ათკილომეტრიანი დერეფნის შერჩევით დავიწყეთ. ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს წარედგინა საქართველოს მთავრობას. ყველა სხვა ფაქტის გათვალისწინებით, ამ ათკილომეტრიან დერეფანში იყო მოქცეული ეს რეგიონი. შერჩეულ დერეფანს საქართველოს მთავრობამ სრული შემადგენლობით მოაწერა ხელი.

*1998 წელს ითქვა: "ბი-პი"-მ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან დააფიქსირა, რომ რომ ახალქალაქის მარშრუტი უმოკლესი და უიაფესი იყო. 1999 წელს საქართველოს მთავრობამ აშშ-ს ექსპერტებთან ერთად საგანგებო გასვლა მოაწყო ამ რეგიონში. მაშინ პრეზიდენტმა ვერ ან არ დაარწმუნა ისინი, რომ ახალქალაქის რაიონის გაკონტროლება საქართველოს შესაძლებლობის ფარგლებს არ აღემატებოდა...*

**- რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, WWF-მა უსაყვედურა "ბი-პი"-ს იმის გამო, რომ მას აქ ბუნების დაცვითი ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და მხარი დაუჭირა თავისი თბილისის ფილიალის მოთხოვნას "ბი-პი"-ს მიმართ მარშრუტის შეცვლის თაობაზე...**

- WWF-თან ჩვენ ხშირად გვაქვს ხოლმე შეხვედრები, ვინაიდან "ბი-პის" არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამდენად, "ბი-პი"-სთვის WWF-სთან შეხვედრა განსაკუთრებული მოვლენა არ არის. მათ გამოხატეს წუხილი ბორჯომის რაიონში ღრმად განთავსებული მინერალური წყლების დაბინძურებასთან დაკავშირებით. როგორც მანამდეც აღვნიშნე, უამრავი ექსპერტის აზრით, რომელთაც მანამდე ეს საკითხი არაერთხელ შეისწავლეს, ღრმად განთავსებული მინერალური წყლის საბადოების დაბინძურების შესაძლებლობა არ არსებობს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ განვაგრძობთ საუბარს ფონდთან ამ საკითხზე და გარკვეული დრო დაგვჭირდება, რომ საბოლოოდ შევთანხმდეთ.

**- თქვენ ძირითადად მინერალურ წყლებზე საუბრობთ. თუმცა, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიისთვის" არანაკლებ ინტერესს წარმოადგენს ბორჯომის რაიონის მტკნარი წყლის წყაროებიც...**

- გარემოსდაცვით ანგარიშში საუბარია მინერალური წყლების შესახებ, რომელსაც იყენებს "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" და ასხამს ბოთლებში. რაც შეეხება ზედაპირულ წყლებს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყველანაირ ზომას მივმართავთ იმისათვის, რომ არ აღინიშნოს არანაირი გაჟონვა. ციტირებას თუ მოვახდენთ გარემოსდაცვითი დოკუმენტიდან, საუბარია საუკეთესო პრაქტიკის წესებზე, საუკეთესო მეთოდოლოგიაზე და რამდენიმე-ეტაპიან დამცავ ღონისძიებებზე, აგრეთვე, დამატებით საინჟინრო და საექსპლუატაციო ღონისძიებებზე, რამაც მილსადენის მთლიანობა უნდა უზრუნველყოს. კვლავ ციტირებას ვახდენ დოკუმენტიდან: "ნაკისრია ვალდებულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი, ან მისი ანალოგიური სენსორული სისტემების დამუშავებაზე, რომელიც აღიქვამს გრუნტის ნებისმიერ მოძრაობას". აგრეთვე, საუბარია იმ მოსანიშნ ლენტზე, რომელიც აღჭურვილია ელექტრონული გამტარით და ყველანაირ გარე ჩარევას უცებ აღიქვამს. მილსადენის ტერიტორიაზე მუდმივად, კვირაში შვიდი დღე, წელიწადში 365 დღე, იქნება ცოცხალი რესურსები, რათა ადგილზევე უზრუნველვყოთ ნებისმიერი გაუმართაობის აღმოფხვრა; ლაპარაკია დამატებითი ბლოკირების სარქველებზე, სწრაფი დეტექტირების სისტემაზე, შემაკავებლებზე, რომლებიც აჭარბებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველანაირ მოთხოვნილებებს.

**- თუმცა, არის საუბარი რომ ეს დოკუმენტი უახლოეს სამ თვეში უნდა დაიხვეწოს და საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად დამუშავდეს. იანვრის შუა რიცხვებისთვის კი "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ვიზიტი თბილისში კვლავ იგეგმება. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბოლო დღეებში მოვლენები შეტრიალდა და საქართველოს ხელისუფლებასთან მარშრუტის შეთანხმების მეორე რაუნდს იწყებთ?**

- ჩვენ სამუშაო ჯგუფების შექმნას მართლაც, ვაპირებთ. ეს იქნება კომერციული, ტრანსპორტირების, სხვადასხვა ჯგუფები. ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება. მომავალ წელს კი უკვე გაიმართება შეხვედრები...

**- აპირებს თუ არა "ბი-პი" ქართულ მხარესთან დათმობებზე წასვლას იმისთვის, რომ პროექტი არ შეფერხდეს?**

- "ბი-პი"-ც და საქართველოს მთავრობაც ეთანხმება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ პირობებს. ჯერ ვმუშაობთ და ვერ წარვადგენთ აქტს. აშშ-ს როლი საქართველოში ალბათ თავის გავლენას მოახდენს. ეს ნავთობსადენი საქართველოს მთავრობასთანაც უშუალო კავშირშია...

*დიდი სიამოვნებით ვთხოვდი "ბი-თი-სი კოს" აღმასრულებელ დირექტორს იმის დაკონკრეტებას, თუ კონკრეტულად რომელ უშუალო კავშირზე იყო საუბარი, თუმცა მისი კეთილგანწყობით ბოროტად სარგებლობის უფლება სინდისმა არ მომცა, კითხვები სამომავლოდაც დავიტოვე და რესპოდენტის აზერბაიჯანში გამგზავრება აღარ დავაყოვნე...*

# ყველაფერი საქართველოში ფასიანი ქაღალდების შესახებ

მიხეილ ჯიბუტი

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

**დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებ, რომ აღნიშნული სტატია გაგრძელებაა თემისა, რომელზეც ჩვენ საუბარი გვქონდა "ბიზნესის" 2002 წლის 19 ოქტომბრისა (N139) და 16 ნოემბრის (N167) ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებში, სადაც შესაბამისად განხილული იყო ფასიანი ქაღალდების არსი, ფასიანი ქაღალდების სახეები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები.**


მიხეილ ჯიბუტი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

## კორპორაციები

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით შეიძლება ორი ეტაპი გამოვყოთ. პირველი, 1991-1998 წლები, როგორც საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი, რომლის უმთავრესი თვისება იყო მოვლენების უპირატესად სტიქიური განვითარება. მეორე, 1999-2002 წლები, როგორც საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ეტაპი, რომელიც ხასიათდებოდა დიდი ორგანიზებულობით. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნაზე მობილიზებული იყო, როგორც დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების, ასევე ქვეყნის შიდაპოლიტიკური ხელმძღვანელობა. შედეგად ის მივიღეთ, რომ დღეისათვის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა შექმნილია. სისტემა ხასიათდება მაქსიმალური ღიაობითა და საიმედობით. ინვესტორები სახელმწიფოს მიერ რეგულირებად ამ სექტორში ფაქტობრივად სრულფასოვნად არიან დაცულები.

ეკონომიკის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, ფასიანი ქაღალდების ბაზარს არ სჭირდებოდა ე. წ. ტრანსფორმაციის პერიოდი ცენტრალიზებულ-გეგმური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაში. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის დროს ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ფორმალურ მომენტებს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა თავიდან შეიქმნა საქართველოში. მისი საკანონმდებლო ბაზაც წარმოადგენს არა არსებულის უარყოფას და ახლის შექმნას, არამედ ვაკუუმის შევსებას. ამან ისიც გამოიწვია, რომ დღეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტები წინ უსწრებენ თავიანთი მდგომარეობითა და განვითარებით ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის წილი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა ქვეყნის ეკონომიკაში. მართალია, ეს მნიშვნელობა დღესაც შეიძლება იყოს მეტი, სრულად რომ გამოიყენებოდეს ის პოტენციალი, რაც საქართველოს ეკონოკმიკაში ამ მიმართულებით არსებობს, მაგრამ ყველა შესაძლებლობის სრულად გამოყენების დაშვებითაც კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლის მნიშვნელობა დიდად ვერ გაიზრდებოდა. ნათქვამი არ უარყოფს იმ აზრს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას საქართველოში დიდი პერსპექტივები აქვს. ის მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს ამ პერსპექტივების რეალიზებისათვის სწორი გზების მიგნება-რეალიზების მიზნით.

რა უშლის ხელს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას? ეკონომიკის რა შესაძლებლობების რეალიზება ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით? ესაა, ერთი მხრივ, ინვესტორთა და, მეორე მხრივ, კორპორაციათა შესაძლებლობები.

აქ შევჩერდებით მხოლოდ კორპორაციებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. თუმცა, სანამ ამ საკითხის პრობლემურ მხარეს შევეხებოდეთ, უნდა შევჩერდე თვით ცნება "კორპორაციაზე". აღნიშნული ცნება დამკვიდრდა, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე ოფიციალურ ენაში, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობაში ცნება "კორპორაცია" განსაზღვრული არ არის. რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ეს ტერმინი გამოიყენება, მაგრამ განსაზღვრება მოცემული არ არის. ზოგადად ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული განმარტებით, კორპორაცია, ესაა ბიზნესის ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც განსხვავებული და განცალკევებულია მისი მფლობელი კონკრეტული პირებისაგან. საწარმოები არსებობენ კორპორაციების სახით და არაკორპორაციების სახით. არაკორპორაციული საწარმოებია ინდივიდუალური და პარტნიორული საწარმოები. არაკორპორაციული საწარმოები იხდიან საშემოსავლო გადასახადს. კორპორაციების განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევენ იმას, რომ ისინი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არიან იურიდიულ პირად. საქართველოში ასეთი პირის სტატუსი აქვს პარტნიორულ გაერთიანებებსაც. ამიტომ ჩვენი სინამდვილისათვის შეიძლება დაშვებით ითქვას, რომ კორპორაციის პირობებს აკმაყოფილებს სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. კორპორაციებს ასხვავებენ კიდევ ერთი – განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნიშნით. საქართველოში 2002 წლის 1 მაისის მდგომარეობით 27 744 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რაც ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირების 33.6 პროცენტია. შეზღუდული პასუხისმგებლობის ყველა საზოგადოებას შეუძლია სააქციო საზოგადოებად გადაქცევა ემისიის შემთხვევაში. ძალიან მკაცრი გაგებით კი კორპორაციებად უნდა ვიგულისხმოთ სააქციო საზოგადოებები. კორპორაციის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ფინანსების შევსება ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, რომ კორპორაციის მფლობელები სამეურნეო რისკს ეწევიან განსაზღვრულ ფარგლებში, იმ ზომით, რა ზომის ფინანსები აქვთ დახარჯული აქტივების შექმნაზე, რომ კორპორაციების არსებობა ფაქტობრივად მუდმივია.

ამავე დროს კორპორაციებს ახასიათებს უარყოფითი მხარეებიც, აქედან უმთავრესი არის იმის საშუალებების არსებობა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს შესაძლებლობების ბოროტად გამოყენებას. შეიძლება გამოშვებულ იქნას ისეთი აქციები გასაყიდად, რომელთაც არავითარი ღირებულება არა აქვთ, ან კორპორაციის მმართველებმა ბოროტად გამოიყენონ თავიანთი მდგომარეობა, რამეთუ საკუთრება და კონტროლი გამიჯნულია.

სწორედ აღნიშნული ნეგატიური პროცესების დაძლევის მიზნით საჭიროა სახელმწიფოს ხელი. ფასიანი ქაღალდების ინფრასტრუქტურაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს ბირჟის გარეთ ვაჭრობას. 2002 წლის 1 მაისის მდგომარეობით საქართველოში 1759 სააქციო საზოგადოებაა, რაც საქართველოში კერძო სამართლის სუბიექტების 2.19 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ასეთი დიდი რაოდენობის სააქციო საზოგადოებების არსებობისა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ მცირე ზომისაა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა აქციების ემიტენტი გახდა არა წარმოების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, არამედ პრივატიზების სტრატეგიის განხორციელების შედეგად. ამიტომაცაა, რომ საქართველოში აქციონერთა რიცხვი 500000-მდეა. დიდია მათ ხელთ არსებული აქციების ნომინალური ღირებულება და შეადგენს 600 მილიონ ლარზე მეტს. ფაქტობრივად ყველა ამ წვრილმა ინვესტორმა თავის აქციები მიიღო უფასოდ, ან ძალიან შეღავათიან ფასებში პრივატიზების დროს. პრივატიზების დროს საწარმოების მეოთხედზე მეტმა მიიღო ინვესტიცია ადგილობრივი მმართველობითი აპარატებისაგან, დირექტორებისაგან. თუმცა აღნიშნული ინვესტიცია რეალურად საწარმოებში კი არ წავიდა, როგორც ხდება ხოლმე სააქციო საზოგადოებებში, არამედ მთლიანად მობილიზებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამით პრივატიზების შემდეგ საწარმოებმა მიიღეს მეორე დარტყმა. ერთი ჰიპერინფლაციის დროს როდესაც გაუფასურდა მათი საბრუნავი საშუალებები და მეორე პრივატიზების დროს, როდესაც მესაკუთრე-ინვესტორების თანხა არ წავიდა საწარმოთა ფინანსურ გაძლიერებაზე. საქართველოში ფუნქციონირებადი სააქციო საზოგადოებების უმრავლესობას აქციების გამოშვების უფლება გარემოებათა გამო ერგო. კერძოდ, რომ არ ყოფილიყო პრივატიზების პროცესში საწარმოს კოლექტივის წევრებისათვის უფასოდ ან შეღავათებით გადასაცემი აქციები, დღეს ალბათ რამდენიმე ასეული სააქციო საზოგადოების ნაცვლად გვექნებოდა რამდენიმე ათეული. თავის დროზე აქციების ასეთმა გადაცემამ შეასრულა სოციალური დაძაბულობის შემამსუბუქებელი როლი, თუმცა, როგორც დღეს ირკვევა, რაიმე ეკონომიკური შედეგი არ მოუტანია. უფრო მეტიც, უამრავი სააქციო საზოგადოება ვერავითარ პერსპექტივას ვერ ქმნის იმისათვის, რომ მათი აქციები ლიკვიდური გახდეს. არადამაკმაყოფილებელია მათი საფინანსო მდგომარეობა. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში წარმოდგენილი ანგარიშებიდან (იგი მოიცავს დაახლოებით 300 სააქციო საზოგადოებას), 80 პროცენტამდე სააქციო საზოგადოებებისა არის წამგებიანი. აქ ძნელია იმის თქმა, რომ რეალურად სწორია თუ არა ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი სახით არსებული სააქციო საზოგადოებები ძირითადად განიცდიან ტრანსფორმაციას უახლეს ორ-სამ წელიწადში. უმეტესობის ლიკვიდაციაა მოსალოდნელი. ადგილი ექნება მასობრივ გაკოტრებასაც. ბევრი კომპანია საჯარო კომპანიიდან გარდაიქმნება კერძო კომპანიებად, ანუ სააქციო საზოგადოების ფორმიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად ან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. აღნიშნული ტენდენცია დაწყებულია. ის, რომ სააქციო საზოგადოებად არსებობა უპირატესობაა, რომ აღნიშნული ფორმა იძლევა აქციების რეალიზებით ინვესტიციების ყველაზე მომგებიანი ფორმით მოზიდვის საშუალებას, დღევანდელ საქართველოში ცნობილია, მაგრამ პრაქტიკულად არ ხორციელდება. დღეს სააქციო საზოგადოების ფორმა, განსაკუთრებით, თუ ის ექცევა ანგარიშვალდებული საწარმოს კატეგორიაში – წამგებიანია. ანგარიშვალდებულება კონტროლდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ და საჯაროობის დიდ დოზას შეიცავს. ეს საქართველოს ეკონომიკურ სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა შეფასებით ჩრდილოვანი ეკონომიკა მერყეობს 30–70 პროცენტამდე, მიუღებელია მეწარმეებისათვის. ჩვენ ცალკე შევეხებით აღნიშნულს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სააქციო საზოგადოებების მმართველი ორგანოების წევრების მოსმენებმა აჩვენეს უკიდურესად მძიმე სურათი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უმრავლესობას სწორად არა აქვთ გააზრებული არათუ მათი პასუხისმგებლობა, არამედ სააქციო საზოგადოების ფანქციონირების ელემენტარული საკითხები.

თუ ფასიანი ქაღალების ბაზრისათვის ზოგადი გაგებით გარდამავალი პერიოდის შესახებ არ უნდა ვილაპარაკოთ, ის არ იყო და შეიქმნა. კორპორაციებისათვის ასეთი პერიოდი საქართველოში ნამდვილად არსებობს. ეს არის ამავე დროს კორპორაციული მართვის კულტურის ჩამოყალიბების პერიოდი. როგორც წესი, კორპორაციები თავიანთი ფინანსების გასაძლიერებლად ან შესაქმნელად ახდენენ ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ანუ ემისიას. ეს ხდება ან საწესდებო კაპიტალის ფორმირების დროს, ან ამ კაპიტალის გაზრდის დროს.

აქციის ფასი ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების კანონის შესაბამისად. კომპანია-ემიტენტს, ანუ აქციების გამომშვებ კომპანიას სურს, აქცია გაყიდოს რაც შეიძლება ძვირად, ხოლო მყიდველს-ინვესტორს, სურს აქცია იყიდოს იაფად. აქციას გააჩნია ნომინალური ღირებულება, რომელიც გამოხატავს წილს მისი მესაკუთრისათვის, თუმცა აქციის რეალურ ფასზე ეს უშუალოდ ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე სხვა ფაქტორები: ამ აქციის ემიტენტი სააქციო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობაა. ის, თუ სააქციო საზოგადოება რა სიდიდის დივიდენდს იძლევა აქციებზე, თუ როგორია ამ კორპორაციის ფინანსური შედეგები, მისი მოგების სიდიდე და ზრდის დინამიკა.

სააქციო საზოგადოება, რომელიც საფონდო ბაზარზე თავის აქციებს არ ყიდის, წარმოადგენს "საეჭვო" წარმოებას. ის ან ეკონომიკურად გაკოტრების პირასაა (ან გაკოტრებულია), ან მისი საქმიანობა უზურპირებული აქვს მენეჯერთა, მესაკუთრეთა მცირე ჯგუფს და მისი საქმიანობა წარიმართება უკანონო (ჩრდილოვან) სექტორში. საფონდო

გაგრძელება E14 გვერდზე

# სახელმწიფო მსაჯია სტადიონზე

*ოქტომბრის ბოლოს პოპულარულ პოლონურ გაზეთში "გაზეტა პოლსკა"-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის მრჩეველთან ეკონომიკურ საკითხებში, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორთან რიჩარდ რანთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში რიჩარდ რანი იყო ესტონეთის, უნგრეთისა და რუსეთის მთავრობათა ეკონომიკური მრჩეველი.*

**- რას ემყარებოდა რეიგანის მთავრობის ეკონომიკური პროგრამა?**

- უპირველესად, მინიმუმამდე, ორ-სამ პროცენტამდე დავიყვანეთ ინფლაცია. შევწყვიტეთ დამატებითი ფულადი ნიშნების გამოშვება. მეორე და ამასთან უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოდგენდა საგადასახადო ტარიფების შემცირება. რეიგანის ხელისუფლებაში მოსვლისას მაქსიმალური გადასახადი 70 პროცენტამდე აღწევდა. მას შემდეგ, როდესაც ჩვენმა გუნდმა ხელისუფლება დატოვა, ანალოგიური მაჩვენებელი 28 პროცენტს არ აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს შემოსავლები გადასახადებიდან არ შემცირებულა.

პრეზიდენტ რეიგანს კარგად ესმოდა, რომ საგადასახადო ტარიფები და შემოსავლები გადასახადებიდან – ეს ორი სრულიად განსხვავებული რამ არის. მაღალი გადასახადები ადამიანებს გულს უცრუებს სამუშაოზე, დაზოგვასა და ინვესტიციებზე. მათი შემცირება კი პირიქით, იწვევს ადამიანთა აქტიურობას, ეკონომიკა უფრო დინამიურად იზრდება, ხოლო სახელმწიფო ხაზინაში თანდათან უფრო მეტი და მეტი სახსრები შემოდის.

**- რამდენადაც ცნობილია, რეიგანი მომხრე იყო არა მხოლოდ დაბალი გადასახადებისა, არამედ მათი გამარტივებისაც...**

- ჩვენ არა მხოლოდ შევამცირეთ საგადასახადო ტარიფები, არამედ გავამარტივეთ საგადასახადო კანონმდებლობაც. ეს ცვლილებები გამომდინარეობდა, ძირითადად, რონალდ რეიგანის პიროვნებიდან, მისი ოპტიმისტური ბუნებიდან და სიმარტივისკენ სწრაფვიდან. მან ამერიკელის სულში კიდევ უფრო გაზარდა სამეწარმეო უნარი.

**- ნუთუ ხელისუფალის პიროვნულ თვისებებს ასეთი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?**

- ამ ფაქტორს უდიდესი გავლენა აქვს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ მთელ სახელმწიფოზე. ამერიკელები, მაგალითად, უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რონალდ რეიგანს საბჭოთა იმპერიის მიმართ. განსხვავებით ჯიმი კარტერისაგან, რომელიც აცხადებდა, რომ საბჭოთა მონსტრის მიმართ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რეიგანი ჯიუტად იმეორებდა, რომ კომუნიზმს დავამარცხებთ და ამისათვის არც თუ ისე დიდი დრო დაგვჭირდებაო. ალბათ, არ არის საჭირო დავამატოთ, რომ რეიგანი მართალი აღმოჩრდა.

**- რა გავლენა იქონია ეკონომიკაზე სახელმწიფოს სოციალური ხარჯების შემცირებამ?**

- ისინი საერთოდ არ შემცირებულა. ამ ხარჯების საერთო დონე ისეთივე დარჩა, როგორც რეიგანის წინამორბედის, პრეზიდენტ კარტერის დროს. შეიცვალა მხოლოდ მათი წილი ეროვნულ შემოსავალში, რადგან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**- რამდენად ხანგრძლივად გაგრძელდა რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკა?**

- ეკონომიკის მრავალ სფეროში რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკა დღესაც გრძელდება. ამ პოლიტიკის გატარებამდე შვიდი წლის მანძილზე სამჯერ ჰქონდა ადგილი ეკონომიკურ კლებას (რეცესიას). ეკონომიკური ზრდის ტემპიც ძალზე დაბალი იყო. მას შემდეგ კი, რაც ამ პროგრამის განხორციელება დავიწყეთ, ანუ 1983 წლის შემდეგ, თითქმის მთელი 20 წლის განმავლობაში, მხოლოდ ორჯერ ჰქონდა ადგილი ამერიკის ეკონომიკაში კლებას და ისიც, ძალზე უმნიშვნელოდ. ამ პერიოდში, ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა საშუალოდ ოთხი პროცენტი, რაც ასეთი დიდი მეურნეობისთვის, როგორსაც შეერთებული შტატების ეკონომიკა წარმოადგენს, ძალზე მნიშვნელოვანია. ეკონომიკის მასშტაბების ზრდასთან ერთად ძალზე რთულდება მისი განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნება.

**- იქნებ თქვენს ეკონომიკურ გუნდს ბედმა გაუღიმა და ხელსაყრელი კონიუნქტურის პირობებში მოუწია მუშაობა?**

- დიახ, ბედმა გაგვიღიმა, ბრწყინვალე ხელმძღვანელებთან ერთად მოგვიწია მუშაობა.

**- თქვენ რუსეთის მთავრობის ფინანსური მრჩეველიც იყავით. როგორ იღებდნენ თქვენს რჩევებს რუსეთში?**

- მე რუსეთში მას შემდეგ მომიწია მუშაობა, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაინგრა. ეს მოხდა 1992 წელს. მაშინ ამ ქვეყანაში ვითარება ძალზე დრამატული იყო, ადგილი ჰქონდა ანარქიას, ჰიპერინფლაციასა და ა.შ. აუცილებელი იყო, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მიგვეღწია ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის. უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მთავრობას შევთავაზე გადასახადების შემცირება და გამარტივება, ასევე პრივატიზაციის დაწყება. ჩემი რჩევები დიდი სიამოვნებით მიიღეს. ჩემი და ცნობილი რუსი ეკონომისტების ეკონომიკური შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა.

... რაც უფრო მაღალი დონის კორუფციაა ქვეყანაში და რაც მეტად გაუგებარია კანონები, მით უფრო იზრდება ინვესტორთა რისკის დონე. თუ მე, მაგალითად, მაქვს მილიონი დოლარი და შემიძლია მისი დაბანდება აშშ-ში, შვეიცარიაში, კანადაში, ჩინეთში, პოლონეთსა და რუსეთში, მე მას იქ დავაბანდებ, საიდანაც უფრო სწრაფად და დიდი მოგება შემომივა. ეს კი დიდად არის დამოკიდებული რისკის დონეზე.



*რიჩარდ რანი*

**- მაგრამ თუ რაიმე საქონელზე მოთხოვნილებაა, იგი ხომ შესყიდული იქნება იქაც, სადაც კორუფციის დიდი მასშტაბებია და იქაც, სადაც მექრთამეობას გასაქანი არა აქვს?**

- მაგრამ საქმე ეხება პირობებს, რომელ პირობებშიც ჩვენ გვიხდება კაპიტალის დაბანდება. მაგალითად, შეერთებული შტატები უდიდეს სარგებელს ნახავდა რუსებთან თანამშრომლობითა და მათი ტექნოლოგიის გამოყენებით ნახევარგამტარების წარმოების სფეროში. მაგრამ, რუსეთში არსებული სიტუაციის გამო, გაცილებით მომგებიანია ამ დარგის სპეციალისტების შტატებში გადაყვანა და შესაბამისი საწარმოების იქ გახსნა, ვიდრე მათი რუსეთში ამოქმედება. ეს კი, ძირითადად, იმის გამოა, რომ შტატებში ძნელი არ არის სიტუაციის წინასწარგანჭვრეტა. გარდა ამისა, ფირმის დარეგისტრირებას ჩვენთან ოთხ საათზე მეტი არ სჭირდება, მაშინ, როდესაც რუსეთში ეს პროცედურა ოთხ თვეზე მეტს მოითხოვს.

**- როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში?**

- სახელმწიფო ეკონომიკაში ისეთ როლს უნდა თამაშობდეს, როგორსაც მსაჯი ფეხბურთის მოედანზე.

**- ამერიკული თუ ევროპული ფეხბურთის თამაშის დროს?**

- ამას მნიშვნელობა არა აქვს.

**- ამერიკული ფეხბურთი ძალზე უხეშია. ძნელად წარმოსადგენია, რომ ევროპელმა მსაჯმა მოთამაშეებს იმდენივე უფლება მისცეს, რამდენიც ამერიკელმა...**

- ასეთ შემთხვევაში, მე მხედველობაში მაქვს ევროპული ფეხბურთი. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ისეთი წესები, რომლებიც ყველასთვის იქნება გასაგები. სოციალისტური სისტემის დროს სახელმწიფო ერთდროულად არის როგორც კანონების შემოქმედი, ისე მსაჯი და მოთამაშეც. ნორმალურ ქვეყანაში ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. მაგალითად, ჰონგ-კონგში კანონები ძალზე მარტივი და ყველასათვის გასაგებია, ხოლო მოსამართლეები და მოხელეები კი მოუსყიდველები არიან. ამის წყალობით ჰონგ-კონგის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ტაივანში ვიყავი და იქაურ ეკონომიკის მინისტრს ვესაუბრე. ჩემს შეკითხვაზე, თუ რით არის განპირობებული ტაივანის ეკონომიკური წარმატებები, მან მიპასუხა: ეს მარტივია. აქ ხალხმა იცის, რომ ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს, ხოლო ვინც მუშაობს, იგი მდიდრდება კიდეც.

**- ტაივანი თავისუფალი ბაზრის ქვეყნის ნიმუშად ითვლება. მიუხედავად ამისა, იქ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ინვესტიციებს უნდა ახორციელებდეს მეცნიერებასა და განათლებაში.**

- საჭიროა შევთანხმდეთ იმაში, თუ რა უნდა იყოს სახელმწიფოს ფუნქცია. ჯონ ლოკის თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს პიროვნებისა და საკუთრების დაცვა. მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, საჭიროა განათლებული პარტნიორების არსებობა. ამიტომ საჭიროა, განათლების სექტორში ინვესტირება. ამასთან ის გარემოება, რომ საჭიროა სახელმწიფომ დააფინანსოს ეს დარგი, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო იყოს პასუხისმგებელი განათლებაზე. მშობლებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მათი ბავშვები განათლებულნი იყვნენ.

**- თუ არსებობს რაღაც საზღვარი, რომლის იქითაც უკვე კერძო სექტორი უნდა საქმიანობდეს?**

- კერძო ფირმები გაცილებით ეფექტურნი არიან, ვიდრე სახელმწიფო საწარმოები. ძალზე ცოტაა ეკონომიკის ისეთი სფერო, სადაც კერძო ფირმას არ შეეძლება ეფექტური საქმიანობა. ასეთ სფეროებს შეიძლება მივაკუთვნოთ მოქალაქეთა უსაფრთხოება, ანუ პოლიციისა და ჯარის შენახვა. ამას გარდა, თითქმის არ არსებობს ეროვნული მეურნეობის ისეთი სფერო, რომელიც კერძო ფირმამ ვერ დაძლიოს. შეერთებულ შტატებში მოქალაქეებს ხშირად იმის წარმოდგენაც კი შეუძლიათ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს გაქრობას.

**- და რა შეიძლება ამას მოჰყვეს?**

- კერძო ფირმები აიღებდნენ თავის ხელში სახელმწიფოს ზოგიერთ ფუნქციას.

ასეთი კამათის დროს ხშირად მოჰყავთ ის არგუმენტი, თუ რა შეიძლება მოხდეს, მაგალითად, ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის გაქრობის შემდეგ. როგორ გგონიათ, რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში? დავიხოცებოდით მოწამლული საჭმელ-სასმელით? ნურას უკაცრავად! გაჩნდებოდა კერძო ფირმები, რომლებიც ამ საქმეს გაუძღვებოდნენ.

შეერთებული შტატების ისტორიის პირველ წლებში, როდესაც ადამიანებმა ის-ის იყო დაიწყეს დასავლეთის მიწების ათვისება, იქ არავითარი ხელისუფლება არ ყოფილა. ამ ხალხმა თავად აიღო თავის თავზე სახლების მშენებლობის ორგანიზაცია, გახსნეს სკოლები, შექმნეს აუცილებელი დაწესებულებები.

**- ანუ ათასობით მაკონტროლებელის ნაცვლად, თავისუფალი ბაზარი?**

- სწორედ ამაში ვცდილობ დავარწმუნო ჩემი მოსაუბრეები – თავისუფლება ამართლებს!

*პოლონურიდან თარგმნა*
***ამბროსი გრიშიკაშვილმა***

# როგორ აშენდა ბათუმში ნავთის ქალაქი

## დავით კლდიაშვილის მოგონებები ბათუმის შესახებ



*ბათუმის პორტი XIX საუკუნის მიწურულს*

ამ მოკლე დროში ბათუმში დაფუძნდება ეგრეთ წოდებული ნავთის ქალაქი, რომელიც სრულიად შესცვლის ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს. საქონლის დღევანდელი სადგური სრულიად მოიშლება და აქ ნავთის ქალაქი გაშენდება. რკინიგზა ბარცხანიდან მიხაილოვის ქვეითთა ბატალიონის ყაზარმების წინ გაივლის და კახაბერის მთის ძირისკენ გაემართება. აქ გაშენდება მგზავრთა და საქონლის სადგურები.

ყოველივე ეს შემდეგ გარემოებათ გამოიწვიეს: ბათუმის სანავთო ქარხნები დღეს თითქმის შიგ ქალაქშია მოქცეული; აქვე, ციხის სიმაგრეების წინ, წამოჭიმულია, ვეება რეზერვუარები და ყუთების საკეთებელი ხის მასალის დიდძალი საწყობები. სამხედრო უწყებას ასეთი მეზობლობა, - ამდენი ნავთისა და ხე-ტყისა, - მუდამ საშიშრად და მოუხერხებლად მიაჩნდა და ამის შესახებ კიდეც აღძრა ლაპარაკი უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა ასეთი საშიშარი მეზობელი მოეშორებინათ სიმაგრეებისთვის და სხვაგან გადაეტანათ. ამ შუამდგომლობას მოჰყვა 1891 წელს 11 ივლისს, უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომლის ძალით მოზრდილი ახალი რეზერვუარების აგება აიკრძალა და ქარხნის პატრონებს სამი წლის ვადა ეძლეოდათ ამ ხანაში ან მოეწყოთ თავიანთი ქარხნები თანახმად ახალი კანონისა, ანდა, ისინი ქალაქს გარეთ გაეტანათ.

ქარხნების პატრონებსაც და ქალაქსაც მეხივით დაეცა თავს ეს განკარგულება. პირველთათვის ყოვლად შეუძლებელი იყო აესრულებინათ ახალი მოთხოვნილება ქარხნების მოწყობაში; აყრა, ქალაქის გარეთ გატანა, ახალ ადგილას ქარხნის მოწყობა – ეს საქმეზე ხელის აღებას უდრიდა, უდრიდა სრულიად დამხობას; ქალაქი კი ქარხნების მოშორებით დიდძალ, მის მასულდგმულებელ შემოსავალს ჰკარგავდა; ჰკარგავდა ყოველ წლივ 150 ათას მანეთამდის. ამიტომაც, ქალაქის თვითმმართველობამ თავი გამოიდო და ნავთის ქარხნების პატრონებთან ერთად მიმართა უმაღლეს მთავრობას, რომ იგი შესულიყო ქალაქისა და ქარხნების პატრონების მდგომარეობაშიაც და გამოეცვალა კანონი და მისი მოთხოვნილებათა აღსრულება არ დაეკისრებინა ბათუმის ქარხნებისთვის.

თავის თხოვნაში ქალაქი სწერდა – ყოვლად შეუძლებელია ეს განკარგულება ასრულდეს ეკონომიურისა, ტოპოგრაფიულისა, იურიდიულისა და სამხედრო მიზეზთა გამო, რომელთა აცილება თავიდან ყოვლად მოუხერხებელია; ქალაქს დასჭირდება გამორკვევა ისეთ ახლართულ-აბურდულ საქმეებისა, როგორიც არის ადგილ-მამულების საქმე. ამიტომ არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ ახალი კანონის სისრულეში მოყვანის დაძალება ბათუმის ნავსადგურიდან ნავთის გატანის აკრძალვის თანასწორი იქნება, რაც არ უნდა ეთანხმებოდეს მთავრობის განზრახვათ, რადგან ბათუმის ნავსადგური მისგანვე აშენებულია საგანგებოდ ნავთის საჭიროებათა მიხედვით. მაგრამ თუ გადატანა ქარხნებისა ასეთი ძნელი და მოუხერხებელი საქმეა, მათი დატოვება იმ სახით, როგორც ახლაა, არ შეიძლება; ამიტომ საჭიროა მოინახოს ისეთი გზა, რომ მრეწველობას არ აზარალოს, არ შეზღუდოს იგი და ქალაქიც უზრუნველ იყვეს ცეცხლის მხრივ. ამისათვის სრულიად საკმაოა დაწესდეს ცალკე უბანი, რომელსაც უნდა დაერქვას “ნავთის ქალაქი” და ქალაქის თვითმმართველობამ იმ ადგილის საზღვარიც აღნიშნა, სადაც უნდა დაარსდეს ეს “ნავთის ქალაქი” – ადგილი, რომელზედაც მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები და რკინიგზის საქონლის სადგური.

ქალაქის თვითმმართველობის თხოვნა შეწყნარებულ იქნა. უმაღლესად დაინიშნა კომისია ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად. ამ მთავარმა კომისიამ დააარსა მცირე კომისია ... და გამოგზავნა ბათუმში ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად და საჭირო მასალის შესაკრებად. ამ მცირე კომისიას დავალებული ჰქონდა: 1) შეედგინა გეგმა ახლანდელი ნავთის ქალაქისა, 2) გაცნობოდა გაზიდვის არსებულ წესრიგს. გამოერკვია ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა საზოგადო ვაჭრობაში, ნავთის მრეწველობის გარეთ, საჭიროებანი ამ ვაჭრობისა და რა საშუალებანი შეუწყობდნენ ხელს მას და სასურველ წარმატებას მისცემდნენ ისე, რომ ნავთის გაზიდვას არა ვნებოდარა, 3) ამოერჩია ადგილი ნავთის რეზერვუარების გადასატანად და 4) ცნობაში მოეყვანა, თუ რა ხარჯს ითხოვს ამ ახალი რეზერვუარების აგება ახალ ადგილას.

მცირე კომისია ჩამოვიდა ბათუმში 1899 წელს იანვარში, ადგილობრივ გაეცნო საგანს და ყოველივე მოგროვილი მასალა თავისი მოსაზრებანით დაიბეჭდა ვეება წიგნად და თავის თავმჯდომარის ხელით წარუდგინა მთავარ კომისიას. მოგროვილი მასალა მეტად საინტერესოა, ქართველი კაცისთვის მით უფრო, რადგან იმაში იხატება ბათუმი, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

ბათუმის ნავთის ქარხნები მოთავსებული იყო აღმოსავლეთ მხარეზე და თითქმის უერთდებოდა ქალაქს. სივრცე იმ ადგილების, რომელზეც აგებული იყო ქარხნები, 105 დესეტინაზე მეტი იყო; ადგილი სწორი, ოდნავ დაქანებული ზღვისკენ, დასერილი მრავალი ვიწრო და განიერი თხრილებით და მოფენილი ქარხნებში შესავალი რკინიგზის შტოებით.

ამ სივრცეზე მცირე კომისიას დაუხვდა ნავთის 11 ქარხანა და ნავთის გასაგზავნი თუნუქის ყუთებისა და კასრების 9 სახელოსნო. ქარხნები და სახელოსნოები ეკუთვნოდნენ: ხაზინას – 1, უცხოელებს – 8, სომხებს – 6, დანარჩენი სხვადასხვა პირებს, რომელთა შორის, რასაკვირველია, არც ერთი ქართველი არ ერია. მიწების ფასი ამ რაიონში დღითიდღე იზრდებოდა: 1899 წელს ოთხკუთხი საჟენი მიწა ფასობდა 8 მანეთიდან 15 მანეთამდე; საიჯარო – ოთხკუთხი საჟენი ორმანეთნახევრამდი ადიოდა წლიურად. შემდეგში ეს ფასები გაორკეცდა, რადგან საიჯარო მიწის შოვნაც ძნელი შეიქნა; გასაყიდი კი სრულად აღარ მოიძებნებოდა.

ნავთის ქარხნები მოწყობილი იყო ექსპორტის საჭიროებათა

გაგრძელება E10 გვერდზე

# როგორ აშენდა ბათუმში ნავთის ქალაქი

მეცხრე გვერდიდან

მიხედვით: - ნავთი იგზავნებოდა გემებში გადაღებითა და ყუთებით; ამის გამო ქარხნებიც ორნაირი იყო: ყუთებით მგზავნელი და გემით მგზავნელი. ნავთის მინერალური ნარჩომიც ამგვარადვე იგზავნებოდა. გასაზიდავად მომზადებული ნავთი ინახებოდა დროებით, გაგზავნამდის, რეზერვუარებში, უზარმაზარ ქვაბებში, რომელშიაც თავსდებოდა 25000 – 30000 ფუთამდე ნავთი. 1899 წელს ამ რეზერვუარების რიცხვი იყო 172, რომელშიაც შეიძლებოდა 14 მილიონი ფუთი ნავთის შენახვა.

ბაქოდან ცისტერნებით მიღებული ნავთის გადასაღებად გემებზე მექარხნეებს მოწყობილი ჰქონდათ ნავთის გადასაღები საქაჩავი მანქანები. ამ საქაჩავი მანქანებით მიღებული ნავთი გადაჰქონდათ რეზერვუარებში და შემდეგ გემში, როცა უკანასკნელი მოვიდოდა. ეს საქაჩავი მანქანები სხვადასხვა სიდიდისა და ძალისა იყო. იყო საქაჩველი, რომელიც ექვსგოჯიანი მილით ერთი საათის განმავლობაში რეზერვუარში გადაქაჩავდა 9000 ფუთამდე ნავთს, ხოლო ქარხნიდან გადაქაჩავდა ნავსადგურში გემზე ერთ საათში 8000 ფუთ ნავთს. ზოგიერთ ქარხანას ჰქონდა ისეთი ძლიერი საქაჩავები, რომ მათი შემწეობით რვაგოჯიანი მილით 12000 ფუთი ნავთი ჩაისხმებოდა რეზერვუარში ერთი საათის განმავლობაში და ამავე დროის განმავლობაში ამგვარივე მილით გადაიქაჩებოდა ქარხნიდან გემზე 10000 ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის საქაჩავი მანქანა ისეთი ღონისა იყო, რომ ერთი საათის განმავლობაში 18000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა შეეძლო ნავსადგურში გემზე.

ნავთის სადენის მილები რკინისა იყო, მილი მილზე მიჭახრაკებული; მილები სხვადასხვა ზომისა. მილები გაყვანილია ნავსადგურში და მიწაში ჩაფლული ისე, რომ თავები გამოჩენილი ჰქონდა მხოლოდ გემების მისადგომ ნაპირებზე; ამ თავებზე მიაჭახრაკებდნენ რეზინის ან სპილენძის მილებს, ან შლანგებს, როგორც ამას უწოდებდნენ, ამ შლანგების ბოლოებს გემში ჩაყოფდნენ და ამით ასხამდნენ ნავთს გემში.

გემები სხვადასხვა სიდიდისა და ზომისა იყო. ყველაზე უდიდესი გემები ეკუთვნოდა “სამუელ სამუელსონი და ამხ.” ფირმას. ამ კომპანიას ჰქონდა ისეთი გემები, რომელთ ერთბაშად მიჰქონდათ გემში ჩასხმული 527000 ფუთი ნავთი. ამ გემებს ბათუმიდან ნავთი გაჰქონდათ შორეულ აღმოსავლეთში. გემებს ჰქონდათ სამსართულიანი ბაქანი, რის გამო შიგ ჩახმული ნავთი აშორებული იყო მზის მცხუნავ სხივებს. სამანქანო განყოფილება და გემზე მოსამსახურეთა სადგომები განცალკავებული იყო. გემებზე იყო ამოსაქაჩავი პომპები, რომლებით შეიძლებოდა 20000 ფუთი ნავთის ამოსხმა გემიდან ერთი საათის განმავლობაში.

ნავთის გამტან გემთა რიცხვი 1899 წელს იყო ოთხმოცამდე და ყველაში ერთად ეტეოდა 17 მილიონ ფუთამდი.

გარდა ამისა, ნავთი იგზავნებოდა ჭურჭლებითაც – თუნუქის ყუთებითა და კასრებით; უკანასკნელით – ნავთის მინერალური ზეთები. ამ ჭურჭლის დასამზადებლად ქარხნებთან მოწყობილი იყო ცალკე სახელოსნოები თუნუქისა, ხის ყუთების და კასრების საკეთებელი. ყუთებით ნავთი მიდიოდა განსაკუთრებით შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც, საურმე გზების უქონლობის გამო, წვრილ გზებზე და მთის საცალფეხო ბილიკებით, შეიძლებოდა მხოლოდ ტვირთის გადატანა საქონლითა, ისიც პატარ-პატარა პარტიებით...

... კომისია თავიდანვე გაეცნო იმას, თუ რამდენად მართლა საშიშარი იყო ქალაქისათვის და ციხის სიმაგრეებისათვის ქარხნის არსებული მდგომარეობა და მდებარეობა. კომისიის აზრით, არსებით საშიშროებას წარმოადგენდა ჩვეულებრივი ნავთის შეგროვება, როგორც ადვილად ასაფეთქებელისა, და ხის მასალის დიდძალი საწყობები. კომისიამ საჭიროდ სცნო ნავთის ქალაქის სულ სხვაგვარად მოწესრიგება და მოწყობა. საქმეს გააადვილებდა ქარხნების გადატანა და ძველ ადგილას რეზერვუარების აგება და ხის მასალის საწყობების გამართვა, მაგრამ კომისიამ ეს შეუძლებლად დაინახა შემდეგი მოსაზრებებით: აყრა ქარხნებისა და მათი გადატანა ახალ ადგილას მოითხოვდა მილიონებს ხაზინიდან, რადგან ხაზინას ფიქრად ჰქონდა ნავთის რეზერვუარები თავის განკარგულებაში ჰქონებოდა. ამასთან, კიდევაც რომ არ დარიდებოდნენ მილიონებიან ხარჯებს, საფიქრებელი იყო იმ ბაზრების შერჩენა, რომელიც რუსეთს მოუპოვებია. აყრა-გადატანა-მოწყობაში, რასაკვირველია, ვაჭრობა შეფერხდებოდა, ბაზარზე რუსეთის ნავთის ადგილს ამერიკის ნავთი დაიკავებდა და შემდეგ ამ დაკარგული ბაზრების დაბრუნება საეჭვო იქნებოდა. ამგვარი შემთხვევა კიდევ მოუვიდა რუსეთის ნავთს: ეს იყო 1895 – 1896 წლების ზამთარში, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გაფუჭდა და რამდენიმე თვით მიმოსვლა შეწყდა; ამ მცირე დაბრკოლებამაც ბევრი ბაზარი დააკარგვინა რუსეთის ნავთს და ეს დანაკლისი არ ყოფილა დაფარული...

... ნავთის გაზიდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ვაჭრობისათვის; ამიტომ საჭირო იყო მისი ხელის შეწყობა და დათმობა მისდა სასარგებლოდ ზოგიერთი ინტერესისა. ეს აზრი გამოთქვა მცირე კომისიამ. კომისიის აზრით, რადგან ნამდვილ საშიშარ საგანს მხოლოდ ჩვეულებრივი ნავთი წარმოადგენდა, მიტომ საკმარისად უნდა ყოფილიყო ცნობილი საშიშროების ასაცილებლად, შიგ ქარხნებში მხოლოდ სახარჯო ნავთის დაგროვება, დანარჩენი კი ქალაქგარეთ და ციხის სიმაგრეების მოშორებით ყოფილიყო შენახული. ამისათვის ახლადაგებულ რეზერვუარებში გადატანა დანარჩენ ნავთეულობათა, განსაკუთრებით ნავთის მინერალური ზეთებისა, არც იმდენად საჭირო იყო და მასთან მეტად ძნელი და რთული აღსასრულებელი და გარდამეტებული ხარჯების მომთხოვნი საქმე იქნებოდა...

... ქარხნებისთვის საჭიროს გარდა, ნავთი უნდა გატანილი ყოფილიყო ქალაქგარეთ, სიმაგრეების დაშორებით, რისთვისაც მოხერხებულ ადგილას უნდა აგებულიყო ახალი რეზერვუარები და მოწყობილიყო ამ სათადარიგო ნავთის გადაქაჩვა, საჭიროებისამებრ ქარხნებზე, ნავთიან ქალაქში.

რაკი ამ დასკვნაზე შეჩერდა კომისია, თანვე შეუდგა იმ მოხერხებული ადგილების გამოძებნას, სადაც შეიძლებოდა ნავთის ახალი რეზერვუარების აგება. კომისიამ დაათვალიერა მთელი ბათუმის მიდამოები.

რადგან ნავთის წარმოება ამ დროს თანდათან იზრდებოდა და გასაზიდავი ნავთი ბათუმიდან მოდიოდა, კომისიამ საჭიროდ სცნო ამთავითვე შეძენილი ყოფილიყო ყველა ის ადგილი, რომელზედაც შემდეგში გაიშლებოდა ახალი ნავთის ქალაქი.

ნავთის ქალაქი დაყოფილი იქნებოდა უბნებად; შიგ გაყვანილი მოკირწყლული ქუჩები; განათება ყველგან ელექტრონის; ქუჩებისაკენ მოქცეული შენობების კედლები აგებული ცეცხლის გამძლე მასალისაგან; შენობები ერთი და ორსართულიანებიც, მაგრამ უკანასკნელი არა უმაღლეს ექვსი საჟენისა; სახლები ხისაც შეიძლებოდა; სახლების სახურავები კი უსათუოდ ან თუნუქისა, ან კრამიტისა. იმ შენობებს, სადაც ცეცხლი უნდა გაჩაღებულიყო მზად უნდა ჰქონებოდა ცეცხლის გასაცალკევებლად რკინის ფურცლები.

ყოველ ქარხანას ცეცხლის საქრობლად ეზოში უნდა ჰქონებოდა ოთხ-ოთხი წყლის ონკანი.

ყოველ სახელოსნოში უნდა ყოფილიყო დაქირავებული საიმედო მეთვალყურე, ფხიზელი პიროვნება, წლოვანებით არანაკლებ 21 წლისა; მის მოვალეობას შეადგენდა სახელოსნოში წესრიგის დაცვა. ყოველ მსხმელ-მქაჩველ სადგურზე და ქარხანაში – ღამის ყარაულები არა ნაკლებ ორისა, რომელნიც მორიგეობით იდარაჯებდნენ. ყოველივე ეს ექვემდებარებოდა და მისთვის თვალყურის გდება ევალებოდა ბათუმის ციხის კომენდანტს; ამასვე უნდა ეკითხებოდესო ნავთის ქალაქში ყოველივე შენობის აგების ნებართვა; დანარჩენში მეთვალყურეობა და ზედამხედველობა ევალებოდა საქარხნო ინსპექციას და პოლიციას.

კანონის ყოველსავე მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანად ნავთის ქალაქში ქარხნის პატრონებს ვადად ეძლეოდათ სამი წელიწადი იმ დღიდან, როგორც კი საბოლოოდ დამტკიცდებოდა ნავთის ქალაქის გეგმა.

**დავით კლდიაშვილი. “ჩემი ცხოვრების გზაზე”, 1925 წელი.**



*ბათუმი. XIX საუკუნე*

# საფოსტო მარკა - ქვეყნის სავიზიტო ბარათი

ქართული საფოსტო მარკა 2003 წელს ათი წლის ხდება




სოფო კვინტრაძე

### პირველი ქართული მარკის შექმნის ისტორია

1993 წელს, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, რომელსაც ფრიდონ ინჯია ხელმძღვანელობდა, ქართველები წერილებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი საფოსტო მარკებით აგზავნიდნენ. ქართული მარკის შექმნის იდეა კი სწორედ ფრიდონ ინჯიას გაუჩნდა, რომელმაც სასწრაფოდ დაიბარა თავისთან საფოსტო კავშირისა და პრესის გავრცელების სამმართველოს უფროსი ბიჭიკო ბრეგვაძე და ორ თვეში ქართული მარკის მომზადება და გამოცემა დაავალა. ბიჭიკო ბრეგვაძე იხსენებს, რომ ამ ახალმა ამბავმა მას ნამდვილი შოკი მოჰგვარა, რადგან ყოველგვარი გამოცდილების გარეშე, თანაც ასეთ მცირე დროში პირველი ქართული მარკის გამოცემა, მას წარმოუდგენლად მოეჩვენა. თუმცა, ფრიდონ ინჯია საკმაოდ პრინციპული აღმოჩნდა, მეტიც, რამდენიმე დღის შემდეგ იგი პარლამენტის წინაშე წარსდგა და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ორ თვეში ქართველებს ეროვნული მარკა ექნებოდათ. ბიჭიკო ბრეგვაძემ მომავალი მარკის თემატიკასა და დიზაინზე დაიწყო ფიქრი, მალე საქმეში ცნობილი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილიც ჩაერთო. **“მე და პაატა ვისხედით ჩემს კაბინეტში და ვმსჯელობდით, რა და როგორ გაგვეკეთებინა. ბევრი იდეა გვქონდა, მაგრამ კონკრეტულად ვერც ერთზე ვერ შევჩერდით. მაგიდაზე იდო გაზეთი “რეზონანსი”, რომელიც იმ პერიოდში პირველ გვერდზე ბეჭდავდა ამინდის პროგნოზს. ეს იყო საქართველოს რუკა, სადაც ქალაქების აღმნიშვნელ პუნქტებზე დატანილი იყო მოსალოდნელი ამინდისა და ტემპერატურის პირობითი ნიშნები. სრულიად შემთხვევით მოვკარი თვალი ამ რუკას და პაატას ვუთხარი, რაიმე მსგავსი ხომ არ გაგვეკეთებინა-მეთქი. პაატამ წაიღო “რეზონანსი” და ორი-სამი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან მარკის ესკიზით,”** – მოგვითხრობს ბიჭიკო ბრეგვაძე.

1993 წელს ერთი წელი შესრულდა საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან, პაატა ნაცვლიშვილის მიერ შექმნილი ესკიზი სწორედ ამ თარიღს ეძღვნებოდა. მარკაზე გამოსახული იყო საქართველოს რუკა, დროშა და გაერო-ს ემბლემა. პაატა ნაცვლიშვილის იდეა მართლაც განხორციელდა და პირველმა ქართულმა მარკამ სწორედ ასეთი სახე მიიღო. ეს იყო ერთ ბლოკში მოქცეული სამი მარკა, რომელთა საერთო ტირაჟი 165 000-ს შეადგენდა. მარკები გერმანიაში დაიბეჭდა და უფრო ადრე დამზადდა, ვიდრე ამას მინისტრი მოითხოვდა.




### ˝ქართული მარკა˝ და მარკების შექმნის პროცედურა

პირველ მარკას, რომელიც ასე სპონტანურად შეიქმნა, მარკების მთელი სერია მოჰყვა, ორი წლის მანძილზე საფოსტო მარკებს კავშირგაბმულობის საფოსტო სამსახური გამოსცემდა. 1995 წელს კი შეიქმნა შპს “საქართველოს მარკა”, რომელსაც მარკების დამზადება და გამოცემა დაევალა. აღნიშნული უწყება 2001 წლიდან საქართველოს ფოსტის ფილიალად გადაკეთდა და “ქართული მარკა” ეწოდა. “ქართული მარკა” არის სამსახური, რომელიც ყოველწლიურად გამოსაცემი მარკების თემატიკასა და დიზაინს ამუშავებს. შემდეგ ამ ყველაფერს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში არსებული სპეციალური კომისია განიხილავს და საბოლოოდ სწორედ ის ამტკიცებს, რა მარკები უნდა გამოიცეს მომავალ წელს. მარკების დასაბეჭდად სპეციალური პერფორაციის მანქანაა საჭირო, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში არ მოიპოვება, ამიტომ ქართული მარკები ყოველთვის უცხოეთში იბეჭდება. როგორც “ქართული მარკის” დირექტორის მოადგილე ბიჭიკო გრეგვაძე აცხადებს, **“ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მარკების თემატიკა, რაც შეიძლება ეროვნული იყოს. რადგან საფოსტო მარკა არის ქვეყნის სავიზიტო ბარათი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელებს აღუძრა ინტერესი შენი ისტორიის, კულტურის, ხელოვნებისა თუ სპორტისადმი.”** “ქართული მარკის” დირექტორი, პროფესიონალი მხატვარი გია გუგუშვილი კი დასძენს, რომ **“ამხელა ინფორმაციის ერთ პატარა ფურცელზე დატევა ურთულესი საქმეა და ამასთანავე ძალზედ საინტერესო შემოქმედებითი პროცესია.”**

გაგრძელება E12 გვერდზე

# საფოსტო მარკა - ქვეყნის სავიზიტო ბარათი

მეთერთმეტე გვერდიდან

2002 წელს გამოცემული ქართული მარკების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა: ალექსანდრე დიუმას მოგზაურობა საქართველოში, პირველი ევროპელები - დმანისის არქეოლოგური გათხრების შედეგები, საქართველოს პორტები, ქართველ მეფეთა გულსაკიდი ჯვრები, საქართველოში გავრცელებული მთის ყვავილები, ქართული ფრესკები ყინწვისის, ბუგეულისა და უბისას ტაძრებიდან, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი, ფილატელისტთა მსოფლიო კავშირის იუბილე და ა.შ. გამოიცა რამდენიმე ერთობლივი მარკაც უკრაინასა და ისრაელთან ერთად. როგორც ბიჭიკო ბრეგვაძემ განმარტა, ერთობლივი მარკა ორივე ქვეყნაში ერთი და იგივე დიზაინით იბეჭდება, მხოლოდ წარწერები კეთდება სხვადასხვა ენაზე. უკრაინასთან ერთად გამოცემულ მარკებზე პოეტები ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი არიან გამოსახული. ისრაელთან ერთად გამოცემულ საფოსტო მარკებზე საქართველოს მხრიდან ქუთაისის სინაგოგაა გამოსახულნი, ხოლო ისრაელის მხრიდან – შოთა რუსთაველის ფრესკა ჯვრის მონასტერზე. მომავალ წელს, შესაძლოა, გამოვიდეს ერთობლივი მარკები რუსეთთან და ჩინეთთან.




უცხოელი სპეციალისტების აზრით, ქართული საფოსტო მარკა თავისი დიზაინით, თემატიკით და ეროვნული სულისკვეთებით ერთ-ერთი საუკეთესოა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მარკებს შორის. ამასთანავე მარკების ღირებულებაც საკმაოდ ხელმისაწვდომია ყველასათვის. "ქართული მარკის" ხელმძღვანელებმა გვაცნობეს, რომ მარკების ფასი ათი თეთრიდან ხუთ ლარამდეა. როგორც ცნობილია, საფოსტო მარკა, გარდა იმისა, რომ ფილატელისტთა ინტერესების ობიექტია, ძირითადად მაინც წერილობითი კორესპონდენციების გადაგზავნის ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება. ამდენად, მისი ფასის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია საფოსტო გადაგზავნების ღირებულებაზე. მარკების ტირაჟიც წერილების წლიურ ბრუნვაზეა გათვლილი. 1993 წლიდან დღემდე საქართველოში გამოცემულია 365 სხვადასხვა დასახელების მარკა, რომელთა მთლიანი ტირაჟი 22 მილიონზე მეტს შეადგენს. ბიჭიკო ბრეგვაძე აცხადებს, რომ ეს რაოდენობა საკმაოდ მცირეა, თუმცა იგი მთლიანად აკმაყოფილებს საქართველოს ფოსტის მოთხოვნილებებს. საბჭოთა პერიოდში საქართველოდან ყოველწლიურად ას მილიონზე მეტი წერილი იგზავნებოდა, ახლა კი წერილების რაოდენობა წელიწადში ორი მილიონამდე შემცირდა.

## საერთაშორისო საფოსტო კავშირი და კონვენცია

საქართველო 1994 წლიდან საერთაშორისო საფოსტო კავშირში გაწევრიანდა და შეუერთდა კონვენციას, რომელიც საფოსტო მარკების გამოშვებისა და გავრცელების წესებს არეგულირებს. კონვენციის თანახმად იკრძალება ერთი ქვეყნიდან წერილების გაგზავნა სხვა ქვეყნის საფოსტო მარკით. გარდა ამისა, საერთაშორისო საფოსტო კავშირი თავის წევრ ქვეყნებს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას მსოფლიოში გამოშვებული მარკების შესახებ. "ქართული მარკის" მიერ გამოშვებული საფოსტო მარკების ტირაჟი თითქმის არასოდეს ყოფილა 20 000-ზე ნაკლები, აქედან 600-მდე ეგზემპლარი საერთაშორისო საფოსტო კავშირში იგზავნება და მსოფლიო ფილატელისტებში ვრცელდება. კონვენციის თანახმად, ნებისმიერ საფოსტო მარკაზე გამომშვები ქვეყნის ენაზე უნდა იყოს დატანილი ქვეყნის დასახელება და ფასი, ქვეყნის დასახელება უნდა ეწეროს ლათინური შრიფტითაც.

## "თბილისის საქალაქო ფოსტის ექვსკაპიკიანი მარკა" ნახევარ მილიონ დოლარად გაიყიდა

ყველა ფილატელისტის ოცნებაა, რაც შეიძლება იშვიათი და ძვირადღირებული მარკა ჰქონდეს თავის კოლექციაში. როგორც ცნობილია, რაც უფრო იშვიათია მარკა, მით მეტია მისი ფასიც. საქართველოში რომ ადამიანებს უსაზღვრო ფანტაზიის უნარი და იოლად გამდიდრების სურვილები აქვთ, ამაში გია გუგუშვილის მონათხრობიდან კიდევ ერთხელ დარწმუნდებით. როგორც მან გვიამბო, "ქართულ მარკაში" ერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება მივიდა და ბატონ გიას სამი მარკის დაბეჭდვა შესთავაზა. მკითხველი ადვილად მიხვდება, იშვიათ მარკასთან დაკავშირებული რა შორეული მიზნები ამოძრავებდა ამ ადამიანს. გია გუგუშვილი კი განმარტავს, რომ მარკის ხელოვნურად გაიშვიათება ანუ მისი მცირე რაოდენობით დაბეჭდვა, საერთაშორისო საფოსტო კავშირის კონვენციით იკრძალება.




მართლაც იშვიათ მარკებში კი ფილატელისტები მილიონობით დოლარს იხდიან. ბიჭიკო ბრეგვაძემ ძალზედ საინტერესო ისტორია მოგვითხრო, რომელიც რუსეთის იმპერიაში 1857 წელს გამოშვებულ პირველ რუსულ მარკას შეეხება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველ რუსულ მარკას "თბილისის საქალაქო ფოსტის ექვსკაპიკიანი მარკა ეწოდებოდა". როგორც ბიჭიკო ბრეგვაძემ გვითხრა მსოფლიოში ამ მარკის მხოლოდ სამი ეგზემპლარი იყო შემორჩენილი და სამივე ცნობილმა შვედმა ფილატელისტმა მიკულსკიმ იყიდა. მიკულსკიმ ერთი მათგანი იქვე დაწვა, რათა მარკების ფასი გაზრდილიყო. მოგვიანებით შვედმა კოლექციონერმა მარკები ნახევარ მილიონ დოლარად გაყიდა. ბიჭიკო ბრეგვაძის, თქმით, თუ სადმე ამგვარი მარკა კვლავ აღმოჩნდება, მისი ფასი პირდაპირპროპორციულად შემცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ფილატელიით გატაცებულ ადამიანთა რიცხვი შემცირდა, მაინც შემორჩნენ ისეთი გულმოდგინე ფილატელისტები, რომლებიც ზემოაღნიშნული ინფორმაციით დაინტერესდებიან.

# ვის უქადის ყველაზე დიდ საფრთხეს სამრეწველო შპიონაჟი?

თორნიკე შარაშენიძე




წარსულს ჩაბარდა ის დღეები, როცა შპიონაჟი შპიონაჟის წინააღმდეგ ყველას მხოლოდ ერთი გაგებით ესმოდა: დაზვერვის ცენტრალური სამმართველო სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ. ჩვენს დროში, რომელსაც თამამად შეიძლება კორპორაციული შპიონაჟის ეპოქა ვუწოდოთ, ეს უფრო ხშირად დაახლოებით ასეთ რამეს ნიშნავს: საფრანგეთის დაზვერვა "აიბიემის" წინააღმდეგ, ან თუნდაც "მიცუბიში" "ფორდის" წინააღმდეგ. სამრეწველო და ეკონომიკური შპიონაჟი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყვავის და მისი უმთავრესი (და ხშირად, ყველაზე იოლი) სამიზნეები სწორედ ამერიკული კომპანიები არიან. დიახ, ნურავინ გაიკვირვებს, რადგან მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფო საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ძლიერი ყველასათვის მაგალითია, ცდილობენ მას მიბაძონ, მაგრამ მისი შურთ კიდეც, მას რაიმეს გამორჩნენ და რაიმე დასტყუონ.

ცხადია, უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყანას ამგვარი შეტევებისაგან თავის დაცვაც უნდა მოეთხოვებოდეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამერიკელებს კარგა ხანს წარმოდგენა არ ჰქონდათ სამრეწველო შპიონაჟის არსზე. "ჯაშუშებზე" ფიქრით მხოლოდ ისინი იწუხებდნენ თავს, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვის სფეროზე მუშაობდნენ. მაგრამ იგივე იაპონია და საფრანგეთი წლების მანძილზე კარგად გაიწვრთნენ ამ სფეროში და ბოლო დროს ამერიკელი მენეჯერები უკვე გაცილებით მეტი სერიოზულობით ეკიდებიან შპიონაჟით გამოწვეულ საფრთხეს.

იაპონელთა ფილოსოფია დაახლოებით ამგვარია: რატომ უნდა დახარჯო 10 წელიწადი და მილიარდი დოლარი კვლევით სამუშაოებზე, თუკი შეგიძლია მილიონ დოლარად მოქრთამო კონკურენტი კომპანიის ინჟინერი და იგივე (უკეთესი თუ არა) შედეგი მიიღო. ფრანგების განწყობა ასეთია: ჩვენ და ამერიკა სამხედრო მოკავშირეები ვართ, მაგრამ - ეკონომიკური მეტოქეები. ამასობაში აზიური ეკონომიკის კიდევ ერთმა ფლაგმანმა, სამხრეთ კორეამაც გაიღვიძა და ბოლო წლებში გვარიანი თანხები იხარჯება უცხოური კომპანიებისაგან მშობლიური ფირმებისათვის ინფორმაციის შეგროვებაზე.

ცხადია, შპიონაჟზე არც რუსეთი ამბობს უარს. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს ამ საქმეში ხომ ყველაზე დიდი გამოცდილება აქვთ. საბჭოთა კავშირი, აღმოსავლეთ გერმანია თუ რუმინეთი კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ დასავლეთის ეკონომიკურ განვითარებამდე მათ ძალიან ბევრი უკლდათ და იმისათვის, რომ, იგივე სამხედრო ტექნიკის მხრივ, არ ჩამორჩენილიყვნენ, ერთი გზა არსებობდა – ტექნიკის ქურდობა. რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვმა ამაზე ხელი აიღო? მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ბორის ელცინმა თავის მთავრობას **"დასავლეთთან ტექნოლოგიური ჩამორჩენის აღმოფხვრის"** მიზნით **"სამრეწველო დაზვერვის უფრო ეფექტურად გამოყენება"** მოსთხოვა. სულ ახლახან კი უდიდესი სკანდალი ატყდა შვედეთში. იქაურების საამაყო კომპანია "ერიქსონის" რამდენიმე თანამშრომელი რუსეთის სასარგებლოდ სამრეწველო შპიონაჟის ბრალდებით იქნენ დაპატიმრებულნი, რუსეთის საელჩოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კი ქვეყნიდან აზარგებული იქნა. "ერიქსონის" პროდუქციიდან მოსკოვი რით უნდა დაინტერესებულიყო? ალბათ, არა მობილური ტელეფონებით, უფრო რადარებით ან რაკეტის მართვის აღჭურვილობით.

შპიონაჟი შეიძლება უფრო უწყინარი ხასიათისაც იყოს. მაგალითად, გასულ თვეს ფინეთში დაპატიმრებულ იქნა კომპანია "სონერას" ორი თანამშრომელი. ეს ამბავი "სონერასა" და შვედური "ტელიას" გაერთიანების შემდეგ მოხდა. გაერთიანების შესახებ ამბავმა ერთობ ნაადრევად გაჟონა პრესაში, რამაც "სონერას" ხელმძღვანელობას საფუძვლიანი ეჭვები აღუძრა და კომპანია თანამშრომელთა სატელეფონო საუბრების მოსმენას შეუდგა. სულ მალე აშკარა გახდა იმათი ვინაობა, ვინც ჟურნალისტებს ინფორმაციით ამარაგებდა და სავარაუდოდ ჯიბესაც ისქელებდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ შპიონაჟს უშუალო კონკურენტებს შორის, რადგან, მოგეხსენებათ, პრესა სულ სხვა ფენომენია. სამრეწველო შპიონაჟით ამერიკისათვის მიყენებული ზარალი, ალბათ, 70 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ასეთ დასკვნამდე მივიდა აშშ-ს სამრეწველო უსაფრთხოების საზოგადოება. შეიძლება ეს რიცხვი არც ისე ზუსტია, მაგრამ დიდად გაზვიადებულიც რომ არ იქნება, არც ამაში ეპარება ვინმეს ეჭვი. ცხადია, ვაშინგტონი უკვე იღებს საპასუხო ზომებს და გამოძიების ფედერალური ბიურო გამალებული მუშაობს ადგილობრივი კომპანიების დასაცავად, მაგრამ ცხადია, ამავე დროს სამრეწველო შპიონაჟის მამებიც ხვეწენ თავიანთ მეთოდებს და მათთან ბრძოლა ადრინდელზე უფრო რთული ხდება.

დიახ, აშშ ერთობ იოლ ლუკმად იყო ქცეული (და, შესაძლოა, კვლავაც არის) სამრეწველო შპიონაჟისათვის. ამის მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ აქ დანარჩენი მსოფლიოსაგან საკმაოდ განსხვავებული ბიზნესის კეთების კულტურა არსებობს. ამის გამოისობით, ამერიკა, ასე ვთქვათ, მარტოა დანარჩენი განვითარებული სამყაროს წინაშე. მაგრამ გარე საფრთხე უკვე სრულიად აშკარა ხდება ამერიკელი მენეჯერებისათვის და მათ ლექსიკონში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა ჯაშუში, ჰაკერი, ხვრელი, შეღწევა, შეპარვა და ა.შ.

ჯაშუშები თავიანთი საქმიანობისათვის (კომპანიაში შეღწევა, იქიდან ინფორმაციის მოპოვება) რამდენიმე მეთოდს მიმართავენ, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც უკანონო, ასევე კანონიერიც. აქედან ყველაზე ნაცადი ხერხი კომპანიის თანამშრომლის მოსყიდვა ან შანტაჟირებაა. ხშირად ესა თუ ის მთავრობა ჯარში სავალდებულო სამსახურის სანაცვლოდ სტუდენტს პრაქტიკაზე უცხოეთის რომელიმე კომპანიაში მიავლენს ხოლმე. სტუდენტები ხშირად იმ კომპანიებში სამუშაოდ დარჩენას ახერხებენ და, ცხადია, ინფორმაციით ამარაგებენ საკუთარ სამშობლოს, რომელთანაც ვალში არიან ჯარში არგაწვევის გამო.

იმპორტ-ექსპორტის კომპანიები, ამხანაგობები, ბირჟები – აი, ეს და სხვა მსგავსი ორგანიზაციები გამოიყენება ხოლმე მთავრობათა მიერ ამა თუ იმ კომპანიებთან კავშირის დასამყარებლად. **"სწორედ ისინი აკვირდებიან და არჩევენ შპიონაჟისათვის პოტენციურ კანდიდატებს,"** – აცხადებს გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი.

შპიონაჟი ხშირად სრულიად კანონიერი ქმედებებითაა ხოლმე შენიღბული. მაგალითად, ამერიკულმა "რეკონ ოპტაკალმა" ოთხწლიანი, 40 მილიონ დოლარად შეფასებული კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთ საზღვარგარეთულ მთავრობასთან. კონტრაქტის მიხედვით კომპანიას ჰაერიდან დაკვირვებისათვის კამერა უნდა აეგო. შეთანხმება "რეკონის" თანამშრომლებთან ერთად სამი უცხოელი ოფიცრის მუშაობას ითვალისწინებდა. მუშაობა რთულად მიდიოდა, მხარეებს ხშირად მოსდიოდათ კამათი ფინანსურ საკითხებზე და საბოლოოდ "რეკონი" იძულებული გახდა, კონტრაქტი გაეწყვიტა, რის შემდეგაც, ცხადია, უცხოელი ოფიცრებიც დაითხოვა. როცა ეს უკანასკნელები ობიექტს ტოვებდნენ, კომპანიის დაცვის სამსახურმა მათ "რეკონის" საიდუმლო დოკუმენტაცია აღმოუჩინა. როგორც აღმოჩნდა, ოფიცრები რეგულარულად აწვდიდნენ თავიანთი ქვეყნის მთავრობას (უფრო სწორად კი, სახელმწიფო კუთვნილ სამხედრო კომპანიას) ინფორმაციას "რეკონის" ტექნოლოგიის თაობაზე, რის წყალობითაც იმ სახელმწიფომ სულ მალე, "რეკონის" დახმარების გარეშე ააგო კამერა.

გაგრძელება E14 გვერდზე

# მე-11 მუხლი, ანუ ზომბები დიდ ბიზნესში

თორნიკე შარაშენიძე

**"ძალიან გვიჭირს, უნდა გაგვიგოთ",** - დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო "იუნაიტედ ეარლაინზისაგან" ამ კვირის დასაწყისში მოსული შეტყობინება. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავიაკომპანია მსოფლიოში უდიდეს ავიაბანკროტად იქცა. შეტყობინება ხეირიანად მოსულიც არ იყო, როცა ხელისუფლება კლიენტების დამშვიდებას შეუდგა, ხოლო თავად კომპანიამ დაიფიცა, რომ მისი სერვისი "კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა". შეიძლება ამის წაკითხვაზე ბევრი განცვიფრდეს. ბევრი კი არა და ყველა განცვიფრდება, ვინც არ უწყის, რას წარმოადგენს ე.წ. მე-11 მუხლი (ან თავი, თუკი ინგლისურიდან პირდაპირ ვთარგმნით), რომელსაც აშშ-ში გაკოტრებული კომპანიები "აფარებენ თავს". სწორედ ამ მე-11 მუხლით დაიმედებული შეჰპირდა "იუნაიტედ ეარლაინზში" სამი თვის წინათ საქმეების გამოსასწორებლად დაქირავებული ახალი შეფი (და ძველი მენავთობე) გლენ ტილტონი თავის აქციონერებს, რომ სულ მალე კომპანიის მოღვაწეობაში ახალი ერა დაიწყება. **"ჩვენ ყველაფერს პირველი თავიდან დავიწყებთ, პირველი და არა მე-11 თავიდან,"** - საზეიმოდ აღნიშნა ტილტონმა.

მე-11 თავი მართლაც რომ უნიკალური რამაა. მისი წყალობით კომპანიებს საშუალება ეძლევათ, კარგა ხნით შეწყვიტონ კრედიტორებისათვის ვალების გადახდა და თავის ჭკუაზე განაგრძონ არსებობა. მოკლედ, ეს თავი თუ მუხლი ბიზნესის გადარჩენისთვისაა გამიზნული. კორპორაცია თავს ბანკროტად აცხადებს, მაგრამ არსებობას განაგრძობს, თანაც გაცილებით უკეთეს პირობებში, სანამ გაბანკროტდებოდა. მაგრამ ამავე დროს მე-11 მუხლის ნაკლოვანებებიც აშკარაა და მასზე ბოლო დროს, როცა გაკოტრებები ჩვეულებრივ ამბად იქცა, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ ხოლმე. კერძოდ, შეშფოთება გამოითქმის კავშირგაბმულობის სექტორის წარმომადგენლების მხრიდან და ახლა მათ უკვე ავიაბიზნესიც ემატება. ორივეს ერთი რამ აწუხებს: მავან და მავან კომპანიას სხვებზე ცუდად მისდის საქმე; მისი ხელმძღვანელობა უხეირო თუ უპატიოსნო პოლიტიკის გამოისობით დიდძალ ვალს აგროვებს; ყოველივე ამის შედეგად კომპანია სულს ღაფავს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე-11 მუხლს მიმართავს და პრობლემები ქრება; კომპანიას დრო ეძლევა, რათა წესრიგში მოიყვანოს თავისი საქმეები და როცა მე-11 მუხლის მოქმედება იწურება, იგი ადრინდელზე გაცილებით უფრო ძლიერია, ის კი არადა, არაბუნებრივად ძლიერია და ახლა უკვე თავის კონკურენტებს ადრინდელზე მეტ საფრთხეს უქმნის. მოკლედ, მე-11 მუხლი ერთ რამეს აკეთებს იგი ზომბებად აქცევს იმ კომპანიებს, რომლებიც წესით საიქიოს უნდა გაემგზავრნონ. ეს ზომბები კი ამ ქვეყანაზე დაიარებიან მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ცოცხალი გაისტუმრონ იმქვეყნად.

და ამერიკა ასეთი ზომბების ნაკლებობას არ განიცდის. მარტო დელავერის, ნიუ იორკისა და ჩიკაგოს სასამართლოებს, რომელთაც "იუნაიტედ ეარლაინზმა" მიმართა მე-11 მუხლისათვის თავის შეფარების მოთხოვნით, იმდენი ზომბი ჰყავთ გამოშვებული დღის სინათლეზე, რომ შიშის საფუძველი ნამდვილად არსებობს. 1978 წლიდან მოყოლებული, ათი ურმსხვილესი ბანკროტიდან შვიდი ახლაც სასამართლოსაა შეფარებული. ამ კომპანიათა ერთობლივი ქონება 300 მილიარდ დოლართ ფასდება. განა ეს ნორმალურია?

ბიზნესშიც რომ დიდად ვერ ერკვეოდე, "ფილოსოფიური" შეკითხვა მაინც დაგებადება: როგორ შეიძლება, რომ გაბანკროტების პროცესი არა მევალემ, არამედ მოვალემ აკონტროლოს. **"ეს ამბავი ევროპელებს შოკში აგდებს",** - ამბობს ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ადვოკატი, რომელიც გაბანკროტებებზე მუშაობს. მოკლედ, შეგიძლია შენი უხეირო მმართველობით კომპანია დააქციო და ამის შემდეგ კიდევ შენ აილო შენს თავზე კომპანიის კრიზისიდან გამოყვანა. ცხადია, როცა ამის შანსი არსებობს, კომპანიას გაუქმებულად არავინ გამოაცხადებს, ყველა შეეცდება მე-11 თავით ბოძებული უფლებები გამოიყენოს.

ასე და ამგვარად გადარჩა კავშირგაბმულობის გიგანტი "უორლდკომი", ახლა კი გადარჩა "იუნაიტედ ეარლაინზი". კანონი ყველასათვის კანონია და მას არ აინტერესებს, ვინ შეიძლება დაიცვას მე-11 მუხლმა - კომპანია, რომელიც საკუთარი უთავობით ან თუნდაც თაღლითობით გაეხვა ხათაბალაში (როგორც "უორლდკომი"), თუ ამას რაიმე სუბიექტური მიზეზები ჰქონდა (11 სექტემბერი "იუნაიტედ ეარლაინზისა" და მთელი ავიაბიზნესისათვის").

ბოლო ხანს გაკოტრებულ კომპანიათა მენეჯერები კანონით ბოძებულზე მეტი შეღავათებითაც კი სარგებლობენ. მე-11 მუხლი მევალეებს 120 დღეს აძლევს ვალების რესტრუქტურიზაციის გეგმის წარსადგენად. მაგრამ მოსამართლეები, როგორც წესი, ამ ვადას აგრძელებენ. აქამდე მართლმსაჯულება იშვიათად თუ დართავდა კომპანიებს ქონების გაყიდვის ნებას გეგმის წარდგენამდე. ახლა "პოლაროიდმა" და თაღლითობით ცნობილმა "ენრონმა" ეს უფლება უპრობლემოდ მიიღეს. არადა, წესით ეს არ უნდა მოხდეს, რადგან ქონების გაყიდვისათვის კრედიტორის ნებართვაა საჭირო, მე-11 მუხლს შეფარებული კომპანია კი, მოგეხსენებათ, კრედიტორებისგან დაცულია და მათ დაუკითხავად გარიგება რომ არ მოახდინოს, ქონების გაყიდვა აუცილებლად უნდა აკრძალოს. "ენრონი" ირწმუნება, რომ ქონების გაყიდვა მისი მხრიდან კრედიტორთა თანხმობით მოხდა, მაგრამ სანამ კომპანიას მე-11 თავი იცავს, მას ვერავინ გააკონტროლებს და ამიტომ არავინ იცის, ეს გარიგება როგორ შედგა. ვინ იყიდა ესა თუ ის ქონება და რა ფასში. ასე ხომ ახალი თაღლითობის ჩადენას ეწყობა მწვანე შუქი.

ხშირად გაკოტრებულ კომპანიებში ხელმძღვანელობა იცვლება. ასე მოხდა იგივე "ენრონსა" და "უორლდკომშიც". მაგრამ შეშფოთების საფუძველი მაინც არსებობს, რადგან მე-11 მუხლი ერთობ დიდ შეღავათებს იძლევა და მოსამართლეები კი ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო ხშირად ავლენენ გულჩვილობას, რის შედეგადაც მევალე უფრო დიდ სასჯელს იღებს ხოლმე, ვიდრე მოვალე. ეს კი ნამდვილად არ არის ნორმალური.

# ყველაფერი საქართველოში ფასიანი ქაღალდების შესახებ

მეშვიდე გვერდიდან

ბაზარი მოცემული კორპორაციის ჯანმრთელობის მაჩვენებელია. საქართველოში ჯერჯერობით არავინ მსჯელობს კორპორაციაზე მათი ბირჟაზე დაშვება-არდაშვების მიხედვით. თვით კორპორაციებისათვის ბრძოლა იმიჯისათვის არ იგრძნობა. ბირჟაზე გასვლას არ ცდილობენ ცნობილი ფირმებიც კი.

მსოფლიო პრაქტიკით, კორპორაციების მიერ ჩვეულებრივი მოვლენაა აქციების კურსის შენარჩუნება საკუთარი აქციების შესყიდვით საფონდო ბაზარზე. ეს გავრცელებულია საქართველოშიც, თუმცა აქ ძირითადად შესყიდვა ხდება არა იმდენად კორპორაციათა "იმიჯის" შესანარჩუნებლად, არამედ აქციათა საკუთრებაში კონსოლიდაციის მიზნით. საქართველოში მესაკუთრეები იბრძვიან არა საკონტროლო პაკეტის მოსაპოვებლად, არამედ სრული საკუთრების უფლების მოსაპოვებლად. ბრძოლა მიდის არა აქციონერთა, ანუ ინვესტორთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, არამედ მათი შემცირების მიმართულებით. დღეს ჩამოყალიბებული ტენდენციები კორპორაციების ქცევებში, როგორც ითქვა, გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა, ისტორიული გარემოთი. არსებული სახით და არსებული ფინანსური მდგომარეობით დღეს მოქმედი სააქციო საზოგადოებები ვერ შეძლებენ კონკურენტულ გარემოში დიდხანს არსებობას.

პოლიტიკა კორპორაციების მიმართ უახლოეს პერიოდში უნდა წარიმართოს სისტემური სახით, რომელიც დაეფუძნება ორ ძირითად პრინციპს: ერთი, წახალისებულ უნდა იქნეს კორპორაციების საქმიანობა მსოფლიოში წარმატებული პრაქტიკის შესაბამისი მუშაობისათვის და მიმზიდველი უნდა გახდეს მათთვის საფონდო ბაზარზე გამოსვლა და მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს არსებული კანონებით განსაზღვრული სახედამხედველო ფუნქციები, რათა ამაღლდეს კორპორაციის მმართველი ორგანოების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობა კორპორაციის შედეგებსა და ქმედებებზე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ გაუვლია საშიშროების ის კრიტიკული ზღვარი, რაც მას თავიდან ააშორებდა ფინანსურ პირამიდებს მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით. ეს საშიშროება არსებობს როგორც კორპორაციული, ისე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სფეროში და საჭიროა სრულად იქნეს რეალიზებული პოლიტიკაში პრევენციული ღონისძიება.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკაში მაკროეკონომიკური ვექტორის გარდა მიკროეკონომიკური ვექტორის შემოტანა, საკანონმდებლო ბაზის, სახელმწიფოს ინსტიტუტების ორიენტაცია საწარმოების განვითარების პრობლემებისადმი. ყველა სააქციო საზოგადოება უნდა გახდეს ანგარიშვალდებული. სახელმწიფომ პრივატიზება უნდა განახორციელოს ბირჟისა და საბირჟო აუქციონების მეშვეობით. საწარმოებში უნდა დაინერგოს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. უნდა გაიზარდოს აუდიტორთა პასუხისმგებლობა მათ მიერ გაცემულ დასკვნებთან დაკავშირებით. ყველა სახელმწიფო 50 და მეტი პროცენტის წილის მქონე საწარმოები უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოებების სამართლებრივი ფორმით. აღნიშნული ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. თუმცა თუ რა, როდის უნდა გაკეთდეს და რა შედეგის მისაღწევად, ამის შესახებ შემდეგ ვიმსჯელოთ.

# ვის უქადის ყველაზე დიდ საფრთხეს სამრეწველო შპიონაჟი?

მეცამეტე გვერდიდან

კიდევ უფრო რთულია ჰაკერების მოგერიება. ამერიკული კომპანიები უდიდეს პრობლემებს აწყდებიან და კომპიუტერული ხულიგნებთან გამკლავება ლამის შეუძლებელი ხდება, როცა ისინი საკუთარი სახელმწიფოების მხარდაჭერით მოქმედებენ ხოლმე. ამგვარი ეჭვები ხშირად გაისმის ჩინეთის მისამართით.

ხშირად სამრეწველო შპიონაჟის მეთოდები არც ისე დახვეწილია და უახლესი ჯაშუშური ტექნიკის გამოყენებას არ საჭიროებს. კომპანია "ფონარის" მთავარმა ამასრულებელმა რეიმონდ დამადიანმა ამგვარი ისტორია მოგვიყვა: **"მაგნიტური ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა რომ არ მომხდარიყო (მაგნიტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი იყო კომპანიის საქმიანობაში), მოვითხოვეთ, რომ მაგნიტის ინსტალაცია აპარატურაში დახურულ კარს მიღმა მომხდარიყო. "სიმენსის" აღმასრულებელმა სიამაყით მამცნო, რომ უსაფრთხოების ეს ზომა მეტად იოლად იქნა მის მიერ დაძლეული. მან თურმე ჩვენი ტექნიკური მუშაკი რესტორანში დაპატიჟა, საკმაოდ ძვირფასი სასმელებით გაუმასპინძლდა და... საბოლოოდ მუშაკმა იგი უპრობლემოდ შეუშვა დახურულ ობიექტზე, სადაც "სიმენსის" აღმასრულებელმა იმდენი დაჰყო, რამდენიც ინფორმაციის სრულფასოვნად შეგროვებისათვის ესაჭიროებოდა."**

ამერიკის პრობლემებში დიდი წვლილი მიუძღვის მისეულ კანონმდებლობასაც. კერძოდ კი აქტს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. როცა 1986 წელს "მიცუბიშიმ" კოსმოსში გასვლა გადაწყვიტა, სამეცნიერო მუშაობაზე უფრო მეტად ინფორმაციის შეგროვებით დაკავდა. ზემოხსენებული აქტი ამ საქმეში ფასდაუდებელი გამოდგა, რადგან მისი წყალობით "მიცუბიშიმ" უპრობლემოდ მიიღო ინფორმაცია ნასა-საგან. როგორც იუწყებიან, მხოლოდ 1987 წელს "მიცუბიშიმ" ნასას 1500 შეკითხვა გაუგზავნა.

პრობლემათა კიდევ ერთი წყარო აშშ-ს საპატენტო ოფისი გახლავთ (ან, ყოველ შემთხვევაში, გახლდათ მაინც). **"უცხოელები, უპირველესად კი იაპონელები ლამის დღე-ღამეში 24 საათს ატარებდნენ საპატენტო ოფისში, რადგან ამ უცანასნელის მუშაკები ერთობ ზრდილები და დამყოლები იყვნენ, რის შედეგადაც თითქმის ყველა პატენტზე გასცეს ინფორმაცია,"** – იუწყება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ეროვნული ინსტიტუტი.

მსოფლიოს უდიდესი ავტომწარმოებლის "ჯენერალ მოტორზის" კორპორაციული უსაფრთხოების ოფიცერი ჩივის, რომ სამრეწველო შპიონაჟი ამერიკის გარეთ არნახულ დონეზეა აყვანილი და, რა ზომებიც არ უნდა იქნას მიღებული, მისგან სრულფასოვნად დაცვა არ ხერხდება. გამოძიების ფედერალური ბიურო ყველა ღონეს ხმარობს, რათა კომპანიები ამ საფრთხისაგან დაიცვას, მაგრამ მისი მუშაობა ხშირად არც ისე ეფექტურია არსებული კანონმდებლობის გამო.

არადა, სამრეწველო შპიონაჟთან დაკავშირებით საქმის აღძვრა და სასამართლომდე მიყვანა ერთობ საჩოთირო საქმეა. სასამართლოში ხომ ყველა ინფორმაცია საჯაროდ იქცევა და ჯაშუშების დასჯა აზრს კარგავს – ტექნოლოგიური საიდუმლოების შესახებ სასამართლო დარბაზიდან მთელი სამყარო გაიგებს. ამას, ცხადია, სჯობს ყველაფერი ძველებურად დარჩეს – ბოლოსდაბოლოს, მოპარული ინფორმაცია ერთი კომპანიის (ან თუნდაც ქვეყნის) ხელში იქნება და არა მთელი მსოფლიოსი.

# „ფიატის„ აღზევება და დაცემა

## ლეგენდარული იმპერია უმემკვიდროდ რჩება

თორნიკე შარაშენიძე

იტალიელთა მთელი თაობებისათვის "ფიატში" სამსახურის შოვნა დაახლოებით იგივე იყო, რაც ლატარეაში მთავარი პრიზის მოგება. მათ იცოდნენ, რომ შეიცვლებოდა მთავრობები, იქნებოდა ეკონომიკური დეპრესიები, რომ აქციების კურსი ბირჟებზე აიწევდა და დაეცემოდა... მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, "ფიატს" არანაირი კატაკლიზმი არ შეეხებოდა, კომპანია იგივე იქნებოდა მარად და მარად. ამ შეგნებით ყოველწლიურად ათასობით სამხრეთელი ტოვებდა მშობლიურ კერასა და თბილ ალაგს იტალიის ჩრდილოეთში, ტურინში ბედის საძიებლად. ისინი მზად იყვნენ ყველანაირ სამუშაოზე, მზად იყვნენ ყველანაირ საცხოვრებელ პირობებზე, ოღონდ კი "ფიატის" დიდი იმპერიისათვის შეეფარებინათ თავი.

**"ყველაფერი, რაც გამაჩნია, "ფიატის" დამსახურებაა, ყველაფერს ამ კომპანიას ვუმადლი. მან საშუალება მომცა მყოლოდა ოჯახი, მეყიდა სახლი, გამეზარდა სამი შვილი. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, "ფიატმა" საშუალება მომცა უსაფრთხოდ მეგრძნო თავი,"** - აცხადებს იტალიური ტელერარხისათვის მიცემულ ინტერვიუში 48 წლის მუშა მაურო.

მას შემდეგ, რაც კომპანიამ ახალი რესტრუქტურიზაციის გეგმის თაობაზე განაცხადა (რაც უპირველესად თანამშრომელთა შემცირებას გულისხმობს), მთელ იტალიას საპროტესტო აქციებმა გადაუარა. აქციებში მონაწილეობას არა მხოლოდ ის 5600 თანამშრომელი იღებს, რომელთაც შემცირებები შეეხებათ, პროტესტს მთელი იტალია აცხადებს. მათთვის "ფიატი" არა მხოლოდ ანიელების ოჯახის კომპანია იყო, არამედ ეროვნული სიამაყე, რომელიც 103 წლის განმავლობაში იტალიელთა იმედს განასახიერებდა. "ფიატის" კრახს ქვეყანა ისე აღიქვამს, როგორც, ალბათ, შეიძლება ინგლისელებმა აღიქვან ბუკინგემის სასახლის უცხოელებისათვის მიყიდვა.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში "ფიატი" პრაქტიკულად მონოპოლისტი იყო იტალიის სამანქანო ბაზარზე. სწორედ მისი დიდი დამსახურება გახლდათ, რომ იტალია მსოფლიოს წამყვანი, ინდუსტრიული ქვეყნების ელიტაში ჩაეწერა. "ფიატი" საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა ხოლმე მთავრობათა ფორმირებაში და ხელს უწყობდა ქვეყანაში გზებისა და გზატკეცილების მშენებლობას, საიდაც მის მანქანებს უნდა ევლოთ. მთავრობები მთავრობებს ცვლიდა და არცერთ მათგანს არ გაუბედავს ავტომობილზე საიმპორტო ტარიფის დაწევა ან რაიმე ეკოლოგიური შეზღუდვების შემოღება. მოკლედ, სახელმწიფო დონეზე ყველაფერი კეთდებოდა, რათა რიგით იტალიელს უცხოური წარმოების მანქანისაკენ არ გაეხედა და არჩევანი "პუნტოსა" თუ "მულტიპლას" შორის გაეკეთებინა.

ანიელი იტალიურად კრავს ნიშნავს, თუმცა ქვეყანაში ეს სახელი ძალიან ბევრისათვის მგლის სინონიმად იქცა. ეს მგლები ნთქავდნენ საზოგადო ფონდებს და იტაცებდნენ კონკურენტ ფირმათა მარკებს, ისეთებს როგორიცაა "ალფა რომეო" და "ფერარი."

როცა 1972 წელს მაფიის თარეშით დაუძლურებულ, გაღატაკებულ სიცილიაში "ფიატის" პირველი ქარხანა გაიხსნა, კუნძული ჯოვანი ანიელის მესიასავით შეეგება. ახლა ეს ქარხანა იხურება და მისი მუშები სასოწარკვეთისაგან თვითმკვლელობითაც კი იმუქრებიან. **"აქ სხვა ქარხანა არ მუშაობს და, ალბათ, არც იმუშავებს, ამ ქარხნის დახურვა ჩვენი მაფიის ხახაში გადაგდებას ნიშნავს,"** - აცხადებს ერთ-ერთი მუშა, რომელიც აპირებს სამუშაოს დაკარგვისთანავე ქარხნის სახურავიდან გადახტეს, რათა ანიელებმა შეიგნონ, რა ჩაიდინეს.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ყველანი ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რა საშიშროება შეიძლება ელოდეს თავად კომპანიას და ანიელების დინასტიას.

კომპანიას უზარმაზარი ვალები აწევს. მდგომარეობიდან გამოსვლისათვის იგი იძულებული გახდა, გაეყიდა სოლიდური წილი "ფერარიში." ახლა კი დღის წესრიგშია "ალფა რომეოს" დათმობა. ამ მარკაზე კონტროლი "ფიატის" ერთ-ერთმა კრედიტორმა ბანკმა, "მედიობანკამ" გადაიბარა, რომლის ხელმძღვანელობაც მარკის გაყიდვის საკითხს აყენებს. საერთოდ, "ფიატი" საკუთარ თავს ნაკლებად მართავს, თითქმის ყოველი ახალი ნაბიჯისათვის იგი თავის მევალე ბანკებს უნდა დაეკითხოს, რომლებიც ოდესღაც ქვეყნის უპირველესი კომპანიისათვის ანგარიშის გაწევას აღარ აპირებენ. "ფიატს" ვერც ანიელების მეგობარი, პრემიერი სილვიო ბერლუსკონი ეხმარება. როცა კომპანიის პრობლემები პირველად გამჟღავნდა, ბერლუსკონი სუბსიდიების გამოყოფას აპირებდა. მაგრამ ევროკომისიამ ამაში პატიოსანი კონკურენციის წესების შელახვა დაინახა და







იტალიის პრემიერს მსგავსი ქმედებისგან თავის შეკავება ურჩია.

ვალების დაგროვება კომპანიამ ისევ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ანიელები ძალიან გაერთნენ არასაავტომობილო სფეროების (საბანკო, საკონსულტაციო, საგამომცემლო, ან საფეხბურთო "იუვენტუსის" სახით) ათვისებით და საამისოდ დიდძალი კრედიტების აღებას არ ერიდებოდნენ. მათ ყურადღებიდან რჩებოდათ მთავარი - იტალიელები ნელ-ნელა გულს იცრუებდნენ "ფიატის" მანქანებზე და ბოლო ათწლეულის განმავლობაში კომპანიის საბაზრო წილი ქვეყანაში 60-დან 30 პროცენტზე დაეცა. უცხოელებმა გააიაფეს თავიანთი მანქანები. თანაც, "ფიატის" ავტომობილები იტალიელთათვის წარსულთან ასოცირდება, როცა ისინი ღარიბ ერად ითვლებოდნენ. ამიტომ ამ ქვეყნის შეძლებული მოქალაქეები ახლა "ბემვეს" ან "აუდის" არჩევენ.

ასეთ ვითარებაში ყველა კომპანია ერთსა და იმავე გზას მიმართავს - ხარჯების შემცირება თანამშრომელთა შემცირების ხარჯზე. 5600 თანამშრომელი უკვე ვახსენეთ. სულ "ფიატის" გადარჩენის გეგმას 8100 თანამშრომელი უნდა შეეწიროს, პლუს მისი მთავარი აღმასრულებელი გაბრიელე გალატიერი.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი - ორ წელიწადში "ფიატი" შეიძლება იტალიურიც აღარ იყოს. კომპანიის საავტომობილო განყოფილების 20 პროცენტს უკვე "ჯენერალ მოტორზი" ფლობს. "ფიატს" შეუძლია 2004 წელს ამერიკულ გიგანტს დარჩენილი 80 პროცენტიც მიჰყიდოს, ცხადია, ეს დიდი დარტყმა იქნება იტალიელთა თავმოყვარეობაზე, მაგრამ რას იზამ, თუკი სხვა არჩევანი არ დარჩა და თუკი ახლანდელი ევროპა ძველს აღარ ჰგავს. ადრე, როგორც ვახსენეთ, მთავრობა ყველანაირად ეხმარებოდა კომპანიას. ახლა კი ევროკომისია რომის ლამის ყველა ნაბიჯს აკონტროლებს.

"ფიატი" დაღმა მიექანება და მასთან ერთად მიექანება ანიელების დინასტიაც. ოჯახის 83 წლის პატრიარქს ჯოვანი ანიელის პროსტატის კიბო ულევს ბოლოს. მისი სუსტი ხასიათის ძმა უმბერტო აშკარად არ არის ის ფიგურა, რომელიც შეიძლება "ფიატის" იმპერიას გაუძღვეს და იგი იხსნას. ორივე ძმას თითო ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ორივენი ტრაგიკულად დაიღუპნენ ახალგაზრდა ასაკში. ასე რომ, დიდ იმპერიას მემკვიდრე საერთოდ არ რჩება.

# საშობაო ბუმი

თორნიკე შარაშენიძე

ეკონომიკური სიჯანსაღის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი ე.წ. სამომხმარებლო რწმენა გახლავთ. თუკი რიგითი მოქალაქე, რომელიც ეკონომისტისათვის თუ მეწარმისათვის მომხმარებელია, ფულს არ ხარჯავს, ეს კატასტროფის ტოლფასია. გამოდის, ტყუილად მუშაობენ ქარხნები, მაღაზიები, რესტორნები, ბანკები... შეიძლება, ვინმე ბობოლა ინვესტორმა გასულ თვეს მილიარდი ჩადო რაიმე ახალ საქმეში, მაგრამ თუკი იმავე თვეს სამომხმარებლო რწმენის მაჩვენებელი, დავუშვათ, 5 პროცენტით დაეცა, ეს ნამდვილი კრახია, რომელსაც მილიარდები ვერ უშველის.

ინფლაცია ნამდვილად ცუდია. თუ რატომ არის ცუდი, ეს ჩვენ აღარ გვესწავლება. მაგრამ ასევე ცუდია ე.წ. დეფლაცია. ეს კი, აი, რას ნიშნავს - მომხმარებელი გაურკვეველი მომავლის შიშით ფულის ხარჯვას ერიდება და მას, ასე ვთქვათ, შავი დღისათვის ინახავს. ასეთ ვითარებაში საქონლის ფასი ნელ-ნელა ეცემა, რათა მეწარმეებმა მომხმარებელი ამით მაინც მიიზიდონ. შედეგად, მრეწველობას სტიმული ეცლება, ეკონომიკური აქტივობა ეცემა, მთლიანი შიდა პროდუქტი "იკუმშება" და...

ინფლაცია სუფევდა ყოფილ საბჭოეთში, როცა პური მილიონი ღირდა. დეფლაცია სუფევს ახლა იაპონიაში - იქ მაღაზიები სავსეა ყველანაირი პროდუქციით, მაგრამ მომხმარებელს ისე ველარ იზიდავს. ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემებია (ცხადია, იმათი გაგებითა და მასშტაბით) და ფულს შედარებით უფრო ყაირათიანად ხარჯავენ.

ასეთი რამ გახლავთ ეს სამომხმარებლო რწმენა და ახლა, როცა შობა ახლოვდება, მთელი საქმიანი სამყარო გაფაციცებული ანგარიშობს და ითვლის, გაიზრდება თუ არა ეს მაჩვენებელი დეკემბრის ბოლოსათვის. თუკი შობა-ახალ წელს რიგითი მოქალაქეები ფულს კარგად დახარჯავენ, მაშინ-გიხაროდენ! მაგრამ თუკი ახლაც არ დაიწყეს ფულის ძველებურად ხარჯვა და მაშინ ძალიან ცუდად გვქონია საქმე.

საბედნიეროდ, ბოლოდროინდელი გამოკვლევები მოწმობს, რომ უნდა გვიხაროდეს. აგერ მადლიერების დღესასწაულზე მარტო "უოლ-მარტმა" (ამერიკის და საერთოდ მსოფლიოს უმსხვილესი საცალო მოვაჭრე) მილიარდნახევრის საქონელი გაყიდა. ამან დიდი იმედი ჩაუსახა საქმიან სამყაროს და მთელ დასავლეთში ნამდვილი ბუმი ატყდა. მაღაზიებმა საშობაოდ არნახული ფასდაკლებები გამოაცხადეს. კვლევითმა ფირმებმა უმალვე გააშანშალეს ახალ გამოკვლევათა შედეგები. მათი მიხედვით ამერიკული ოჯახი საშუალოდ 483 დოლარს დახარჯავს საშობაო საჩუქრებზე. ეს მართლაც რომ დამაიმედებელი რიცხვია - შარშან ხომ



საშუალოდ 462 დოლარი დაიხარჯა! ხუთპროცენტიანი ზრდა სახუმარო საქმე არ გახლავთ, მითუმეტეს, რომ 11 სექტემბრის მოვლენები ისევ საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას.

გამოკვლევების მიხედვით, ის ოჯახები, რომელთა წლიური შემოსავალი 50 ათას დოლარს აღემატება, 649 დოლარის დახარჯვას აპირებენ. ისინი, ვისი შემოსავალიც 15 ათას დოლარზე ნაკლებია - 233 დოლარის. გამოკითხულთა 35 პროცენტი აცხადებს, რომ უფრო მეტს გაიღებენ საჩუქრებზე, ვიდრე შარშან გაიღეს. ყველაზე მეტად ფული, ალბათ, ტანისამოსზე, ფეხსაცმელსა და სამკაულზე დაიხარჯება. ათიდან რვა - აქედან რომელიღაცის შეძენას აპირებს. ნაკლებად გაუმართლათ სათამაშოების მწარმოებლებს. ამ საქონელზე მოთხოვნილება 67 პროცენტიდან 62 პროცენტზე დაეცა. მიზეზი უცნობია, ამას ცალკე გამოკვლევები დასჭირდება. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ბავშვები დასერიოზულდნენ.

და რაც მთავარია, შარშან 40 პროცენტი აპირებდა ფულის სამომავლოდ გადანახვას, წელს კი მხოლოდ 27 პროცენტია.

მოკლედ, მაღაზიები ღიაა. თუკი ბუმი უკვე არ დაიწყო, ამაზე გული არავინ უნდა გაიტეხოს. ჩვეულებრივ, შენაძენებს ყველა ბოლო დღეებში აკეთებს ხოლმე. თუმცა, საქმიანი ხალხი ცდილობს, მხოლოდ ბუმით არ დაკმაყოფილდეს და რაიმე "ისეთი" მოიგონოს. აი, როგორიც ერთმა ამერიკელმა მოიგონა 1980 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების ღამეს. მას რეიგანის ერთ-ერთი ძველი ფოტო ჩაეგდო ხელში, რომელშიც ყოფილი მსახიობი, ასე ვთქვათ, ძალიან იყო როლებში შესული და ნაკლებად ჰგავდა მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის მმართველს. შედეგები გაიგო თუ არა, საქმიანმა კაცმა ბეჭდვას მიჰყო ხელი და მეორე დილით როლში შესული რეიგანის პლაკატებს მთელ ნიუ-იორკში ჰყიდდა. როგორც ამბობენ, ისეთი მოგება ნახა, რომ იმის საშოვნელად 200 წელი უნდა ემუშავა იქ, სადაც მუშაობდა.

ახლა რა შეიძლება მსგავსი მოიფიქროს კაცმა? პოლიტიკოსებზე თუ მიდგა საქმე, აგერ ბუშმა ახალი ხაზინის მდივანი დანიშნა. ვინმე სნოუ (ინგლისურად თოვლი). შობის წინ თოვლი დანიშნეს. მშვენიერია, ალბათ ამას უკვე იყენებს კიდეც ვინმე, რომ მოგება ნახოს. კაცმა რომ თქვას, რომც ვერ მოიფიქრო ამგვარი რამ, შობაზე მაინც მოგებული დარჩები, რადგან ამ დროს ყველა ხარობს და ყველას ფულის დახარჯვა სურს. ამიტომ ფულის საშოვნელად ერთი რამაა საჭირო - როცა სხვები ისვენებენ, შენ უნდა იმუშაო. ეკონომისტებმა კი, ჯანდაბას, დაისვენონ, ოღონდ მერე გამოთვალონ - როგორ აიწია დღესასწაულზე სამომხმარებლო რწმენის მაჩვენებელმა და ხომ არ ემუქრება მსოფლიოს დეფლაცია.